ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ი/
1976/2

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1 · 1976

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

15663

1 · 1976

თბილისი

ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე).
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*),
Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
Ответственный секретарь Э. Вашакидзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ 5

წერილები

ი. კაჭარავა, საქართველოს კომუნისტების დიდი ფორუმი 16
ვ. ჯანჯღლავა, შეიარაღებული აჯანყება გურიაში 1919 წელს 26
ლ. ლაზარაშვილი, თბილისის მუშათა დასტრეტის გამოძახილი მოსკოვის უნივერსიტეტში (1905 წ. აგვისტო-სექტემბერი) 38
ი. ტაბაღუა, პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში გერმანიის იმპერიალიზმის პასუხისმგებლობის შესახებ 53
თ. ნიცბა, დროებითვალდებულ გლეხთა ბრძოლა გადასახადების წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოში 70
ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში . 87
ნ. დუნდუა, ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ნაწილის საქართველოს ისტორიის საკითხები 97

ცნობები და შენიშვნები

ნ. შარაშიძე, მუშათა კონტროლის ზოგიერთი ფორმის შესახებ საქართველოს მრეწველობაში (1921—1922 წლები) 110
უ. ალუაშვილი, ზოგიერთი მომენტი ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიიდან საქართველოში 119
ლ. ტარდი, იოანეს შონერისა და მისი მიმდევრების XVI საუკუნის I მეოთხედის ეფემერიული რუკები 127
ვ. გოილაძე, არის თუ არა თეოფანე ყამთააღმწერელთან მოხსენიებული ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი? 133
ჯ. ბებასალია, შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის 141
ზ. სარჯველაძე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის იდენტიფიკაციისათვის 151
ს. ბარნაველი, XVIII საუკუნის ქართული ხელოვნების ისტორიიდან . . . 153
ვ. ბიბვაკა, აფხაზური სოფლის თანამედროვე ოჯახის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი 157

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლ. ფრუიძე, მაჭახლის ხეობა 168
ნ. შენგელია, კ. ჩეჩელაშვილი, თურქი ისტორიკოსის მ. ფაპრ ად-დინ კირზიოღლუს „ყირსის ისტორია“ 170

ქრონიკა და ინფორმაცია

ი. ფარცვანია, გამოჩენილი ისტორიკოსების ხსოვნისათვის 176
ი. ტაბაღუა, ისტორიულ მეცნიერებათა XII საერთაშორისო კონგრესი სან-ფრანცისკოში 180
მ. სვანიძე, სამეფოთა და პოლონელ ისტორიკოსთა სიმპოზიუმი სოხუმში . . 186
ს. ბედუკაძე (ნეკროლოგი) 188
ო. მარკოვა (ნეკროლოგი) 190

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Ленинским курсом к коммунизму 5

СТАТЬИ

Ю. КАЧАРАВА, Большой форум грузинских коммунистов 16
В. ДЖАНДЖГАВА, Вооруженное восстание в Гурии в 1919 г. . . . 26
Л. ЛАЗАРАШВИЛИ, Отклик на расстрел тбилисских рабочих в Московском университете (август-сентябрь 1905 г.) 38
И. ТАБАГУА, Об ответственности германского империализма в развязывании первой мировой войны 53
Т. ГИЦБА, Борьба временнообязанных крестьян против повинностей в Восточной Грузии 70
В ДЖАОШВИЛИ, Население Грузии в дореформенный период XIX в. . . 87
Г. ДУНДУА, Проблема т. н. грузинско-сасанидских монет и вопросы истории раннефеодальной Грузии 97

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Н. ШАРАШИДЗЕ, О некоторых формах рабочего контроля в промышленности Грузии 110
У. БЛУАШВИЛИ, Некоторые моменты из истории ленинского решения национального вопроса в Грузии 119
Л. ТАРДИ, Географические карты Иоганеса Шоннера и его последователей первой четверти XVI в. 127
В. ГОИЛАДЗЕ, Был ли упомянут летописцем Феофаном картлийский эристмтавар Варсамусэ? 133
Дж. ГВАСАЛИА, К исторической географии Шида Картли 141
З. САРДЖВЕЛАДЗЕ, К идентификации одного отрывка из летописи историка Давида Строителя 151
С. БАРНАВЕЛИ, Из истории грузинского искусства XVIII в. . . . 153
В. БИГВАВА, Жилые и хозяйственные постройки современной семьи абхазского села 157

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Л. ПРУИДЗЕ, Мачахельское ущелье 168
Н. ШЕНГЕЛИЯ, К. ЧЕЧЕЛАШВИЛИ, «История Карса» турецкого историка М. Фахр ад-Дина Кырзыоглу 170

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Т. ПАРЦВАНИА, Памяти выдающихся историков 176
И. ТАБАГУА, XIV Международный конгресс исторических наук в Сан-Франциско 180
М. СВАНИДЗЕ, Симпозиум советских и польских историков в Сухуми . . 186
С. БЕДУКАДЗЕ (некролог) 188
О. П. МАРКОВА (некролог) 190

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ

მთელი კაცობრიობა უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს სკკპ XXV ყრილობის მუშაობას, რომელსაც, საერთო აღიარებით, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე საბჭოთა ხალხის ყველა წარმატებაში ხორცშესხმულია ჩვენი პარტიის ლენინური სიბრძნე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ნაცადი ავანგარდი, მისი გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. პარტიის უმაღლესმა ორგანომ შეაჯამა ჭეშმარიტად გრანდიოზული მიღწევების შედეგები განვლილ პერიოდში და დასახა ჩვენი ქვეყნის განვითარების გეზი ახალ ისტორიულ ეტაპზე. ამიტომ მთელ მრავალეროვან დიდ საბჭოთა ხალხს სკკპ XXV ყრილობა მიაჩნია თავისი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტად.

ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში". შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ამ თვალსაჩინო დოკუმენტში ყოველმხრივ არის გაანალიზებული საერთაშორისო მდგომარეობა, მოცემულია დიდმნიშვნელოვანი თეორიული განზოგადებანი და დასკვნები მსოფლიო განვითარების აქტუალური პრობლემების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის შესახებ, ნაჩვენებია XXIV ყრილობაზე მიღებული პროგრამის შესასრულებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე ღონისძიებათა ნაყოფიერი შედეგი.

ბრწყინვალე წარმატებებმა, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შემოქმედებითი შრომის შედეგად, საბჭოთა კავშირი გადააქცივს ყველაზე აყვავებულ და მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ და უზრუნველყვეს მისი კიდევ უფრო დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი.

საბჭოთა კავშირის მზარდი ძლიერება ხელს უწყობს მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებას, ამაღლებს მისი, როგორც ისეთი ფაქტორის როლს, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარებას, აკავებს იმპერიალისტთა აგრესიულ ზრახვებს და მძლავრ სტიმულს აძლევს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებას. საბჭოთა კავშირის ძლიერება ხელს უწყობს აგრეთვე ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეს.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, ისე როგორც ყოველთვის, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყოველი ღონე იხმარეს ჩვენს ქვეყანასა და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მშვიდობიანი მშენებლობის პირობების უზრუნველყოფისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრ რამეს მივაღწიეთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში: მსოფლიო სოციალიზმის ძლიერებაზე, შეკავშირებასა და აქტივობაზე, მთელ პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან მზარდ კავშირზე დაყრდნობით მოხდა შემობრუნება „ცივი ომიდან“ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ, დაძაბულობის შენელებისა და ნორმალური ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისაკენ. ლენინური პარტია განუხრელად ასრულებდა თავისი ფუძემდებლის დავალებას — განხორციელებულიყო რაც შეიძლება მეტი ღონისძიებანი, „რომლებიც მართლაც გამოიწვევდნენ მშვიდობას, ომის საფრთხის სრულ მოსპობაზე რომ არაფერი ვთქვათ“[1].

სკკპ XXIV და XXV ყრილობებს შორის განვლილი პერიოდი — ეს არის სოციალისტური ქვეყნების განუხრელი აღმავლობის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისაკენ, კომუნიზმისაკენ მათი მტკიცე წინსვლის წლები.

თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ხალხთა ბრძოლის ისტორიაში სამუდამოდ შევა ვიეტნამელი ხალხის სახელოვანი გამარჯვება. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ომში ვიეტნამელი ხალხის სრული გამარჯვება განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის უდიდეს, ყოველმხრივ და ეფექტიან დახმარებასთან. ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის მთავრობა და საბჭოთა ხალხი გულითა და სულით ეხმარებიან ვიეტნამელ ხალხს ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში, სოციალიზმის აშენებაში.

ვიეტნამის კვალდაკვალ თავისუფლება მოიპოვეს ლაოსმა და კამბოჯამ.

სოციალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანებული მეცადინეობის შედეგია ის, რომ ყველამ ცნო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი: საერთაშორისო მასშტაბით დადასტურდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის დასავლეთი საზღვრების ურღვევობა.

დამკვიდრდა სოციალიზმი კუბის მიწა-წყალზე. განმტკიცდა დასავლეთის ნახევარსფეროს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა და ავტორიტეტი.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველთა საფუძველი არის კომუნისტური პარტიების ურღვევი საბრძოლო კავშირი, მათი მსოფლმხედველობისა და მიზნების ერთიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, თანასწორუფლებიანობისა და ამხანაგური თანამშრომლობის ნაცადი პრინციპები.

მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს საამედოდ იცავს ვარშავის ხელშეკრულება. ვიდრე არსებობს ნატოს ბლოკი, ვიდრე მილიტარისტული წრეები გამალებით იარაღდებიან, საბჭოთა ქვეყანა ვარშავის ხელშეკრულების სხვა მონაწილეებთან ერთად განამტკიცებს ამ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს. ყოველნაირად ფართოვდება თანამშრომლობა და მეგობრობა, რომელიც აერთიანებს საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულების და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სახელმწიფოებს: ბულგარეთს, გერმა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებები, ტ. 33, გვ. 457.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, კუბას, მონღოლეთს, პოლონეთს, რუმინეთს, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას, აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ხანგრძლივ პროგრამას, რომელიც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრებმა მიიღეს 1971 წელს. სულ უფრო ავსებენ ერთმანეთის ეკონომიურ ცხოვრებას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს თითოეული მათგანისათვის.

განვლილი ხუთწლედის მანძილზე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ინდუსტრია ვითარდებოდა ოთხჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა[2]. კაპიტალისტურ სამყაროს 1974 წლის მეორე ნახევრიდან თავი ვერ დაუღწევია ღრმა ეკონომიური კრიზისისაგან. ეს არის კაპიტალისტური სისტემის ორგანული სენი, რომელიც გამაწვავა კონონომიკის დიდი ხნის მილიტარიზაციამ და სამხედრო ხარჯების ზრდამ, უძლიერესმა ინფლაციამ, სავალუტო-საფინანსო მექანიზმის მოშლამ, ენერგეტიკულმა კრიზისმა, უმუშევრობის ზრდამ. კაპიტალისტურ ქვეყნებში მწვავდება მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის.

საგულისხმოა, რომ ახალნდელი სიძნელენი ბურჟუაზიული ეკონომიკის მეცნიერების წარმომადგენლებსაც აფიქრებს მთლიანად კაპიტალისტური სისტემის მანკიერებაზე, იმაზე, რომ მას არ ძალუძს თავი გაართვას მიმდინარე განვითარების ამოცანებს, და მით უმეტეს, პასუხი გასცეს სოციალური და ეკონომიური პროგრესის მოთხოვნებს, რასაც მსოფლიოს წინაშე აყენებს XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი[3].

გასულ ხუთწლედში მოხდა რევოლუციები ჩილესა და პორტუგალიაში, დიდმნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს პერუს რევოლუციურ-განმათავისუფლებელმა ძალებმა, დაემხო სამხედრო-ფაშისტური მთავრობა საბერძნეთში, შეირყა ფრანკისტული რეჟიმი ესპანეთში. ჩილეს რევოლუციამ ახალი ცხოვრების ასაშენებლად დარაზმა მშრომელთა ფართო მასები. მაგრამ რევოლუცია მოუმზადებელი შეხვდა რეაქციის შეთქმულებას, რომელიც დაგეგმა და დააფინანსა უცხოეთის იმპერიალიზმმა. სამხედრო ფაშისტურმა დიქტატურამ სისხლით მორწყო ქვეყანა, დახოცა, აწამა და საპყრობილეში ჩაყარა მშრომელი ხალხის ათიათასობით საუკეთესო შვილი. მაგრამ ჩილეს რევოლუციის დროებითი დამარცხება არ აკნინებს მის ისტორიულ დამსახურებას, მისი გამოცდილების მნიშვნელობას.

პორტუგალიის რევოლუციამ ბოლო მოუღო ჩვენი დროის ერთ-ერთ უკანასკნელ ფაშისტურ რეჟიმს, მის შედეგად მოისპო უკანასკნელი კოლონიური იმპერია. პოზიტიური წვლილია შეტანილი ადრე პორტუგალიის კოლონიალიზმის უღელქვეშ მყოფი ხალხების დამოუკიდებლობის საქმეში. ნაციო-

---

2 სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება 1976 წლის 24 თებერვალს, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 25 თებერვალი.

3 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ა. ნ. კოსიგინის მოხსენება 1976 წლის 1 მარტს, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 2 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალიზებულია ბანკები, აგრეთვე მრეწველობისა და ტრანსპორტის ძირითადი დარგები. დაწესებულია მუშათა კონტროლი და მშრომელთა ნამდვილი მართვა ასობით საწარმოში. ქვეყნის ვრცელ რაიონებში ხორციელდება აგრარული რეფორმა, სოფლის მშრომელებმა და წვრილმა მიწათმფლობელებმა შეუპოვარი და მამაცური ბრძოლის შედეგად ხელთ იგდეს დაახლოებით მილიონი ჰექტარი მიწა, რომელიც წინათ მსხვილ მემამულეებს ეკუთვნოდა. ამ მიწებზე მოწყობილია კოლექტიური საწარმოები და კოოპერატივები.

გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ, ესე იგი განვითარებად ქვეყნებთან, გამდიდრდა ამ ურთიერთობის პოლიტიკური შინაარსი.

უცხოეთის ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, თავისი დამოუკიდებლობის დაცვისათვის ბრძოლაში ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წარმატებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თავისუფლებისადმი ხალხთა მისწრაფებას ვერავინ ვერ ჩაახშობს.

ჩვენი პარტია ყოველთვის უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს არაბი ხალხების ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

სკკპ XXV ყრილობამ მკაცრად დაგმო ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობის აშკარა კონტრრევოლუციური, დიდმპყრობელური, შოვინისტური, ანტისაბჭოური კურსი. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელების პოლიტიკა აშკარად მიმართულია სოციალისტური სახელმწიფოების უმრავლესობის წინააღმდეგ. უფრო მეტიც. იგი პირდაპირ უკავშირდება მთელი მსოფლიოს ყველაზე უკიდურესი რეაქციის პოზიციას. ეს პოლიტიკა არა მარტო სრულიად უცხოა სოციალისტური პრინციპებისა და იდეალებისათვის, არამედ არსებითად იმპერიალიზმის დიდმნიშვნელოვანი რეზერვიც გახდა სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს დიდ საფრთხეს უქადის პეკინის გაფაციცებული ცდები ჩაშალოს დაძაბულობის შენელება, არ დაუშვას განიარაღება, უნდობლობა და შუღლი ჩამოაგდოს სახელმწიფოთა შორის, მისი მისწრაფება — პროვოკაციულად გამოიწვიოს მსოფლიო ომი, თვითონ კი ხელი მოითბოს ამით. პეკინის ასეთი პოლიტიკა ღრმად ეწინააღმდეგება ყველა ხალხის ინტერესებს. ჩვენ კვლავაც საკადრის პასუხს გავცემთ ამ წამქეზებლურ პოლიტიკას, დავიცავთ საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს. ახლა უკვე ცოტაა იმის თქმა, რომ მაოისტური იდეოლოგია და პოლიტიკა შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან. ისინი აშკარად მტრულია მისდამი.

ჩინეთთან ურთიერთობაში ჩვენი პარტია მტკიცედ ანხორციელებს XXIV ყრილობის მიერ დასახულ კურსს, რომლის სისწორე დაადასტურა ცხოვრებამ. ჩვენ კვლავაც ვიბრძოლებთ მაოიზმის წინააღმდეგ, ვიბრძოლებთ პრინციპულად, შეურიგებლად.

„ამასთანავე, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მინდა კვლავ დავადასტურო, რომ ჩინეთთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, მტკიცედ ვადგავართ თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის გამოუყენებლობის პრინციპებს. ერთი სიტყვით, მზადა ვართ მოვაწესრიგოთ ურთიერთობა ჩინეთთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტიც, შეგვიძლია გულდაჯერებით განვაცხადოთ: თუ პეკინში დაუბრუნდებიან ნამდვილ მარქსიზმ-ლენინიზმზე დაფუძნებულ პოლიტიკას, ხელს აიღებენ სოციალისტური ქვეყნებისადმი მტრულ კურსზე, დაადგებიან სოციალიზმის სამყაროსთან თანამშრომლობისა და სოლიდარობის გზას, ამას ჩვენი მხრივ შესაბამისად გამოვეხმაურებით და დაისახება შესაძლებლობა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კეთილი ურთიერთობის განვითარებისათვის, რომელიც შეესაბამება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ჯერი ჩინეთზეა"[4].

სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება და გაფართოება, კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რევოლუციურ-დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ,მოძრაობის გაძლიერება — ყოველივე ეს მთლიანად მოასწავებს მსოფლიო რევოლუციური პროცესის დიდი მასშტაბით განვითარებას.

გაძლიერდა მეტოქეობა და კონკურენციული ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, უთანხმოებანი „საერთო ბაზარსა" და ნატოში; თითოეული ცდილობს უპირატესობა მიიღოს სხვის ხარჯზე, წინააღმდეგობანი ელინდება სულ ახალი და ახალი ფორმით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური მონაცემებითაც კი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების 15 მილიონზე მეტი მშრომელი დაითხოვეს ქარხნებიდან და დაწესებულებებიდან. მილიონობით ადამიანი იძულებულია იმუშაოს არასრული დღე ან კვირაში ორი-სამი დღე. მუშათა კლასი ამას უპასუხებს მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით. გაფიცვებმა, რომლებშიც მშრომელი მოსახლეობის სხვადასხვა ფენები მონაწილეობენ, ბოლო ათწლეულში უმაღლეს დონეს მიაღწია. მთელ რიგ ქვეყნებში მყარდება მუშათა და სხვა დემოკრატიული პარტიების მოქმედების ერთიანობა, განმტკიცდა მათი პოზიციები.

განვლილი ხუთწლედის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო კაპიტალისტურ სამყაროში კომუნისტურ პარტიათა გავლენის ზრდა. მათი რიგები გადიდდა თითქმის მილიონით, მათ შორის დასავლეთ ევროპაში — თითქმის 400 ათასით.

„კომუნისტები თავიანთ ბრძოლაში ხელმძღვანელობენ, — ნათქვამია ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, — რევოლუციის განვითარებისა და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებით. ეს კანონზომიერებანი, რომლებიც აისახა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში და დადასტურდა პრაქტიკით, გაშლილი ფორმით კოლექტიურად ჩამოაყალიბეს მომძღვარ პარტიების საერთაშორისო თათბირებმა. ამ ზოგად კანონზომიერებათა ღრმად გაგება, მათზე დაყრდნობა თითოეულ მოცემულ ქვეყანაში შემოქმედებითს მიდგომასთან შეხამებით და კონკრეტული პირობების შესაბამისად იყო და არის მარქსიზმ-ლენინელების უცილობელი თავისებურება"[5].

ამრიგად, სკკპ XXIV და XXV ყრილობებს შორის განვლილი პერიოდი ისტორიაში შევიდა როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების დამკვიდრების ხუთწლეული. ეს იყო მშვიდობის პროგრამის გამარჯვების ხუთწლეული, პროგრამისა, რომელიც თავისი რეალიზმითა და ღრმა ჰუმანიზმით შთაა-

---

4 ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება, გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 25 თებერვალი.

5 იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გონებდა მოძმე პარტიებსა და ქვეყნებს, მსოფლიოს მთელ პროგრესულ და რევოლუციურ ძალებს. ჰელსინკის თათბირმა შექმნა გადამწყვეტი წანამძღვრები იმისათვის, რომ ევროპა გადაიქცეს მტკიცე მშვიდობის კონტინენტად. საერთო აღიარებით, სკკ XXV ყრილობამ ახალი იმპულსი მისცა ბრძოლას იმისათვის, რომ შეუქცევადი გახდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმად გადაიქცეს ჰელსინკის თათბირით დამკვიდრებული პრინციპები. მშვიდობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, რომელიც დასახულია ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, სკკ XXIV ყრილობის სამშვიდობო პროგრამის ორგანული გაგრძელებაა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 96 ქვეყნის 103 კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა. ჩვენი პარტიის არც ერთ წინა ყრილობას არ დასწრებია ამდენი მეგობრული დელეგაცია. ამით მკაფიოდ გამოიხატება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალური კავშირ-ურთიერთობის გაფართოება და განმტკიცება მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ყველა რაზმთან მსოფლიოში.

ყრილობამ მიიღო განცხადება „თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ‚ტუსაღებს“.

*

* *

იმ დროს, როცა კაპიტალისტური სამყარო განიცდის ღრმა კრიზისს, როცა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში იზრდება უმუშევრობა, დემორალიზაცია, მომავლის ურწმუნობა და ქაოსი — საბჭოთა სახელმწიფოში — ოპტიმისტურ, ძლევამოსილ და საკუთარ თავში დარწმუნებულ საზოგადოებაში ვითარდება მატერიალური, სოციალური და სულიერი პროგრესის განუხრელი პროცესი. გასულ პერიოდში საბჭოთა ხალხის თავდადებულმა შრომამ, პარტიის წარმმართველმა, ორგანიზატორულმა საქმიანობამ უზრუნველყვეს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური ზრდა. ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანები გადაწყდა.

სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედის მანძილზე 43%-ით გადიდდა. კიდევ უფრო გაიზარდა ნუსხა დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციისა, რომლის წარმოების მოცულობით საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში: ქვანახშირს, რკინის მადანს, ცემენტსა და მთელ რიგ სხვა პროდუქტებს უკანასკნელ წლებში დაემატა ფოლადი, ნავთობი, მინერალური სასუქები.

ამავე პერიოდში მეურნეობის ყველა დარგში სულ დაბანდებული იყო 500 მილიარდ მანეთზე მეტი, რომლის მეოხებით ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა ძირითადი საწარმოო ფონდები, ხოლო თუ შევადარებთ 1965 წელს, ისინი პრაქტიკულად ერთიორად გადიდდა. ამრიგად, ეკონომიური პოტენციალის, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე შეიქმნა, თითქმის იმდენივე დაემატა სულ ათიოდე წელიწადში.

ქვეყნის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც გასულ ხუთწლედში შესრულდა. ახალი სოციალური ღონისძიებების განხორციელებას მოხმარდა იმდენივე სახსრები, რამდენიც ორი წინა

ხუთწლედის მანძილზე ერთად. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე თითქმის მეოთხედით გაიზარდა.

ხუთწლედის მანძილზე საბინაო პირობები გაიუმჯობესა 56 მილიონმა კაცმა, ორმოცი პროცენტით გაიზარდა დახმარება და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან, პენსიები და დახმარებანი გაუდიდდათ მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს, სტიპენდიები — სტუდენტებს. დიდი დადებითი ძვრები მოხდა სოფლის მშრომელთა ცხოვრების პირობებში. ამრიგად, მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხის ცხოვრების დონე.

უაღრესად არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი წარმოება. მერვე ხუთწლედთან შედარებით მთელი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 13 პროცენტით უფრო მეტი იყო. 14 მილიონი ტონით გადიდდა მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. ხუთწლედის თითოეული წელი აღინიშნა დიდი მიღწევებით ბამბისა და ბრინჯის მოსავლიანობაში.

საბჭოთა ადამიანები სახელოვანი საქმეებით შეხვდნენ თავიანთი კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სოციალისტური წარმოება, დაჩქარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მარტო დასავლეთ ციმბირში ნავთობის მოპოვებამ 1975 წელს მიაღწია თითქმის 150 ტონას, ხოლო გაზისამ — დაახლოებით 38 მილიარდ კუბურ მეტრს. ვადამდე ჩაუშვეს წყალში ატომური ყინულმჭრელი „სიბირი“. საბჭოთა მსუბუქი ავტომანქანების მოდელებს შეემატა ახალი „მოსკვიჩები“ და „ვაზები“. ვადამდე დამთავრდა 350-ადგილიანი ილ-86 გიგანტური თვითმფრინავის აწყობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი და დაიწყო იაკ-42 ახალი თვითმფრინავის საცდელი გამოცდა. ლენინგრადელებმა შექმნეს ქვეყანაში უმძლავრესი 1 მილიონ 200 ათასკილოვატიანი ტურბოგენერატორი. ქვეყნის მეორე ბოლოში სამრეწველო დენი მოგვცა ზეის ჰიდროელექტროსადგურმა — საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ჰიდროენერგეტიკის პირმშომ. სამხრეთში დამთავრდა ჩრდილოეთ ყირიმის არხის პირველი, ოთხასკილომეტრიანი რიგის მშენებლობის სამუშაოები, ხოლო საბჭოთა კავშირის ჩრდილო-აღმოსავლეთში აღმოჩენილია პოლიმეტალების, რკინის მადნის, აპატიტების ახალი საბადოები.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ დიდი წარმატებანი მოიპოვა თავისი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებმა, კომუნისტებმა, კომკავშირელებმა და უპარტიოებმა უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს, ყველაფერი იღონეს, რათა ღირსეულად შეხვედროდნენ ლენინური პარტიის XXV ყრილობას.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის მოქმედების პროგრამა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ ყრილობაზე თავის სიტყვაში თქვა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის საანგარიშო პერიოდი ორ ეტაპად იყოფა: პირველ ეტაპზე, აღნიშნულ დადგენილებამდე, მკვეთრად ქვეითდებოდა რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალი, შეიმჩნეოდა ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის გამოცოცხლება. მას შემდეგ, რაც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები, რესპუბლიკის მშრომელები უმაგალითო ენთუზიაზმმა მოიცვა. გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანებმა შეუძლებელი შეძლეს, მთლიანად დაძლიეს ჩამორჩენა, რომელიც პირველ პერიოდში გვქონდა. 1973—1975 წლებში სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 9,6 პროცენტი შეადგინა, შრომის ნაყოფიერება — 7,8 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება — 1970—1972 წლების საშუალო წლიურ დონესთან შედარებით 18 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შეიქმნა ახალი დარგები, კერძოდ, სპილენძის, ფაიფურის წარმოება და სხვები. განსაკუთრებით სასიხარულოა ჩვენთვის, რომ საქართველოში აღმოჩნდა ნავთობის დიდი საბადოები.

ხუთწლედი შესრულებულია. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის რესპუბლიკა მესამე წელია ზედიზედ ჯილდოვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამრიგად, სკკპ XXIV და XXV ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის ეკონომიური საქმიანობის პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ გადაიდგა ახალი დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976—1980 წლებში“. ამ საკითხზე მოხსენება გაკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა.

სკკპ XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანად დასახა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

მოკლედ, მეათე ხუთწლედის არსი გამოხატულია პარტიის მიერ შემუშავებული ყოვლისმომცველი ფორმულით — ეს არის ხარისხისა და მაღალი ეფექტიანობის ხუთწლედი ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

მეათე ხუთწლედის საბჭოთა ეკონომიკა ჭეშმარიტად უზარმაზარი მასშტაბის ეკონომიკა იქნება. გათვალისწინებულია, რომ ეროვნული შემოსავალი 1980 წელს გაიზარდოს 457,5 მილიარდ მანეთამდე. ესე იგი გადიდდეს 96 მილიარდით. მრეწველობის პროდუქცია თითქმის 197 მილიარდი მანეთით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზრდება და 720 მილიარდ მანეთს მიაღწევს. ხუთწლეულში განსაზღვრულია მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდეს 35—39 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება — 38 — 42 პროცენტით და მოხმარების საგნებისა — 30 — 32 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება ყველა დარგში. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში უნდა ამაღლდეს 30-34 პროცენტით.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია, სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდეს 172 მილიარდი მანეთი, ესე იგი 41 მილიარდით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა გადიდდება 14—17 პროცენტით, მარცვლეულის საშუალო — წლიური მოლიანი მოსავალი 215—220 მილიონ ტონამდე, ხორცის საშუალო წლიური წარმოება — 15—15,5 მილიონ ტონამდე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრულია სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ვრცელი პროგრამა. მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო ხელფასი გაიზრდება 16—18 პროცენტით და ხუთწლეულის დამლევისათვის აყვანილ იქნება სულ ცოტა 170 მანეთამდე თვეში. წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე კოლმეურნეთა შემოსავალი კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობებიდან გაიზრდება 24—27 პროცენტით. 28—30 პროცენტით გადიდდება მოსახლეობისათვის დახმარებისა და შეღავათების გაცემა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონლბრუნვა გაიზრდება 27—29 პროცენტით. უფრო სრულად დაკმაყოფილდება მოსახლეობის მყიდველუნარიანი მოთხოვნილება სურსათსა და სამრეწველო საქონელზე.

ახალ ხუთწლედში გაგრძელდება მასობრივი სახნაო მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 545—550 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ამაღლდება სახნაო მშენებლობის ხარისხი, გაუმჯობესდება ბინების კომფორტულობა და დაგეგმარება.

მეათე ხუთწლიანი გეგმა, ისევ როგორც ყველა ხუთწლიანი გეგმა, განვითარების პროგრამაა ყველა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკისა, ერისა და ეროვნებისა, რომლებიც შეადგენენ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს. მთელი ქვეყნის ფარგლებში შექმნილი ერთიანი სამეურნეო ორგანიზმი ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე მატერიალური საფუძველია.

ჩვენს რესპუბლიკაში ახალი ხუთწლიანი გეგმით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდება 37—41 პროცენტით. ამასთან, გათვალისწინებულია ელექტროტექნიკური, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატესი ზრდა. დაგეგმილია ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარება ძირითადად ჰიდროენერგორესურსების გამოყენების გზით. ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება 1,5-ჯერ. დამთავრდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. განვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა, განსაკუთრებით მეღვინეობა. გათვალისწინებულია მოქმედ საწარმოთა ფილიალების განლაგება მთის და მთისწინეთის რაიონებში შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა გადიდდება 21—24 პროცენტით; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტექნიკური და მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავების შემდგომ გაფართოებას და მოსავლიანობის ზრდას, მრავალწლოვანი ნარგავების სიმეჩხერის მოსპობას. 1980 წლისათვის დაგეგმილია ჩაის ფოთლის წარმოება გავზარდოთ 355 ათას ტონამდე, ყურძნის საშუალო წლიური მოსავალი გავადიდოთ დაახლოებით 1,4-ჯერ. გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაფართოებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას, მიწების რწყვის სამუშაოების განხორციელებას 60 ათას ჰექტარ ფართობზე და კოლხეთის დაბლობის ამოშრობას 40 ათას ჰექტარზე. გაუმჯობესდება მელიორირებული მიწების გამოყენება.

გათვალისწინებულია საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების შემდგომი განვითარება შავი ზღვის სანაპიროზე და მთის რაიონებში.

ახასიათებს რა ახალ ხუთწლედს, როგორც ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს, პარტია განსაკუთრებით მიაპყრობს მეცნიერთა ყურადღებას ამ პრობლემებისადმი.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა ტემპების დაჩქარება ცვლის შრომის ხასიათს, ამდიდრებს მის შინაარსს. ეს მოითხოვს სამეცნიერო მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას.

შრომის ნაყოფიერება და მისი ხარისხი გადამწყვეტადაა დამოკიდებული თანამედროვე დიდმწარმოებლური ავტომატიზებული ლაბორატორიული მოწყობილობითა და გამოსათვლელი ტექნიკით სამეცნიერო სამუშაოთა აღჭურვაზე. პარტიას ესმის მეცნიერების საჭიროებანი. მეცხრე ხუთწლედში ჩვენში შეიქმნა უნიკალური რადიოტელესკოპი „როსტანი“, მსოფლიოში უდიდესი ორიგინალური კონსტრუქციის ტელესკოპი, რომელსაც ექვსმეტრიანი სარკე აქვს, უდიდესი თერმობირთვული დანადგარი „ტოკამაკ — 10“, შეიქმნა სხვა მოწინავე ტექნიკაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს წამყვანი ადგილები დავიკავოთ მეცნიერების ამა თუ იმ დარგში. სახალხო მეურნეობას დიდ სარგებლობას აძლევენ კოსმოსური სივრცის კვლევა და კვანტური გენერატორების — ეგრეთწოდებული ლაზერების აღმოჩენა. მეცნიერები მონაწილეობენ ჩვენი დროის უდიდესი მშენებლობების — კამის საავტომობილო ქარხნისა და ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ეკონომიკის დამუშავებაში.

სერიოზული მიღწევებია მოპოვებული ფილოსოფიის, ეკონომიკის, ისტორიის მეცნიერებებში, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემათა შესწავლაში.

მთელი საბჭოთა ქვეყნის მეცნიერ მუშაკებთან ერთად ქართველი მეცნიერები თავიანთ შემოქმედებას წარმართავენ სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ყოველმხრივ ასამაღლებლად, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დასანერგავად; წარმოების მუშაკებთან ერთად იძიებენ ენერგიის, მინერალური და ორგანული ნედლეულის ახალ წყაროებს, ხელს უწყობენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებას, იბრძვიან ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის.

ქართველ მეცნიერთა წარმატებებმა ასახვა ჰპოვა მთელ რიგ დასრულებულ გამოკვლევებში ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, აღმოსავლეთმცოდნეობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, პედაგოგიკის, სამართლის მეცნიერების დარგში.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ ქვეყნის განვითარების ახლანდელ ეტაპზე თეორიის შემდგომი შემოქმედებითი დამუშავების საჭიროება კი არ მცირდება, არამედ კიდევ უფრო იზრდება. როგორც ზოგადთეორიული, ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი ხასიათის ნაყოფიერი კვლევის ახალი შესაძლებლობანი იქმნება სხვადასხვა მეცნიერების, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესაყარზე. ეს შესაძლებლობანი სრულად უნდა გამოვიყენოთ.

ყრილობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარების დარგში.

სკკპ XXV ყრილობის დოკუმენტებში ქვეყნის წინაშე გაშლილია პროგრესის ახალი ჰორიზონტები, დროის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებულია იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, კომუნისტური აღზრდის პრობლემები. საბჭოთა მეცნიერები პარტიის ერთგული თანაშემწენი არიან XXV ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური კაჭარავა

საქართველოს კომუნისტების დიდი ფორუმი

კომუნისტური პარტიის, მმართველი პარტიის ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. პარტია თავის ყრილობაზე აჯამებს „საზოგადოებრივი განვითარების პერიოდებს“ და იყენებს „მათ მიმართ კვლევის მარქსისტულ მეთოდებს“ (ვ. ი. ლენინი). პარტია, აჯამებს რა გადახდილი ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის შედეგებს, გამოავლენს და დაგმობს შეცდომებსა და ნეგატიურ მოვლენებს, ფეხებში რომ ებლანდებოდა პარტიასა და ხალხს დიადი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. ამასთან ერთად, ყრილობა გამოავლენს და მხარს დაუჭერს ყოველივე ახალსა და პროგრესულს, რაც გამარჯვების რწმენით აიარაღებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. და ბოლოს, ლენინური პარტიის რჩეულთა თავყრილობა მეცნიერული საფუძვლიანობით სახავს შემდგომი წინსვლა-განვითარების დიად პერსპექტივებს.

ასეთია კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის ლენინური ნორმები. ამ ნორმების სრული დაცვითა და მისი სულისკვეთებით ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა 1976 წლის 22-24 იანვარს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ, ისე როგორც წინა ყრილობებმა, შექმნა „საზოგადოებრივი განვითარების“ დიდმნიშვნელოვანი პერიოდი, მაგრამ ზოგიერთი წინა ყრილობისაგან განსხვავებით, მხოლოდ ამ ყრილობამ გამოიყენა განვლილი პერიოდის მიმართ „კვლევის მარქსისტული მეთოდი“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ საფუძვლიანად ამხილა და დაჰგმო ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის ყოველგვარი გამოვლინება, გზა გაუწალდა ქართველი ხალხის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ საზოგადოების განვითარების ობიექტურ ეკონომიურ კანონებზე დაყრდნობით. ყოველივე ეს ნათლად და ცხადად აისახა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ XXV ყრილობისადმი წარდგენილ ანგარიშში, რომელიც ყრილობას მოახსენა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში მკვეთრად გამოირჩევა თავისი სიღრმით, ისტორიული სიტუაციების ზუსტი მეცნიერული ანალიზით, პრაქტიკულ გამოცდილებათა თეორიული განზოგადებით, ნათელი და ცხადი პერსპექტივებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დასმული და გაშუქებულია საბჭოთა საზოგადოების განვითარების რიგი თეორიული პრობლემა. ამასთან ერთად, მასში არაერთი თეორიული, ისტორიული და ეკონომიური ხასიათის პრობლემაა დასმული, რომლებიც საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის მუშაკებს ავალებს კიდევ უფრო ფართოდ და კიდევ უფრო შემოქმედებითად გაშალონ კვლევითი მუშაო-

ბა ყრილობის მიერ დასახული მიმართულებით. ამით საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა ხელი უნდა შეუწყონ საბჭოთა ადამიანების შეიარაღებას ეპოქის მოწინავე მსოფლმხედველობით, რადგან როგორც ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს: „საბოლოო ანგარიშით ყველა მიმართულებით ჩვენი წინსვლის გადამწყვეტი წინამძღვარია სწორედ მშრომელთა იდეური რწმენა, პოლიტიკური შეგნების ზრდა.

იყო იდეური — ნიშნავს მიგაჩნდეს შენი შრომა დიადი საერთო საქმის — კომუნიზმის მშენებლობის ნაწილად, შეგნებული გქონდეს და გრძნობდე, როგორ ერთვის შენი შრომა რესპუბლიკის შრომას, როგორც პოეტმა თქვა.

ეს ნიშნავს არ ურიგდებოდე ეგოიზმსა და უძრაობას, მოდუნებას და დოყლაპიობას, ობივატელურ გულგრილობას და წამგლეჯობას.

ეს ნიშნავს მოითხოვდე საკუთარი თავისა და სხვებისაგან შრომის დისციპლინის უმკაცრესად დაცვას. ხალისით, ინიციატივიანად, მთელი ძალღონით მუშობას.

ეს ნიშნავს მხურვალედ გიყვარდეს შენი დიადი სოციალისტური სამშობლო და გწამდეს, რომ ჩვენი წარმატებები — ეს არის წვლილი მტკიცე მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ყველა ხალხის ბრძოლის საერთო საქმეში.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ...იყო იდეური — ნიშნავს იყო აქტიური და შეგნებული მებრძოლი კომუნიზმისათვის, მისი დიადი იდეალების გამარჯვებისათვის“[1].

საბჭოთა ადამიანების იდეურობა, ხვალინდელი დღისადმი კომუნისტური რწმენა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის ელემენტების გამოვლინების პირობებში, როდესაც წვრილმანი საქმოსნური ფუსფუსი, უიდეო პრაქტიციზმი ცდილობდა შეეცვალა დიადი ამოცანებით შთაგონებულ მილიონობით ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობა, გამოცოცხლებას იწყებდა ანტისაზოგადოებრივი, ნეგატიური მოვლენები, როდესაც „ეკონომიკაზე უფრო მეტად დაზარალდა ადამიანის ფსიქიკა, მისი სულიერი სამყარო, მისი მსოფლმხედველობა“[2].

ამრიგად, კომუნიზმის აშენების ორი აუცილებელი პირობიდან — ა ხ ა ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი და კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ-ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ბ ა ზ ა — ფრიად დაზარალდა პირველი, რასაც თავის მხრივ მეორე პირობის გარდუვალი ნგრევისაკენ შეეძლო საქმის წარმართვა. ამიტომ კომუნისტური პარტიის მიერ სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის წინააღმდეგ, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისა და ტენდენციების წინააღმდეგ გამართული ომი არ არის მხოლოდ ერთეული უზნეო ადამიანების წინააღმდეგ გამართული ომი, იგი არ არის მხოლოდ სირცხვილის მოწმენდისათვის გამართული ომი, იგი უაღრესად დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ომია კერძოესაკუთრული ბარბაროსობის წინააღმდეგ, იგი, ჭეშმარიტად, კომუნიზმისათვის ბრძოლაა. სწორედ ამიტომ გაამახვილა ყრილობამ ყურადღება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზე, რაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ

[1] გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“, 1975 წლის 14 ივნისი.
[2] გაზ. „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“, 1976 წლის 23 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ამიტომაც მათ დიდი ვალდებულებაც დაეკისრათ[3].

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ თავის თავში ჰპოვა ძალა, წინაღდგომოდა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებსა და ტენდენციებს, რომლებიც ორი ათეული წლის მანძილზე ინერგებოდა მთელი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღზრდელობითი მუშაობის შესუსტების შედეგად. ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ვალია აქტიური მონაწილეობის მიღება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდისათვის ბრძოლაში. მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა კეთდება ამ მიმართულებით. ამის გამო სრულიად სამართლიანად იყო აღნიშნული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში: საზოგადოებრივ მეცნიერებათა, განსაკუთრებით ისტორიულ-პარტიული მეცნიერების მიერ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ სკკპ XXIV ყრილობამ, შემდეგ კი XXV ყრილობამ დიდი და სერიოზული ამოცანები დაუსახა საზოგადოებრივ მეცნიერებებს. სკკპ XXIV ყრილობამ საზოგადოებრივ მეცნიერებების წინაშე დასახა გადაუდებელი ამოცანა, თანამედროვეობისაკენ მობრუნების ამოცანა. ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ მეცნიერული „ძალების 99/100-ს დაეკალოს იმის დამუშავება, რაც პრაქტიკულად და დაუყოვნებლივ არის საჭირო ჩვენი მშენებლობისათვის“[4]. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველ ისტორიკოსებს ამ მხრივ ჯერ კიდევ ცოტა აქვთ გაკეთებული, მათ მეტი შეუძლიათ და ვალდებულიც არიან მეცნიერულად გააშუქონ კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემები, შეისწავლონ ახალი ადამიანების, სოციალისტური წარმოების ნოვატორების გმირული მოღვაწეობა, ფართო პოპულარიზაცია უყონ შრომის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, რომელთაც წარმატებით იყენებენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები.

სიმართლე რომ ითქვას, ამ უბანზე ისტორიული მეცნიერება ნამდვილად ჩამორჩა. ჯერ კიდევ ბევრი ისტორიკოსი ისევ ისტორიის ყვითელ ფოლიანტებში იქექება, მაშინ, როდესაც თვალწინ ცოცხალ ადამიანთა, დღევანდელ გმირთა მოღვაწეობა მზედველობის გარეთ რჩება. ამის გამო, თავის დროზე სრულიად სამართლიანად უსაყვედურა ისტორიკოსებს პოეტმა აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა. იგი მიმართავდა რა ისტორიკოსებს, წერდა:

> მეისტორიევ, წიგნი დახურე! ამარა წარსულზე თქმა ამაყური!
> თავი აიღე მზეს გადაჰყურე, და ახალ გმირებს მიაპყარ ყური!
> მიმოიხედე, რა ხდება ირგვლივ, რა გვამწუხარებს, რა გვანტრაბს, —
> ყოველი ხე და ყოველი ჩირგვი უამრავ გმირის სახელს ატარებს.

ამასთან ერთად პოეტმა იცის, რომ „ეაღარა წარსული ყველა ვითარებაში, არაჩვეულებრივ სინტეტერესო ეპოქად დარჩება მომავალი თაობებისათვის, რადგან იგი მთელი შემდგომი პროგრესის საფუძველია“ (ფ. ენგელსი), ამიტომ პოეტი „ძველ გმირებსაც“ არ ივიწყებს, რადგან „ძველმა გმირებმა დაგვბარდეს კაცად“, რადგან „გეწყამს მათი მზერა და მითითება“, „მათ მარჯვენას და

---

[3] ლ. გორგილაძე, საზოგადოებრივი მეცნიერება და იდეოლოგიური უზრუნველყოფა, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 20 თებერვალი.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 14—15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ ნაცად ბილიკს მივყვებით". ამიტომ გვირჩევს, დავთმოთ „დროებით ძველის ძიება".

> მაგრამ რამდენი გმირია ეხლა, ჯავარიანი ხალხის გენია!
> მათი საქმენი, მათი სახელი დაგიწერია? დაგიდგენია?

გვეკითხება პოეტი-აკადემიკოსი.

ცოდვა გამხელილი სჯობია, ბევრი არც „დაგვიწერია" და არც „დაგვიდგენია". ამიტომ სრულიად სამართლიანად გვისაყვედურა საქართველოს კომუნისტების ფორუმმა, იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში საკმაოდ არ იკვლევენ კომუნისტური მშენებლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ადამიანის ფორმირებაზე, მის ყოველმხრივ განვითარებაზე საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის გაკვლევის აქტუალურ პრობლემებს, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე პირობებში, პიროვნების, კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების შეთანხმების პრობლემებს[5].

საქართველოში სამართლიანად იმსახურებენ კრიტიკას საზოგადოებათმცოდნეები, რომლებიც გატაცებული არიან „შორეული წარსულით თანამედროვეობის პრობლემების საზიანოდ", მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვინმე შორეული წარსულის შესწავლას უკრძალავდეს პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების, ანტიკური ქვეყნების, შუასაუკუნეთა ისტორიის მკვლევართა. რასაკვირველია, აღნიშნულ ეპოქათა მკვლევართ ვერ დავაკისრებთ თანამედროვეობის შესწავლას, მაგრამ ის კი მოეთხოვებათ, რომ შორეული წარსულის შესწავლა თანამედროვეობას ეხმაურებოდეს და თანამედროვეობის სამსახურში იყოს. „თანამედროვეობის პრობლემების საზიანოდ ისტორიზმით" გატაცებისაგან თავი უნდა შეიკავონ, უწინარეს ყოვლისა, ისტორიულ-პარტიული მეცნიერების წარმომადგენლებმა, მეცნიერული კომუნიზმის და საბჭოთა საზოგადოების ისტორიის მკვლევრებმა და სხვ. აი, სწორედ ამათი მისამართით იყო ყრილობის მიერ გამოთქმული სამართლიანი საყვედური.

საქართველოს კომუნისტების ფორუმზე სამართლიანად აღინიშნა ის ფაქტი, რომ იდეოლოგიური მუშაობის შესუსტების პირობებში გახდა შესაძლებელი რესპუბლიკაში ყველასათვის ცნობილი ნეგატიური მოვლენების ესოდენ ფართოდ გავრცელება, როდესაც „ეკონომიკაზე უფრო მეტად დაზარალდა ადამიანის ფსიქიკა, მისი სულიერი სამყარო, მისი მსოფლმხედველობა". მაგრამ ყველაზე მეტად გულსატკენი და სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ სენს ვერ გადაურჩა ახალი თაობაც. „სიდიდემლოება არ არის, — აღნიშნულია საანგარიშო მოხსენებაში, — რომ მოსახლეობის ერთ ნაწილში, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ზოგიერთ ფენაში მოხდა ფასეულობათა ერთგვარი გადაფასება, შეხედულებათა ორიენტაციის შეცვლა"[6].

სამწუხაროა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ერთი, რასაკვირველია, მცირე ნაწილი სხვა რიგად ფიქრობს, ვიდრე მთელი ჩვენი ჯანსაღი ახალგაზრდობა. ესეც დამაფიქრებელია, და ამ სენის განკურნება შესაძლებელია კარგად დაყენებული იდეურ-პოლიტიკური აღმზრდელობით, სხვაგვარად შეუძლებელია,

---

5 გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 6 თებერვალი.

6 „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, თბ.. 1976, გვ. 104.

ISBN 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგან ახალგაზრდობის საკითხი ეს ჩვენი ხვალინდელი დღის საკითხია, მაგრამ დღევანდელ დღეს მოსაგვარებელი ამოცანაა.

ახალგაზრდობის მორალური და პოლიტიკური აღზრდა ყოველთვის პირველხარისხოვანი ამოცანა იყო კომუნისტური პარტიისათვის, ასეთივე ამოცანად რჩება იგი დღესაც ჩვენს ქვეყანაში — განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში. ასეთი დიდი ყურადღება ახალგაზრდობის აღზრდისადმი სრულიად არ ყოფილა შემთხვევითი გარემოებით გამოწვეული რამ, მას ადამიანთა საზოგადოების განვითარების უაღრესად ობიექტური კანონები განაპირობებენ:

ჯერ ერთი, ახალგაზრდობა ჩვენი საზოგადოების ხვალინდელი დღეა და ამიტომ დიდი (ნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ განაგრძობს წინაპართა პროგრესულ ტრადიციებს, ვის ხელში იქნება ჩვენი, უფროსი თაობის შრომითა და ბრძოლით დამკვიდრებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება;

მეორე, ახალგაზრდობა საუკეთესო მასალაა, მისგან შეიძლება გამოიძერწოს დიდი მოქალაქე — პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ჩაგვრისა და მონობის დაუძინებელი მტერი, კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის თავდადებული მებრძოლი, მაგრამ იმავე ახალგაზრდებიდან შეიძლება გამოიძერწოს ერთმანეთთან ჯუნგლის კანონით დაკავშირებული კაცუნები, უთვისტომო კოსმოპოლიტები და კაცეჭამია შოვინისტები, წამგლეჯები და თავკერძა ეგოისტები. ეს კარგად იცოდნენ საბჭოთა ხალხის მტრებმა და ამიტომ იყო, რომ ისინი ყოველთვის დიდის გულმოდგინებით ცდილობდნენ ჩვენი ახალგაზრდობის გადაბირებას, სწორი გზიდან მათ გადაცდენას. მაგრამ მათი ცდა, ჩვეულებრივად, მარცხით თავრდებოდა ხოლმე;

მესამე, ახალგაზრდობას ყოველთვის როდი აქვს საჭირო ცოდნა, გამოცდილება. განსაკუთრებით ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა პრაქტიკულად არ იცნობს კლასობრივი მტრების წინააღმდეგ უფროსი თაობის გმირული ბრძოლის ისტორიას, იგი არ იცნობს კლასობრივი მტრის ბრძოლის მზაკვრულ ხერხებსა და მეთოდებს. ამის გამო არ არის გამორიცხული, ასეთი ახალგაზრდობის მცირე ნაწილი ადვილად წამოეგოს მტრების ანკესზე;

მეოთხე, ახალგაზრდობა საერთოდ გულწრფელი და მართალია, იგი პირდაპირი და გულახდილია, ამიტომ ამ ახალგაზრდობას სხვებიც ასე გულწრფელი და მართალი, გულახდილი და პირდაპირი ჰგონია; ამიტომ ის მიმნდობია, რითაც ბოროტი ადამიანები ხშირად სარგებლობენ ხოლმე. ყოველივე ამას თვალისწინებს კომუნისტური პარტია და ახალგაზრდობის მორალური და პოლიტიკური აღზრდა მიაჩნდა ყოველთვის და დღესაც მიაჩნია პირველხარისხოვან ამოცანად.

ახალგაზრდობისათვის ბრძოლა ესაა ბრძოლა ხვალინდელი დღისათვის. ამიტომ იმპერიალისტური რეაქცია არაფერს ზოგავს ამ ბრძოლაში. იგი ახალგაზრდობისათვის ბრძოლაში ებმება არა მარტო პოლიტიკური იარაღით და არა იმდენად პოლიტიკური თეორიით, რამდენადაც ანტიმორალური თეორიებითა და ამორალური პრაქტიკით. ბრძოლის ასეთი მეთოდი იოლი შესანიღბია და მას ბურჟუაზიის იდეოლოგები დიდი გულმოდგინებით იყენებენ. ბურჟუაზიული მხატვრული ლიტერატურა, კინო, თეატრი, ტელევიზია ამორალობის შხამით წამლავს ახალგაზრდობის გრძნობას და გონებას. არც ნამდვილ შხამებს — ნარკოტიკებს ზოგავენ ახალგაზრდობის გასაბრუებლად, ოღონდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოაშორონ ახალგაზრდობა პოლიტიკას, კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლას.

ამავე მიზანს ისახავს აპოლიტიკიზმი, აპოლიტიკურობა, რომელსაც იმპერიალისტური რეაქცია სხვადასხვა „ხმებით“ ქადაგებს ეთერში, პოლიტიკურად ბეცი, უიდეო ადამიანი არ შეიძლება იყოს მორალურად მტკიცე.

ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა არ ნიშნავს კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის მხოლოდ შესწავლას. არ კმარა კომუნიზმის თეორიის ცოდნა, საჭიროა კომუნიზმისადმი რწმენა. ამის გარეშე ყოველგვარი ცოდნა თალმუდიზმია, მედავითნეობაა, რასაც პარტია ყოველთვის ებრძოდა და ებრძვის დღესაც.

კომუნიზმის იდეების, კომუნიზმის თეორიის ცოდნა კომუნიზმისადმი რწმენად რომ ვაქციოთ, ამისთვის საჭიროა ახალგაზრდობას ვასწავლოთ იგი თვით ცხოვრების, მასების შემოქმედებით შრომის პროცესში პრაქტიკული მონაწილეობის გამოცდილებით და უფროსი თაობის პირადი მაგალითებით: სამართლიანნი მოქმედებით, საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულებით, გულწრფელობით, პირდაპირობით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობით, სხვისი დამსახურების ღირსეული დაფასებით, სამშობლოს სიყვარულით, სხვა ხალხებთან მეგობრული ურთიერთობით, ჩაგრულისადმი თანაგრძნობით და მჩაგვრელისადმი ზიზღით.

ამრიგად, ახალგაზრდობის მორალური აღზრდა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, იგი უნდა დაიწყოს მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდით და განმტკიცდეს უფროსი თაობის ტრადიციებით, პირადი მაგალითებით და არა მორალური სენტენციების გაზეპირებით. თუ ჩვენ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურსა და მორალურ აღზრდას დავამკვიდრებთ ასეთ მტკიცე ნიადაგზე, მაშინ ჩვენთვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის საშიში არ იქნება არც ერთი საფრთხე საიდანაც არ უნდა მოგვეპაროს იგი. ის გარდუვალად დაიმსხვრევა საბჭოთა ახალგაზრდობის მტკიცე იდეურ-პოლიტიკურსა და მორალურ საყრდენებზე.

საქართველოს ისტორიკოსებმა თავიდანვე იპოვეს ადგილი „დიადი განახლებისათვის“ მებრძოლთა რიგებში და თავიანთი ძალისა და შესაძლებლობის მიხედვით გარკვეული წვლილი შეიტანეს ამ განმაახლებელ მოძრაობაში, თანამედროვეობის მეცნიერულ შესწავლაში. მივმართოთ ფაქტებს: საქართველოს სახელმწიფო და საუწყებო გამომცემლობათა ყოველწლიურ გეგმებში თითქმის ერთი მესამედი ადგილი აქვს დათმობილი პოლიტიკურ, ისტორიულ და ისტორიულ-პარტიულ თემატიკას, აქ ძირითადი ავტორები არიან ისტორიკოსები. მათი შრომები უმთავრესად მიძღვნილია აქტუალური საკითხებისადმი, კერძოდ, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის პრობლემებისადმი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შეიქმნა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეული, აქედან საბჭოთა საქართველოს ისტორიას დაეთმო VII და VIII ტომები.

ქართველმა ისტორიკოსებმა შექმნეს ფუნდამენტური გამოკვლევები საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ისტორიის შესახებ, აგრეთვე — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სოციალისტური შეჯიბრებისა და ეროვნული კულტურის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე, ყველა ესენი კმაყოფილებით მიიღო საზოგადოებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ თანამედროვეობის მეცნიერულ შესწავლასა და გაშუქებას. მათ მიერ შექმნილია ისეთი შრომები როგორიცაა: „ჩვენი ზრდის საფეხურები“, „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშაი“, „საქართველოს ინტელიგენციის შემოქმედებითი მოღვაწეობა IX ხუთწლედში“, „საქართველოს სოფლის მშრომელები ახალი წარმატებებით ეგებებიან სკკპ XXV ყრილობას“, „საქართველოს კომპარტიის ბრძოლა პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპების აღდგენისათვის“, „საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა მეცხრე ხუთწლედის შესრულებისათვის“, „თანამედროვეობის კეთილშობილური მოძრაობა“, „სოფლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხები“, „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი — ხუთწლედის შესრულების დიადი პროგრამა“, „ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი“, „სოციალისტური შეჯიბრების გზით“ და ა. შ.

ქართველ ისტორიკოსთა ერთობლივი ღონისძიებით შეიქმნა „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები“, ამჟამად მზადდება და მალე ჩაბარდება წარმოებას მისი მორიგი, გადამუშავებული გამოცემა. ასეთივე კოლექტიური შემოქმედების შედეგად შეიქმნა ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევა, როგორიცაა „საქართველოს პროფკავშირების ისტორია“ და დოკუმენტების კრებულები: „საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ისტორია“ და „საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია“, მზადდება დოკუმენტების კრებული „საბჭოთა კულტურის ისტორიის“ შესახებ.

ისტორიკოსებმა და საბჭოთა საზოგადოებრიობამ უკანასკნელ პერიოდში გაამახვილეს ყურადღება ქარხანა-ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ქალაქებისა და სოფლების ისტორიისადმი, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მოღვაწეობის გაშუქებისა და მათი გამოცდილების მეცნიერული განზოგადოებისადმი. ამ მიზნით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შეიქმნა სათანადო საპრობლემო ჯგუფი, რომელმაც საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 163 ობიექტზე შექმნა ამ ობიექტების ისტორიის საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ავტორთა კოლექტივები 370 კაცის შემადგენლობით, ავტორთა შორის არიან წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, ინჟინერ-ტექნიკოსები, აგრონომები და სხვ.

ქართველმა ისტორიკოსებმა, გარდა ამისა, დაწერეს და გამოაქვეყნეს ნარკვევები: „სტახანოვური მოძრაობის პიონერები საქართველოში“, „მომავლის ზეკერავები“, „ალექსი სტახანოვი საქართველოში“, „ნოვატორთა მოძრაობა ტყიბულის ქვანახშირის შახტებში“ და სხვ. ხოლო მეცნერი-ისტორიკოსთა ხელმძღვანელობით წარმოების ნოვატორებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა დაწერეს ისტორიული ნარკვევები, რომლებიც საწარმოო კოლექტივებში განხილვის შემდეგ, ჩაბარდა გამომცემლობას: „თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთაგზაშემკეთებელი ქარხნის დახმარება ფრონტისადმი“, „თელავის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის ისტორია“, „მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ისტორია“, „შემოქმედებითი შრომის ადამიანი (ცნობილი ხარატი და რაციონალიზატორი მ. აკოფოვი)“, „საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ისტორია“, „თბილისის მეტროპოლიტენი“, „მეცხრე ხუთწლედის გმირები“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, როგორც ვხედავთ, ცოტა როდი გაკეთდა თანამედროვეობის შესასწავლად, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია და აქ ისტორიკოსები უფრო მედგრად, უფრო ენერგიულად უნდა ამოუდგნენ გვერდში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, ახალგაზრდობის კომუნისტური და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის, კომუნიზმის მშენებელი ა ხ ა ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს აღზრდისათვის ბრძოლაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ დააყენა ფრიად დიდი და სერიოზული ამოცანები. მათ შორის მთავარი „ამოცანა ის არის, რომ ვისწავლოთ ადამიანში კარგის, დადებითის დანახვა, დროზე შევამჩნიოთ ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პოზიტიური პროცესები, მტკიცედ დავუჭიროთ მხარი ყოველივე პროგრესულსა და დადებითს და მთელი საზოგადოების კეთილდღეობა გავხადოთ იგი“. საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკებისათვის ეს ფრიად საპატიო ამოცანაა, ასეთი ამოცანა მთელ წინაშე შემოხვევით როდია დასახული. როგორც ყრილობაზე ითქვა, ცენტრალურ კომიტეტს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკები თავის უახლოეს თანაშემწეებად მიაჩნია და ამიტომაც იმედოვნებს, რომ ისინი მეცნიერულად დაამუშავებენ თანამედროვეობის ისტორიისა და თეორიის პრობლემებს. ეს იმედები რეალური და საფუძვლიანია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის მუშაკთაგან მოითხოვა თანამედროვეობის არა უბრალო აღწერა, არამედ თანამედროვეობის პრობლემების ისეთი შესწავლა და გაშუქება, სადაც დაცული იქნება პარტიულობის, კლასობრიობისა და ობიექტურობის ლენინური პრინციპები, სადაც შეერთებული იქნება „უმკაცრესი და უმაღლესი მეცნიერულობა“ „პროლეტარულ რევოლუციურობასთან“, პარტიულობასთან.

საქართველოს კომუნისტების დიდმა ფორუმმა ყურადღება გაამახვილა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაზე, რისთვისაც დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებია გათვალისწინებული მეათე ხუთწლედში. ამასთან დაკავშირებით ყრილობამ მოისმინა და განიხილა საკითხი „პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი და საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ამოცანები მეათე ხუთწლედში“, რაც ყრილობას მოახსენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

XXV ყრილობის დელეგატებმა დიდი ინტერესით განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები ახალ ხუთწლედში, წამოაყენეს საქმიანი წინადადებები და რეკომენდაციები.

ყრილობამ, შეაჯამა რა გასული, მეცხრე ხუთწლედის შედეგები აღნიშნა, რომ საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ვადამდე, 2 დეკემბრისათვის შესრულდა მეცხრე ხუთწლედის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის მაჩვენებლები, ბევრი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ხალხის მატერიალური კეთილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეობის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური, სოციალური და კულტურული პროგრესის ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

მეცხრე ხუთწლედში განხორციელდა საწარმოთა შემდგომი ტექნიკური განახლების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებანი. ამის შედეგად მთლიანი პროდუქციის მატებამ ხუთწლედში 850 მილიონი მანეთი ანუ პროდუქციის საერთო მატების 50 პროცენტზე მეტი შეადგინა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები ხუთწლედის მანძილზე 1,4-ჯერ გაიზარდა. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება: დირექტივებით გათვალისწინებული 30%-ის ნაცვლად იგი 32%-ით გადიდდა.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო კაპიტალური მშენებლობის საკითხებს; კაპიტალურ მშენებლობაზე, როგორც ცნობილია, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი ზრდა, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება. ყრილობაზე აღინიშნა, რომ განვლილ ხუთწლედში კაპიტალური მშენებლობა ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად, ამუშავდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 72 დიდი საწარმო, რეკონსტრუირებული ასობით მოქმედი საამქრო, ქარხანა და ფაბრიკა.

ახალ ხუთწლედში კაპიტალური მშენებლობის დარგში დიდი ღონისძიებებია დასახული. გათვალისწინებულია სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდება 5,2-5,3 მილიარდ მანეთამდე, რაც 16-17%-ით მეტია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. ამასთან, კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში გაიზრდება 13%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 36%-ით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად. რესპუბლიკამ ამის შედეგად წარმატებით შეასრულა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმები. საქართველომ უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე პირველად მიაღწია სოფლის მეურნეობაში წარმოების ზრდის უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე საუალოდაა სსრ კავშირში. 1971—1975 წლებში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა დიდძალი მარცვლეული, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ციტრუსები, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ხილი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები[7].

მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ფრიად დიდი ამოცანებია დასახული. კერძოდ, ნავარაუდებია სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდება 37—41%-ით; ელექტროტექნიკური, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატესი ზრდა; ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარება ძირითადად ჰიდროენერგორესურსების გამოყენების გზით; ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდება 1,5-ჯერ; ენგური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრება; მსუბუქი და კვების მრეწველობის, განსაკუთრებით მეღვინეობის განვითარება; მოქმედ საწარმოთა ფილიალების მთის და მთისწინეთის რაიონებში

---

[7] გ. ქვანია, გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, თბ., 1976, გვ. 14-29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განლაგების გათვალისწინება, შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენების მიზნით.

მეათე ხუთწლედში ნავარაუდებია აგრეთვე: სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობის გადიდება 21—24%-ით; ტექნიკური და მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავების შემდგომი გაფართოება და მოსავლიანობის ზრდა; მრავალწლოვან ნარგავთა სიმეჩხრის მოსპობა; 1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოების გაზრდა 355 ათას ტონამდე; ყურძნის საშუალო წლიური მოსავლის გადიდება დაახლოებით 1.5-ჯერ; მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაფართოება და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება; მიწების რწყვის სამუშაოთა ჩატარება 60 ათას ჰექტარზე და კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა — 40 ათას ჰექტარზე; მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესება; შავი ზღვის სანაპიროზე და მთის რაიონებში საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა[8].

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ, დაამტკიცა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებები“, სადაც განსაზღვრულია მეცნიერული კვლევის განვითარების შემდეგი უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი, კერძოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში:

„განვაგრძოთ მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა კომუნისტური მოძრაობის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილების მეცნიერული განზოგადებისათვის;

გამოვიკვლიოთ განვითარებული სოციალიზმის თეორიული პრობლემები, კომუნიზმში მისი გადაზრდის კანონზომიერებები, მათი მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმი;

განვაგრძოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარების თეორიის დამუშავება;

ყოველმხრივ განვავითაროთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის ამაღლების, სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიური პროცესების პროგნოზირების პრობლემების კვლევა;

გავაფართოოთ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან სსრ კავშირის სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების, საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოებთან საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის საკითხების, თანამედროვე მსოფლიო განვითარების პრობლემების კვლევა.

ავამაღლოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ შეტევითს ბრძოლაში, ბურჟუაზიული და რევიზიონისტული თეორიების კრიტიკაში, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ფალსიფიკატორთა მხილებაში“[9].

ამრიგად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე პარტიამ დასახა დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა — იდეოლოგიური ომის მოგების ამოცანა. საქართველოს ისტორიკოსები, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც პარტიის მხარდამხარ იბრძოლებენ ხალხის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდისათვის.

---

[8] გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 7 მარტი.

[9] იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასტანგ ჯანჯღავა

შეიარაღებული აჯანყება გურიაში 1919 წელს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ახალი ეპოქის დასაწყისად იქცა კაცობრიობის ისტორიაში. ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო მოსპო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა რუსეთში და ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის ფართო შარაგზაზე გამოიყვანა, არამედ სასიკეთილო ჭრილობა მიაყენა მთელ კაპიტალისტურ სამყაროს. რუსეთის პროლეტარიატის ამ დიდ გამარჯვებას რომ ახასიათებდა, ვ. ი. ლენინი წერდა: „ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება"[1].

მძიმე და რთულ პირობებში მიმდინარეობდა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისთვის ამიერკავკასიაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სამი წლის მანძილზე იბრძოდნენ საქართველოს მშრომელები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობისა და უცხოელ იმპერიალისტთა ბატონობის დასამხობად.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოს მშრომელთა სამწლიან დაუცხრომელ ბრძოლაში გლეხობას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

1918 წლის თებერვლიდან გლეხთა რევოლუციური ტალღა ერთბაშად აზვირთდა საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებში. მენშევიკურ მთავრობას დასჭირდა არა მარტო თავისი დამსჯელი ექსპედიციების მაქსიმალური დატვირთვა აჯანყების კერების ჩასახშობად, არამედ საქართველოში მოკალათებული გერმანელი ოკუპანტების გამოყენებაც.

გლეხთა რევოლუციური გამოსვლები საქართველოში 1918 წელს მარცხით დამთავრდა, ვინაიდან მათ აკლდათ ორგანიზებულობა. წინასწარ მოუმზადებელი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი შეიარაღებული გამოსვლების სისხლში ჩახშობას ახერხებდა მენშევიკური მთავრობა, რომელსაც უდიდეს დახმარებას უწევდნენ გერმანელი ოკუპანტებიც.

მიუხედავად დამარცხებისა, გლეხთა აჯანყებანი საქართველოში 1918 წელს (თუნდაც მოუმზადებელნი, არაორგანიზებულნი, ერთმანეთთან დაუკავშირებელნი და დაქსაქსულნი) დიდად ასუსტებდნენ მენშევიკური მთავრობის პოზიციებს და ძირს უთხრიდნენ მის ბატონობას. აჯანყების მომზადებისა და ჩატარების ყველა ნაკლოვანი მხარე საქართველოს ბოლშევიკებმა გაითვალისწინეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გამართულ შემდგომ ბრძოლებში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 276.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა მდგომარეობა იყო 1919 წელს. 1919 წლის ზაფხულში ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა სერიოზული სამზადისი ჩაატარეს აჯანყების მომზადებისათვის საქართველოს პროლეტარიატის, რევოლუციური გლეხობისა და არმიის რიგებში.

საქართველოს მუშათა კლასის დიდი ნაწილის აქტიური მონაწილეობა 1919 წლის შეიარაღებულ აჯანყებაში გამოწვეული იყო იმით, რომ მენშევიკები არც კი ფიქრობდნენ გაეუჭვობესებინათ მუშათა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა. მათ ვერ გადაჭრეს და არც ცდილან გადაეჭრათ მუშათა საკითხი.

მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩავარდნილი და პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული მუშათა კლასი ერთადერთ გამოსავალს ხედავდა შეიარაღებული აჯანყების გზით არსებული წყობილების დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ მოაგვარა საქართველოში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხი — აგრარული ანუ გლეხობის საკითხი, რომლითაც სსსიეოცხლოდ იყო დაინტერესებული სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი — ღარიბი და საშუალო გლეხობა.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობით დამფრთხალმა მენშევიკურმა მთავრობამ შექმნა ათასგვარი თვალთმაქცური კომიტეტი, გაატარა ე. წ. ყბადაღებული აგრარული რეფორმა, რომლითაც ფაქტიურად დააკანონა მემამულეთა უფლებები მიწაზე.

გლეხთა მასების მდგომარეობა კვლავინდებურად მეტად მძიმე იყო. მენშევიკური აგრარული რეფორმა მემამულეებს უტოვებდა მათი საუკეთესო მიწების ძნიშვნელოვან ნაწილს და ამდენად მხოლოდ მემამულეთა და კულაკთა მეურნეობის განვითარებას უზრუნველყოფდა. გლეხობის უდიდეს უმრავლესობას კი სული ეხუთებოდა უმიწაწყლობისა თუ მიწის ნაკლებობის გამო.

უმიწობა, მთავრობის მოხელეების უდიერობა, უამრავი გადასახადი, სიღარიბე, შიმშილი. პოლიტიკური უუფლებობა საქართველოს გლეხობას გარღვევალად მიაქანებდა ბრძოლისაკენ, შეიარაღებული აჯანყებისაკენ, რათა საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინა[2].

ემზადებოდნენ რა სოციალისტური რევოლუციისათვის, საქართველოს ბოლშევიკები დიდ ყურადღებას აქცევდნენ გლეხობას, ვინაიდან ისეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო, მშრომელი გლეხობის მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირის შექმნა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო.

1919 წლის 30 სექტემბერს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სპეციალური პროკლამაციით მიმართა საქართველოს გლეხობას. პროკლამაციაში დაწვრილებით იყო აღწერილი მენშევიკების ბატონობის პერიოდში შექმნილი მდგომარეობა.

„ამხანაგო გლეხებო, — მოუწოდებდა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი საქართველოს გლეხობას, — თუ თქვენ გინდათ ახალი ბატონებისაგან განთავისუფლება, თუ თქვენ გინდათ, რომ ყველა მიწები თქვენს მიერ არჩეული საბჭოების ხელში გადავიდეს, თუ თქვენ გსურთ, რომ თქვენი შინაური საქმეების მოწესრიგება თვითონ თქვენს ხელში იყოს, თქვენ უნდა შემოკ-

---

2 იხ. სტატიების კრებული: სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში, თბ.. 1957, გვ. 193.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რბეთ კომუნისტ-ბოლშევიკების პარტიის გარშემო, შექმნათ მაგარი და მტკიცე ორგანიზაციები და დაუკავშირდეთ ქალაქის მუშებს, რომლებიც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დროშის ქვეშ იბრძვიან. ასეთი ორგანიზაციები და ასეთი კავშირი აუცილებლად საჭიროა, რომ სახელმწიფო ძალაუფლება სავსებით მუშებისა და გლეხების ხელში გადავიდეს...

ძირს ექსპლოატატორები და მჩაგვრელები!

ძირს მენშევიკების ბურჟუაზიული მთავრობა!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"[3].

„საშინაო და საგარეო მდგომარეობის გულმოდგინე ანალიზს რსდმპ (ბ) კავკასიის საიხარეო კომიტეტი იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებისათვის საჭირო წინამძღვრები უკვე არსებობდა"[4]. მძვინვარებდა ეკონომიური კრიზისი: უმუშევრობა, შიმშილი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოშლა და დაკნინება. მენშევიკების პოლიტიკა საბოლოოდ გაკოტრდა. მან კიდევ უფრო გააუარესა მუშათა მდგომარეობა, ვერ გადაჭრა მიწის საკითხი და მძიმე პირობებში დატოვა გლეხობა, ვერ გადაჭრა ეროვნული საკითხი, უუფლებო და დამამცირებელ მდგომარეობაში ჰყავდა ჯარისკაცები, უფრო დაქვეითდა განათლებისა და კულტურის მდგომარეობა.

ყოველივე ამან და მრავალმა სხვა ფაქტორმა შექმნა ნამდვილად რევოლუციური სიტუაცია: ერთი მხრივ, არსებული ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემა, ხოლო მეორე მხრივ, მასების უკმაყოფილებისა და აღშფოთების მძლავრი აზვირთება. მუშებისა და გლეხების მოწინავე, ყველაზე შეგნებული ნაწილი შეიარაღებული აჯანყების გზით არსებული წყობილების დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოითხოვდა.

შეიარაღებული აჯანყების მოსახდენისათვის თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან ერთად უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ ცალკეული მაზრების, რაიონებისა და სოფლების პარტიული ორგანიზაციები...

1919 წლის შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად დიდი მუშაობა ტარდებოდა ოზურგეთის მაზრაში. „როგორც ვიცით, 1918 წლის განმავლობაში, როცა თითქმის არც კი დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც აღგილი არ ჰქონებოდეს გლეხების გამოსვლებს, გურული გლეხობა სრულიად გაჩუმებული იყო. ამ გარემოებას დემაგოგიურად იყენებდნენ მენშევიკები მუშების წინაშე. აჯანყებებს უწყობდნენ დემოკრატიულ მთავრობას მხოლოდ და მხოლოდ ჩამორჩენილი კუთხეები და შეუგნებელი გლეხკაცობო. და ამის დასამტკიცებლად უთითებდნენ გურიაზე და გურულ გლეხებზე: აბა შეხედეთ გურიას, თუ როგორ უჭერენ იქ მხარს დემოკრატიულ მთავრობასო"[5].

1919 წლის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებამ და თვით აჯანყებამ გააკამტვერა მენშევიკთა მიერ შეთხზული მითი იმის შესახებ, თითქოს მენშევიკური „დემოკრატიული სამოთხის" წინააღმდეგ მხოლოდ საქართველოს ჩამორჩენილი რაიონები მოქმედებდნენ. 1919 წლის ნოემბერში გურიაში დატრიალებულმა ამბებმა ცხადყვეს, რომ არავითარი გამიჯვნა ე. წ. „ჩამორჩე-

---

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 3, საქ. 248, ფურც. 47.

4 ვ. ხ ა ჭ ა პ ო რ ი ძ ე. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბ., 1957, გვ. 240.

5 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1921, თბ., 1927, გვ. 179.

ნილ“ და „მოწინავე“ რაიონებს შორის არ არსებობდა, რომ მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ერთნაირი მებრძოლი სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული საქართველოს ყველა კუთხის მშრომელები.

როცა გურიაში სერიოზული სამზადისი დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის, მენშევიკებმა თავი დაანებეს გურიის ქებას და მის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართეს.

1919 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე ბოლშევიკური უჯრედები შექმნილი იყო ოზურგეთის მაზრის თითქმის ყველა დიდ სოფელში. 1919 წლის 5 ივლისს გურიის სამაზრო კომიტეტმა გამოუშვა ხელნაწერი ჟურნალი „კომუნისტი“. სამაზრო კომიტეტი დიდი რაოდენობით უშვებდა და ავრცელებდა აგრეთვე ბროშურებს, ფურცლებსა და მოწოდებებს. მიუხედავად მენშევიკების მიერ გატარებული მკაცრი რეპრესიებისა, 1919 წელს ბოლშევიკებმა მოახერხეს ჯერ დიდი საპირველმისო დემონსტრაციის ჩატარება, ხოლო ზაფხულში თითქმის ყველა თემში მოაწყვეს ღია კრებები და მიტინგები მშრომელი გლეხობის ფართო მონაწილეობით. ამ მიტინგებზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის გამართული დისკუსიების დროს გლეხობის უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზე აღმოჩნდა და ბოლშევიკურ ლოზუნგებს უჭერდა მხარს. ისინი საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენას მოითხოვდნენ. ერთ ასეთ მიტინგს ლანჩხუთში 15 ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგის ხელმძღვანელებად გლეხებმა ბოლშევიკები აირჩიეს. მოხსენებით გამოვიდა ბოლშევიკი თ. კალანდაძე და რეზოლუციაც ბოლშევიკური მიიღეს[6]. ასეთივე მიტინგები ჩატარდა ხიდისთავში, ამაღლებაში, ჩიბათში, ჯუმათში და სხვაგან.

შეიტყო თუ არა გურიაში ჩატარებული ანტიმენშევიკური მიტინგების შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსს წერდა: „არსებული ცნობების თანახმად სოფლებში: ჩიბათში, ჯუმათში, ხიდისთავში და მაზრის ზოგიერთ სხვა ადგილებში ადგილი აქვს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს. წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ გაარკვიოთ აქტიური დემონსტრანტი პირების ვინაობა, დაამტკიცოთ ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროზე ჩარიცხვით და შემდეგ გვაცნობოთ“[7].

ბოლშევიკური მიტინგებით შეშფოთებული შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი პირადად უგზავნის მეორე დეპეშას ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსს, რათა დაამტკიცონ ყველაზე უფრო გავლენიანი და აქტიური ბოლშევიკები: თედორე დე ვარდენ კალანდაძეები, გრიგოლ მგალობლიშვილი და სხვები[8].

ოზურგეთის მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მზადების მიმდინარეობაზე საყურადღებო მოგონება გამოაქვეყნა გურიის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მაშინდელმა თავმჯდომარემ ტარასი მგალობლიშვილმა. იგი წერდა: „ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მოწვევით 1919 წლის გაზაფხულზე ქ. ბაქოში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური ყრილობა, სადაც დელეგატები იყვნენ საქართველოს თითქმის ყველა მაზრიდან. ყრილობაზე ერთ-ერთ საკითხს მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები შეადგენდა. ყველა მაზრიდან

---

6 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 3. 1923, გვ. 117—118.

7 საქ. სსრ ორცსა, ფ. 11, საქ. 311. ფურც. 34.

8 იქვე, ფურც. 46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააკეთეს საინფორმაციო მოხსენებები ადგილზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. გურიიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. კალანდაძემ, რომელმაც თავი-ნი სიტყვა ასე დაასრულა: „გურია მზად არის და როცა საჭიროება მო-ითხოვს (საერთო აჯანყების დროს) იგი გამოვა და იმედიაც გვაქვს, რომ გუ-რიაში ძალაუფლებას ისე ჩავიგდებთ ხელში, რომ მსხვერპლის გაღებაც კი არ დაგვჭირდებაო“[9].

ყრილობიდან დელეგატების დაბრუნების შემდეგ ყველგან, და მათ შო-რის გურიაშიც, დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაჩაღდა მომავალი შეიარა-ღებული აჯანყებისათვის. მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა იქითკენ, რომ პირველ რიგში შეეძინათ იარაღი და სხვა საბრძოლო აღჭურვილობა, შეეექმნათ სამხედრო რაზმები და მომავალი ბრძოლებისათვის მოემზადებინათ ისინი.

მიუხედავად მენშევიკების სასტიკი რეპრესიებისა, პარტიის სამხარეო კომიტეტის მითითებით ოზურგეთის მაზრაში გაჩაღდა მუშაობა სამაზრო პარტიული კონფერენციის ჩასატარებლად. სათანადო მოსამზადებელი მუშაო-ბის შემდეგ 1919 წლის ზაფხულში სოფ. ფიჩხისჯვარში შეიკრიბა გურიის სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელსაც პარტიის სამხარეო კომიტე-ტის წევრი გ. სტურუა ხელმძღვანელობდა. კონფერენციის ძირითად საკითხს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება შეადგენდა. თუმცა აჯანყების დღე და რიცხვი საბოლოოდ არ დაუდგენიათ, მაგრამ გადაწყვიტეს, აჯანყება მი-ეწყოთ შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ, როცა გლეხობა შედარებით თავისუფალი იქნებოდა.

როგორც საერთოდ მთელ საქართველოში, ასევე გურიაშიც ბოლშევიკე-ბი ფართოდ იყენებდნენ 1905—1907 წლების რევოლუციისა და განსაკუთ-რებით რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მდიდარ გამოცდი-ლებას: კონფერენციამ ხელმძღვანელი ბოლშევიკები გაანაწილა რაიონების მიხედვით, მათ თავიანთ რაიონებში აჯანყებისათვის სამხედრო და პოლიტი-კური მზადება უნდა ეწარმოებინათ. გურია იმ დროს 12 რაიონად იყო და-ყოფილი. ყოველ რაიონს თავისი ხელმძღვანელი შტაბი ჰყავდა. შეიარაღე-ბული აჯანყების მზადებაში ჩაბმული რაზმები დაყოფილი იყო ათეულებად და ასეულებად, რომელსაც სათავეში ათისთავები და ასისთავები ედგნენ. ეს უკანასკნელები კი დაკავშირებული იყვნენ სოფლის ბოლშევიკურ უჯრედებ-თან, საიდანაც ღებულობდნენ საჭირო დირექტივებსა და მითითებებს. რა-ონული შტაბის ხელმძღვანელები ურთიერთობაში იყვნენ სამაზრო შტაბთან, ხოლო სამაზრო შტაბს პარტიის სამხარეო და საგუბერნიო კომიტეტები ხელ-მძღვანელობდნენ. სამაზრო სამხედრო-რევოლუციური შტაბის თავმჯდომა-რედ პარტიის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ითვლებოდა. ოზურგეთის სამაზრო რევოლუციური შტაბის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. თავართქი-ლაძე, ტ. მგალობლიშვილი, ს. და ბ. ჯიბუტები, ე. კალანდაძე, ს. სარიშვილი, კ. უჯმაჯურიძე და სხვა. შტაბის ცალკეული სხდომები ჩატარდა სხვადასხვა ადგილას: სოფ. ფიჩხისჯვარში, მთისპირში, ხიდისთავში, ექადიაზე და სხვა-გან[10]. პარტიის წევრები და შეიარაღებული რაზმელები გაფრთხილებული იყვნენ ცნობის მიღებისთანავე იარაღით გამოსულიყვნენ წინასწარ დანიშ-ნულ ადგილას. სამხედრო რაზმებში უწინარეს ყოვლისა გაერთიანებული იყ-

9 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 2, 1926, გვ. 12—22.

10 ვაზ. „ლენინის დროშა“, № 107, 1957 წლის 8 სექტემბერი.

ვნენ ყოფილი ჯარისკაცები, რომლებმაც შედარებით უკეთ იცოდნენ იარაღის გამოყენება და სამხედრო წესები. იარაღს იძენდნენ როგორც ინდივიდუალურად, ისე ორგანიზებულადაც. მაგალითად, ძველი ბოლშევიკი კ. უჯმაჯურიძე თავის მოგონებაში წერს, რომ იარაღი ფოთიდან შემოზიდეს[11].

სამაზრო კონფერენციის ჩატარების ამბავი მენშევიკებს არ გამოპარვიათ. მათ დაიწყეს ნადირობა ბოლშევიკებზე. სამაზრო კომიტეტის ბევრი წევრი დაიჭიჭინა. ხიდისთავის რაიონული კომიტეტის მთელი შემადგენლობა ერთ ღამეს დააპატიმრეს სოფ. ბუჟნარში არალეგალურ კრებაზე. საჭირო შეიქნა სამაზრო პარტიული კონფერენციის ხელახლად მოწვევა და სამაზრო კომიტეტის არჩევა. დანიშნულ დღეს, მძიმე რეპრესიების პირობებში, არალეგალურად შეიკრიბა სამაზრო კონფერენცია, სადაც ქუთაისის გუბკომის დავალებით მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სევასტი თალაკვაძემ. შემდეგ არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე. პარტიული უჯრედები და რაიკომები მოუთმენლად ელოდნენ აჯანყების დღეს.

შემუშავებული გეგმის მიხედვით ქ. ოზურგეთში აჯანყების ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა კირილე ჩხარტიშვილს. აჯანყების დღეს მის ბინაში მასთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ გ. სტურუა და ს. თალაკვაძე. სამხედრო-რევოლუციური შტაბი მოთავსებული იქნებოდა ჩოხატაურის რაიონში კონსპირაციულ ბინაზე. გეგმის მიხედვით აჯანყება ჯერ უნდა დაწყებულიყო ლანჩხუთსა და სუფსაში, როცა სამაზრო ხელისუფლება ამ აჯანყების ჩასაჭრობად ძალებს გაგზავნიდა, აჯანყება დაიწყებოდა ჩოხატაურში, შემდეგ კი ჩრდილოეთიდან ქ. ოზურგეთს მიადგებოდა სილაურ-ჯუმათის შეიარაღებული რაზმები, აღმოსავლეთიდან — ხიდისთავ-ასკანისა და ნაგომრის, დასავლეთიდან — ნატანებისა და გურიანთისა. ამათგან დამკვრელ ძალას წარმოადგენდნენ ჯუმათ-სილაურის რაზმები, ჯუმათ-სილაურის შეიარაღებულ რაზმებზე მიმაგრებული იყვნენ: ბ. რუხაძე, ს. ხარიშვილი, ა. სიორიძე, ს. გოგიჩაიშვილი, ლანჩხუთისაზე — იულო, კოსტანტინე და ბიქტორ ცინცაძეები, გ. კომახიძე, ძმები სარჯველაძეები, სუფსელებზე — კ. გურგენიძე, მოსე და ნესტორ ღლონტები, მ. სირაძე და სხვ., ნატანებლებზე — მ. ვაშაყმაძე, და თალაკვაძე. ასკანელებზე — თალაკვაძე და ინწკირველი, ხიდისთავის, ნაგომრის, ძმითის, აეეთის, მამათის რაზმებზე — კ. უჯმაჯურიძე, ნ. ჭეიშვილი, ქ. ჩიგოგიძე, ე. კალანდაძე, თ. და აკ. სიხარულიძეები და სხვ.

დაბა ჩოხატაურის აღება დავალებული ჰქონდათ სოფლების: ამაღლების, ჯვარცმის, ფარცხმის, ბუკისციხე-იანეულის, ერკეთის, ხეკისა და ქვაბღის შეიარაღებულ რაზმებს. აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა ეკისრებოდა სამაზრო კომიტეტის წევრს ვლადიმერ ცინცაძეს. ჩოხატაურის რაიონში შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: ლ. ი. და ს. რამიშვილები, ვლ. და შ. ცინცაძეები, ძმები გოგოლაძეები, ა. და ი. ანთიძეები, ს. და ი. ჩანტლაძეები, მ., ა., ი., თ., მ., ყ. და ს. მამალაძეები, ი., ვლ. და ს. ჯინჭარაძეები, ტ. და ე. მინდაძეები, ნ. კობიძე, ბ., გ. და ბ. ბერიძეები, კ. შაქარაშვილი, ნ. და ს. კალანდაძეები, მ. სიხარულიძე, ე. მდივანი, ვ. როინიშვილი, ფ. და ა. მგალობლიშვილები, აკ. შარაშიძე და სხვები. რევოლუ-

11 გაზ. „ლენინის დროშა“, № 107, 1957 წლის 8 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონერი ქალებიდან ხელმძღვანელებად გამოყოფილი იყვნენ: მარო და ოლღა კალანდაძეები, ნატალია მგალობლიშვილი და ქორნია ჯინჭარაძე.

აჯანყების მზადების პერიოდში სხვადასხვა დროს გურიაში ჩადიოდნენ და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დახმარებას უწევდნენ ბოლშევიკები: თენგიზ ყენტი, თეოფილე ჩიჩუა, სიმონ ყენტი, ვალერიან გოგიბერიძე. აჯანყების წინ დაპატიმრებული იყვნენ აქტიური ხელმძღვანელი ბოლშევიკები: ანდრო და თედორე დოლიძეები, ვარდენ, თედორე, იაგორ ელიზბარ კალანდაძეები. ბესარიონ და მიხაკო მეგრელიძეები, პარმენ და ასალო ცინცაძეები, გრიგოლ და ვაჟა მგალობლიშვილები, ვლადიმერ თავართქილაძე, დავით ფოცხიშვილი და სხვები[12].

ოზურგეთის მაზრის რაიონული კომიტეტები სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით აქტიურ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდნენ როგორც ბოლშევიკებთან, აგრეთვე მშრომელთა ფართო მასებშიც. ამითაც უნდა აიხსნას პარტიული ორგანიზაციების სწრაფი ზრდა აჯანყებისათვის მზადების პერიოდში. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში ჯერ კიდევ 1919 წლის გაზაფხულზე 250-მდე ბოლშევიკი ნუშაობდა. აჯანყების წინა დღეებში ლანჩხუთის რაიკომში მოისმინეს სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება და დიდი სიხარულით მოიწონეს ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ და მოუწოდეს უკრედებსა და ყველა ბოლშევიკს კიდევ უფრო გაეძლიერებინათ აჯანყებისათვის მზადება[13].

იგონებდა რა აჯანყებისათვის მზადების ამ პერიოდს, ლანჩხუთელი ბოლშევიკი აპ. იმნაიშვილი წერდა: „უკანასკნელი კრება კომპარტიის ლანჩხუთის რაიონის არალეგალურმა კომიტეტმა მოახდინა ნესტორ კვირკველიას სახლში. ამ კრებაზე მოვისმინეთ მოხსენება აჯანყების შესახებ. თუ რომელ დღეს მოხდებოდა აჯანყება, ეს ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული. ყველა ამხანაგი დიდი სიხარულით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, ფულისფანტქალით მოელოდნენ აჯანყებას და მენშევიკურ-ბურჟუაზიული მთავრობის დამხობას... ყველამ ერთმანეთს შევფიცეთ: ან სიკვდილი, ან გამარჯვება“[14].

აჯანყების შემდეგ, როცა მენშევიკებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ოზურგეთის მაზრის სამხედრო-რევოლუციური შტაბის მიერ შემუშავებულ ტაქტიკურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მაზრაში ძალაუფლება მშრომელებს უნდა აეღოთ და საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ — გაზეთი „ერთობა“ წერდა: „აჯანყების მოწყობა ბოლშევიკებს კონფერენციაზე დაუდგენიათ. აჯანყების მოწყობაც ლენინისებურად გადაუწყვეტიათ: გლეხობას ჭირნახული მილაგებული აქვს, მოცლილი არის და, მაშასადამე, დროც მშვენიერია. ბოლშევიკების მთავარი ბანაკი დაბა ჩოხატაურში უნდა ყოფილიყო. თვალის ასახვევად და მთავრობის ძალების დასაქაქანებად აჯანყება პირველად იფეთქებდა ლანჩხუთსა და სუფსაში, როცა მთავრობის ძალა იქეთ გაეშურებოდა, როცა სამაზრო ქალაქი ოზურგეთი დასუსტდებოდა, მაშინ აჯანყებულები ჩოხატაურს დაიჭერდნენ. ამავე დროს ქ. ოზურგეთის ჩრდილოეთის მხრიდან თავს დაესხმოდნენ სილაურ-ახალსოფლელები, სადაც ბოლშევიკურად განწ-

12 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 2, 1926, გვ. 12—22.
13 საქ. სსრ ორცსა, ფ. 11, საქ. 308, ფურც 46.
14 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“. № 2, 1926. გვ. 4.

ყობილი მცხოვრებლები კარგა ხანია გაურბიან მთავრობის მოთხოვნილებებს»[15].

მოყვანილი ფაქტები ჩატარებული მუშაობის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს მიუხედავად ამისა, ისინი საკმაო სიცხადით მიგვითითებენ იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელიც მაშინ ოზურგეთის მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მოსაამზადებლად მიმდინარეობდა.

1919 წლის ნოემბერს ოზურგეთ იქნა სამაზრო კომიტეტის სხდომა. მოგაალი შეიარაღებული აჯანყების შესახებ მოხსენება გააკეთა გ. სტურუამ. ამავე პლენუმზე ხელახლა აირჩიეს სამაზრო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი სამი წევრის შემადგენლობით: ტარასი მგალობლიშვილი (თავმჯდომარე, იგივე სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე), სამსონ ჭანიშვილი და სარდიონ ჯიბუტი. სოფლებსა და რაიონებში შეიარაღებული აჯანყებისადმი ხელმძღვანელობა დაკალებული ჰქონდათ გამოცდილსა და აქტიურ ბოლშევიკებს. აჯანყების დღისათვის მზადება დამთავრებული იყო.

გეგმის თანახმად ჩოხატაურის რაიონის ცენტრის ასაღებად დამკვრელ ძალას წარმოადგენდა ხეგ-ერკეთის ხაზზე მყოფი სოფლების გლეხთა ბოლშევიკური რაზმები. საბოლოოდ ისინი თავს იყრიდნენ სოფ. ერკეთში, საიდანაც ჩოხატაურისაკენ უნდა წასულიყვნენ. ხოლო მდინარე სუფსის ნაპირზე მათ უნდა შეერთებოდა ამაღლების და სხვა მახლობელი სოფლების გლეხთა რაზმები.

8 ნოემბერს, ნაშუადამეს უჩვეულო სიძლიერის წვიმა მოვიდა. მენშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ ასეთ ამინდში გარეთ თავს არავინ გამოყოფდა. მიუხედავად ამისა, სოფ. ერკეთში თავი მოიყარა მახლობელი სოფლების ბოლშევიკებმა და მათმა თანამგრძნობმა გლეხებმა. გამოირკვა, რომ ბევრ მათგანს იარაღი აკლდა. აუცილებელი შეიქნა ერკეთის მილიციის განიარაღება. ეს ადვილი საქმე იყო, მაგრამ გეგმის მიხედვით ჩოხატაურის აღებამდე სროლა არ უნდა აეტეხათ. ახლა უკვე საჭირო შეიქნა გამოემეძღვანებინათ ერკეთის მილიციის უფროსის ავთანდილ მამალაძის ვინაობა. იგი ფარულად მუშაობდა ბოლშევიკურ პარტიაში. აუცილებლობის გამო ის შეავიდა მილიციის შენობაში და თან რამდენიმე ბოლშევიკი შეჰყვა. მილიციელებს ამრადაც არ მოსვლიათ, თუ მათი უფროსი ბოლშევიკი იყო. განაიარაღეს მილიციელები, მათ განკარგულებაში მყოფი თოფები და ვაზნები წაიღეს.

რაზმელები დაიძრნენ ჩოხატაურისაკენ ძმები მამალაძეებისა და ჩანტლაძეების მეთაურობით. მდინარე სუფსის ხიდთან მათ ამაღლებისა და მახლობელი სოფლების შეიარაღებული გლეხთა რაზმები შეუერთდნენ ს. ჯიბუტისა და გ. ყაჭეიშვილის მეთაურობით. აქ მოხდა ძალების გადანაწილება, თუ რომელ რაზმს უნდა აეღო ფოსტა-ტელეგრაფი, გვარდიის შტაბი, რაიონის მილიცია, ერობის სამმართველო, სამნეო საწყობები, საგუშაგოები, სასამართლოსა და სკოლების შენობები და სხვა. ყველა რაზმმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და რაიონის ყველა დაწესებულება დაიკავა.

ბოლშევიკებმა რაიონის ცენტრში სრული წესრიგი დამყარეს. ქალაქს იცავდა წითელი მილიცია სამსონ ჭანიშვილის ხელმძღვანელობით. ასევე სოფლებშიც შექმნილი იყო რეკკომები და წითელი მილიცია. იმ დღეს ბევრი აქტიური მეწშვეკი დაუპატიმრეს როგორც რაიონის ცენტრში, ისე სოფლებშიც.

---

15 გაზ. „ერთობა“, № 262, 1919 წლის 16 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზრო რევკომის სახელით გამოსცეს და სოფლებს დაუგზავნეს მოწოდებები, რითაც მოსახლეობას მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდნენ. რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

ოზურგეთთან და ლანჩხუთთან სატელეფონო კავშირი ვერ აღადგინეს, ხოლო სამტრედიას თუმცა დაუკავშირდნენ ტელეფონით, მაგრამ იქიდან მხოლოდ მუქარა ისმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამტრედია მენშევიკების ხელში იყო. სოფლის დატყვევებული მზვერავის საშუალებით (რომელიც ოზურგეთის გვარდიის შტაბს დასაზვერავად გამოეგზავნა) გაიგეს, რომ ოზურგეთი იქვე მენშევიკების ხელში იყო, ლანჩხუთში და სუფსაში თუმცა აჯანყებულებმა ხელში აიღეს ძალაუფლება, მაგრამ ჩქარა ადგილობრივ გვარდიას ჯავშნიანი მატარებელი მიეშველა და ბოლშევიკები ისევ განდევნეს. გაიგეს აგრეთვე, რომ ჩოხატაურის წინაღმდეგ ოზურგეთიდან წამოსულა გვარდია 150 კაცის შემადგენლობით და რეგულარული ჯარი მძიმე არტილერიით, ხოლო სადგურ საკავახოში გოგუაღეს ჯავშნოსანი მატარებლიდან რაზმი გადმოუსხამს და სამტრედიის გვარდიასთან ერთად ჩოხატაურისაკენ დაძრულა. აგრეთვე გაიგეს, რომ თბილისში კვლავ ჩავარდნილა მთავარი შტაბი და აჯანყება აღარ მომხდარა.

გადაწყდა, მშვიდობიანი გზით დაეტოვებინათ რაიონი. მთელი რაზმი ორ ნაწილად გაყვეს. ერთი წავიდა ხეგ-ერკეთის მიმართულებით, ხოლო მეორე ამაღლება-ნიგოითის მთისაკენ. შტაბის შემადგენლობაც ასევე ორად გაიყო. ღამის 10 საათზე რაზმებმა დატოვეს რაიონის ცენტრი. მაგრამ მაღაზიები, ფოსტა და საწყობები რომ არ გაეძარცვათ მათ დასაცავად თავიანთი გუშაგები დაუყენეს. ვისაც იარაღის შენახვისა და მოვლის საშუალება არ ჰქონდა, იარაღს იქვე ატოვებინებდნენ, ხოლო დანარჩენი, მათ შორის რამდენიმე ტყვიამფრქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებმა გვძლია, რის შემდეგ ჩვენი გამაგრება შეუძლებელი იყო როგორც იარაღის, ისე ვაზნების ნაკლებობის გამო. უკან დახევა მოგვიხდა[17].

ლანჩხუთის რაზმელებმა ვერ მოასწრეს რკინიგზის ლიანდაგის აყრა და ამიტომ დილით 9 ნოემბერს ჯავშნიანმა მატარებელმა მოუსწრო ალ. გოგუაძის მეთაურობით. რაზმელები სოფ. სილაურისაკენ გაემართნენ, რადგან იქაურ გლეხთა მძლავრ ბოლშევიკურ რაზმებს დავალებული ჰქონდათ შეტევაზე პირველები გადასულიყვნენ სამაზრო ცენტრის — ოზურგეთის ასაღებად. სოფ. სილაურში მათ მოულოდნელი სროვათ დაუხვდათ: წინაღამის ძლიერი წვიმის შედეგად მდინარე სუფსა ისე ადიდებულიყო, რომ ნაპირებზე გადასულიყო, უჩვეულოდ ბობოქრობდა. მდინარის გადალახვა შეუძლებელი შეიქნა. ამიტომ უქმად იდგა ქ. ოზურგეთის ასაღებად განკუთვნილი 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც ყოველმხრივ მზად იყო დაეპატიმრებინა ადგილობრივი მეწშევიკები და სოფელში საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინა. დღის მეორე ნახევრისათვის ამის შესახებ უკვე იცოდა სამაზრო გვარდიამ და მილიციამ. მეწშევიკებს გამოეგზავნათ რეგულარული ჯარის ნაწილები არტილერიით და მდ. სუფსის ნარცხენა ნაპირიდან უმოწყალოდ უშენდნენ სოფ. სილაურს ზარბაზნებიდან და ტყეიამფრქვეველებიდან. გლეხთა სახლებს ცეცხლი ეკიდებოდა. მოსახლეობა წვიალ-კვიალით გარბოდა და იმალებოდა[18].

1919 წლის 19 ნოემბერს გაზეთი „სახალხო საქმე“ ლანჩხუთის აჯანყების შესახებ წერდა: „ეს ერთი ხანი ბოლშევიკური გამოსვლები თვალსაჩინოდ გაიზარდა გურიაში. უწინ თუ მიტინგებით და სხვა ორგანიზაციული მუშაობით კმაყოფილდებოდნენ, ახლა უკვე ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე მიდგა საქმე. ამას ამტკიცებს მათი შეიარაღებული გამოსვლა, როგორც ქ. ლანჩხუთში ისე სოფ. სილაურში, დაბა სუფსასა და სხვაგან. ქ. ლანჩხუთში შეიარაღებული გამოსვლა სამასამდე კაცმა მოახდინა.

კვირასა, ნოემბრის 9, დილის სამ საათზე სამინელი სროლა ატყდა. პირველი იერიში ქალაქის და რაიონის მილიციის სამმართველოებზე იქნა მიტანილი. პატარა წინააღმდეგობის შემდეგ ქალაქის მილიციის სამმართველო დაიკავეს, უფრო დიდი ჯგუფი გვარდიის შტაბს შემოერტყა. გვარდიელებმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს განსაკუთრებით ტყეიამფრქვევებით. ბრძოლამ 3 საათიდან დილის 6—7 საათამდე გასტანა. გვარდიელთა მხრივ სასიკვდილოდ დაიჭრა რუსია. მათ დაედევნა მილიცია და გვარდია, კვირა საღამომდე 24 კაცი დაიჭირეს. ასეთივე გამოსვლები მოხდა სოფ. სილაურში, სუფსაში და სხვაგან. სუფსაში მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, კომისარის დანიშვნაც კი მოასწრეს. მხოლოდ ჯავშნოსანი მატარებლის ჩასვლის შემდეგ წესიერება აღდგენილ იქნა“[19].

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, სამაზრო ცენტრის — ქ. ოზურგეთის აღება არ მოხერხდა. ეს გეგმა არ განხორციელდა პირველ რიგში მდინარე სუფსის უჩვეულო ადიდების გამო. სილაურ-ჯუმათის ჯგუფმა ვერ შეძლო მდინარეზე გადასვლა, ხოლო ჩოხატაურელი ბოლშევიკები, რომლებმაც ადვილად შეძლეს რაიონში ძალაუფლების ხელში აღება, იმით დაკმაყოფილდნენ რომ მთელი დღე რაიონის ცენტრში წესრიგს იცავდნენ და მახლო-

17 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, № 2, 1926, გვ. 4—9.

18 იქვე.

19 გაზ. „სახალხო საქმე“, № 683, 1919 წლის 19 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელ სოფლებთან კავშირს ამყარებდნენ. მათ აზრადაც არ მოსვლიათ თავიანთ განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული კლეხთა რაზმების ნაწილი მაინც გაეგზავნათ იმ რაზმების დასახმარებლად, რომლებსაც ოზურგეთის აღება ჰქონდათ დავალებული და ამ ოპერაციას შესაძლებელია მოჰყოლოდა წარმატება თუნდაც დროებითი.

„მენშევიკები ჯერ ისედაც ულმობლად ავიწროებდნენ ბოლშევიკებს, აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ მათ, ხოლო ახლა აჯანყების დამარცხების შემდეგ. ზეკმეტი საბაბი მიეცათ ნაბდვილი თეთრი ტერორის გამოსაცხადებლად. ეს საბაბი მათ მართლაც სრულად გამოიყენეს და სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყების მონაწილეებს. დახვრეტა, კატორღა, ციხე, — ასეთი იყო მენშევიკური გვარდიის, სამხედრო-საველე სასამართლოს „განაჩენის“ მთელი ლექსიკონი“[20].

აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ს. მ. კიროვი 1920 წლის დასაწყისში რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წერდა: „საქართველოში აჯანყების დამარცხების შემდეგ, ბოლშევიკების დევნა გრძელდება, დაპატიმრებულია ათას კაცზე მეტი, დახვრეტილია 300-მდე, აქტიური მუშაკები თითქმის ალარ დარჩენნ“[21].

მენშევიკები თავიანთთვის ჩვეული სიმკაცრით მოეპყრნენ ოზურგეთის მაზრას. აჯანყების ბევრი მონაწილე დაპატიმრეს ჩოხატაურში, რომელთაგან 48 კაცი საველე-სამხედრო სასამართლომ ოზურგეთში გაასამართლა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩოხატაურში დაპატიმრებული ბოლშევიკები ორჯერ გაასამართლეს. პირველად 12 კაცს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, ხოლო შემდეგ ნ. რამიშვილის დაკინებითი მოთხოვნით ხელმეორედ შედგა სასამართლო და რვა ბოლშევიკს დახვრეტა მიუსაჯეს. დანარჩენებს — სხვადასხვა ვადით კატორღა და ციხე. ქ. ოზურგეთის მახლობლად მერია-ეაშნარის მიდამოებში (ბაძგნარაში) გვარდიელებმა დახვრიტეს ჩოხატაურელი ბოლშევიკები: ავქსენტი ახალაძე, თეოფილე თოდრაძე, ბენია ბერიძე, პართენ მამალაძე და ტარასი მინდაძე.

იმავე სამხედრო-საველე სასამართლომ ყოველგვარი წინასწარი გამოძიების გარეშე სამასამდე კლეხი გაასამართლა ლანჩხუთში, რომელთაგან ზოგი ადმინისტრაციული წესით ციხეში გაგზავნეს, ზოგს სხვადასხვა ვადით კატორღა მიუსაჯეს, ხოლო 12 კაცს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. მათგან ერთ-ერთი ჯორბენაძე, იმ ღამესვე ციხეში გადაყვანისას გაიქცა, სამი — სარჯველაძე, კილაძე და კერესელიძე დახვრიტეს, მ. სირაძემ და ს. ადეიშვილმა ფეხებშეკრულებმა მოახერხეს გაქცევა, ხოლო ექვსს დახვრეტა კატორღით შეუცვალეს.

გურული ბოლშევიკების დახვრეტიდან ერთი წლის შემდეგ ბოლშევიკური გაზეთი „ახალი კომუნისტი“ წერდა: „ისინი იყვნენ კომუნისტური რევოლუციის პირველი მერცხლები გურიაში... ჯალათები ანგარიშში მოტყუვდნენ. ისინი ლამობდნენ კომუნისტების წამებით და ცოფმორეული ტერორით კომუნიზმი ერთბაშად აღმოეფხვრათ გურიაში. მოხდა პირიქით, ნოემბრის დღეებიდან კომუნისტურმა იდეებმა უფრო ღრმად და მკვიდრად გაიდგეს ფესვე-

---

20 დ. ჯიბლაძე, 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში. იხ. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში (სტ. კრებ. გვ. 219).

21 ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები, დოკუმენტები, მოსკოვი, 1936, გვ. 205.

ბი მშრომელი გურიის ფართო მასაში. და ეს გამალებით გვაახლოვებს ჩვენს საბოლოო გამარჯვებასთან.

აი რა ნაყოფი მოგვიტანეს ჩვენ წამებულებმა და ამისათვის ღირდა სიკვდილი, ღირდა წამებაც...“[22]

ამრიგად, 1919 წლის ნოემბრის შეიარაღებული აჯანყება გურიაში დამარცხდა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იქცა გურიის მშრომელი მასების სამოქალაქო ომის სკოლად.

1919 წლის ნოემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ გურიაში, მიუხედავად მეწშევიკური ხელისუფლების სასტიკი დამსჯელი ღონისძიებებისა, ვერ შეაფერხა გურიის მშრომელი მასების ბრძოლის წყურვილი, და ვერ გატეხა მათი ნებისყოფა. პირიქით, კიდევ უფრო გააკაჟა, განამტკიცა მებრძოლთა რიგები და მოამზადა ნიადაგი მეწშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ გადამწყვეტი და საბოლოო შეტევისათვის.

22 გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წლის 11 ნოემბერი.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუიზა ლაზარაშვილი

თბილისის მუშათა დასვრეტის გამოძახილი მოსკოვის უნივერსიტეტში

(1905 წ. აგვისტო-სექტემბერი)

XX საუკუნის დასაწყისი საქართველოში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ გაშლილი აღინიშნა. საერთოდ, კარგადაა ცნობილი, რომ ქართველი მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მისი განვითარების ყველა ეტაპზე. ვ. ი. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა და სანიმუშოდაც სახავდა ქართველი მუშებისა და ღარიბი გლეხობის თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ქართველ მშრომელთა ბრძოლის წარმატების უნიშვნელოვანესი პირობა იყო რუსეთის იმპერიის მრავალეროვანი პროლეტარიატის ერთიანობა და სოლიდარობა. სხვადასხვა ეროვნების მშრომელებს ინტერნაციონალიზმის იდეები აკავშირებდათ. იმპერიის ცენტრისა და განაპირა ეროვნული რაიონების რევოლუციურ გამოსვლებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა, რასაც განაპირობებდა ერთიანი პარტიული ხელმძღვანელობა. ეს ურთიერთკავშირი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი სერიოზულად აფრთხობდა გაბატონებულ კლასს. შავრაზმული და შოვინისტური წრეები ყოველნაირად ცდილობდნენ ინტერნაციონალური გრძნობების შესუსტებასა და მოსპობას. ეროვნული შუღლის გაღვივებას, ორარუსი ხალხებისადმი რუსების მტრულად განწყობას ისახავდა მიზნად, მაგალითად, შავრაზმელთა ერთი-ერთი ორგანო — ლენინის დახასიათებით, „თავგაყიდული გაზეთების ნიმუში“ — „ნოვოე ვრემია“, როდესაც საკუთრივ რუსეთში რევოლუციური გამოსვლების ინიციატორ-მეთაურებად თვით რუსებს კი არა, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს სახავდა. შოვინისტ-პროვოკატორთა განცხადებით, 1905 წლის სექტემბერში მოსკოვში გაფიცულებს „ტფილისიდან და ბაქოდან მისული მუშები“ ხელმძღვანელობდნენ[1].

საზოგადოებრივ-ეკონომიური ვითარება და, მაშასადამე, რევოლუციური ბრძოლა საქართველოში, უდავოა, ზოგიერთი თავისებურებით ხასიათდებოდა. მაგრამ საქართველოს მოქცევამ რუსეთის შემადგენლობაში, მისმა ჩართვამ ამ უზარმაზარი იმპერიის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაზღვრელი გავლენა მოახდინა ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. იგი იქცა რუსეთის რევოლუციური ბრძოლის შემადგენელ ნაწილად. განმათავისუფლებელი მოძრაობის კანონზომიერება რუსეთსა და საქართველოში ერთი და იგივე იყო და ბრძოლა ძირითადად ორივეგან ერთნაირად მიმდინარეობდა.

---

[1] გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 176, გვ. 3; ჟურნ. „მოგზაური“, 1905 წ., № 36. გვ. 562.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში ცენტრალური რაიონების კვალდაკვალ ვითარდებოდა. ამ მხრივ რამდენადმე თავისებური მდგომარეობა შეიქმნა 1905 წელს, მას შემდეგ, რაც 9 იანვარს პეტერბურგში მოხდა უიარაღო ხალხის ვერაგული დახვრეტა და დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია. მოძრაობა ჯერ რუსეთის განაპირა მხარეებში გაიშალა. საქმე ის იყო, რომ ამ ადგილებში „ნაციონალურმა ჩაგვრამ კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც აუტანელი პოლიტიკური ჩაგვრა. რიგა, პოლონეთი, ოდესა, კავკასია ერთიმეორის მიყოლებით აჯანყების კერებად იქცნენ; აჯანყება თვიდან თვემდე, კვირიდან კვირამდე ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა“. თვით რუსეთის „გულს“, მოსკოვს რევოლუციის ხანძარი მოგვიანებით მოედო — მხოლოდ სექტემბერში მიდგა საქმე „რუსეთის ცენტრამდე, «ჭეშმარიტი რუსული» ოლქების შუაგულამდე, რომლებიც თავიანთი სიმტკიცით ყველაზე მეტხანს გულს უჩვილებდნენ რეაქციონერებს“[2].

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტის ს. ჭანტურიშვილის ერთ-ერთი კორესპონდენცია, რომელიც ჟურნალ „მოგზაურში“ დაიბეჭდა. „იმ დროს, — წერს ავტორი, — როცა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში პროლეტარიატი მტერს მამაცურად ებრძოდა, რუსეთის დედა ქალაქი, მისი ცენტრი — მოსკოვი საღათას ძილში განისვენებდა. მრავალრიცხოვან საყდრებს და გაწვრთნილ პოლიციელებს თითქოს დაებნელებინა მოსკოვის პროლეტარიატის გონება. ის დუმდა უიმედოთ. კითხულობდენ, როდის იქნება, რომ მოსკოვიც ხმას გაგვცემს, რომ მასთან ერთად ეერიში მივიტანოთ საძაგელ წეს-წყობილებაზეო. და აი დადგა დრო. მოსკოვმა დაიწყო. გუშინდელი მონა პროლეტარიატი დღეს ლომ-კაცათ გამოდის და მდგბარეობით რუსეთის ცენტრი — მოსკოვი მოძრაობის ცენტრათ გადაქცეულა“[3].

რუსეთის ცენტრალურ რაიონებსა და იმპერიის განაპირა ეროვნულ მხარეებში 1905 წელს გაჩაღებული განმათავისუფლებელი ბრძოლების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა თბილისის მუშების დახვრეტის გამოძახილი მოსკოვის უნივერსიტეტში, რამაც ვ. ი. ლენინის ყურადღებაც მიიქცია. საქმე ეხება, ერთი მხრივ, მუშათა მიტინგის დახვრეტას თბილისის საქალაქო საბჭოს გამგეობის შენობაში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში — 1905 წლის 29 აგვისტოს, ხოლო, მეორე მხრივ, მოსკოვის უნივერსიტეტის დახურვას ამავე წლის 22 სექტემბერს იმის შიშით, რომ იქ არ განმეორებულიყო 29 აგვისტოს ხოცვა-ჟლეტა. თბილისელი მუშების დახვრეტა და მოსკოვის უნივერსიტეტის დახურვა წინამდებარე სტატიაში ძირითადად სწორედ ამ მიმართებით განიხილება.

1905 წლის 29 აგვისტოს თბილისში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც ბევრი სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, იყო „თავისი ძალაუფლების დაკარგვის შიშით ჭკუადაკარგული ერთი მუჭა ხალხის

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 414, 434.

3 ს. [ჭ ა ნ ტ უ რ ი შ ვ ი] ლ ი, კორესპონდენცია „ქ. მოსკოვი. 22 ოქტომბერი“. — ჟურნ. „მოგზაური“, 1905, № 39, გვ. 609.

ს. ჭანტურიშვილის ბიოგრაფიული ცნობები იხ.: ი რ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, თ. დ ე კ ა ნ ო ზ ი ძ ე. მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960, გვ. 91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილწი საქმე"[4]. თბილისელი მუშების დახვრეტა ცნობილი „სისხლიანი კვირის" ანალოგად, მის სახესხვაობად წარმოგვიდგება. იგი იმდროინდელი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებიდან ამოვარდნილი, შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ არსებული წესწყობილების უკუღმართობებით განპირობებულ უბედურებათა გრძელი ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა. „ვინ მოსთვლის, რამდენი უმანკო სისხლი დაიღვარა ამ ბოლო დროს, რამდენი გულშემხარავი და თავზარდამცემი ამბავი მოხდა თვალ გადაუწვდენელ რუსეთის სივრცეზე", — იწერებოდა მოსკოვიდან 1905 წლის ოქტომბერში AL-ი — „ცნობის ფურცლის" საკუთარი კორესპონდენტი[5]. უფრო ადრე კი, თბილისელი მუშების დახვრეტის წინა დღით, 28 აგვისტოს, ჟურნ. „მოგზაურში" დაბეჭდილი წერილის ავტორი აუწყებდა მკითხველებს, რომ „1905 წელი სისხლის ღვრის წელია რუსეთისათვის"... „აქ, მგონი, — აღნიშნავდა იგი, — არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, სადაც სისხლი არ დაღვრილიყოს და მკვლელობას და ქლეტა-ხოცვას არ ქონებოდეს ადგილი"[6].

სწორედ 1905 წელს წერდა დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი, რომ რუსეთის მმართველი წრეები მშრომელთა წინააღმდეგ „იბრძვიან უპატიოსნოდ, ლაჩრულად და სამარცხვინოდ"... „ეაკობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, — ამბობდა მწერალი, — არც ერთ ქვეყანაში მბრძანებელი კლასის ბრძოლა ხალხზე თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ წარმოებდა ესოდენ სამარცხვინოდ, აგრე ურცხვად და ცინიკური სისასტიკით, როგორც წარმოებს იგი ჩვენს ქვეყანაში ჩვენს სისხლიან დღეებში"[7].

მოვლენების ასეთსავე სწორ, საღ შეფასებას ვხვდებით იმდროინდელ ქართულ პრესაში. ჩვენთვის ამყოფად განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ასეთ აზრს ადგა მოსკოვის უნივერსიტეტში მოსწავლე მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა. ს. ჯანტურიშვილი თავის ხსენებულ კორესპონდენციაში აღნიშნავს, რომ 17 ოქტომბრის „მანიფესტის" გამოცხადებასთან ერთად თავი იჩინა „შავმა რაზმმა". „დღე არ გავა, რომ მსხვერპლი არ იყოს. გადაცმული პოლიციელები და კაზახები ამხედრებენ ბნელ ხალხს „სტუდენტების" და საზოგადოთ ინტელიგენტების წინააღმდეგ. ფორმაში გაკლა თითქმის შეუძლებელია, რადგან აუცილებლათ ან გაგლახვენ ან და მოგკლავენ"[8] (ხაზგასმა ჩვენია.— ლ. ლ.).

თბილისელი მუშების დახვრეტა 1905 წლის 29 აგვისტოს უშუალოდ იყო დაკავშირებული ცარიზმის თვალთმაქცურ ლიბერალურ პოლიტიკასთან. რევოლუციური მოძრაობით დამფრთხალი თვითმპყრობელობა შეეცადა კუდმოკვეცილი ბურჟუაზიული რეფორმებით მოეტყუებინა ფართო მასები. 1905 წლის 6 აგვისტოს მეფის მანიფესტთან ერთად გამოქვეყნდა სახელმწიფო საათათბიროს დაწესების კანონი და არჩევნების დებულება, რომლებიც შეიმუშავა სპეციალურმა კომისიამ შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის თავმჯდომარეობით. ცოტა უფრო ადრე, ივნის-ივლისში, დაიწყო კავკასიაში საერობო თვითმმართველობის შემოღების საკითხის განხილვა.

---

4 М. Горький, О кавказских событиях, Тб., 1936, გვ. 14.

5 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905, № 2932, გვ. 2.

6 ჟურნ. „მოგზაური", 1905, № 32, გვ. 516.

7 М. Горький, О кавказских событиях, გვ. 15—16.

8 ჟურნ. „მოგზაური", 1905, № 39, გვ. 610.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულიგინის სათათბიროს სახალხო წარმომადგენლობით ორგანოდ ასაღებდნენ, მაშინ როდესაც მას მშრომელთა ინტერესებთან საერთო არა ჰქონდა რა. ბოლშევიკები მტკიცედ დაადგნენ ბულიგინის სათათბიროს არჩევნებსადმი აქტიური ბოიკოტის ტაქტიკას. ისინი მასებს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყების მოწყობისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ.

ყაწინაღმდეგო პოზიციებს იკავებდნენ მენშევიკები, რომლებიც მოითხოვდნენ სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობასა და ლიბერალურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას. ლიბერალური ბურჟუაზიის მოთხოვნა კი ასეთი იყო: „რაც შეიძლება, ვრცლად იქნას სჯა-ბაასი სახელმწიფოს განახლების“— მეფისაგან „ნაბრძანები რეფორმების“ შესახებ[9]. დაუფარავი დაცინვით შენიშნავდა რსდმპ-ის კავკასიის კავშირის არალეგალური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ — „მეფის მთავრობა რემონტშია მიცემული“ და ლიბერალებს უნდათ, რომ „თითო-ოროლა აგური... შესწორონ წელში გატეხილ ნიკოლოზს“[10].

მენშევიკების თაოსნობით 1905 წლის აგვისტოს ბოლოს ხშირად იმართებოდა „ვრცელი სჯა-ბაასი“ ხელისუფალთაგან ნაწყალობები რეფორმების შესახებ. სახელდობრ, მათი ინიციატივით ხალხი რამდენიმეჯერ შეიკრიბა თბილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. ასეთ მასობრივ თავშეყრას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, 22, 25, 26 და 27 აგვისტოს. კრებებს ესწრებოდნენ ბოლშევიკებიც, რომლებიც ამხელდნენ ხელისუფლების თვალთმაქცობას და მენშევიკთა მცდარ პოლიტიკას.

28 აგვისტოს ლიბერალებმა მოაწყვეს ბანკეტი, რომელზედაც მეფისნაცვალიც მიიწვიეს და „თვითმპყრობელური ზრდილობის“ მკაცრი დაცვით გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საერობო რეფორმისადმი. მენშევიკებიც შეიმუშავეს თავიანთი პროექტი და, ხელისუფლების მზაკვრული წაყრუებით გათამამებულებმა, მოუწოდეს მასებს შეკრებილიყვნენ ქალაქის თვითმმართველობაში, რათა დასწრებოდნენ ქალაქის საბჭოს სხდომას და მონაწილეობა მიეღოთ რეფორმების საკითხის განხილვაში[11]. მართლაც, 29 აგვისტოს, ორშაბათ საღამოს, როცა საბჭოს აღნიშნულ საკითხზე უნდა ეწსჯელა, ქალაქო გამგეობასთან შეიკრიბა დიდძალი ხალხი, რომელთა უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ.

ხალხი, მენშევიკების ჩაგონებით, შეუიარაღებელი იყო. მენშევიკებს მიაჩნდათ, რომ „პროლეტარიატისათვის საჭირო არ არის „პულემიოტების“ და ზარბაზნების წინააღმდეგ წასვლა, რომ მან არ უნდა აიღოს ხელში იარაღი. იგი თავის გულსა და თავში უნდა ატარებდეს რევოლუციასო“[12].

რაც შეეხება ხელისუფლებას, იგი საგანგებოდ ემზადებოდა თავდასხმისათვის, მაგრამ ჯერჩანად მიყუჩებული იყო, მოჩვენებითი გულგრილობით

---

[9] ჟურნ. „მწყემსი“, 1905, № 11, გვ. 6.

[10] ი. ხუციშვილი, რევოლუციური მოძრაობის განვითარება საქართველოში 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში (ერთული „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“. თბ., 1955, გვ. 211—212).

[11] В. Атоев, 29 августа 1905 г. в Тифлисе («Каторга и ссылка», историко-революционный сборник, Тифл., 1925, № 1, зг. 53—54).

[12] „ახალი ცხოვრება“, 1906, № 14 (იხ. გ. ხაჭაპურიძე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 149).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყურებდა ხალხის შეკრებასა და სჯა-ბაასს პოლიტიკურ საკითხებზე. „ბევრს ეგონა, — აღნიშნულია გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ მე-11 ნომრის სპეციალურ დამატებაში 29 აგვისტოს ამბების შესახებ, — რომ მთავრობა შედრკა, წინააღმდეგობის თავი აღარა აქვს და ძალაუნებურად დაუთმო ხალხს სიტყვის და კრების თავისუფლებაო; მაგრამ ასე ეგონათ მხოლოდ გულუბრყვილოებს, რომლებიც თვითმპყრობელობას კარგათ არ იცნობენ“[13].

ხელისუფლება ხელსაყრელ მომენტს ელოდა. 2500-მდე უკმაყოფილო ადამიანი შეიკრება 29 აგვისტოს საქალაქო თვითმმართველობის შენობასთან. ასეთ ვითარებაში ადვილი იყო პროვოკაციის მოწყობა. ხელისუფლებამაც აღარ დააყოვნა და შეუდგა უიარაღო ხალხის უმოწყალო ხოცვა-ჟლეტას, რომელიც, გაზეთ „პროლეტარის“ დახასიათებით, „ვერაგული მოფიქრებითა და შესრულების ტექნიკით“ გამოირჩეოდა ანალოგიურ მოვლენებს შორის მთელ რუსეთსა და თურქეთშიც[14].

თვითმმართველობასთან შეკრებილი ხალხი საგონებელში ჩაადგა იმ გარემოებამ, რომ ქალაქის საბჭოს სხდომის დაწყების დრო კარგა ხანია გავიდა, მაგრამ დეპუტატები — ხმოსნები არ ჩანდნენ და დარბაზიც დაკეტილი იყო. აშკარად ჩანდა, რომ ხმოსნები თავს არიდებდნენ ხალხთან შეხვედრას. ხალხი ძალით შეიჭრა ქალაქის საბჭოს სხდომათა დარბაზში და გალერეაზე რომ ვეღარ დატია, ხმოსნებისათვის განკუთვნილ ადგილებზედაც მოთავსდა.

ბოლოს რამდენიმე ხმოსნის თანხლებით გამოჩნდა ქალაქის თავი, რომელსაც საგანგებო დელეგაცია გაუგზავნეს და სთხოვეს დაეწყო საბჭოს სხდომა. ქალაქის თავმა სასტიკი უარი განაცხადა ასეთი პირობებში სხდომის გამართვაზე. მაშინ ხალხი თვითონვე შეუდგა მსჯელობას სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. განხილვის საგანს შეადგენდა ხმოსანთა იმდღევანდელი საქციელი, რეფორმის გატარება, ხელისუფლების ისეთი პროვოკაციული საქმიანობა, როგორიც იყო სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა და სხვ.

ამასობაში 500-ზე მეტმა კაზაკმა და პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის გამგეობის შენობას, გადაკეტეს მოედანი და მიმდებარე ქუჩები. სხდომათა დარბაზში შესულმა ბოქაულმა ყასიდად შესთავაზა შეკრებილთ დაშლილიყვნენ, რასაც ხალხმა პოლიციისა და თვითმპყრობელობის დამხობის მძლავრი მოწოდებით უპასუხა. ბოლშევიკების გონივრული გაფრთხილების საწინააღმდეგოდ კრების თავმჯდომარე, რომელიც მენშევიკი იყო, აქებებდა ხალხს ადგილზევე დარჩენილიყო.

მალე დარბაზში შეიჭრნენ კაზაკები და გასასვლელებიც მათ ხელში აღმოჩნდა. თავზარდაცემულ ხალხს ტყვიებს უშენდნენ და ხმლებით ჩეხავდნენ. სისხლის ღვრა მოედანსა და ქუჩებშიც გრძელდებოდა. სულ მოკლეს 100-მდე და დაჭრეს 300-მდე კაცი[15].

ამ ხოცვა-ჟლეტამ თვალსაჩინოდ დაადასტურა მენშევიკური პოლიტიკის უვარგისობა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ბიულეტენში თბილისის

13 ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია“, 1940, № 2, გვ. 122.

14 იქვე, გვ. 129.

15 29 აგვისტოს სისხლის ღვრის შესახებ იხ: ნ. სტურუა, 1905 წ. 29 აგვისტო თბილისში (ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია“, 1940, № 2. გვ. 119—130); საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 211—212; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2904, გვ. 2; газ. „Кавказ“, 1905, № 221, გვ. 1; М. Суворова-Федорова, 1905 год в Тифлисе („Каторга и ссылка“, Тфл., 1925. № 1, გვ. 14—19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 აგვისტოს ამბების გამო აღნიშნული იყო, რომ ჯალათებისათვის „მასას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია; მისმა არაორგანიზებულობამ ყველაფერში იჩინა თავი“... „სამაგიეროდ პოლიცია შესანიშნავად იყო ორგანიზებული: 1/2 საათის განმავლობაში მთელი ქალაქი სამხედრო ბანაკად იქცა; ქუჩებში პატრულები დადიოდნენ, ხიდებსა და შესახვევებს ჯარები იცავდნენ“[16].

ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა მიეჩქმალა საქმის ნამდვილი ვითარება, სხვისთვის დაეკისრებინა მთელი პასუხისმგებლობა.

პირველი ოფიციალური ცნობა 29 აგვისტოს სისხლიანი ამბების შესახებ გაზ. „კავკაზში“ მხოლოდ 31 აგვისტოს გამოაქვეყნა. აქ ძალზე შემცირებული იყო მსხვერპლთა, სახელდობრ მოკლულთა, რიცხვი — 23 კაცი. სხვა ოფიციალურ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ „სულ მოკლულ იქნა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა 36 კაცი“[17].

მთავრობა ყველაფერს, ცხადია, „მუშათა ბრბოს“ აბრალებდა. ოფიციალური ვერსიით, კაზაკები თითქოს იძულებული შეიქნენ თოფი ესროლათ, რადგანაც ქალაქის საბჭოს დარბაზში შეკრებილებმა მათ „რევოლვერები დაუშინეს: ისროდნენ, აგრეთვე, ქუჩებიდან და ეზოდან; ხალხის ერთმა ნაწილმა ლომბარდის კედელი გაანგრია. გავიდა და იქაც სროლა ასტეხა“[18]. ეს რომ მტკნარი სიცრუე იყო, მთავრობისავე ცნობიდანაც აშკარად ჩანდა: ასეთ ინტენსიურ სროლას უთუოდ მეტი მსხვერპლი უნდა მოჰყოლოდა, ვიდრე ორი კაცის — პოლიციელისა და კაზაკის დაჭრა იყო („დაიჭრა კაზაკი და პოლიციელი“).

აკრძალული იყო ისეთი ცნობების გამოქვეყნება, რომლებიც მკითხველს 29 აგვისტოს ამბებზე მიანიშნებდა. ხელისუფლებამ საჩქაროდ უწოდა „სრულიად უსაფუძვლო“ გაზ. „ცნობის ფურცლის“ 6 სექტემბრის ნომრის შენიშვნას, რომ „ყარაიაზში მეთევზეებმა მდინარიდან გამოათრიეს 12 გვამი მოკლულ კაცისა“[19].

ნამდვილი ვითარების გასათვალისწინებლად საინტერესოა ითქვას, რომ ხელისუფლებამ, რათა თავისი თავი არ გაემეღავნებინა, უარყო მოთხოვნა „დაინშნოს სასტიკი გამოძიება 29 აგვისტოს ტფილისის საბჭოში მომხდარ ქლეტა-ხოცვის შესახებ, დანშაავენი სამართლში მიეცნენ და პრესას ნება მიეცეს დაწერილებით აღნიშნოს სამწუხარო ამბავი და საქმის მსვლელობა სასამართლოში“[20].

მეშვეიკები მშვიდობიანი კრების დახვრეტაში უმთავრესად ადანაშაულებდნენ და გადადგომისაკენ მოუწოდებდნენ ქალაქის თავსა და ხმოსნებს, რომლებიც უკვე თვითონაც ვეღარ უდგებდნენ გულს საბჭოში მუშაობას და მალე კიდეც განაცხადეს უარი თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე[21].

29 აგვისტოს ამბებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ბოლშევიკები. მათ მოვლენები იმთავითვე სწორად შეაფასეს. რსდმპ კავკასიის კავშირის თბი-

16 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), თბ, 1955, გვ. 468.

17 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2904, გვ. 2; газ. „Кавказ“, 1905, № 228, გვ. 3.

18 გაზ. „ივერია“. 1905, № 155, გვ. 1.

19 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2902, გვ. 2; № 2904, გვ. 1.

20 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2917, გვ. 2, 4. იხ. აგრ.: გაზ. „ივერია“, 1905, № 174, გვ. 3, № 175, გვ. 3; ჟურნ. „მოგზური“, 1905, № 36. გვ. 561—562.

21 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2905, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის კომიტეტის პროკლამაცია 29 აგვისტოსვე გამოიცა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე (სამ-სამი ათასი ცალი) მეტად საგულისხმო სათაურით— „სისხლი იღვრება, ვემზადოთ აჯანყებისათვის“. ბოლშევიკების შეხედულებით, ასეთი ხოცვა-ჟლეტა პროლეტარიატისათვის სამოქალაქო ომის დადი კაკეთილი იყო. მუშათა კლასი თვალნათლივ ხედავდა, რომ „თვითმპყრობელობის სიცოცხლე ხალხისათვის სიკვდილია“ და „რევოლუცია მხოლოდ იარაღით გაიმარჯვებს“[22].

ოფიციალური წრეების გულმოდგინე ცდების მიუხედავად, მაინც ფართოდ გავრცელდა სომართლე თბილისის თვითმმართველობის შენობაში მომხდარი სისხლიანი ამბების შესახებ. საქართველოს ქართული და რუსული პრესის ცნობები თანდათანობით გახმაურდა მთელს იმპერიაში და მშრომელთა სასტიკი გულისწყრომა გამოიწვია.

ცარიზმისადმი სიძულვილსა და თვითმპყრობელობის მსხვერპლთადმი თანაგრძნობას გამოხატავდა ფართო საზოგადოებრიობა და პროტესტის ფორმაც სრულიად სხვადასხვანაირი იყო (გაფიცვები, საპროტესტო დეპეშები, დაღუპულთა მოსახსენებელი პანაშვიდები და სხვ.).

საინტერესოა, მაგალითად, რომ გულისწყრომის დეპეშა მოვიდა ვიატკის ქალაქის საბჭოდან. იგი პროტესტს უცხადებდა „ძალმომრეობასა და თვითნებობას“. დეპეშა გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, კერძოდ, გაზ. „ივერიასა“ და ჟურნ. „მოგზაურში“. „ვიატკის ქალაქის საბჭო, — იუწყებოდა „ქალაქის მოურავი“, — შეძრწუნებული იმ საშინელებით, რომელიც ქალაქის საბჭოს დარბაზზი 29 აგვისტოს მოხდა და ღრმად აღშფოთებული უიარაღო, მშვიდობიან მცხოვრებთადმი არა ადამიანურ მოპყრობისათვის, გულწრფელს სამძიმარს უცხადებს ამ სისხლის ღვრის უდანაშაულო მსხვერპლთა ჭირისუფლებს...“[23].

სინამდვილის გარკვევისა და საქვეყნოდ გატანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არალეგალურ ბოლშევიკურ ბეჭდვით სიტყვას. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 29 აგვისტოს ამბები საფუძვლიანად გააშუქა რსდმპ-ის ცენტრალურმა ორგანომ, ყოველკვირეულმა გაზ. „პროლეტარმა“, რომელიც ჟენევაში გამოდიოდა ვ. ი. ლენინის რედაქტორობით. ჩვენთვის საინტერესო ცნობები გამოქვეყნდა ამ გაზეთის ორ — მე-18 და მე-19 ნომერში, შესაბამისად 26(13) სექტემბერსა და 3 ოქტომბერს (20 სექტემბერს). სახელდობრ, დაიბეჭდა სპეციალური ბიულეტენი კავკასიის კავშირის ხელმოწერით, აგრეთვე სხვა მასალა თბილისში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შესახებ.

ცნობები თბილისელი მუშების დახვრეტის შესახებ საზღვარგარეთის პრესაშიც დაიბეჭდა. 29 აგვისტოს ხოცვა-ჟლეტა ნახსენებია, კერძოდ, ინგლისის ბურჟუაზიის ერთ-ერთ უდიდეს კონსერვატიულ გაზეთ „Times“-ში („The Times“ — „დროება“), აგრეთვე საფრანგეთის კონსერვატიული ბურჟუაზიის გაზეთი „Temps“-ში („Le Temps“ — „დროება“), რომელიც ასახავდა მმართველი წრეების ინტერესებს და ფაქტობრივად საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ორგანო იყო[24].

---

22 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), თბ., 1955, გვ. 466, 470, 472, 529.

23 გაზ. „ივერია“, 1905. № 174, გვ. 3; ჟურნ. „მოგზაური“, 1905, № 36, გვ. 562.

24 ამ გაზეთების სათანადო ამონაწერები იხ. Ленинский сборник, XVI, გვ. 204, 211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 აგვისტოს ამბებმა მრავალმხრივი გავლენა მოახდინა როგორც საკუთრივ საქართველოს, ისე საერთოდ რუსეთის მთელი იმპერიის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ჩვენს თემასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოში, მაგალითად, გაისმა ხმები — „დაუბრუნდეს შეგნებული სტუდენტობა სამშობლოს, თუ მას უყვარს ხალხი, თუ უყვარს თავისუფლება". „ღარ არის იმის დრო, — ვკითხულობთ მოწოდებაში „ქართველ სტუდენტებს", — რომ სტუდენტობა ლექციებს ისვენდეს მაშინ, როდესაც გარშემო ხმლის ტრიალია და ჯალათების ხელით იღვრება ხალხის სისხლი. პროფესორის კათედრა უნდა დადუმდეს დღეს, ტრიბუნა დღეს ხალხშია, ხალხთან უნდა ლაპარაკი, ხალხთან მუშაობა, მასთან ბრძოლა, სიკვდილი და სიცოცხლე... ვინ დგვარწმუნებს, რომ ჯალათები, რომლებიც ვითომც ცოტათი მიყუჩნდნენ, არ განახლებენ ხოცვა-ჟლეტას" და „არ მოხდება კიდევ უარესი ამბები, ვიდრე იყო 29 აგვისტოს..."[25].

უფრო ადრე ანალოგიური მოწოდება — „ღია წერილი საზღვარგარეთელი ამხანაგების მიმართ" გაზ. „პროლეტარში" გამოაქვეყნეს ვოლგისპირეთის გუბერნიებში მომუშავე სოციალ-დემოკრატებმა[26]. წერილის ავტორები გამოთქვამდნენ „მეტად მკვეთრ აზრს საზღვარგარეთ „სწავლის" უსარგებლობის შესახებ" და რევოლუციური მუშაობისთვის იწვევდნენ ახალგაზრდებს რუსეთის „მივარდნილ ადგილებში".

თბილისელი მუშების დახვრეტა ორგანულად ჩაერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ის კომპლექსში, იმ მოვლენათა წრეში, რომელთაც 1905 წლის სექტემბრის ბოლოს მოსკოვის რევოლუციური ამბები გამოიწვიეს. საქმე ეხება სხვადასხვა პროფესიის მუშათა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, რასაც ხშირად თან ერთვოდა სისხლისმღვრელი შეტაკებები ჟანდარმთა და კაზაკთა რაზმებთან[27].

ლენინი აღნიშნავდა, რომ „მოსკოვის ამბების საბაბი გახდა, პირველი შეხედვით, წმინდა აკადემიური ხასიათის მოვლენები. მთავრობამ უბოძა ნაწილობრივი «ავტონომია», თუ ვითომდა ავტონომია, უნივერსიტეტებს. ბატონმა პროფესორებმა თვითმმართველობა მიიღეს. სტუდენტებს კრებების უფლება მიეცათ. თვითმპყრობელურ-ბატონყმური ჩაგვრის საერთო სისტემას, ამრიგად, პატარა ნაპრალი გაუჩნდა. და ამ ნაპრალში მაშინვე მოულოდნელი ძალით ახალი რევოლუციური ნაკადები შეიჭრა. უმნიშვნელო დათმობამ, ერთი ციცქნა რეფორმამ, რომელიც იმ მიზნით იყო გატარებული, რომ შეერბილებინა პოლიტიკური წინააღმდეგობანი და «შეერიგებინა» ავაზაკე-

25 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905, № 2948, გვ. 1—2.

26 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 480, 592.

27 მოსკოვის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა საკმაო პირდაპირობითა და პოლიტიკური სიმახვილით შუქდებოდა ქართულ ლეგალურ პრესაში. ამის თაობაზე იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2924, გვ. 2—3 („გაფიცვა მოსკოვში") და № 2938, გვ. 3 („მოსკოვის დღიური"). აქ უნდა გავითვალისწინოთ საერთოდ რუსეთში არსებული მკაცრი ცენზურული პირობები, რაზედაც იმ დროებში მიუთითებდა ლენინი (იხ. ტ. 9, გვ. 416—417, 428. 431). განსაკრ მხარეებისა და მათ შორის საქართველოს პრესა კი განსაკუთრებულ შეზღუდვებს განიცდიდა. სწორედ ამ პერიოდში მკვეთრად გაისმა ხმები, რომ სხვა ეროვნების პრესასაც ისეთივე პირობები შექმნოდა, როგორიც საზოგადოდ რუსეთის პრესისათვის იყო შემუშავებული (იხ. გაზ. „ივერია", 1905, № 176, გვ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი გაძარცულებთან, სინამდვილეში ბრძოლის უზარმაზარი გამწვავება და მის მონაწილეთა შემადგენლობის გაფართოება გამოიწვია"[28].

უნივერსიტეტის ავტონომიისა და საერთოდ საუნივერსიტეტო ცხოვრებისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდა ქართველი საზოგადოებრიობა. ქართულ პრესაში საკმაოდ ხშირად იბეჭდებოდა ცნობები ამა თუ იმ საჭირბოროტო საუნივერსიტეტო საკითხზე.

საზოგადოების მოწონაზე ნაწილი ძალზე წუხდა, რომ ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად „ჩაჭარა რუსეთის უნივერსიტეტებში მეცნიერების ლამპარი და აინთო მხრჩოლავი ჭრაქი"[29]. უნივერსიტეტების ავტონომიის საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური საგაზეთო წერილის ავტორი აუწყარავებდა და კიცხავდა „იმ სისაძაგლესა და დაცემას, რომელშიაც ჩაგდო რუსეთის უნივერსიტეტები ბიუროკრატიულმა რეჟიმმა. უნივერსიტეტი—ტაძარი წმიდა მეცნიერებისა, გახდა უნიჭო პროფესორების დუქნად, სადაც ეს ვითომდა მეცნიერნი ჰყიდდნენ დამპალ საქონელს"[30]. იგივე ავტორი სხვა წერილში სინანულით აღნიშნავს, რომ „ეხლანდელ უნივერსიტეტებს, უმთავრესად რუსეთში, მეცნიერების ტაძართან შორეული კავშირი აქვთ. უნივერსიტეტი რუსეთში სახელოსნოა, სადაც ამზადებენ ასე თუ ისე, ავად თუ კარგად მეცნიერებით აღჭურვილ ხელოსნებს სახელმწიფო მანქანასთან დასაყენებლად"[31].

სექტემბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დღეებში, სწორედ იმ დროს, როდესაც საერთოდ მოსკოვში, და კერძოდ უნივერსიტეტში, გაძლიერდა და გაფართოვდა რევოლუციური გამოსვლები, გაზ. „ცნობის ფურცელმა" (№ 2921) AL-ის ხელმოწერით გამოაქვეყნა მეტად საგულისხმო ვრცელი წერილი — „მოსკოვის უნივერსიტეტი". ავტორი გამოყოფს და განიხილავს საკითხთა ფართო წრეს, როგორიცაა „უნივერსიტეტი და ბიუროკრატია", „რას თხოულობდა სტუდენტობა წინად", „რას წარმოადგენდა უნივერსიტეტი 20 წლის განმავლობაში", „რა არის უნივერსიტეტის ავტონომია", „სტუდენტთა ყრილობები და სხვა და სხვა მიმართულება" და ა. შ.

ავტორი ცოცხლად გვიხატავს უნივერსიტეტში შექმნილ გაუწყვეტელ ვითარებას, მიგვანიშნებს მოსალოდნელ სისხლის ღვრაზე, იმის რეალურ საშიშროებაზე, რომ უნივერსიტეტის კედლებში „განმეორდება ის, რასაც ასე გულგრილად, ადვილად და მარდად ასრულებს... ბიუროკრატია. ბიუროკრატიამ, — წერს იგი, — სტუდენტებისა და საზოგადოების ყურადღება მარტოოდენ მუქარით ჰკვეთა... მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. სტუდენტების უმრავლესობა მედგად იდგა ერთხელვე ამორჩეულ გზაზე და არავითარ კომპრომისს არ იკარებდა". ადრე „ბიუროკრატიამ არა სცნო საჭიროდ ავტონომიის მინიჭება, ეხლა კი თვით სტუდენტობამ აღარ ჩასთვალა საკმაოდ ამგვარი ნაბოძების მიღება"[32].

ამგვარად, თვითმპყრობელობა დათმობათა გზას დაადგა, მაგრამ სასტიკად მოტყუვდა ანგარიშში: საქმეს ვერ უშველა „უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური თავისუფლების შემოღებამ, ვინაიდან თავისუფალი სასწავლებე-

28 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 465.
29 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905, № 2916, გვ 1.
30 იქვე.
31 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905, № 2916 (გვ. 1), 2927 (გვ. 1).
32 იქვე, 1905, № 2921, გვ. 2, 3.

ლი შეუძლებელია იმ ქვეყანაში, სადაც მთელი ხალხი მონობაშია"; დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა საერთო აკრძალვის ვითარებაში უნივერსიტეტის ავტონომიამ „დამშვიდების მაგვრამ... კიდევ უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია"[33].

9 იანვრის შემდეგ რუსეთში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მასობრივი გაფიცვები და დემონსტრაციები. „მოსკოვის უნივერსიტეტი, ამ მხრივ, ერთ-ერთი მოწინავეა იყო. აქ სისტემატიურად ეწყობოდა მიტინგები, რომლებზედაც სტუდენტობა აღფოთებითა და გულისწყრომით ილაშქრებდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ"[34]. ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალები საკმაოდ მრიპოვება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში და იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში.

სექტემბრის გაფიცვებს მოსკოვში ერთი ორგანიზაციული თავისებურება ახასიათებდა — იწყებოდა ცალკეულ პროფესიათა მოძრაობის სახით. ბრძოლის სპეციფიკურ პროლეტარულ ფორმას — გაფიცვას მიმართავდა და მისი განხორციელების მეთოდებში მუშებს ჰხადავდა ინტელიგენციაც[35]. მოსკოვის უნივერსიტეტში იმართებოდა სტუდენტთა და სრულიად სხვადასხვა პროფესიის მუშათა გაერთიანებული კრებები და მიტინგები. როგორც ლენინი ამბობდა, „სტუდენტების კრებებს მუშებმა მიაშურეს. გამოდიოდა რევოლუციური სახალხო მიტინგები, რომლებზედაც სჭარბობდა თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწინავე კლასი — პროლეტარიატი"[36]. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი პროფესიული ნიშნის მიხედვით დაწყებული რევოლუციური მოძრაობის თავისებური გამაერთიანებლის როლს ასრულებდა.

სტუდენტთა შორის რსდმპ მოსკოვის კომიტეტის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა, რომ 1905 წლის აგვისტოში „ნაბიძეები" ავტონომია უმაღლესი სკოლისა რევოლუციური მიზნებისათვის გამოიყენებინათ. კერძოდ, მოსკოვის უნივერსიტეტი იქცა მუშებისა და რევოლუციური ინტელიგენციის ერთ-ერთ პოლიტიკურ ტრიბუნად[37]. ამას მოწმობს ქართული პრესის მასალებიც — როგორც ორიგინალური, ისე რუსეთის სხვადასხვა პერიოდული გამოცემებიდან ამოკრებილი და ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ცნობები.

ქართულ პრესაში აისახა მოსკოვის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტობის გადაწყვეტილება, რომ მათი სასწავლებელი „უსათუოდ უნდა მისდევდეს პოლიტიკურ განვითარება-მომზადებას"; მან სტუდენტობა უნდა „აღზარდოს, მოამზადოს... პოლიტიკურ ბრძოლისთვის, რადგან ამის საჭი-

---

33 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. რუსეთის რევოლუცია და 17 ოქტომბრის მანიფესტი (ჟურნ. „მოგზაური", 1905, № 38, გვ. 593).

34 ი ო. ტ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, თ. დ ე კ ა ნ ო ს ი ძ ე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960, გვ. 330.

35 А. Чебарин, Москва в революции 1905—1907 годов, М., 1955, გვ. 119, 130. სიინტერესოა აღინიშნოს, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში გაკრიტიკებულია „პრავეო"-ში დაბეჭდილი წერილი „გაფიცვა უმაღლეს სასწავლებლებში", რომლის ავტორი ს. საგეჩი უარყოფდა გაფიცვას, როგორც სტუდენტთა პოლიტიკური ბრძოლის ფორმას (იხ. ჟურნ. „მოგზაური", 1905, №13, გვ. 208).

36 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 465.

37 А. Чебарин, დასახ. ნაშრომი, გვ. 112—113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობას თვით ცხოვრება მოითხოვს"[38]. აშკარად ჩანს, რომ სტუდენტები აღარ კმაყოფილდებიან მარტოოდენ აკადემიური ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებითა და საუნივერსიტეტო თავისუფლების მოპოვებით. მათ უკვე შეგნებული აქვთ მთელი თვითმპყრობელური წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა.

საინტერესოა აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტის ასისტენტთა 20 სექტემბრის კრების მოკლე ანგარიში. ასისტენტები განიხილავდნენ საკითხს, „თუ რაგვარ ფორმით უნდა მიეღოთ მათ მონაწილეობა უნივერსიტეტის პოლიტიკურ მოქმედებაში. მემარცხენენი როკკოვის[39] მეთაურობით დაჟინებით თხოულობდნენ უნივერსიტეტში პოლიტიკური ტრიბუნის დაარსებას, სადაც ყველას ექნება შესვლის ნება... კრებამ კენჭისყრით დაადგინა უნივერსიტეტში პოლიტიკური ტრიბუნა დააარსონ და ხალხს ლექციები უკითხონ"[40].

შეკრებები უნივერსიტეტში თანდათანობით ხალხმრავალი ხდებოდა. „აუდიტორიები ყოველ საღამოს გამოჰეფილი იყო... მუშებით"[41]. ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა ორატორებს, რომლებიც თვითმპყრობელობასთან ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ასეთი მიტინგები და კრებები ხელისუფლებისათვის აშკარად საშიშ ხასიათს ღებულობდა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სტუდენტობას წამოუყენა კრების ჩატარების ორი აუცილებელი პირობა: 1. კრების გამართვა წინასწარ უნდა ეცნობებინათ რექტორისათვის, რაც, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აზრით, იმიტომ იყო საჭირო, რომ არ შეფერხებულიყო სწავლის პროცესი — ერთმანეთს არ დამთხვეოდა ლექციისა და კრების ჩატარების დრო და ადგილი: 2. კრება მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტებს უნდა ჩაეტარებინათ, მას არამც და არამც არ უნდა დაჭურებოდა გარეშე ხალხი.

თავიდათავი, ცხადია, მეორე პირობა იყო. იგი არსებითად ეწინააღმდეგებოდა რევოლუციური სტუდენტობის შეხედულებებსა და მიზნებს. ბურჟუაზიული პრესაც კი აღიარებდა, რომ რუსეთის იმდროინდელ ვითარებაში ასეთი პირობის შესრულება სტუდენტობისაგან ზედამიანურ თავდაჭერილობას მოითხოვდა და კუდმოკვეცილი აკადემიური თავისუფლება „დანაელთა საჩუქარს" წარმოადგენდა[42]. სტუდენტებსა და მუშებს უკვე ერთნაირად მიაჩნდათ, რომ ისინი ერთმანეთისათვის გარეშენი აღარ იყვნენ. აშკარა იყო, რომ სტუდენტობა არ იკისრებდა ზემოაღნიშნული პირობის შესრულებას.

სტუდენტები თავისას არ იშლიდნენ. მათ გაიზიარეს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები და მიიღეს თანმიმდევრულ-რევოლუციური რეზოლუცია. იგი მოუწოდებდა მასებს ებრძოლათ რესპუბლიკისათვის და შეექმნათ დროებითი რევოლუციური თავრობა. სტუდენტების რეზოლუცია შეიცავდა მოთხოვნას, რომ დამფუძნებელი კრება მოეწვია დროებით რევოლუციურ თავრობას და არა მეფესა და სახელმწიფო სათათბიროს. ასეთი მოთხოვნა ბურჟუაზიულ წრეებს სტუდენტთა პოლიტიკური მოუმწიფებლობის მაჩვენებლად მიაჩნდათ.

38 გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905, № 2921, გვ. 2—3.

39 როკკოვი იყო რევოლუციონერი, ერთ-ერთი რევოლუციური გაზეთის რედაქტორი. მის შესახებ იხ. ი. რ. ტატიშვილისა და თ. დეკანოსიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 369.

40 გაზ. „ივერია", 1905, № 176, გვ. 4.

41 ჟურნ. „მოგზაური", 1905, № 39, გვ. 609.

42 Ленинский сборник, XVI, გვ. 204—205.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტს განსაკუთრებით დიდძალი ხალხი მიაწყდა 21 სექტემბერს, საღამოს, როდესაც მიტინგი იყო დანიშნული. უნივერსიტეტის აუდიტორიებში 5 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. რევოლუციურმა კრებამ დაიფრთხო „დარბაისელი“ ლიბერალები. ისინი შეაშინა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აშკარა გამოსვლებმა უნივერსიტეტის კედლებში და „რევოლუციური სტუდენტებისაგან პოლიციურ მთავრობასთან, მთორახის მთავრობასთან გაიქცნენ“. მათ გადაწყვიტეს „დაეხურათ უნივერსიტეტი, ეს მთორახოსანთა მიერ ნებადართული «მეცნიერების» საკურთხეველი, რომელიც სტუდენტებმა შებილწეს იმით, რომ «საძაგელი ბრბოა» შეუშვეს თვითმპყრობელური ბანდის მიერ «ნებადართველი» საკითხების განსახილველად“[43].

მიტინგის მეორე დღეს, 22 სექტემბერს, გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა მოსკოვის უნივერსიტეტის დროებითი დახურვის შესახებ. თავიანთი მოქმედების გამართლების მიზნით ლიბერალი პროფესორები პირდაპირ ამბობდნენ, როგ „მათ თითქოს შეეშინდათ უნივერსიტეტის კედლებში თბილისის ხოცვა-ყლეტის განმეორებისა“ (ხაზგასმა ჩვენია. — ლ. ლ.). ლიბერალები „სამაგალითოდ დასაჯნენ თავიანთი საძაგელი სილაჩრისთვის. რევოლუციური უნივერსიტეტის დახურვით მათ ქუჩის რევოლუციას გაუღეს კარი ...გაალვიეს ხანძარი უზარმაზარ სამრეწველო ქალაქში“[44]. საქმე ის იყო, რომ სწორედ უნივერსიტეტში დატრიალებული ამბების უშუალო ზეგავლენით მომდევნო დღეებში გამძაფრდა მოსკოვის მუშათა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა.

ამგვარად, აშკარაა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს გამგეობის შენობაში 29 აგვისტოს მომხდარ ამბებს დაუფრთხია მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები, რაც ამ უკანასკნელთ საჯაროდაც განუცხადებიათ. თბილისელ მუშათა დახვრეტის გავლენით დაიხურა მოსკოვის უნივერსიტეტი, ხოლო ამ გარემოებამ, თავის ჩხრეკ, ხელი შეუწყო რევოლუციის საერთო აღმავლობას. ასე რომ თბილისელ მუშათა 29 აგვისტოს დახვრეტა მოსკოვის ამბების გამწვავების არაპირდაპირ საბაბადაც წარმოგვიდგება.

უნივერსიტეტის დახურვით ლიბერალური ბურჟუაზია ცდილობდა სტუდენტობის ჩამოცილებას რევოლუციური მოძრაობისაგან. ლიბერალი პროფესორები სტუდენტებს გაფიცვების მოწყობის ნაცვლად სწავლისაკენ მოუწოდებდნენ. საერთოდ, ბურჟუაზიული ინტელიგენცია „თვითმპყრობელობის ყოველგვარი ნარჩენისა და ნაშთის შენარჩუნების მომხრეა“, რაც განაპირობებს „ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი მოძრაობის შეზღუდულობას და არასაკმარისობას“. ამ მხრივ დიმახასიათებელია „ლიბერალიზმის საუკეთესო ადამიანთა“ წარმომადგენლის — ორდინარული პროფესორის, შემდგომში მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის თავ. ტრუბეცკოის სიტყვა, „რომელიც მოახსენა მან ხელმწიფე იმპერატორს აუდენციაზე“ 1905 წლის 6 ივნისს[45].

43 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 465.

სტუდენტთა რევოლუციური კრებების, მთი რეზოლუციისა და უნივერსიტეტის ლიბერალური ხელმძღვანელობის პოზიციის შესახებ იხ.: ვ. ი. ლენინი, ტ. 9, გვ. 415, 428—429, 435, 462; გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905, № 2921, გვ. 3; Ленинский сборник, V, გვ. 415—16, XVI, გვ. 204, 205, 209, 213.

44 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 9. გვ. 415, 465—66.

45 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 571, 592. სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 99; Ленинский сборник, V, გვ. 412, ჟურნ. „მწყემსი“, 1905, № 11, გვ. 4—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით შეუძლებელია არ დაინახოთ განსხვავება იმ მიმართულებას შორის, რომელსაც ადგა, ერთი მხრივ, „ულიბერალესი რექტორი... ტრუბეცკოი“ (ლენინი) და, მეორე მხრივ, მოსკოვის უნივერსიტეტის ადრინდელი ხელმძღვანელობა. ამის დასადასტურებლად იმდროინდელი ქართული პრესიდან მოყვანილი ორიოდე ცნობის[46] ურთიერთშეპირისპირებაც სავსებით საკმარისია.

1904 წლის 5 დეკემბერს რექტორ ლატნინის ბრძანებით ჩაკეტეს უნივერსიტეტის ყველა ალაყაფის კარები — თავიანთ საკუთარ „ტაძარში“ არ უშვებდნენ სტუდენტებს, რომელთაც „ჯარი ამოდებულის ხმლებით უწყალოდ სცემდა“. 1905 წლის სექტემბრის ცნობის მიხედვით, უნივერსიტეტის საბჭომ პირდაპირ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი პოლიციას მოსამსახურედ ვერ დაუდგებოდა. საქმე შეეხებოდა მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველის მინართვას რექტორისადმი — უნივერსიტეტის ადმინისტრაციას პოლიციაში გადაეგზავნა იმ სტუდენტთა პასპორტები, რომელთაც დაითხოვდნენ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობაც მოექცა პოლიციის მუქარის ზეგავლენაში — „ლიბერალმა“ პროფესორებმა და „ულიბერალესმა რექტორმა“ დახურეს უნივერსიტეტი და, ამრიგად, თვითონვე შეასრულეს პოლიციური ხელისუფლების როლი. ამით მათ ფაქტობრივად წაუბიძგეს სტუდენტებს მეშვებისაკენ. უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ სტუდენტები ქუჩაში გავიდნენ და შეუერთდნენ რევოლუციურ მუშებს.

რექტორმა უნივერსიტეტი დახურა იმ მიზნით, რომ იქ არ მომზდარიყო სტუდენტებისა და „უცხო პირთა“ ხოცვა-ჟლეტა. საქმე კი ისე წარიმართა, რომ სწორედ ამან დაჩქარა მოსალოდნელზე უფრო დიდი სისხლის ღვრა ქუჩაში. ერთობლივად დაიღვარა მუშებისა და სტუდენტების სისხლი. თანაც ბედის ირონია ის იყო, რომ ეს მოხდა თავად რექტორ ს. ტრუბეცკოის დაკრძალვის დროს.

ს. ტრუბეცკოი მოულოდნელად გარდაცვალა სახალხო განათლების სამინისტროში, როდესაც განიხილავდნენ სტუდენტთა მღელვარებისა და უნივერსიტეტში საჯარო პოლიტიკური კრებების გამართვის საკითხებს. მის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო და პროცესიამ თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ბოლოს საქმეში ჩაერივნენ პოლიციელები და კაზაკები, რომელთაც გააჩაღეს „უწყალო ცემა-ჟლეტა“. მოსკოვის სტუდენტობას ამ უხეშმა ძალმომრეობამ, იქვე როგორც თბილისის მუშათა კლასს 29 აგვისტოს სისხლის ღვრამ, კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაანახვა, რომ „არ შეიძლება ქუჩაში გასვლა მოუწესრიგებლად და ცარიელის ხელით მოწესრიგებულ ჯარის წინააღმდეგ“[47].

46 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2921 (გვ. 2) და „იევრია“, 1905 № 174 (გვ. 4).

47 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2932, გვ. 2. საერთოდ, ს. ტრუბეცკოის გარდაცვალება-დაკრძალვის ამბები საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული იმდროინდელ ქართულ პრესაში. იხ.: ეუნნ. „მოგზაური“, 1905, № 37 (გვ. 576—577); გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2924 (გვ. 1, 4), № 2930 (გვ. 2), № 2931 (გვ. 2—4), № 2932 (გვ. 2).

ტრუბეცკოის გარდაცვალების გამო ლენინმა დაწერა სტატია, რომელშიც მჩიფლებელია ლიბერალთა პოზიციები მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირებით (იხ. ტ. 9, გვ. 462—463).

სხვათა შორის, ს. ტრუბეცკოის, მისი ლიბერალური შეხედულებების გამო, მტრულად უყურებდნენ შავრაზმული წრეები (ხალხნი ისეთი ხმაც კი გავრცელდა, რომ იგი თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოდ აღნიშნულია, რომ „ლენინი არაერთხელ ეხება... თბილიში 29 აგვისტოს ქალაქის გამგეობის დარბაზში მუშათა მასობრივად დახვრეტის ფაქტს და მის გავლენას მოსკოვის ლიბერალურ ბურჟუაზიაზე“[48]. კერძოდ კი, 29 აგვისტოს ხოცვა-ყლეტა მოსკოვის უნივერსიტეტის აუბებთან მიმართებით პირდაპირ ნახსენებია სტატიაში „სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში“, ხოლო უთუოდ ნაგულისხმევია ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა „პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში“ და „მოსკოვის ამბების გაკვეთილები“[49]. აქვე უნდა დავასახელოთ აგრეთვე შენიშვნა პირობითი სათაურით — „სამარცხვინო კომედია“[50], რომლის ზოგიერთი ადგილი შემოკლებული სახით შევიდა სტატიაში „მოსკოვის ამბების გაკვეთილები“.

„სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში“ დაიწერა 1905 წლის 27 სექტემბერს (10 ოქტომბერს), მაგრამ მაშინ არ გამოქვეყნებულა (პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულის V ტომში). იგი იყო პირველი ვარიანტი სტატიისა „პოლიტიკური გაფიცვა და ქუჩის ბრძოლა მოსკოვში“, რომელიც დაიწერა 29 სექტემბერს (12 ოქტომბერს) და გამოქვეყნდა 4(17) ოქტომბერს გაზ. „პროლეტარის“ 21-ე ნომერში.

29 აგვისტოს სისხლის ღვრის ამბავს ლენინი თუ უფრო ადრე არა, 11—12 სექტემბერს მაინც გაიგებდა. 1905 წლის ივლის-ოქტომბრის თვეებში იგი ცხოვრობდა ჟენევაში, ხელმძღვანელობდა გაზ. „პროლეტარს“, რომელმაც 13 სექტემბერს გამოაქვეყნა მასალები თბილისის ამბების თაობაზე. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ცნობა 29 აგვისტოს ხოცვა-ყლეტის შესახებ ლენინის სტატიაში „სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში“ განკერძოებულად კი არაა ჩართული, არამედ გააზრებული და წარმოდგენილია საერთოდ მოსკოვისა და, კერძოდ, ამ უდიდესი სამრეწველო ცენტრის უნივერსიტეტის რევოლუციურ ამბებთან მჭიდრო კავშირში. გამწვავებული რევოლუციური ბრძოლების ვითარებაში, ლენინის სიტყვებით, „ლიბერალმა“ პროფესორებმა, რომლებმაც ესარის ახლა აირჩიეს ულიბერალესი რექტორი, ყბადაღებული ბ-ნი ტრუბეცკოი, პოლიციის მოქმარის ზეგავლენით უნივერსიტეტი დახურეს: როგორც თვითონ ამბობენ, მათ თითქოს შეეშინდათ უნივერსიტეტის კედლებში თბილისის ხოცვა-ყლეტის განმეორებისა“[51].

საინტერესოა, თუ რა ფაქტობრივი მონაცემებით სარგებლობდა ამ შემთხვევაში ლენინი, რომელმაც საერთოდ დიდძალი მასალა შეაგროვა მოსკოვის ამბებზე მუშაობის დროს. ირკვევა, რომ მისთვის უშუალო წყაროს წარმოადგენდა 25 სექტემბრის (8 ოქტომბრის) კორესპონდენცია პეტერბურგიდან, რომელიც 26 სექტემბერს დაიბეჭდა ინგლისის ბურჟუაზიის გაზეთ „Times“-ში. ამის სრული უეჭველობით ადასტურებს გაზეთის ამონაწერი, რომე-

მოწამლეს). სასულიერო აკადემიის რექტორმა უარი თქვა გადაეხადა პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად. „ტრუბეცკოი, — განაცხადა მან, — ჩვენი ბანაკის მოწინააღმდეგე და უკიდურეს მიმართულების კაცი იყო“ (იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2930, გვ. 2, № 2931, გვ. 3).

48 ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895—1924), თბ., 1955, გვ. 85.

49 სამივე ნაშრომი მოთავსებულია ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის მე-9 ტომში, გვ. 415—420, 427—437, 464—475.

50 Ленинский сборник, V, გვ. 412—413.

51 ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 9, გვ. 415.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიც მოსკოვის ამბებთან დაკავშირებულ სხვა მასალებთან ერთად მოთავსებულია ლენინის კრებულში. „...ყველა აღიარებს, — ვკითხულობთ ლენინისეულ ამონაწერში, — რომ მოსკოვის უნივერსიტეტის დახურვა იყო დიდი შეცდომა, რომელშიც დამნაშავენი არიან ადგილობრივი ხელისუფალნი. ისინი იმუქრებოდნენ, რომ გაგზავნიდნენ კაზაკებს შენობათა განსათავისუფლებლად, თუკი ამ შენობებში გაიმართებოდა პოლიტიკური კრებები. პროფესორთა საბჭომ, ეშინოდა რა თბილისის ქალაქის საბჭოს ხოცვა-ჟლეტის განმეორებისა, აუცილებლად მიიჩნია დაეხურა უნივერსიტეტი...“[52] ამდენად, უდავოა, რომ სწორედ აქედან გახდა ლენინისათვის ცნობილი 29 აგვისტოს ამბების გავლენა მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალ პროფესორებზე.

იმ შედეგების მხედველობაში მიღებით, რაც მოჰყვა თბილისელ მუშათა დახვრეტის დამოძახილს მოსკოვის უნივერსიტეტში, ლენინმა ერთხელ კიდევ აღნიშნა საზოგადოებრივ ძალთა ნამდვილი დაჯგუფება რუსეთის პირველ რევოლუციაში, ახალი მასალებით კიდევ უფრო ნათელყო თავისი შეხედულებანი ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ლიბერალური ბურჟუაზიის ბუნება, პროლეტარიატის კავშირი რევოლუციურ დემოკრატიასთან, რადიკალური სტუდენტობის განმთავისუფლებელი ბრძოლა და ა. შ.

---

[52] Ленинский сборник. XVI. გვ. 204.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

И. М. ТАБАГУА

ОБ ОТВЕТСТВЕННОСТИ ГЕРМАНСКОГО ИМПЕРИАЛИЗМА В РАЗВЯЗЫВАНИИ ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ

Император Австро-Венгрии Франц-Иосиф I (1830—1916) доживал свои последние годы. Он царствовал 68 лет (1848—1916). За период его правления Габсбургскую династию постиг ряд кровавых драм: в 1867 году брат императора, эрцгерцог Максимилиан был расстрелян в Мексике; престолонаследник — единственный сын императора, Рудольф (1858—1889) таинственно погиб; в 1896 году итальянский анархист Луккени убил императрицу Елизавету. Наследником престола стал племянник императора эрцгерцог Франц-Фердинанд (1863—1914)[1].

28 июня 1914 года эрцгерцог Франц-Фердинанд и его супруга герцогиня Гогенберг были убиты в населенном сербами боснийском городке Сараево, где эрцгерцог должен был присутствовать на больших манёврах боснийской армии[2]. Убийство было организовано тайной сербской националистической организацией «Млада Босна»[3].

Таким образом, Австро-Венгрия и Сербия опять были противопоставлены друг-другу как в 1908—1909 гг., но теперь, в результате сараевского убийства, дело шло ещё дальше — к европейскому осложнению.

Войну 1914—1918 гг., как известно, задолго до ее возникновения готовили империалистические державы. Эта война по своему характеру была войной империалистической, захватнической и возникла в результате неравномерного экономического и политического развития империалистических держав; она была результатом крайнего обострения империалистических противоречий; обе империалистические группировки — Антанта и Тройственный союз, подготавливали захватническую войну. Но среди империалистических государств, милитаристская Германия была самой агрессивной державой, ставившей своей целью пе-

---

[1] Генеалогию последних Габсбургов см. в: Général F. Gambiez et Colonel M. Suire, Histoire de la Première Guerre mondiale, t. I, Paris, 1968, стр. 76.

[2] После смерти Франц-Иосифа I в 1916 году, престол занял его внучатый племянник Карл I (1916—1918). Он же Карл IV король Венгрии (род. в 1887 г., умер в 1922 г.).

[3] См. Ю. А. Писарев, Освободительное движение югославских народов Австро-Венгрии 1905—1914 гг.

Более чем 3-х тысяч произведений посвящено Сараевской драме. В Париже в „Bibliothèque de Documantation Internationale Contemporaine", имеется более чем 50 тысяч названий, касающихся истории первого мирового конфликта. К этому следует добавить журнальные и газетные статьи, опубликованные и неопубликованные архивы, кинематографические и иконографические документы и другие материалы. См. Marc Ferro, La Grande Guerre 1914—1918, Paris, 1969, стр. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ераздел уже поделенного мира. Убийство в Сараево было использовано австро-германскими империалистами лишь как повод для нападения на Сербию, в результате чего была развязана первая мировая война.

Дипломатическая подготовка первой мировой войны и ее причины освещены в ряде исследований советских историков[4].

История германского империализма, ее экспансионистская политика также освещены в ряде работ историков ГДР[5], и в ФРГ вышли работы, где показана роль германского империализма в подготовке и развязывании первой мировой войны. Здесь следует отметить работы Г. Хальгартена и Ф. Фишера[6]. Г. Хальгартен на основании архивных и опубликованных документов, мемуаров и прессы освещает сущность экспансионистской политики германского империализма. Книга Ф. Фишера — «Рывок к мировому господству», вызвала большой шум среди буржуазных историков ФРГ (Г. Риттер и др.)[7]. В книге Ф. Фишера разоблачена экспансионистская программа правящих кругов кайзеровской Германии: автор показывает особую агрессивность германского империализма.

В своей второй книге — «Война иллюзий», Ф. Фишер показывает, как рождались захватнические цели германского империализма и как намечались пути для их осуществления[8].

Происхождение первой мировой войны также хорошо освещено в других опубликованных документах и монографиях[9].

---

[4] В. М. Хвостов, История дипломатии, т. II; Дипломатия в новое время 1871—1914 гг. Под ред. А. А. Громыко, И. Н. Земскова, В. А. Зорина, Б. С. Семенова, С. Д. Сказкина, В. М. Хвостова, М., 1963; А. С. Ерусалимский, Внешняя политика и дипломатия германского империализма в конце XIX в., М., 1951; А. З. Манфред, Внешняя политика Франции 1871—1891 гг. М., 1952; И. В. Бестужев, Борьба в России по вопросам внешней политики 1906—1910 гг. М., 1961; И. С. Галькин, Дипломатия европейских держав в связи с освободительным движением против Европейской Турции, М., 1960; Ф. А. Сидоров, Финансовое положение России в годы первой мировой войны (1914—1917 гг.); В. И. Бовыкин, Из истории возникновения первой мировой войны, М., 1961.

[5] J. Kuczynski, Studien zur Geschichte des deutschen Imperialismus, Bd. I—II, Berlin, 1952; A. Schreiner, Zür Geschichte der deutschen Aussenpolitik 1871—1945, Bd. I, Berlin 1955; A. Norden, Lehren deutscher Geschichte, Zur politischen Rolle des Finanskapitels und der Junker. Berlin, 1947; L. Stern, Der Antikommunismus die politische Hauptdoktrin der imperialistischen westdeutschen Geschichtsschreibung und Publizistik, Theorie und Praxis des deutschen Imperialismus, Halle, 1963; H. Bartel, Die Reichseinigung 1871 in Deutschland—ihre Geschichte und ihre Folgen, ZFG, H. 1—2, 1969.

[6] Г. Хальгартен, Империализм до 1914 года, Социологическое исследование германской внешней политики до первой мировой войны, пер. с немец. М., 1961; Fritz Fischer, Griff nach der Weltmacht, die Kriegszielpolitik des Kaiserlichen Deutschlands 1914—1918, Düsseldorf, 1971.

[7] Gerhard Ritter, Staatskunst und Kriegshandwerk, vol. II, 1960; G. Ritter, Der Schliefenplan, Kritik eines Mythos, München, 1956.

[8] Fr. Fischer, Krieg der Illusionen. Die deutschen Politik von 1911 bis 1914, Droste Verlag, Düsseldorf, 1969.

[9] См. Международные отношения в эпоху империализма, Документы из архивов царского и временного правительств, 1878—1917 гг. Серия III, т., IV—V, М.-Л., 1931; A. von Vegerer, Bibliographie zur Vorgeshichte des Krieges. Berlin, 1934; La storiographia della origini della prima guerra mondiale, „Questione di storia contemporanea“,

Автор данной статьи задался целью осветить лишь вопрос ответственности германского империализма в развязывании первой мировой войны, точнее — показать политику правящих кругов кайзеровской Германии на протяжении 39 дней июльского кризиса 1914 года на основании изучения немецких документов, опубликованных в одном из томов «Внешней политики германского Рейха»[10].

Националистические организации в Сербии, в том числе и «Черная рука», ставили своей задачей объединение южных славян и создание «Великой Сербии». В организацию «Черная рука» входила в основном молодежь: «... для совершения преступления, — сообщал в Берлин 30 июня 1914 года германский посол в Вене фон Чиршки, — отбирались совсем молодые люди, которых можно присудить лишь к незначительному наказанию»[11].

«Здесь (в Вене. — И. Т.), — продолжал посол, — слышу я часто также от серьезных людей, что нужно однажды основательно рассчитаться с сербами. Прежде всего, надо предъявить сербам ряд требований, если они их не примут — энергично наступать»[12].

Начальник генерального штаба австрийской армии Конрад фон Гетцендорф требовал войны против Сербии. Его поддерживал министр иностранных дел граф Берхтольд. Премьер-министр Венгрии граф Тисса выступал против крайних мер в отношении Сербии. «На этом первом этапе кризиса, — писал акад. В. М. Хвостов, — вопрос о войне и мире фактически решался в Берлине»[13].

Престарелый император Австро-Венгрии Франц-Иосиф колебался. Он говорил германскому послу: «Я очень мрачно смотрю на будущее... Я не знаю, долго ли еще мы сможем спокойно смотреть на будущее, но надеюсь, что ваш император взвесил опасность, которая имеется для монархии в соседстве с Сербией»[14].

В беседе с графом Берхтольдом посол фон Чиршки сказал: «Его Величество (император Австро-Венгрии. — И. Т.) может быть твердо уверен, что Германия поддержит монархию, как только речь пойдет о ее жизненных интересах». Далее посол добавил: «Я могу только повторить, что мой император поддержит каждое твердое решение Австро-Венгрии»[15].

Milano, 1953, стр. 394—531; Die Grosse Politik der Europäischen Kabinette, 1871—1914, Berlin, 1926, Bd. 39, Das Nachen des Weltkrieges 1912—1914, стр. 531—645; Die Deutschen Documente zum Kriegsausbruch, Berlin, 1921,4 vols.; British Documents on the origines of the War, vol. XI: The outbreak of the War, 1925; Diplomatische Aktenstücke zur Vorgeschichte des Krieges, Vienne, 1919, 3 vols.; Documents diplomatiques français, 1871—1914,3e série, t. XI, Paris, 1936; Österreich, Haus-, Hof-und Staatsarchiv, Wien, P. A. rot. 810, Interna LXX/I, Krieg 1914—1918, Verzeichnis der Liasse, ff. 8—767; Pierre Renouvin, La Crise européenne et la Première Guerre mondiale, Paris, 5e édit, revue et augmantée, 1969, H. Latz, Die Europäische Politik in der Julikrisis 1914, Berlin, 1930; Eug. Fischer, Die Kritischen 39 Tage von Sarajevo bis zum Weltbrand, Berlin, 1930; E. Anrich, Die englische Politik im Juli 1914, Stuttgard, 1934.

[10] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches 1871—1914, Bd. IV, Berlin, 1928. Kapitel 60. In dem Krieg. I. Von Attentat in Saraewo bis zum österreichisch-ungarischen Ultimatum an Serbien, стр. 739—852.

[11] Там же, стр. 39.

[12] Там же.

[13] В. М. Хвостов, История дипломатии, т. II, М., 1946, стр. 247.

[14] Die Auswärtige Politik..., Bd. IV, стр. 39.

[15] Там же.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Вместе с тем, Чиршки указывал: «нужно иметь в виду, что Австро-Венгрия на свете не одна; что нужно принимать во внимание не только союзников, но и общее положение в Европе и, особенно, позицию Италии и Румынии во всех касающихся Сербии вопросах»[16].

На полях этого письма имеются примечания сделанные императором Вильгельмом II. Там, где Чиршки пишет: «нужно однажды основательно расчитаться с сербами», император приписал: «теперь или никогда», а в другом месте он добавил: «у сербов навести порядок и как можно, скорее»[17].

В Берлине считали момент подходящим, ибо они знали, что Россия еще не готова к войне, но через несколько лет она будет готова к ней. Позицию германских правящих кругов того периода разоблачил В. И. Ленин. Он писал: «Немецкая буржуазия,... на деле выбрала наиболее удобный, с ее точки зрения, момент для войны,...»[18].

В этот период за позицией Болгарии внимательно следили в Вене. «Мое правительство, — писал император Франц-Иосиф императору Вильгельму II, — должно стремиться к изоляции и уменьшению Сербии. Первым этапом на этом пути будет поиск усиления позиции современного болгарского правительства, этим самым Болгария, чьи интересы совпадают с нашими, будет предохранена от возвращения к руссофильству»[19]. По мнению Франца-Иосифа, это повлияло бы на позицию Румынии.

«Если это удастся, — продолжал Франц-Иосиф, — можно сделать дальнейшую попытку: примирить Грецию с Болгарией и Турцией, тогда под покровительством Тройственного союза был бы образован новый Болгарский союз, цель которого состояла бы в том, чтобы прекратить продвижение панславянского половодья...»[20].

«Но, — по его мнению, — это будет возможно только тогда, если Сербия,... будет ликвидирована как фактор силы на Балканах»[21]. «Мысль, — говорилось в меморандуме австро-венгерского правительства, — освободить христианские народы от турецкого господства,... издавна является реальным политическим фоном традиционного интереса России к этим народам»[22].

Этот меморандум, который был составлен в Вене еще до убийства в Сараево, заканчивался следующими словами: «... руководство внешней политики Австро-Венгрии убеждено в том, что общим интересом монархии, как не менее и Германии является то, чтобы на современной стадии Балканского кризиса своевременно и энергично выступить против развития, к которому стремится и которому способствует Россия, которое позже вероятно не может быть аннулировано»[23].

5 июля австро-венгерский посол в Берлине граф Сегени передал Вильгельму II личное письмо Франца-Иосифа. В ответ на это письмо рейхсканцлер Германии Бетман-Гольвег сообщал своему послу в Вене для ориентации, что «император Франц-Иосиф может положиться на

---

16 Die Auswärtige Politik..., стр. 740.

17 Там же.

18 В. И. Ленин, Сочинения, т. 21, стр. 12.

19 Die Auswärtige Politik..., Bd. IV, стр. 741.

20 Там же.

21 Там же, стр. 742.

22 Там же, стр. 743.

23 Там же, стр. 749.

ეროვნული ბიბლიოთეკა

то, что его величество в согласии с его союзническим долгом и верностью старой дружбе будет стоять на стороне Австро-Венгрии»[24].

В тот же день, в беседе с графом Сегени Вильгельм II сказал, что Австро-Венгрия «в случае европейского осложнения может рассчитывать на полную поддержку Германии. Особенно это касается выступления против Сербии, с которым не должно медлить»[25].

После этой беседы, граф Сегени сообщал в Вену, что кайзер ему советовал «не мешкать с этим выступлением» против Сербии. «Позиция России будет во всяком случае враждебной, но он (кайзер. — И. Т.) к этому уже давно подготовлен, и если дело дойдет даже до войны между Австро-Венгрией и Россией, то мы можем быть уверены в том, что Германия своей обычной верностью союзника будеть стоять на нашей стороне»[26].

Во второй половине того же дня кайзер принял рейхсканцлера Бетман-Гольвега и помощника статс-секретаря Циммермана. В беседе с ними император в общих чертах сказал, что какие меры примет Австро-Венгрия против Сербии, это ее дело, «но император Франц-Иосиф должен знать, что мы не покинем Австро-Венгрию также в серьезные для нее дни. Наш собственный жизненный интерес требует сохранения целости Австрии»[27].

На второй день содержание этой беседы Бетман-Гольвег сообщил своему послу в Вене, а в Берлине он передал графу Сегени и секретарю Берхтольда графу Гойосу, что в конфликте с Сербией Австрия «может с уверенностью расчитывать на то, что Германия будет стоять за нее в качестве союзника и друга»[28].

Собственноручное письмо Вильгельма II Францу-Иосифу от 14 июля было отправлено в Вену 17 июля. В нем говорилось: «Я готов потребовать выполнения плана твоего правительства, который состоит в том, чтобы воспрепятствовать созданию нового Балканского союза, направленного в первую очередь против Австро-Венгрии, и скорее пойти на присоединение Болгарии к Тройственному союзу»[29]. Об этом были поставлены в курс дела послы Германии в Софии и Бухаресте с тем, чтобы эти последние со своей стороны держали в курсе дела тамошние правительства.

Для румынского короля было передано из Берлина: «Его величество император и король просят короля Корола, как верного родственника, друга и союзника обдумать, не сможет ли он отмежеваться от Сербии, а также выступить в Румынии против агитации, которая направлена против существования Дунайской монархии...»[30].

Утром 6 июля император Вильгельм II поехал в Киль, чтобы оттуда начать свою поездку по северу страны. Накануне, во второй половине дня 5 июля, в присутствии военного министра фон Фалькенгейма, обсуждалось состояние вооруженных сил Германии. Император, ссылаясь на серьезные последствия военных действий Австрии против

---

[24] Die Auswärtige Politik..., стр. 751.

[25] Там же, стр. 750.

[26] Österreich-Ungarns Aussenpolitik, Ed. VIII, N 10058, Цит. по Истории дипломатии, т. II, стр. 248.

[27] Die Auswärtige Politik..., Bd., IV, стр. 750.

[28] Österreich-Ungarns Aussenpolitik... N 10076, стр. 320.

[29] Die Auswärtige Politik..., стр. 750.

[30] Там же, стр. 751.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Сербии, обратился к военному министру с вопросом: «Готова ли армия для любого случая?» Фалькенгейн ответил утвердительно»[31].

Американский посол в Турции Моргентау указывает на совещание, которое было созвано в Потсдаме 5 июля, где было принято решение о войне. На совещании присутствовали почти все «значительные послы», «представители генерального штаба и имперского флота», крупные банкиры, директора железных дорог и руководители германской промышленности. Император Вильгельм II каждому в отдельности торжественно задал вопрос: «готовы ли Вы к войне?»[32]. На вопрос императора все ответили: «да», за исключением финансистов, которые попросили о 14-дневной отсрочке, для продажи своих иностранных бумаг[33].

«Заговор, — заключает Моргентау, — который вызвал самую большую человеческую трагедию, был задуман на этой Потсдамской конференции 5 июля императором и его бандой»[34].

5 и 6 июля согласие Берлина с политикой Австро-Венгрии придало кризису серьезный характер[35].

8 июля Берхтольд пишет Тиссе, что «в Германии не поймут» того, если Австрия «пропустит предоставившийся случай, не нанеся удара»[36].

Летом 1914 года Германия уже была готова к войне. Она «превосходила своей военной подготовкой и царскую Россию и Францию. Это превосходство состояло в быстроте мобилизации, точности работы железных дорог, обилии офицерских кадров, предварительной подготовке широкого боевого использования резервных формирований, в насыщенности армии артиллерией, в особенности, наличии полевой тяжелой артиллерии»[37].

В Берлине рассуждали примерно так: Россия еще не готова к войне; Франция не желает конфликта, тем более, что ей не хватает тяжелой артиллерии; Англия поглощена ирландскими делами. Следовательно, если Европа осталась бы пассивной, Австро-Венгрия имела бы возможность разгромить Сербию. Конфликт был бы локализован[38].

Уверенные в военном превосходстве кайзеровской Германии, правящие круги Берлина, пишет Ф. Фишер, не отступали перед опасностью развязывания войны в 1914 году, сознательно шли на риск военного конфликта с Россией и Францией, брали на себя «значительную часть исторической ответственности мирового кризиса»[39].

10 июля посол Чиршки сообщал в Берлин, что Франц-Иосиф «выразил пылкую благодарность за высказывание нашего всемилостивей-

---

[31] Die Auswärtige Politik...,

[32] „Sind Sie für den Krieg bereit?"

[33] Die Auswärtige Politik..., стр. 752.

[34] Там же. См. также, История дипломатии, т. II, М., 1945, стр. 248.

[35] P. Renouvin, Указ. соч., стр. 201.

[36] Die Auswärtige Politik..., стр. 751.

[37] История дипломатии, т. II, стр. 248; см. также: P. Renouvin, Указ. соч., стр. 201.

[38] P. Renouvin, Указ. соч., стр. 201.

[39] F. Fischer, Указ. соч., стр. 104; См. И. Табагуа, Ответственность германского империализма в развязывании первой мировой войны (по книге Ф. Фишера «Рывок к мировому господству»), III научная сессия отдела истории стран Европы Института истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили АН Грузинской ССР, Тбилиси, 1973, План работы и тезисы докладов, стр. 14—16.

шего государя и имперского правительства и заявил, что он полностью разделяет наш взгляд на то, что теперь нужно принять решение, чтобы положить конец невыносимым действиям Сербии». Значение такого решения, добавил граф Берхтольд, было совершенно ясно его величеству[40].

Относительно возможных действий против Сербии в Вене существовало два мнения: немедленное объявление войны Сербии (предложение Берхтольда) или предварительный ультиматум (предложение Тиссы)[41]. Соглашение не было достигнуто.

Тисса был против направления в Белград ультиматумного требования. Если в Вене этот шаг был бы сделан, Тисса, по его словам, «вынужден будет для себя лично сделать из этого выводы»[42].

8 июля он направил Францу-Иосифу официальное послание, в котором объяснял причины такой своей позиции: «Нападение на Сербию вызовет вмешательство России и мировую войну; поэтому ответственность за приведенную в требовании фразу о «военной агрессии против Сербии» разделить он не может». Таким образом, Сербии нужно направить выдержанную в категорическом, но не в угрожающем тоне ноту....[43].

В Вене существовало мнение: надо потребовать от Сербии «... официально и публично сообщить в торжественном заявлении и приказом по армии, что Сербия отказывается от политики в великосербском смысле», а также создать орган австро-венгерского правительства, который будет наблюдать за точным соблюдением этой гарантии»[44].

Но когда следовало передать такую ноту Сербии? Не целесообразно было передать такую ноту «в тот момент, когда президент Франции Р. Пуанкаре находился в Петербурге, и тем самым дать возможность французам и русским вместе обсудить свою позицию. Нота должна быть передана, если возможно, перед отъездом господина Пуанкаре из Парижа или после отъезда из Петербурга в Париж. Итак, следовательно, около 18 или 20 июля. За последнюю дату говорит вероятно то обстоятельство, что до того времени закончится уборка урожая в Австро-Венгрии, что облегчит мобилизацию и, в экономическом отношении предотвратит большие потери»[45].

Граф Берхтольд «полагал, что, между прочим, можно потребовать создания в Белграде органа австро-венгерского правительства, чтобы оттуда следить за великосербскими происками, и также, пожалуй, принятия решения об отставке некоторых скромпроментированных офицеров. Срок для ответа должен по возможности быть кратким, может быть, всего 48 часов. Правда, и этот короткий срок может быть достаточным для того, чтобы из Белграда послать предписание в Петербург»[46]. Но если Сербия примет все требования? Берхтольд думал «над тем, какие требования можно было бы поставить, чтобы ультиматум стал неприемлемым для сербов»[47].

---

[40] Die Auswärtige Politik... стр. 754.

[41] Там же.

[42] Там же.

[43] Там же.

[44] Там же.

[45] Там же, стр. 755.

[46] Там же, стр. 754.

[47] Там же.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Берхтольд жаловался перед германским послом «на позицию графа Тиссы, которая затрудняет ему энергично действовать против Сербии. Граф Тисса утверждает, что нужно действовать по-джентльменски»[48]. Здесь на полях имеется примечание Вильгельма II: «По отношению к убийцам, после того, что произошло! Слабоумие!»[49].

10 июля германский посол из Вены сообщал: «Воечный министр пойдет завтра в отпуск, барон фон Гетцендорф тоже на время покидает Вену. Это все делается умышленно, как сказал мне граф Берхтольд, для того, чтобы предотвратить любое беспокойство»[50]. На полях — примечание Вильгельма II: «По-детски»[51].

В конце этого письма своего посла, Вильгельм приписал слова в том же духе, как это делал во время Силезской войны Фридрих Великий: «Я против военных советов и совещаний»[52].

11 июля статс-секретарь МИД Германии фон Ягов сообщал своему послу в Вене, что «формулировка требований Сербии», это дело Австрии. Мы заинтересованы в том, «чтобы Вена собрала достаточно материала для того, чтобы доказать, что в Сербии существует великосербская агитация, которая угрожает монархии и тем самым убедить общественное мнение Европы, насколько это возможно, в правоте Австрии»[53].

Посол Германии в Лондоне Лихновский сообщил в Берлин, что трудно будет направить английское общественное мнение против Сербии. «Скорее можно согласиться с тем, что местные симпатии тотчас живо повернутся к Сербии, как только Австрия прибегнет к насилию»[54].

Ягов писал своему послу в Вене: «Речь идет теперь о важном политическом вопросе, вероятно о последнем поводе для того, чтобы нанести смертельный удар великосербству при сравнительно благоприятных сопуствующих обстоятельствах. Упустит Австрия этот повод или нет, это ее дело, и это явилось бы еще более ослабляющим нашу группировку обстоятельством. Так как, при известных интимных отношениях Англии и России, другая ориентация нашей политики исключена; для нас является жизненным интересом сохранить мировую позицию австрийского союзника»[55].

На это письмо фон Ягова Берхтольд ответил, что «он разделяет мнение статс-секретаря; впрочем, он сам теперь убежден, что необходимы срочные действия»[56].

Касаясь позиции Турции, фон Ягов писал своим послам в Вену и Константинополь, что «Турцию, в ближайщие годы из-за плохой обстановки в ее армии, можно рассматривать только как пассивный фактор. Она не в состоянии на агрессивные действия против России... Я полагаю, что Турция в своем теперешнем положении не может занять никакого другого места; ей остается колебаться туда и обратно между державами, или присоединиться к более сильной и более успешной группе»[57].

[48] Die Auswärtige Politik..., стр. 755.

[49] Там же.

[50] Там же.

[51] Там же

[52] Там же, стр. 756.

[53] Там же.

[54] Там же.

[55] Там же.

[56] Там же.

[57] Там же.

«Если Румыния, — продолжал фон Ягов, — сохранит твердую позицию по отношению к Тройственному союзу и если Болгария будет искать также присоединения к нашей группе, это несомненно тоже окажет влияние на позицию Турции»[58].

Иначе обстояло дело с Италией. Министр иностранных дел Италии маркиз ди Сан-Джулиано «опасается, — сообщал 15 июля фон Ягов своему послу в Вене, — что Италия не сможет поддержать австрийскую рекламацию, не вступая в противоречия с глубокообоснованным убеждением итальянского народа и с его либеральными принципами»[59].

Для фон Ягова было «несомненно, что оно (общественное мнение Италии. — И. Т.) в случае конфликта станет на сторону Сербии. Территориальное расширение австро-венгерской монархии, даже расширение за счет Балканских государств, будет рассматриваться как вредительство в отношении позиции Италии»[60].

Ди Сан-Джулиано объяснил германскому послу, что «подавления или захвата Сербии Австрией Италия вовсе не допустит»[61]. 16 июля посол Германии в Риме сообщал фон Ягову: «... если она (Австрия. — И. Т.) захочет получить какую-нибудь территорию, она должна это компенсировать Италии. В противном случае Италия ударит на нее с тыла»[62].

В Петербурге внимательно следили за позицией Италии. Вот, что писал фон Ягов своему послу в Вене: «В Петербурге будут считаться с тем, что Италия не только не следует своему союзническому долгу, но где возможно поворачивается непосредственно против Австро-Венгрии. Ведь крушение монархии откроет для Италии также перспективу на получение давно желанной части страны»[63].

По мнению Ягова, «единственной полноценной компенсацией Италия должна считать получение Трентино»[64].

Поэтому фон Ягов поручает своему послу в Вене «сделать позицию Италии темой обстоятельных конфиденциальных переговоров с графом Берхтольдом и при этом, возможно, коснуться вопроса компенсации»[65].

14 июля посол Чиршки сообщал в Берлин содержание его беседы с графом Тиссой. «Граф сказал, — писал посол, — что он до сих пор был тем, кто призывал к осторожности», но теперь, по его мнению, «монархия должна прийти к энергичному решению, чтобы доказать свою жизненность и положить конец непрочному состоянию на юго-востоке... Я с большим трудом решился на то, чтобы посоветовать перейти к войне, в необходимости которой теперь твердо убежден...»[66].

В этой беседе граф Тисса сказал: «безусловная установка Германии в сторону монархии (Австро-Венгрии. — И. Т.) несомненно окажет влияние на твердость позиции императора»[67].

---

58 Die Auswärtige Politik....

59 Там же, стр. 758.

60 Там же.

61 Там же.

62 Там же.

63 Там же.

64 Там же, стр. 759.

65 Там же.

66 Там же.

67 Там же.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Посол фон Чиршки сообщал в Берлин, что относительно момента передачи ноты Сербии, в Вене было решено: «лучше подождать отъезда Пуанкаре из Петербурга, следовательно до 25 июля». Прочитав это донесение своего посла из Вены, Вильгельм II приписал на полях: «как жаль»[68].

Закончив беседу с германским послом, Тисса пожал ему руку и сказал: «Давайте теперь вместе спокойно и твердо смотреть в глаза будущему»[69].

В Берлине были уверены, что «только пребывание Пуанкаре в Петербурге является причиной отсрочки передачи ноты в Белград... что в Вене не идет речи о колебании или нерешительности»[70].

17 июля Берхтольд сообщил советнику германского посольства в Вене принцу Штольбергу, что «ультиматум будет вручен в Белграде в день отъезда Пуанкаре из Петербурга (23 июля)... Президент будет уже на корабле, когда демарш станет известен в Санкт-Петербурге»[71].

Германская пресса умышленно выдерживала мягкий тон для успокоения европейской дипломатии. С другой стороны, фон Ягов предупредил своего посла в Вене: «Прошу позаботиться о том, чтобы это не было ошибочно истолковано как германское отступление от решительности»[72].

«Чем решительнее покажет себя Австрия, — писал фон Ягов своему послу в Лондоне Лихновскому, — тем энергичнее мы ее поддержим, для того, чтобы Россия скорее замолчала. Хотя в Петербурге шумят, но, в сущности, Россия сейчас не готова к бою. Англии и Франции сейчас также не нужна война. Через несколько лет, согласно компетентному предположению, Россия станет боеготовной. Тогда она подавит нас численностью своих солдат, тогда она построит свой балтийский флот и стратегические пути. Наша группировка между тем становится все слабее»[73].

Германский посол в Турции 21 июля сообщал в Берлин, что «не только Болгария, но также Румыния и Турция безоговорочно[74] станут на сторону Тройственного союза[75], если Австрия даст Сербии надлежащий урок»[76].

Рейхсканцлер фон Бетман-Гольвег направил специальное письмо послам в Петербург, Париж и Лондон, где писал, что главной виновницей является Сербия, ее великосербские стремления и что Австро-Венгрия вынуждена ответить на это.

Посол Германии в Петербурге Ф. Пурталес 21 июля сообщал Бетману-Гольвегу содержание своей беседы с Сазоновым. Этот последний ему сказал, что «получил очень тревожные сообщения из Лондона, Парижа и Рима, где повсюду позиция Австро-Венгрии внушает все возрастающие опасения»[77]. Кроме того, русский посол в Вене Шебеко

---

[68] Die Auswärtige Politik..., стр. 760.

[69] Там же. Здесь рукой кайзера приписано: «Ну все-таки мужчина!».

[70] Там же.

[71] Там же.

[72] Там же, стр. 761.

[73] Там же, стр. 763.

[74] Здесь на полях заметка кайзера: «Ну?».

[75] Рукой кайзера приписано: «Мы хотим, чтобы господа вспомнили об этом в соответствующий момент».

[76] Там же, стр. 766—767.

[77] Там же, стр. 768.

указывал, что «настроение в Вене по отношению к Сербии становится все хуже»[78].

22 июля Сазонов дал указание послу в Вене Шебеко: «... настойчиво указать министру иностранных дел на опасные последствия, к которым может повести подобное выступление, если оно будет иметь неприемлимый для достоинства Сербии характер. Из моих объяснений с французским министром иностранных дел явствует, что и Франция, весьма озабоченная оборотом, который могут принять австро-венгерские отношения, не склонна допустить не оправдываемого обстоятельствами унижения Сербии»[79].

По словам посла Пурталеса, Сазонов считал, что подлинными руководителями опасной политики проводимой «в настоящее время Австро-Венгрией...[80] являлись два человека, возрастающее влияние которых кажется в высшей степени опасным, именно — граф Форгах, «интриган худшего сорта», и граф Тисса — «дурак наполовину»[81].

Сазонов заметил, указывает Пурталес, что целью тех, которые выступают в Вене против Сербии, «является уничтожение Сербии»[82]. Если Австро-Венгрия хочет нарушить мир, добавил Сазонов, она «не должна забывать, что в этом случае ей придется считаться с Европой»[83]. Россия не сможет равнодушно смотреть акцию, которая предполагает унижение Сербии»[84].

По словам Пурталеса, «Сазонов выразил свои опасения по поводу австро-венгерской напряженности также моему итальянскому коллеге и при этом заметил, что Россия не потерпит того, чтобы Австро-Венгрия угрожала бы Сербии или предпринимала военные меры»[85].

В одном месте письма германского посла в Константинополе Вангенхаима, где речь идет о позиции Турции, император Вильгельм II приписал: «... теперь речь идет о получении каждого ружья, которое готово на Балканах выстрелить за Австрию против славян, поэтому турецко-болгарский союз с присоединением к Австрии желателен. Это своевременная политика, которая должна здесь проводиться»[86].

23 июля статс-секретарь фон Ягов докладывал своему императору, что английский министр иностранных дел Эдвард Грей намерен, если австро-венгерские требования к Сербии будут ускорены, оказать свое влияние на сербское правительство, чтобы заставить принять их. Он думает, что и Сазонов поступит так же»[87].

Интересен тот факт, что граф Берхтольд избегал разговаривать с сэром Маврикомдe Бенсем (английским послом в Вене) о сербском вопросе[88].

---

[78] Die Auswärtige Politik....

[79] Международные отношения в эпоху империализма..., т. IV, док. № 322, 22/9 июля, стр. 381.

[80] Там же, стр. 731. Рукой кейзера приписано: «Картина больше подойдет Петербургу!».

[81] Там же. Здесь кайзер приписал: «Дурак сам господин Сазонов!!!!».

[82] Там же. Кайзер приписал : «Было бы также самым лучшим!».

[83] Там же. Кайзер приписал: «Нет. Россия да! как виновника и агента убийства князя!!!».

[84] Там же.

[85] Там же. Кайзер приписал: «Поживем, увидим!».

[86] Там же, стр. 772.

[87] Там же, стр. 773.

[88] Там же.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«Ваше Величество, — писал фон Ягов кайзеру, — посол в Лондоне получит инструкцию для урегулирования разговора в том смысле, что мы не знали австрийских требований, но они рассматриваются как внутренний вопрос Австро-Венгрии, на который мы не в состоянии повлиять» На этом месте кайзер приписал: «Правильно! Это должно быть сказано Грею вполне серьезно и ясно! Чтобы он увидел, что я не заинтересован... Сербия — банда разбойников, которая должна быть схвачена за преступление!»[89].

22 июля во второй половине дня — 6 ч. 35 м., посол Чиршки сообщил в Берлин, что император Франц-Иосиф утвердил текст ультиматума. Вскоре после этого — между 7 и 8 часами вечера, австро-венгерский посол в Берлине сообщил точный текст ультиматума фон Ягову[90].

Ознакомившись с текстом ультиматума Вильгельм II воскликнул: «Браво! Признаться, от венцов этого не ожидал»[91].

23 июля французское правительство обещало русскому правительству «выполнить союзнические обязательства» и, что оно готово выступить на стороне России, если Германия поддержит Австро-Венгрию[92].

В тот же день—23 июля, в 6 часов вечера, ультиматум с 48-часовым сроком вручили в Белграде правительству Сербии. Утром 24 июля европейские кабинеты были официально поставлены в известность об австро-венгерском демарше и содержании ультиматума[93].

За вступительной частью ультиматума следовало 10 требований: недопущение враждебной Австро-Венгрии пропаганды в сербской печати; закрытие антиавстрийских организаций; увольнение офицеров, чиновников и учителей, замешанных в антиавстрийской деятельности и пропаганде (списки этих лиц составлялись австрийским правительством); устранение из школьного обучения всех элементов антиавстрийской пропаганды; участие австрийских властей в подавлении антиавстрийского движения на территории Сербии, и, в частности, участие в следствии по сараевскому делу; строгое наказание лиц, замешанных в сараевском убийстве.

Тон ультиматума умышленно был унизительным. Сербское правительство сразу обратилось к России с просьбой о защите.

В Риме, министру иностранных дел Сан-Джулиано, во второй половине дня 23 июля вкратце было сообщено австрийским посольством о содержании ультиматума. По этому поводу Сан-Джулиано сказал германскому послу, что «он находит противным духу Тройственного союза — вступать в такие акции, не спрося прежде союзников»[94].

Для успокоения Сан-Джулиано, фон Ягов велел послу сказать ему: «что мы тоже были информированы об австрийской ноте не раньше»[95].

23 июля рейхсканцлер Бетман-Гольвег сообщил кайзеру о том, что австро-венгерский ультиматум будет передан «сегодня во второй половине дня, или вечером в Белград, а завтра утром — опубликован в Вене. Итак, срок ультиматума истекает 25-го вечером. Наша пози-

---

[89] Die Auswärtige Politik....

[90] Там же, стр. 774. Содержание ультиматума см. также: стр. 774—776.

[91] Там же, стр. 774

[92] Histoire des Relations internationales, publiée sous la direction de P. Renouvin, t. VI, le XXe s. II, de 1871—1914, Paris, 1955, стр. 368—370.

[93] Die Auswärtige Politik...., стр. 776.

[94] Там же.

[95] Там же.

ция будет такой, будто дело идет о разногласии, которое касается только Австрии и Сербии... Поездка президента Пуанкаре, который сегодня вечером покидает Кронштадт, 25-го посетит Стокгольм, 27-го — Копенгаген, 29-го — Христианию и 31-го — прибудет в Дюнкерк, должна замедлить все решения»[96].

24 июля заместитель статс-секретаря Германии Шоен писал послам в Париж, Лондон и Петербург: «В здешних дипломатических кругах распространяется мнение, что мы побудили Австро-Венгрию направить решительную ноту Сербии и принимали участие в ее составлении. Слух, кажется, исходит от Камбона[97]. Прошу в случае необходимости выступить там против него»[98].

В тот же день граф Берхтольд в беседе с русским поверенным в делах в Вене Кудашевым заявил, что «Австрия ни в коем случае не претендует на территорию Сербии». На этом месте донесения своего представителя Вильгельм II приписал: «Осёл! Санджак должен быть вновь взят, иначе сербы выйдут к Адриатике»[99].

Далее, Берхтольд сказал русскому поверенному в делах, что Австро-Венгрии более «несвойственно желание изменить существующее состояние сил на Балканах и в Европе». Здесь Вильгельм на полях приписал: «Оно произойдет само и должно произойти. Австрия должна преобладать на Балканах по сравнению с другими за счет России, иначе не будет покоя»[100].

24 июля Германский посол в Риме Флотов сообщал в Берлин содержание своей беседы с премьер-министром Италии Саландрой и министром иностранных дел Сан-Джулиано. В этой беседе Сан-Джулиано сказал, что «дух Тройственного союза, при таком чреватом последствиями агрессивном шаге Австрии, требовал договориться прежде с союзниками. Так как этого с Италией не случилось, то Италия может считать себя не связанной обязательствами при последствиях, вытекающих из этого шага»[101].

Сообщая в Берлин содержание беседы с сэром Эдвардом Грэем, 24 июля посол Германии в Лондоне Лихновский писал, что Грэй ему заявил: «Государство, которое примет подобное (речь идет об ультиматуме Австро-Венгрии, переданном Сербии. — И. Т.) в сущности прекращает считаться самостоятельным государством». Здесь на полях рукой Вильгельма II приписано: «Это было бы очень желательно. Это не государство в европейском смысле, а банда разбойников!»[102].

Эдвард Грэй сказал Лихновскому, что «он склонен, чтобы в случае опасной напряженности между Россией и Австрией, посредничество между Россией и Австро-Венгрией, взяли на себя четыре не участвующих непосредственно государства: Англия, Германия, Франция и Италия». Вильгельм II на этом месте приписал: «Излишне! Так как, Австрия уже ориентирована на Россию, а Грэй не может предложить ничего другого. Я буду участвовать, только если Австрия меня выразительно об этом попросит, что маловероятно. В вопросах чести и в жизненных вопросах других не консультируют»[103].

96 Die Auswärtige Politik..., стр. 779.

97 Камбон Поль (1843—1924) — посол Франции в Лондоне в 1898—1924.

98 Die Auswärtige Politik... стр. 781

99 Там же, стр. 782.

100 Там же.

101 Там же, стр. 782—783.

102 Там же, стр. 783.

103 Там же, стр. 785—786.

ЭЛ ПОЗЕЛЕ ЕЛЕ ЕЛЕ ЕЛЕ

25 июля посол Пурталес сообщал из Петербурга, что он беседовал с министром иностранных дел России Сазоновым и, что он убедился: если Австро-Венгрия «захочет сделать территориальные приобретения за счет Сербии, Россия возмется за оружие»[104].

В субботу, 25 июля без 2-х минут шесть вечера премьер-министр Пашич передал сербский ответ австро-венгерскому посланнику в Белграде барону Гизлю. Так как нота не содержала безоговорочного принятия австрийских требований, посланник барон фон Гизль объявил дипломатические отношения между Австро-Венгрией и Сербией разорванными и покинул, вместе с персоналом посольства, сербскую столицу.

Сербское правительство не отклонило ни одного требования австрийцев, даже провокационных, с оговорками оно приняло девять пунктов; но не соглашалось принять только один пункт: допуск австрийских представителей к расследованию дела о заговоре в Сербии.

26 июля рейхсканцлер Бетман Гольвег писал своему императору: «Если Россия намеривается вступить в конфликт с Австрией, то Англия имеет намерение начать посреднические действия и при этом надеется на французскую поддержку. Пока Россия не производит враждебных действий, я думаю, что наша направленная на локализацию позиция тоже остается прежней». Здесь рукой Вильгельма приписано: «Спокойствие есть первый гражданский долг! Только спокойствие, всегда только спокойствие! Спокойная мобилизация — как раз что-то новое»[105].

В Берлине делали все для того, чтобы задержать в России мобилизацию как можно дольше. 26 июля Бетман-Гольвег писал своему послу в Петербурге: «... сохранение европейского мира зависит только от России. Мы полагаемся на миролюбие России и на наши давно испытанные добрые отношения, что она не предпримет шага, который серьезно будет угрожать европейскому миру»[106].

В тот же день рано утром посол Пурталес сообщил в Берлин сведения германского военного уполномоченного при русском дворе генерала фон Халиуса: «Войсковые занятия в лагере Красное были сегодня внезапно прерваны, полки немедленно возвращаются назад; маневры отменены. Курсантам военных училищ сегодня присвоено звание офицеров... В штабе царит большое волнение по поводу образа действий Австрии; у меня сложилось впечатление, что сделаны все приготовления для мобилизации против Австрии»[107].

Все события развивались так, как этого желали в Берлине. Главное было вину — за развязывание войны свалить на Россию.

Ссылаясь на телеграмму генерала фон Халиуса, вечером того же дня Бетман-Гольвег телеграфировал Пурталесу в Петербург для передачи Сазонову: «Подготавливаемые военные мероприятия России, которые направлены каким-либо образом против нас, вынуждают нас к ответным мерам, которые должны состоять в мобилизации армии. Но мобилизация означает войну, и притом, одновременно направленную против России и Франции, так как ведь нам известны ее обязательства по отношению к России[108].

---

[104] Die Auswärtige Politik..., стр. 787.

[105] Там же, стр. 792.

[106] Там же.

[107] Там же.

[108] Там же.

С другой стороны, в тот же день Бетман-Гольвег направил своему послу в Лондон Лихновскому телеграмму следующего содержания: «По сообщениям доставленным сюда достойными доверия источниками, правда, еще недостоверным, в России предстоит призыв нескольких призывных возрастов, что может равняться мобилизации против нас. Если эти сообщения оправдаются, то мы будем принуждены против желания к ответным мерам... Поэтому мы просим сэра Эдварда Грэя подействовать в этом смысле на Петербург»[109].

Одновременно Бетман-Гольвег телеграфировал в Париж своему послу: «Решение о том должна ли начаться европейская война, в данный момент зависит только от России. Мы полагаемся на Францию, с которой, как известно мы едины в желании сохранить мир в Европе, что она в Петербурге повлияет в успокоительном смысле»[110].

Это сообщение в Париже встретили с крайним недоверием. Ясно было, что в Берлине хотели «свалить ответственность за возможную войну на Россию и Францию»[111].

Посол Лихновский из Лондона сообщал в Берлин: «Сомневаюсь, что сэр Эдвард Грэй в состоянии подействовать в Петербурге в упомянутом смысле, так как после появления австрийских требований здесь никто больше не думает о возможности локализовать конфликт...»[112].

28 июля император Вильгельм II телеграфировал лично Николаю II. Телеграмма аппелировала к монархическим чувствам царя, который, как все суверены, должен был быть заинтересован в том, чтобы «трусливое убийство» в Сараево получило свое заслуженное наказание»[113].

Телеграмма кайзера разминулась с депешой царя, которая была представлена кайзеру утром 29 июля. Царь писал: «Недостойная война объявлена слабой стране. Негодование в России, которое я полностью разделяю, чрезвычайно. Я предвижу, что очень скоро стану жертвой оказываемого на меня давления и буду вынужден принять чрезвычайные меры, которые приведут к войне». Поэтому он просил кайзера «удержать своих союзников от того, чтобы они зашли слишком далеко»[114].

В ответной телеграмме от 29 июля кайзер оправдывал действие Австрии в отношении Сербии и указывал, что Австрия не имеет намерения захватить территорию Сербии. Поэтому он советовал царю, чтобы Россия оставалась «в австро-сербском конфликте в роли наблюдателя...[115].

28 июля австро-венгерское правительство послало телеграмм сербскому правительству, где говорилось об объявлении войны, и австро-венгерские войска начали военные действия против Сербии. Россия и Франция обратились к Англии, чтобы она определила свою позицию.

Только 29 июля в беседе с германским послом в Лондоне Лихновским Эдуард Грэй изложил позицию Англии. В результате этой бе-

---

109 Die Auswärtige Politik..., стр. 703.

110 Там же.

111 Там же.

112 Там же.

113 Там же, стр. 806.

114 Там же, стр. 807.

115 Там же.

ეროვნული ბიბლიოთეკა

седы Лихновский сообщал в Берлин: Англия «может остаться в стороне до тех пор, пока конфликт ограничивается Австрией и Россией. Но, если бы в него втянулись мы и Франция, положение изменилось бы в тот же час, и британское правительство, при известных условиях, было бы вынуждено принять срочные решения. В этом случае нельзя было бы долго оставаться в стороне и выжидать»[116].

Заметка кайзера на телеграмму Лихновского показывает, как восприняли в Берлине такую позицию Англии. Вильгельм II на полях телеграммы приписал: «Англия открывает свои карты в момент, когда она сочла, что мы загнаны в тупик и находимся в безвыходном положении! Низкая торгашеская сволочь старалась обманывать нас обедами и речами. Грубым обманом являются адрессованные мне слова короля в разговоре с Генрихом: «Мы останемся нейтральными и постараемся держаться в стороне как можно дольше». Грэй определено знает, что стоит ему только произнести одно серезное предостерегающее слово в Париже и в Петербурге и порекомендовать им нейтралитет, как оба тотчас же притихнут. Но он остерегается вымолвить это слово и вместо этого угрожает нам! Мерзкий сукин сын!»[117].

Теперь главное было задержать в России мобилизационные мероприятия, чтобы в первые дни войны Германия могла своими основными силами действовать против Франции.

Несмотря на телеграммы Вильгельма II, целью которых являлась задержка мобилизации в России, 29 июля под воздействием начальника генерального штаба Янушкевича, Николай II подписал указ о всеобщей мобилизации. Но за несколько минут до его передачи по телеграфу, начальник мобилизационного отдела генерального штаба генерал Добровольский получил распоряжение царя приостановить передачу указа. Оказалось, что царь получил новую телеграмму императора Вильгельма II, где кайзер обещал, что будет стараться примирить Россию с Австрией.

Сазонов, Янушкевич и Сухомлинов решили во что бы то ни стало воздействовать на царя. 30 июля утром они собрались и решили поговорить по телефону с Николаем II. По телефону говорил Янушкевич, но царь ему сказал, что по этому поводу прекращает с ним разговор. Однако Сазонов добился свидания у царя в 3 часа дня. Было решено, что если Сазонов добьется согласия царя на мобилизацию, то он позвонит по телефону оттуда Янушкевичу и отдаст распоряжение, затем сломает свой телефон и уйдет из дома, чтобы его не могли найти для новой отмены мобилизации.

Сазонов добился согласия царя на мобилизацию. Он вышел от царя и из вестибюля позвонил Янушкевичу, сообщив о полученной санкции царя. «Теперь вы можете сломать свой телефон» — добавил он. В 5 часов дня 30 июля по всей стране был передан указ царя о всеобщей мобилизации. 31 июля утром все уже знали об этом.

1 августа посол Германии граф Пурталес явился к Сазонову и попросил ответа на германскую ноту от 31 июля о прекращении мобилизации; получив отрицательный ответ, он передал новую ноту германского правительства Сазонову. Это была нота об объявлении Германией войны России.

31 июля германское правительство обратилось к Франции: готова ли она дать обязательства соблюдать нейтралитет. Но немецкому пос-

---

116 Die Deutschen Dokumente, Bd. II, N 357, стр. 368.

117 Там же, № 368, стр. 88.

лу Шёну была дана другая инструкция: при получении от Франции удовлетворительного ответа на вышеуказанный вопрос, предъявить другое требование: передать Германии крепости Тулон и Верден. В Берлине знали, что на это французы не пойдут. Таким образом, германские руководители старались заставить французов воевать.

Но дело не дошло до второй ноты. Французы ответили, что они сохраняют свободу действий. 1 августа Президент Французской республики Раймон Пуанкаре отдал приказ о мобилизации. В этот день началась мобилизация и в Германии. 3 августа Германия объявила войну Франции.

4 августа английское правительство предъявило Германии ультиматум с требованием безоговорочно соблюдать нейтралитет Бельгии. Не получив ответа от германского правительства, Эдвард Грэй направил письмо послу Лихновскому о том, что с 11 часов вечера 4 августа оба государства — Великобритания и Германия находятся в состоянии войны между собой.

Таким образом, для милитаристской Германии, которая в течение нескольких лет усиленно готовилась к войне[118], убийство престолонаследника Австро-Венгерской империи эрцгерцога Франца-Фердинанда в Сараево, явилось удобным поводом для развязывания войны в Европе.

---

118 См. В. Г. Чочия, Германия накануне первой мировой войны (Активизация внешней политики и усиленная подготовка к войне в 1909 — 1914 гг.), Автореферат, Тбилиси, 1975

Представил отдел истории Советской Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეო გიცგა

დროებითვალდებულ გლეხთა ბრძოლა გადასახადების წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოში

მემამულეთა მიწებით სარგებლობისათვის 1864 წლის რეფორმამ გლეხებს დააკისრა გადასახადები. სიგელების შედგენამდე ბატონყმობის გაუქმებიდან ორი წლის განმავლობაში მათ მემამულეებისათვის რეფორმამდელი გადასახადები უნდა გაეღოთ. დაწესდა მხოლოდ გარკვეული ზღვარი და ზოგიერთი შემსუბუქებაც ბეგარის შესრულებისას. ღალა-კულუხი გაიღებოდა მოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით, ნათიბი არა უმეტეს 1/3 ნაწილისა, ბეგარა კი კვირაში ერთი დღე იანგარიშებოდა და სამუშაო დღეების რაოდენობა სეზონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 3/4 აპრილიდან დეკემბრამდის, დანარჩენი კი ზამთრის დღეებში. ბეგარა სრულდებოდა ერთი მამულის ფარგლებში და არა უშორეს 10 ვერსისა. გლეხებს რეფორმამდელ დავალიანებათა გასტუმრებაც დააკისრეს — სესხების და მიუცემელი გადასახადების გაღება[1]. ამ საკითხზე მემამულეს თხოვნით უნდა მიემართა მომრიგებელი შუამავლისათვის, რომელიც დადგენდა გლეხის მიერ მებატონისათვის მისაცემი, ე. წ. „ნედოიმკის“ ოდენობასა და ვადასაც. თუ გლეხი არ უარყოფდა მემამულის მოთხოვნას, მას შეუცველად უნდა შეესრულებინა, სადავო შემთხვევაში კი მხოლოდ ისეთ დავალიანებათა გასტუმრება ევალებოდა, როდესაც მემამულე გაცემული სესხის დაბრუნებას მოითხოვდა და გადასახადი ჩვეულებრივ ნორმას (უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში გაღებულს) არ აღემატებოდა.

რეფორმის შემდეგ მშრომელი მოსახლეობისათვის ძნელი მოსათმენი იყო მემამულეებთან ძველებური დამოკიდებულების შენარჩუნება. გარდამავალი პერიოდის (რეფორმიდან ორი წელი) გადასახადებთან დაკავშირებით დიდი ბრძოლა გაიშალა სოფლად. გლეხთა ნაწილი კატეგორიულ უარზე იყო გაეღო რეფორმამდელი გადასახადი. გორის მაზრის სოფელ ნახიდაში, მაგალითად, 1865 წ. მემამულე ლუარსაბ ერისთავის გლეხები თამამად უცხადებდნენ მომრიგებელ შუამავალს, რომ „უმაღლესი მანიფესტის გამოცხადების შემდეგ ისინი არ თვლიდნენ თავს მოვალედ თავიანთ მფლობელებისათვის რაიმე გადასახადი მიეცათ“[2]. მომრიგებელი შუამავალი იძულებული შეიქნა მიემართა პოლიციური ზომებისათვის მათგან გადასახადების ასაკრეფად. 1865—1866 წლებში ამავე მაზრის მემამულე კონია ერისთავი არაერთგზის ჩიოდა, რომ მისი ყოფილი ყმები არ უხდიდნენ მას სიჩუქარ-ბეგარასა და ბეგარას, რაც მათ რეფორმამდეც ევალებოდათ[3]. მსგავს მდგომარეობაში იყო დავით ივანეს ძე ერისთავი. ჭურთის ხეობაში მცხოვრები მისი გლეხები არ ასრულებ-

---

[1] იხ. „საისტორიო მოამბე“, № 4, თბ., 1948, გვ. 460—461; Документы по истории Грузии, т. I, ч. I, под ред. проф. Ш. К. Чхетия, Тб., 1954, გვ. 235—236.

[2] სსცია, ფ. 31, საქ.28, ფურც. 13—16.

[3] იქვე, ფურც. 25, 35, 38, საქ. 23583, ფურც. 333—334.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ თავიანთ ვალდებულებებს და მტკიცე შეუპოვრობას იჩენდნენ. მათ თავი მოიყარეს სოფ. ჯორთისში და ერთგულების ფიცი დადეს ეკლესიაში. მაზრის უფროსის მიერ გადასახადის ასაკრეფად გამოგზავნილ მოხელეს გლეხები კეტებით შეიარაღებული დახვდნენ, არ მისცეს დავალების შესრულების საშუალება და გააქციეს. გლეხებმა მომართეს საჩივარსაც. მათ დასამშვიდებლად ადგილზე გაიგზავნა საკრებულოს წევრი და საჭირო შეიქნა მაზრის უფროსის დახმარებაც. მემამულე დაითანხმეს გლეხებისაგან მოთხოვნილი თანხა შეემცირებინა, მაგრამ ამასთანავე, ყოფილ ყმებს რომ მომავალში მსგავსი მოქმედებანი არ განემეორებინათ, რამდენიმე მათგანი დააპატიმრეს (1867 წ.).[4]

ხშირად მწვავე ბრძოლა გლეხებსა და მემამულეებს შორის გადასახადების ოდენობასთან დაკავშირებით იმართებოდა. საკრებულო აღსავსე იყო გლეხთა საჩივრებით მათგან ზომაზე მეტი გადასახადის მოთხოვნის გამო და მომრიგებელ შუამავლებზე, რომლებიც მხარს უჭერდნენ მემამულეებს. გლეხთა ეს საჩივრები მიზნად ისახავდა არა მარტო საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას, არამედ საერთოდ გადასახადისაგან განთავისუფლებასაც. ასე მაგალითად, გორის მაზრის სოფლებში — ქვლიანა, ელტურა, დისიგინი, საკანაპო, ვანური, ინაური და ვეიდრა გლეხები უარს აცხადებდნენ 1863 წლის გადაუხდელი და 1864 წლის გადასახადის გაღებაზე იმ მიზეზით, რომ ეს მათ შემლებას აღემატებოდა. გლეხების მტკიცებით, მემამულე გიორგი ერისთავს თითოეული კომლის სარგებლობაში მყოფი მიწა მეტი რაოდენობით უჭირავებია და ამ საფუძველზე მომრიგებელი შუამავლის მიერ შედგენილი განრიგით ზომაზე მეტ გადასახადს მოითხოვდა[5]. ერედეული გლეხებიც (1865 წ.) ჩიოდნენ, რომ მათმა ყოფილმა მებატონეებმა — ფავლენიშვილებმა, მომრიგებელ შუამავალთან ერთად უმართებულოდ შეადგინეს კოდის პურის გაღების განრიგი — მას ნასყიდი მიწებიდან ანგარიშობდნენ[6]. ზოგიერთ მაზრაში მომრიგებელ შუამავალთა მემამულეებისადმი მიკერძოება ისეთ ფართო მასშტაბს ღებულობდა, რომ საკრებულო (გლეხთა საქმის მომგვარებელი დაწესებულება) იძულებული შეიქნა შეეკავებინა მათი მოქმედება. 1866 წელს ივლისში, მაგალითად, თელავის მაზრის მომრიგებელი შუამავლები ითხოვდნენ ნებას საკრებულოსაგან საწესებდო სიგელების შედგენამდე მთელ მაზრაში გადასახადის ერთიანი ნორმა დაედგინათ (1 კოდი დღიურიდან). მათი განცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ ამ მაზრის თავად ჭავჭავაძეების გლეხებმა საკრებულოში მთელი საზოგადოების სახელით წარადგინეს საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ მომრიგებელი შუამავლის დადგენილებით ღალის გაღების ძველებური წესი ეცვლებოდათ. გლეხები ითხოვდნენ წინანდელი გადასახადის შეუცვლელად დატოვებას ანდა წინააღმდეგ შემთხვევაში ბეგარის შემცირებას, რადგანაც მისი გაღება ახალ გადასახადებთან ერთად მათ შემლებას აღემატებოდა. მომრიგებელ შუამავალთა მოქმედებას რომ გლეხთა უფრო ძლიერი მღელვარება არ გამოეწვია, საკრებულო საგანგებოდ შეახსენებდა მათ, რომ გადასახადის ნორმა მხოლოდ იმ კერძო შემთხვევაში შეეძლოთ დაეწესებინათ, როცა მემამუ-

---

[4] იხ. საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხ. სახელმძ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1962, გვ. 134; მ. ახობაძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX ს ის 60—90-იან წლებში თბ., 1970, გვ. 147; სსცია, ფ. 31, საქ. 28, ფურც. 63—64; საქ. 186, ფურც. 189—197.

[5] სსცია, ფ. 31, საქ. 19968, ფურც. 92—95.

[6] იქვე, საქ. 31, ფურც. 56, 62—65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე და გლეხები ამის შესახებ ვერ შეთანხმდებოდნენ, წინდაწინ საერთო წესის შემოღების უფლება კი არ ჰქონდათ[7].

გლეხთა ნაწილი ცდილობდა გადასახადებზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ მებატონის მიერ რეფორმის წინ დაწესებული გადასახადი უკანონოდ, ძალმომრეობით იკრიფებოდა. 1865 წ. გორის მაზრის სოფელ ჭარებში მცხოვრები გლეხი ნიკო ლაფაჩი უარს ამბობდა ანგარიში გაესწორებინა თავის მემამულე ნიკო ერქომლიძესთან თანხის გადაუხდელობისათვის იმ მიზეზით, რომ მემამულემ რეფორმამდე ძალმომრეობით დაავალდებულა იგი გადაეხადა ფული (შეაპყრობინა, აცემინა როზგებით და აიძულა მიეცა მისთვის ხელწერილი 30 მან. გადახდის შესახებ)[8]. მსგავსად იქცეოდნენ სხვა გლეხებიც, რომლებიც უჩიოდნენ მემამულეთა ძალმომრეობასა და გადასახადის უსამართლოდ მოთხოვნას[9]. მიმდინარე გადასახადებთან ერთად რეფორმამდელი „ნედოიმკების“ გაღება გლეხთა ვალდებულებათა ტვირთს საგრძნობლად ზრდიდა. იგი არც თუ იშვიათად პირადი დამოკიდებულების მატარებელ საფასურსაც შეიცავდა, რაც გაუქმებული იყო რეფორმით, მაგრამ ამის გარკვევა-გამორიცხვა ბევრ შემთხვევაში არც უცდია ხელისუფლებას. „ადრე არსებული სხვადასხვა ფულადი გამოსაღების ერთიანი გადასახადით შეცვლის შემთხვევაში არ არის საჭირო გავარჩიოთ სამოურავოს, სავაჭროს და ა. შ. სახელწოდებით ცნობილი რომელი საფასურისაგან შედგა ფულადი გადასახადი“ — იყო თქმული. მაგალითად, საკრებულოს დადგენილებაში, როდესაც ირჩეოდა ქსნისა და ოსეთის უბანში მცხოვრები კონია ერისთავის გლეხთა გადასახადის საკითხი საწესდებო სიგელების შედგენამდე[10]. თავად ერისთავების გლეხებისათვის, რომლებიც გორის მაზრის მთიანი მხარის მაღრან-დვალეთის ხეობაში ცხოვრობდნენ, იმდენად აუტანელი ყოფილა მოთხოვნილი გადასახადი, რომ 91 კომლმა გლეხმა თელი საზოგადოების სახელით მოითხოვა თერგის მხარეში გადასახლება. მაგრამ მათ არც საამისო ნებართვა მიიღეს და არც მდგომარეობა შეუმსუბუქდათ[11]. გასული წლების, ე. წ. „ნედოიმკების“ შესახებ თბილისის გუბერნიაში მომრიგებელ შუამავლებთან 1865—1867 წწ. 2291 საჩივარი აღიძრა[12].

განსაკუთრებით ძნელი იყო გლეხების გაყვანა ბეგარაზე. მემამულეები არ ერიდებოდნენ ძველ მეთოდებსაც, ცემა-ტყეპით გაპყავდათ გლეხები სამეშაოზე. თბილისის მაზრის I და II განყოფილებაში 1865 წ. მომრიგებელმა შუამავლებმა მიიღეს 17 საჩივარი გლეხებისაგან ბეგარაზე გასვლისას ცემისა და შევიწროებათა შესახებ[13], 1867 წ. კი გორის მაზრის მხოლოდ II განყოფილებაში გლეხებმა შეიტანეს 360 საჩივარი მემამულეთა ძალმომრე-

7 სსცია, ფ. 31, საქ. 19920, ფურც. 148—152.

8 სსცია, ფ. 31, საქ. 23, ფურც. 29—32, 36, 48—49.

9 იქვე, საქ. 23583, ფურც. 326—334.

10 იქვე, ფურც. 333—337.

11 იქვე. ფურ. 220, საქ. 918, ფურც. 1—6; О. К. Жордания, К вопросу о революционной ситуации в Грузии в конце 50-х начале 60-х годов XIX в., Тб., 1971, გვ. 177.

12 სსცია, ფ. 31, საქ. 204, ფურც. 3—4, 23, 29—30, 33—34, 36—37 და 40, საქ. 144, ფურც. 9, 16—17, 26—27, 31, 37, 45; იქვე, საქ. 27, ფურც. 107; იქვე, საქ. 410, ფურც. 31, 36, 41, 50—53 და 56. ამ ცნობებში არ ჩანს, ვის მიერ იყო აღძრული საჩივარი. შესაძლებელია იგი აღიძრა როგორც გლეხების, ასევე მემამულეების მხრივაც.

13 სსცია ფ. 31, საქ. 204, ფურც. 3—4, 29—30.

ობაზე[14]. მათი საჩივრებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მემამულე არ ერიდებოდა დებულების წესების უხეშად დარღვევასაც. გორის მაზრის მემამულე კონია ერისთავი, მაგალითად, მოითხოვდა, რომ მის გლეხებს ემუშავათ მათი საცხოვრებელი ადგილებიდან შორს მდებარე სოფელ ქვეშში, მაშინ როდესაც დებულებით ბეგარა დაშვებული იყო მხოლოდ ერთი მამულის ფარგლებში[15].

ახალი დებულებით გლეხობის ნაწილი — მებატონეთა შინამოსამსახურები, ქალაქებსა და დაბებში მცხოვრები გლეხები და ხიზნები, განსაკუთრებული წესებით გაათავისუფლეს ბატონყმობიდან: რეფორმიდან ორი წლის განმავლობაში მათ უნდა შეესრულებინათ ჩვეულებრივი სამსახური მებატონეებისათვის და გაეღოთ გადასახადები (ფულადი არა უმეტეს 30 მანეთისა), რის შემდეგ სრულიად თავისუფალი ხდებოდნენ. მაგრამ ისინიც ყოფილ მებატონეთა სხვა გლეხების მსგავსად თავს არიდებდნენ რეფორმით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებას. ასეთ გლეხთა ერთი ნაწილი ცხარედ ედავებოდა მემამულეებს მათგან მოთხოვნილი გადასახადის რაოდენობაზე, სხვა კი კატეგორიულ უარს აცხადებდა ვალდებულებათა შესრულებაზე ანდა ნებადაერთველად ვადაზე ადრე ტოვებდა სამსახურს და გარბოდა[16]. 1865—1867 წლებში მომრიგებელმა შუამავლებმა მიიღეს 179 საჩივარი შინამოსამსახურე გლეხთა გადასახადებთან დაკავშირებით[17]. ორწლიანი პერიოდის დასასრულისათვის 2 294 შინამოსამსახურეთაგან 1561 თავის ოჯახს დაუბრუნდა, 403 კაცმა მემამულეების თანხმობით საკარიდამო ანდა მასთან ერთად სახნავი ნაგელიც მიიღო. 275 შეთანხმებით დარჩენილა მემამულესთან სამსახურში, 55 კაცმა კი მიიღო საშოვარზე გასვლის ბილეთები. სავალდებულო უტიერთობანი დამთავრა აგრეთვე 3848 ხიზანმა და ქალაქებსა და დაბებში მცხოვრებმა 2 080 გლეხმა[18].

რეფორმის გატარების პირველი ხანებიდანვე ხელისუფლება შეაშფოთა სოფლად სხვადასხვა აგიტატორთა გაჩენამ, რომლებიც კანონდებულებათა საწინააღმდეგო იდეებს ქადაგებდნენ, განუმარტავდნენ გლეხებს, რომ კანონი არ ითვალისწინებდა მემამულეებისათვის ბეგარის გაწევას, ღალა-კულუხის მიცემას და სხვ., ურჩევდნენ მათ უარი ეთქვათ დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაზე. მათი აგიტაცია ადვილად იკიდებდა ფეხს რეფორმით უკმაყოფილო გლეხებში. თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურში, მაგალითად, სადაც 300-მდე დროებითვალდებული გლეხი სახლობდა ნაყოფიერი ზეგავლენა იქონია გლეხი ნინიკა ჩარქუაშვილის აგიტაციამ. თავისუფლების მოპოვების შემდეგ გლეხებმა არ უნდა უხადონ მემამულეებს რაიმე ნატურალური გადასახადი და არც გასწიონ ბეგარა, — შთააგონებდა იგი გლეხებს და საკუთარი მოქმედებით აძლევდა მათ ამის მაგალითს. მისი წაბაძვით კურდღელაურელი მცხოვრებლები აღარ ემორჩილებოდნენ მომრიგებელი შუა-

14 სსცია, ფ. 31, საქ. 410, ფურც. 33.

15 იქვე, საქ. 23583, ფურც. 326—333.

16 იქვე, საქ. 19920, ფურც. 18—22, საქ. 205, ფურც. 1—7, 16—18, 23—28, 32; იქვე, საქ. 23, ფურც. 67, საქ. 7, ფურც. 3,16—19, საქ. 273, ფურც. 5—6, საქ. 28, ფურც. 25:

17 იქვე, საქ. 204, ფურც. 3—4, 22—23, 26, 29, 33, 40, საქ. 144, ფურც. 26, 31, 49—50; საქ. 27. ფურც. 107, საქ. 410, ფურც. 50.

18 სსცია, ფ. 220, საქ. 883, ფურც. 173; С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I. Тиф., 1907, გვ. 340.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლის განკარგულებებს. აგიტაციის ასეთი შედეგების აღმოსაფხვრელად „საში“ გლეხ მაზრას მოაშორეს, დაუპატიმრეს და თბილისის ციხეში ჩასვეს[19]. არანაკლები გავლენა იქონია ამავე მაზრის სოფელ იყალთოს მცხოვრებლებზე გლეხ მათე შათირიშვილის მიერ გავრცელებულმა ანალოგიურმა აზრებმა[20]. დაუპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს ამავე მაზრაში მომუშავე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები მღვდლის შვილი ანტონ ქიქოძეც, რომელიც გლეხებში პროპაგანდას ეწეოდა რეფორმით ჩამოყალიბებულ ახალ ურთიერთობათა წინააღმდეგ[21]. სიღნაღის მაზრაში კი დაატუსაღეს ლაზარე ბალიაშვილი, რომელიც სოფელ კარდანახში გლეხებს უკითხავდა დებულებიდან „ამონაწერს“ ბეგარის შესახებ და, მომრიგებელი შუამავლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მომქმედ დებულებას უმცრთებულოდ“ განუმარტავდა[22].

რაკი ხელისუფლება რწმუნდებოდა, რომ სოფლად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა გარდამავალი პერიოდის გადასახადებთან დაკავშირებით, გუბერნატორი ავალებდა მომრიგებელ შუამავლებს დაჩქარებინათ საწესდებო სიგელების შედგენა, რათა ახალი გადასახადების დაწესებით გამოესწორებინათ მდგომარეობა[23]. მაგრამ ამ დოკუმენტების შედგენამ ვერ შეიტანა სიწყნარე სოფლად.

რეფორმით დადგენილი სანადელო გადასახადები, ღალა-კულუხი (მოსავლის მეოთხედი სახნავი მიწებიდან და ვენახებიდან, ნათიბიდან მესამედი) რეფორმამდელ ნორმებს აღემატებოდა[24], რაც ბუნებრივია, იწვევდა მშრომელთა უკმაყოფილებას. საპროტესტო მოძრაობაში ყველა მაზრის გლეხობა ჩაება. 1867 წ. სიგელის შედგენისას სიღნაღის მაზრაში (სოფ. კარდანახი) ნიკოლოზ ვაჩნაძის გლეხები უცხადებდნენ მომრიგებელ შუამავალს, რომ „არ შეუძლიათ მემამულისათვის მოსავლის მეოთხედი გაიღონ“[25]. გორის მაზრის სოფელ გორგაშენში გლეხმა ნინიკა გუჩაშვილმა კატეგორიული უარი თქვა მიეცა მემამულისათვის (გენერალ-ლეიტენანტი გიორგი ერისთავი) სიგელით განსაზღვრული მოსავლის მეოთხედი. თავის ძმასთან ალექსისთან ერთად იგი აქეზებდა თანასოფლელებსა და ციხისოფლის მცხოვრებლებს, არ შეესრულებინათ დებულებით გათვალისწინებული მათი მოვალეობანი. ასეთი საქმიანობისათვის ძმები გუჩაშვილები დაუპატიმრეს[26]. ამავე მაზრაში ზემო ხვიფილი მემამულე სვიმონ გედევანშვილი არაერთხელ ჩიოდა საკრებულოში, რომ მისმა დროებითვალდებულმა გლეხებმა არ ჩაებარეს მას 1867—1868 წლების მოსავლიდან კუთვნილი წილი[27]. თელავის მაზრაში კი შალაუერლმა გლეხებმა (1868 წ.) უარი უთხრეს თავიანთ მემამულე მაუვავარიანებს ღალის გაღებაზე. ხელისუფლების განკარგულებით გამოყვეს ამ მემამულეებისათვის მისაცემი ძნები. აღშ-

19 სსცია, 8, ფ. 31, საქ. 7, ფურც. 21—24.

20 იქვე, ფურც. 64—65.

21 იქვე, ფ. 5, საქ. 1082, ფურც. 1—8.

22 სსცია, ფ. 31, საქ. 7, ფურც. 33—37.

23 იქვე, საქ. 186. ფურც. 186.

24 იხ. Селiское хозяйство и аграрные отношения, т. II, под ред. проф. П. В. Гугушвили, Тб., 1950, გვ. 230.

25 სსცია, ფ. 31, საქ. 20259, სიგ. № 31, ფურც. 442.

26 იქვე, საქ. 28, ფურც. 43—44. 47—49; მ. ახობაძე. დასახ. ნაშრომი, თბ., 1970, გვ. 54.

27 იქვე, ფ. 31, საქ. 30. ფურც. 165. მსგავს მდგომარეობაში იყვნენ სხვა მემამულეებიც. იხ. ი. ანთელავა, ვ. გუჩუა, საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთებული გლეხები მისცივდნენ მემამულეს და სცემეს, მისთვის განკუთვნილი ძნები კი უკან წაიღეს. ურჩობის მოთავეები დააპატიმრეს[28]. გლეხებისაგან გადასახადების ასაკრეფად ადგილობრივი ორგანოები იძულებული ხდებოდნენ მიემართთან საერობო პოლიციის დახმარებისათვის. 1869 წელს თბილისის მაზრის ერთ-ერთი მომრიგებელი შუამავალი ატყობინებდა საკრებულოს, რომ მის განყოფილებაში გადასახადების გაღებას თავს არიდებდა 163 კომლი. ამ გლეხთა ნაწილის მორჩილებაში მოყვანა მას საერობო პოლიციის საშუალებით მოუხერხებია[29]. დუშეთის მაზრის განყოფილებაში მომდევნო წელს აღიძრა 500 საჩივარი სანადელო გადასახადების მიუცემლობაზე, აქედან 100 საერობო პოლიციის საშუალებით გაუღიათ[30].

განსაკუთრებით ძნელი ხდებოდა რეფორმით დაწესებული გადასახადების მიღება სანადელოდ შეტანილი გლეხთა ნასყიდი მიწებიდან. ასეთ მიწებს გლეხები თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ და უსამართლოდ მიიჩნდათ მათ შესახებ აღძრული საქმეების გადაწყვეტამდე ამ ნაკვეთებისათვის გადასახადების გაღება. ისინი გულგრილად ამუშავებდნენ სახნავ მიწებს, ვენახებს, არ აბარებდნენ მემამულეს მოსავლის ნაწილს. ასე მაგალითად, მემამულე ესტატე ერისთავი არაერთხელ მიმართავდა მომრიგებელ შუამავალს იმის გამო, რომ სოფელ დიდ მეჯვრისხეშში (გორის მაზრა) მცხოვრები ესტატე სალუკაშვილი არ აძლევდა მას კულუხს. ირკვევა, რომ მემამულემ სანადელოდ მისცა ამ გლეხს ნასყიდი 3 ბაღი, რომელთა შესახებ ე. სალუკაშვილს საქმე ჰქონდა აღძრული 5 საშინაო დოკუმენტის საფუძველზე. გლეხი კატეგორიულ უარს ამბობდა ამ ნაკვეთებისათვის გადასახადი გაეღო. მასზე ვერც მომრიგებელი შუამავლის სიტყვებმა იმოქმედა და ვერც სოფლის სამმართველოში გამოძახებამ, რაც შემდეგაც იგი დააპატიმრეს (1868 წ.)[31]. ასეთივე მიზეზით სოფელ ახალქალაქში (გორის მაზრა) დროებითვალდებულ გლეხებს იერემაშვილებსა და მანუკაშვილებს დაუმუშავებლობის გამო სანადელო ვენახები იმ მდგომარეობამდე მიეყვანათ, რომ მემამულე თარხან-მოურავები ნახევარზე მეტ შემოსავალს ჰკარგავდნენ. ასეთი ზარალის გამო მემამულეებმა თხოვნით მიმართეს მომრიგებელ შუამავლებს, რომ ეს ნაკვეთები გადაეცათ მათთვის, რისი უფლებაც ასეთ შემთხვევაში მათ დებულებით ეძლეოდათ[32]. მსგავსად იქცეოდნენ გლეხები სხვა სოფლებშიც (ქიწნისი, ბროწლეთი, ბორბალო, საგარეჯო, გიორგიწმინდა და სხვაგან). შეუპოვრობისათვის არაერთი მათგანი დააპატიმრეს[33].

მშრომელი მოსახლეობის ნაწილი თვითნებურად მოქმედდა, უნებართვოდ ამუშავებდა მათგან ჩამოჭრილ ნასყიდ მიწებს. სოფელ კნოლეში, მაგალითად, გლეხებმა დაფანტეს ასეთ მიწაზე მემამულე ივანე ფალავანდიშვილის მიერ მოზიდული მასალა ნაგებობათა ასაშენებლად, გადახნეს ეს ნაკვეთი და არ მისცეს ღალა მემამულეებს (1867—1868 წწ.)[34]. ასევე მოიქცნენ გლეხი გა-

---

28 საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. II, თბ., 1962, გვ. 134; მ. ახობაძე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1970, გვ. 148—149.

29 სსცია, ფ. 31, საქ. 499, ფურც. 16.

30 იქვე, საქ. 580, ფურც. 11.

31 იქვე, საქ. 331, ფურც. 15—18, 292, 364.

32 სსცია, ფ. 31, საქ. 372, ფურც. 1, 10—11, 37 და 43.

33 იქვე, საქ. 19926, ფურც. 4, 10—11, 64, საქ. 7, ფურც. 164, საქ. 144, ფურც. 22, საქ. 311, ფურც. 41—42, საქ. 331, ფურც. 15—18. 292, 364, საქ. 326, ფურც. 40—47, 62, 69 და 75, საქ. 188, ფურც. 185—212.

34 იქვე, საქ. 277, ფურც. 2—9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბო ნიკოლიშვილის აგიტაციის ზეგავლენით დროებითვალდებული გლეხები სოფელ ბროწეულთში[35]. მშრომელთა „ურჩობა“ ხშირად წლიდან წლამდე გრძელდებოდა. ლუკა თარხან-მოურავს, მაგალითად, გლეხმა ფირალიშვილებმა 5 წლის განმავლობაში არ ჩაბარეს ღალა ნასყიდ მიწებთან დაკავშირებით[36]. საგარეჯოსა და გიორგიწმინდაში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის გლეხებიც ნასყიდ მიწაზე აღძრული სადავო საქმის საკრებულოს მიერ გადაწყვეტამდე არ აძლევდნენ მემამულეს მოსავლის კუთვნილ ნაწილს (1867—1869 წწ.).[37] „საკრებულოს რომ შეეჩერებინა გადასახადთა გაღება ნასყიდი მიწებიდან, მაშინ, თვითონ მემამულეები იქნებოდნენ საქმეთა სწრაფი დამთავრებით დაინტერესებული“ — სწერდნენ ხელისუფლებას ნასყიდ საკუთრებაზე აღძრული საქმეების გაჭიანურებით შეწუხებული გლეხები[38].

გუბერნიის რიგ ნაწილში გლეხები იბრძოდნენ საკარმიდამოს მაღალი შეფასების წინააღმდეგ, რის გამოც მათ ყოველწლიურად 1/2 დესეტინაში 6 მანეთი უნდა გაეღოთ. ჩვენ მიერ შესწავლილი 2 195 სიგელიდან 325 სიგელით 3 ათასამდე კომლს ასეთი მაღალი გადასახადი შეაწერეს (იხ. ცხრილი 1.)

ცხრილი 1.

საკარმიდამოსათვის საწესდებო სიგელებით დაწესებული მაღალი გადასახადი

მაზრები	სიგელები	გლეხის კომლი	გლეხ მამაკაცთა რიცხვი	საკარმიდამო მიწის რაოდენობა (დეს., კვ. საჟ.)
თბილისის	74	731	2744	81—714
გორის	64	414	1478	22—592
სიღნაღის	1	20	76	2—1213
თელავის	186	1726	6252	462—2179
ს უ ლ	325	2891	10 550	568—2298

საკრებულოში წარდგენილ საჩივრებში გლეხები ამხელდნენ საკარმიდამოსათვის სიგელით დაწესებული მაღალი ფასის შეუსაბამობას ნაკვეთის რეალურ ღირებულებასთან შედარებით[39].

ადგილობრივი დებულებით ბაღ-ვენახები საკარმიდამოს შემადგენლობაში არ შედიოდა. მათთვის გადასახადი (მოსავლის ნაწილის სახით) ცალკე იყო დაწესებული. ხეხილის ბაღებისათვის გადასახადი გლეხებსა და მემამულეებს ურთიერთშეთანხმებით უნდა დაედგინათ, ამის მიუღწეველობის შემთხვევაში კი მომრიგებელი შუამავლის გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდნენ. ეს უკანასკნელები კი უმრავლეს შემთხვევაში მემამულეთა საარგებლოდ მაღალ ნორმებს აღგენდნენ, რაც გლეხთა უკმაყოფილებას იწვევდა. გორის მაზრის სოფელ მერეთში, მაგალითად, ზაქარია ფურცელაძის დროებითვალდებული გლეხები თანახმა არ იყვნენ გაეღოთ ხეხილის მოსავლიდან 1/3 ნაწილი, როგორც ეს მომრიგებელი შუამავლის დადგენილებით მოეთხოვებოდათ[40].

35 სსცია. ფ. 31. საქ. 19939, ფურც. 29—30.
36 იქვე, საქ. 297, ფურც. 101—167.
37 იქვე, საქ. 19927, ფურც. 3—11, 64 და სხვ.
38 იქვე. საქ. 379, ფურც. 121.
39 იქვე, საქ. 452 ფურც. 2—3, 25—26, საქ. 800, ფურც. 1—2, საქ. 188, ფურც. 122.
40 იქვე, საქ 21262, ფურც. 5 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებულ დავასა და შეხლა-შემოხლას იწვევდა სოფლად რეფორმით დაწესებული ნატურალური გადასახადები — ღალა და კულუხი, რომელთა მიტანა-ჩაბარება ადგილზე გლეხებს თვითონ ევალებოდათ. მემამულეები ეჭვს გამოთქვამდნენ მიღებული მოსავლის წილზე, რაც მათ მეოთხედისა და სხვა სახით ეკუთვნოდათ. გლეხებიც თავის მხრივ უჩიოდნენ მათგან ზედმეტი ნაწილის წართმევას, ნატურალური გადასახადის ჩაბარებას შორ მანძილზე და სხვ[41]. მემამულეები ხშირად არ აძლევდნენ გლეხებს უფლებას აეღოთ თივა, პური ძნები მათ აღრიცხვამდე. მამულების გაბნეულობის გამო მათი აკრეფა გვიანდებოდა, თივა და პური ლპებოდა, რაც იწვევდა გლეხთა უკმაყოფილებას[42]. ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი ადგილობრივი ხელისუფლებისთვისაც. „გლეხთა მხრივ გადასახადების წესიერ გაუფცხოებაზე აღძრული თითქმის ყველა საჩივარი, — აღნიშნადა გუბერნატორი 1868 წლის ანგარიშში, — მიწის მოსავლის ნაწილთა გაღებას შეეხება. მოსავლის 1/4 ნაწილის განსაზღვრა, 10 ვერსის სიშორეზე ძნებისა და 50 ვერსის მანძილზე მარცვლის ჩაბარება, ბუნებრივია, იწვევს დავასა და შეუთანხმებლობას. განსაკუთრებით ძნელია ნაწარმის მიტანა ზოგიერთი მებატონის მამულში გზების უხეირობის გამო“[43].

ნატურალური გადასახადი (ღალა-კულუხი), რომელიც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა გუბერნიის გლეხთა უმრავლესობას ჰქონდა დაკისრებული. სიგელების შედგენისას ბევრ შემთხვევაში ნწრომელი მოსახლეობა მემამულის ფულით გასტუმრებას არჩევდა, მაგრამ ამის აღსრულება იოლი როდი იყო — საამისოდ საჭირო იყო მემამულის ნებართვა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში (ორი მხარის შეუთანხმებლობისას, მემამულის არყოფნისას ადგილზე და სხვ.) მომრიგებელი შუამავლები რეფორმით დადგენილ ნატურალურ გადასახადებს აწესრიგებდნენ[44]. ამრიგად, გლეხებს მათი სურვილის გაუთვალისწინებლად ხშირად იძულებულს ხდიდნენ ნატურალური გადასახადი გაეღოთ, რაც რეფორმამდელს აღემატებოდა და სავსებით მემამულეებს აწყობდა. სოფლის მშრომელთა ბედ-იღბლისადმი ასეთმა გულგრილმა დამოკიდებულებამ თავისი შედეგი გამოიღო — 1867—1868 წლებში, მაგალითად, გორის მაზრის ქსნის უბანში მცხოვრებ გლეხთა დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა სიგელებით დადგენილი ნატურალური გადასახადების გაღებაზე.

1868 წელს მემამულე დავით ივანეს ძე ერისთავი საკრებულოში ჩიოდა, რომ ქამურისა და ჭურთის ხეობაში მოსახლე გლეხები არ უხდიდნენ სიგელებით დაწესებულ გადასახადს. საკრებულომ მდგომარეობის შესასწავლად მიავლინა თავისი წევრი გურამიშვილი. გლეხებმა (60 კომლი) მას განუცხადეს, რომ მემამულის მიერ შედგენილი განრიგით მათგან სახნავი მიწებისათვის მოსავლის მეოთხედსა და ნათიბიდან მესამედზე მეტს მოითხოვდნენ. ისინი გამოთქვამდნენ სურვილს გადასულიყვნენ ფულად გადასახადზე, რაზედაც თანხმობას აცხადებდა მემამულეც. მაგრამ იმის გამო, რომ სადავო გახდა სიგელებში ნაჩვენები მიწის რაოდენობა, გურამიშვილმა ვერ მიაღწია ორი მხარის ურთიერთშეთანხმებას. ამავე მემამულეს კუთვნილი წილის მიცემაზე

41 სსცია, ფ. 31, საქ. 499, ფურც. 5, 16 და 32.

42 Сельское хозяйство и аграрные отношения, т. IV, под ред проф. П. В. Гугушвили, Тб., 1955, გვ. 22.

43 სსცია, ფ. 220, საქ. 883, ფურც. 144.

44 იხ. „ისტორიო მოამბე“, № 4, თბ., 1948, გვ. 448 და 450.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი განუცხადეს დაბაკნეთის საზოგადოების გლეხებმაც (ცხრაამის ხეობა)[45]. გადასახადის ნატურით ჩაბარება მძიმე აღმოჩნდა სხვა მემამულეთა გლეხებისთვისაც. ჟამურის ხეობის სოფლებში, მაგალითად, ესტატე და კონა ერისთავების გლეხებმა უარი განაცხადეს 1867—1868 წწ. ღალის გადებაზე. მემამულისათვის გადაცემულ წერილში ისინი წერდნენ: „არ ძალგიძს მეოთხედის მიცემა და არც ჩატანა, ამისათვის ვაძლევთ ამ პირობას ჩვენ ჩვენს მებატონეს, როგორითაც ვემსახურებოდით ფულით, ის სამსახური მივართვათ ანუ როგორც მოვრიგდებით ჩვენს მებატონესთან“[46].

საქმის ასეთი ვითარება განიხილეს საკრებულოში 1868 წლის 9 დეკემბერს. სხდომაზე მოიწვიეს თვით მემამულეები და მათთან ერთად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად გლეხები ფულად გადასახადზე გადაეყვანათ. ამის მოსაგვარებლად კი ადგილზე მიავლინეს მომრიგებელი შუამავალი კვალიშვილი და დაავალეს, რომ ხსენებულ საკითხზე მემამულეები და გლეხები ურთიერთშეეთანხმებინა და წინადადება მიეცა უკანასკნელებისათვის გაეღოთ 1200 კვ. საჟ. სახნავი მიწისათვის 1 მან. 50 კაპ., სათიბისათვის 1 მან., ტყით სარგებლობისათვის კომლიდან 3 მანეთი, საძოვრისათვის 1 მან.[47].

კვალიშვილი მასზე დაკისრებულ საქმეს დაბაკნეთის საზოგადოებიდან შეუდგა. წარმატება მიღწეული იქნა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მან მიწისმზომლის დახმარებით დააზუსტა გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწების რაოდენობა და მემამულეებმა თავიანთი მხრივ დაუკლეს მოთხოვნილ გადასახადს[48]. მაგრამ საქმე გაჭირდა ჟამურის ხეობაში, სადაც გლეხებმა 1869 წლის 14 ივლისს მოიწვიეს საიდუმლო ყრილობა და დაადგინეს „არავითარ შემთხვევაში არც ერთ წინადადებაზე არ დათანხმებულიყვნენ და მხოლოდ საზოგადოების სურვილით ემოქმედათ“[49]. ასეთი საქციელისათვის საზოგადოების მამასახლისი და მისი ორი თანაშემწე პასუხსაგებად საკრებულოში გაგზავნეს. გლეხებმა განუცხადეს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ მოითხოვნილი ფულადი გადასახადი მათ შეძლებას აღემატებოდა. საქმის მოსაგვარებლად კვალიშვილმა დაითანხმა მემამულეები გლეხთა მდგომარეობის „ანგარიშგასაწევად“ 1200 კვ. საჟ. სახნავი მიწისათვის მოეთხოვათ 1 მან. 30 კაპიკამდე, საძოვრებისათვის 80 კაპიკამდე, ზოგიერთ შემთხვევაში ჩამოეკლოთ „ნეღოიმკა“ 20—30%-ით, მიეცათ გლეხებისათვის უფლება უარი ეთქვათ სათიბებზე, რომლებიც მათთვის „აუცილებელი“ არ იყო, მაგრამ მშრომელებმა ეს დათმობანი არ მიიჩნიეს თავიანთი მდგომარეობის შემსუბუქებად. საქმეს ვერ უშველა ვერც მიწისმზომლის მიერ სამუშაოს დამთავრებამ, ვერც კვალიშვილის ცდამ დაეთანხმებინა თითოეული გლეხი ცალ-ცალკე. მდგომარეობის გამოსასწორებლად მოძრაობის ხელმძღვანელები — ქვემო ბაგინელი გლეხი ლექსა ძებესაშვილი და სხვა სოფლებში მცხოვრები გლეხები ფ. გუჩაშვილი, ქ. ბაგინაშვილი, ტ. ბითარაშვილი და ს. ხეთაშვილი დაუპატიმრეს. როგორც შემდეგში თავმომწონედ იტყობინებოდა კვალიშვილი, საკმარისი გახდა მას კატეგორიულად მოეთხოვა გლეხებისაგან ნატურალური

45 სს�ia, ფ. 31, საქ. 287, ფურც. 200—207, 220—221.
46 იქვე, ფურც. 163.
47 იქვე. საქ. 287. ფურც. 20—21, 24—30, 82—83.
48 იქვე, ფურც. 88—89, 94 და 108.
49 იქვე, ფურც. 95.

გადასახადების გაღება, რომ მათ „მაშინათვე“ იწყეს ფულად გადასახადზე გადასვლა[50]. მისი ცნობით, 1869 წლის ნოემბერში 104 შეთანხმებით ფულად გადასახადზე გადავიდა მომჩიავნ მემამულეთა 220 კომლი გლეხი. მათი წლიური გადასახადის ჯამი ტყე-საძოვრების ჩათვლით 3 003 მანეთს შეადგენდა (კომლზე 13 მან. 56 კაპ.). ნატურალურ გადასახადზე დარჩენილა მომჩიავნ მემამულეთა 90 კომლი[51].

საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას მთის მხარეში, როგორც ირკვევა, არ მოჰყოლია მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. გლეხებისათვის დადგენილი გადასახადი მათ შეძლებას აღემატებოდა. „ფულადი გადასახადი, — წერდა, მაგალითად, ქსნის უბანში მომუშავე მომრიგებელი შუამავალი ერისთავი 1871 წ. — ცივი გაანგარიშებითა და მოსავლისათვის მხოლოდ საუკეთესო პირობების გათვალისწინებით დადგინდა“, რის გამოც „მხარის მოსახლეობას დაეკისრა ისეთი გადასახადი, რომელიც მის არც ეკონომიურ, არც გეოგრაფიულსა და კლიმატურ პირობებს არ შეესატყვისება. იგი აღემატება იმ გადასახადს, რასაც გლეხები რეფორმამდე იხდიდნენ“. მისივე თქმით, გლეხთა ნაწილი იძულებული შეიქნა უარიც კი ეთქვა სათიბთა ნაწილზე, რასაც ასევე მხოლოდ ცუდად შეეძლო ემოქმედნა მათ მეურნეობაზე[52].

თბილისის გუბერნიის გლეხებისათვის დაკისრებულ ვალდებულებებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ერთ-ერთი ოფიციალური ცნობა (1868 წ. დასაწყისი), რომელიც სანადელო გადასახადებს შეეხება (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

საწესდებო სიგელებით დადგენილი გლეხთა სანადელო გადასახადები[53]

მაზრები	მოსავლის ნაწილითა და ფულით		მხოლოდ ფულადი გადასახადი	
	სიგელები	გლეხ მამაკაცთა რიცხვი	სიგელები	გლეხ მამაკაცთა რიცხვი
თბილისის	320	8 400	28	932
გორის	1343	23 179	124	3288
თელავის	249	9 015	—	—
სიღნაღის	139	2828	62	1714
ს უ ლ	2051	43 422	214	5934

ამ მონაცემებით, სიგელების თანახმად გლეხთა უმრავლესობას (88,2%) ფულადი და ნატურალური გადასახადი უნდა გაეღო, მხოლოდ ფულადი გადასახადით კი 11% იყო ვალდებული. მოტანილი ოფიციალური მასალა სისრულით ვერ აგვისახავს რეალურ ვითარებას. კერძოდ, არ ჩანს, გადასახადის რომელი სახე ჭარბობდა იმ გლეხთა ვალდებულებებში, რომლებიც მას იხდიდნენ როგორც ნატურით, ასევე ფულით, ამ გადასახადების განაწილება საკარგულებლიდა მიხედვით და სხვა. თუ საკარმიდამოს შესახებ სურათი ნათელია, — იგი ყოველთვის ფულადი იყო, — ბაღ-ვენახებისა და სახნავ-სათი-

50 სსცია, ფ. 31, საქ. 287, ფურც. 96, 101, 104—105, 113, 129, 139—140.
51 იქვე, ფურც. 232.
52 იქვე, საქ. 289, ფურც. 200.
53 სსცია, ფ. 31, საქ. 410, ფურც. 9—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი მიწებისათვის გამოსაღების შესახებ უნდა ითქვას, რომ თუმცა ის ნატურალური დაწესდა, მაგრამ გლეხისა და მემამულის ურთიერთშეთანხმებით მისი შეცვლა ფულით არ იყო გამორიცხული[54]. ამ მხრივ კონკრეტული ვითარების წარმოსადგენად სიგელების უშუალო შესწავლა გვეხმარება.

როგორც ჩვენ მიერ შესწავლილი საწესდებო სიგელებიდან ირკვევა, 2195 სიგელით, რომელიც 13 347 კომლ გლეხს შეეხება, მშრომელი მოსახლეობა ვენახებისათვის ძირითადად იხდიდა ნატურალურ გადასახადს კულტხს (ფულზე გადაყვანისას მი'ი მაღალი ღირებულების გამო)[55], ზოგან კი, ძირითადად კახეთში (58 სიგელი, რომლებიც 796 კომლ გლეხს შეეხებოდა), ადგილობრივი ჩვეულების თანახმად ვენახები ნახევრად გაყვეს და მათი ნაწილები მემამულეებსა და გლეხებს გადაეცა საკუთრებად. რაც შეეხება გლეხთა ნადელების მნიშვნელოვან ნაწილს, სახნავ-სათიბ მიწებს, აქ ვალდებულების ფულით მოხდის შემთხვევები უფრო ხშირი იყო (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

ფულადი გადასახადის გაღება სახნავ-სათიბი ნაკვეთისათვის საწესდებო სიგელებით

	სიგელები	გლეხის კომლი	გლეხ მამაკაცთა რიცხვი	სანადელო სახნავ-სათიბი მიწის რაოდენობა (დეს. კვ. საჟ.)	გადასახადი (მან. კაპ.)	1 დეს. მიწის საშ. გადასახ. (მან. კაპ.)
თბილისის	20	261	892	1036— 599	3093—66	2—98
გორის	154	1072	4697	3116—	7940—26*	2—54
თელავის	9	409	1500	1490—1500	5962—50	4—
სიღნაღის	107	835	3398	3535—1431	12 706—93	3—59
ს უ ლ	290	2577	10 497	9178—1339	29 766—81	3—23

როგორც ვხედავთ, 490 სიგელით 2577 კომლი გლეხი (19,3%) 9 178 დეს. სახნავი მიწისათვის იხდიდა ფულად გამოსაღებს 29 766 მან. 81 კაპ. რაოდენობით. ყველა ნაკვეთისათვის ფულად გადასახადზე მყოფ გლეხთა საერთო რიცხვი კი 1083 კომლს (7 933 მამაკაცს) შეადგენდა (265 სიგელი)[56] მაგრამ უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში ვალდებულებათა ფულით მოხდის მსურველ გლეხთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. როგორც უკვე ითქვა, რეფორმით მიღებული ნატურალური გადასახადები სიგელებით ბევრ შემთხვევაში გლეხთა სურვილის საწინააღმდეგოდ დაწესდა, მათ კი მემამულის ფულით გასტუმრება ერჩიათ და ამის მისაღწევად იბრძოდნენ კიდეკაც.

თუ რუსეთში გლეხს უფლება ჰქონდა დებულების დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ მემამულის თანხმობის გარშე გადასულიყო ფულად გადასახად-

54 ადგილობრივი დებულების მუხ 141, იხ. „საისტორიო მოამბე", № 4, თბ., 1948, გვ. 450.

55 ფულადი გადასახადი კულტხის ნაცვლად ორი მხარის ურთიერთშეთანხმებით მხოლოდ 17 სიგელით დაწესდა (99 კომლი — 347 მამაკაცი).

* ამ განყოფილებაში 64 სიგელით 285 კომლი გლეხი იხდიდა 1269 მან. 15 კაპ. ერთად საკარმიდამოსა და სახნავ-სათიბი მიწისათვის. უკანასკნელის რაოდენობა 489 დეს. 1341 კვ. საჟ. შეადგენდა.

56 მათგან სახნავი მიწა ჰქონდა მხოლოდ 1 485 კომლს, ვენახი 672 კომლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე[57], საქართველოში ადგილობრივი დებულება ნაკლებად უწყობდა ხელს ამ საქმის მოგვარებას. ისევე როგორც საწესდების სიგელების შედგენის დროს, მის შემდეგაც, გადასახადის სახე გლეხს შეეძლო შეეცვალა მხოლოდ მემამულესთან შეთანხმებით. ნებართვის მიღების შემთხვევაში ფორმდებოდა წერილობითი შეთანხმება, რომელსაც „კეთილსინდისიერთა“ თანდასწრებით მომრიგებელი შუამავალი ამტკიცებდა და დამატების სახით თან დაერთვოდა სიგელს. ჩვენ მიერ შესწავლილი ასეთი შეთანხმებები გვიჩვენებს, რომ 1869—1874 წწ. 989 კომლმა გლეხმა მიიღო მემამულეთა ნებართვა გადასულიყო ფულად გადასახადზე (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

ფულად გადასახადზე გადასვლა საწესდებო სიგელების შედგენის შემდეგ 1869—1874 წლებში.

მაზრები	სიგელები	გლეხის კომლი	გლეხ მამა-კაცთა რიცხვი	სანადელო სახნავ-სათიბი მიწის რაოდენობა (დეს. კვ. საჟ.)	გადასახადი (მან. კაპ.)	1 დეს. მიწის საშ. გადასახ. (მან. კაპ.)
თბილისის	5	57	197	565	2260	4
გორის	12	136	583	1202—1870	2336—18	1—94
თელავის	56	740	2695	3136— 423	11 290—23	3—60
სიღნაღის	6	56	200	302—1683	1119—72	3—70
ს უ ლ	79	989	3675	5206—1576	17 006—13	3—25

როგორც აღნიშნული აქვთ მარქსიზმის კლასიკოსებს, ფეოდალი გადასახადი განვითარებულ წარმოებაა და საქონელგაცვლის გულისხმობს[58]. ამიტომაც მის გაღებას უპირატესად ახერხებდნენ ის გლეხები, რომლებსაც შედარებით იოლად გაჰქონდათ თავისი სოფლის მეურნეობის ნაწარმი ბაზარზე და მოპოვებული ფულით ისტუმრებდნენ მებატონეს ანდა რაიმე წარმოებაში იყენებენ დასაქმებულნი, ხშირად გადიოდნენ საშოვარზე და ამით იძენდნენ ფულს.

ფულად გადასახადზე გადასვლის შესახებ დადებულ შეთანხმებაში ზოგჯერ ვხვდებით იმის ახსნას, თუ რატომ აირჩიეს გლეხებმა უარი ეთქვათ ნატურალურ გადასახადზე. 1872 წლის შეთანხმებაში, მაგალითად, სიღნაღის მაზრის სოფელ ჩაილურსა და თოსლაურში მცხოვრები გლეხები განმარტავდნენ, რომ ხორბლის მიტანა მებატონის კარზე ართმევდა მათ იმ დროს, როდესაც ფრიად საჭირო იყო საკუთარი მეურნეობისათვის და თანაც ამას მოყვებოდა ხოლმე უსიამოვნებანი მემამულისათვის მიცემული ხვედრი წილის გამო — მის სიცოცხლესა და ცუდ ხარისხზე. „ამგვარი დაკმაყოფილება მებატონისა ჩვენ გლეხკაცთ გვაძლევდა ამ წლამდინ დიდ შეწუხებასა, — წერდნენ ამ სოფლების გლეხები და აღნიშნავდნენ სხვა გარემოებასაც, რომელმაც გადააწყვეტინა მათ უარი ეთქვათ ნატურალურ გადასახადზე, — მიცემა ფასისა მოსავლით, რომლითაც ჩვენ ვაკმაყოფილებდით მებატონეს მუდამ წელიწად იმატებდა და ეს ფასი დიდად აჭარბებდა ფასს დადებულს ფულით დაკ-

[57] П. Зайончковский, Проведение в жизнь крестьянской реформы 1861 г., М., 1958, გვ. 152.

[58] К. Маркс, Капитал, т. III, гл. 47, М., 1955, გვ. 810.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყოფილებას". გლეხები შეუთანხმდნენ თავიანთ მებატონეს ლევან ჩერქეზიშვილს გადაეხადათ დღიურ სახნავ მიწაში 1 მან. 80 კაპ. (ე. ი. დესეტინაში 3 მან. 60 კაპ.)[59]. ერთ-ერთ სიგელში გამოთვლილიც არის ის ზარალი, რასაც განიცდის გლეხი ნატურალური გადასახადის გაღების დროს ფულადთან შედარებით. ასე მაგალითად, გორის მაზრის ხვედურეთელი გლეხები, რომლებმაც დაითანხმეს მემამულეთ დღიურიდან 1 მან. 80 კაპ. გაღებაზე (დეს. 3 მან. 60 კაპ.), შეთანხმებაში წერდნენ: მემამულისათვის მისი ხვედრი წილის მიტანისას ძნით და ხორბლით გვეკარგებოდა „თითო კომლს 2—3 დღე, რომელთა თვისთა ღირებულ არს მანეთად და ათ შაურად და თითქმის მომეტებულადაც"... ამასთანავე, „საშუალო მოსავლის დროს მიხედვისამებრ მოსავლის თითო დღიურიდან ყოველთვის შემოდის წელიწადში არანაკლებ თექვსმეტი კოდისა, რომლიდანაც მებატონეს ჩვენგან ეძლეოდა ხოლმე ოთხ-ოთხი კოდი ღირებული — არანაკლებ ოთხი მანეთისა" (1872 წ.)[60]. ანალოგიური მაზრები აღებეჭდილია სხვა სიგელებშიც[61].

მოტანილი ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ გადასახადის ნატურით გაღებისას გლეხს 1 დღიური მიწის გადასახადი მეოთხედის სახით უჯდება 4 მანეთი, ე. ი. 1 დესეტინიდან 8 მანეთი, მაშინ როდესაც ფულად გადასახადზე გადასვლისას მას ეკალება დესეტინიდან 3 მან. 60 კაპ. გადახდა (ე. ი. ორჯერ ნაკლებისა). ამ დროს ნატურალური გადასახადის ღირებულება რომ ამდენად მაღალი იყო, ეს ოფიციალური წყაროებითაც დასტურდება. მეფისნაცვლის კანცელარიის მასალებიდან ვგებულობთ, რომ დესეტინა სარწყაო მიწა XIX ს-ის 60-იან წლებში გლეხს აძლევდა ყოველწლიურად არანაკლებ 70—80 ფუთისა. ნატურალურ გადასახადზე მყოფი გლეხი ვალდებული იყო მიეცა მებატონისათვის 1/4 ნაწილი ამ მოსავლისა. ე. ი. 17 1/2—20 ფუთი, რომელსაც რეფორმის მაშინდელ პერიოდში შეეძლო მიეცა მისთვის გაყიდვით არანაკლებ 8 მან. 50 კაპ. — 10 მანეთამდე (ფუთი — 50 კაპ.)[62]. ამგვარად, დესეტინიდან გაღებული მეოთხედის ღირებულება საშუალოდ 9 მანეთს შეადგენდა[63]. ეს ფასი სამჯერ აღემატებოდა ევროპულ რუსეთში არსებულ ყველაზე მაღალ გადასახადს და 6—7-ჯერ მეტი იყო შიდა რუსეთის 50 გუბერნიაში მიღებულ გადასახადზე (1 მან. 70 კაპ. დესეტინიდან).[64].

მოსავლიდან მეოთხედის გამოქი საშუალო გლეხის ბიუჯეტი დეფიციტური იყო. ამას გვიდასტურებს, მაგალითად, იმდროინდელი პრესის მასალა. ერთი დღიური მიწის (1/2 დეს.) დამუშავება გლეხს უჯდებოდა 16 მან. 5 კაპ., შემოსავალი კი 20 მანეთს შეადგენდა. აქედან მეოთხედი ანუ 5 მანეთი მებატონისა იყო, ნაწილს მეწისქვილეც წაიღებდა, გარდა ამისა, გლეხს დანახარჯი ექნებოდა პურის ქალაქად ჩატანისას, რის შემდეგ მას უკვე დარჩებოდა 13 მანეთი. ამრიგად, გლეხი დღიურზე 3 მანეთით ზარალობდა[65].

59 სსცა, ფ. 31. საქ. 20335, ფურც. 9, 12.

60 იქვე, საქ. 199955, გვ. 10—11.

61 იქვე, საქ. 21197, საქ; 20370, სიგ. № 96, ფურც. საქ. 20386 და სხვ.

62 Сельское хозяйство и аграрные отношения. т. IV, გვ. 825.

63 იქვე, გვ. 72, 135—136.

64 იქვე, გვ. 807, 825; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX ს., ტ. II. თბ., 1956, გვ. 883; О. Семин. Великая годовщина. Киев, 1911, გვ. 43.

65 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, თბ., 1956, გვ. 836, ჟურ. „გუთნის დედა", 1873, წ., № 14 და 15, „სასოფლო წერილები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატურალურთან შედარებით ფულადი გადასახადი მეტად უწყობდა ხელს ზრდომის ნაყოფიერების ზრდას, რადგანაც ის უცვლელი იყო. მოსავლის ზრდის შემთხვევაში ასეთ გადასახადზე მყოფ გლეხს შეეძლო მეტი შემოსავალი შეერჩინა თავის სასარგებლოდ, ვიდრე ამას მეოთხედზე მყოფი გლეხი მოახერხებდა, რომლის გადასახადი იზრდებოდა შენოსავალთან ერთად. გარდა ამისა, გლეხი მოკლებული იყო იმ დიდ დავიდარაბასა და უსიამოვნებას, რასაც მოსავლის ნაწილის განსაზღვრა (ჩაბარება-აღრიცხვა) იწვევდა. როგორც გვიჩვენებენ მასალები, მემამულეები უფრო ხშირად ნებას რთავდნენ გლეხებს გადასულიყვნენ ფულად გადასახადზე ისეთ მამულებში, სადაც უკვე მიღწეული იყო შეთანხმებანი გლეხებსა და ნემამულეებს შორის მთავრობის შეწევნით ნაგლის განოსყიდვაზე. თუ გავიხსენებთ, რომ მემამულეს მთავრობისაგან მეტი სესხი მიეცემოდა ისეთ შემთხვევაში, როცა გლეხი ნადელისათვის ფულად გადასახადს იხდიდა[66], ცხადი გახდება, რატომ იყვნენ მიწების გამოსყიდვისას მემამულეები დაინტერესებულნი გლეხების ფულად გადასახადზე გადაყვანით. იმ დროს, როდესაც მხარეში მიწის მოსავალთა ღირებულება იზრდებოდა, მემამულეები არ ჯერდებოდნენ ძველ ფასებს და უფრო მაღალის დაწესებით დებდნენ ხელშეკრულებებს გლეხებთან[67].

სიგელებში დაცული მასალა გვიდასტურებს იმ გარემოებასაც, რომ პრაქტიკულად ხდებოდა მემამულეებსა და გლეხებს შორის სიტყვიერი შეთანხმებანიც ფულად გადასახადზე. შეთანხმებაა შეიძლებოდა სპორადული ხასიათისა ყოფილიყო და შემდეგ მემამულეს ისევ საწესდებო სიგელით დადგენილი ნატურალური გადასახადი მოეთხოვა, მაგრამ შეიძლებოდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ფულადი გადასახადის გაღება წერილობით გაეფორმებინათ. იგი თან დაერთვოდა სიგელს და მისი დარღვევა მემამულეს უკვე აღარ შეეძლო. ამიტომაც ამ უკანასკნელის გფორმებით ის გლეხები იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებიც საერთოდ არჩევდნენ ფულად გადასახადზე გადასვლას. ასე მაგალითად, 1884 წლის საბუთში, რომელიც თან ერთვის 1869 წელს ძალაში გატარებულ სიგელს (სოფელი წყნეთი, მემამულე პეტრე ბებუთაშვილი) გლეხები წერდნენ: „საწესდებო სიგელის შედგენის დროიდან სიტყვიერი შეთანხმებით ყოველთვის ვიხდიდით ფულად გადასახადს 90 კაპ. წელიწადში თითოეული დღიურიდან. ეხედავთ რა ამ პირობას ჩვენთვის სასარგებლოს და გვაქვს რა სურვილი კვლავ ფულად გადასახადზე დარჩენისა ზემოაღნიშნულ საფუძველზე და გამოთქვისა ამ პირობისა წერილობით, ჩვენ ვთხოვეთ ამის შესახებ მემამულეს ბებუთაშვილს, რომელმაც განაცხადა თავისი სურვილით“[68]. ანალოგიური შეთანხმებანი დაიდო სხვა მამულებშიც[69]. თბილისის მაზრის სოფელ ყულარში მემამულე ელისაბედ მუხრან-ბატონის გლეხები აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ხუთი წლის განმავლობაში ისინი მემამულის ვალდებულებას ფულით იხდიდნენ, ახლა კი (1876 წ.) მემამულე მათგან ითხოვდა ნატურით, როგორც სიგელით იყო დადგენილი, მათ კი ფულის გაღება აწყობდათ. გლეხებს დართეს ნება

---

66 Сельское хозяйство и аграрные отношения, т. IV, გვ. 184; სსცია, ფ. 31, საქ. 20129, 20961; ა. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წწ., თბ., 1965, გვ. 100—101.

67 იხ. „სასტორი მომმე“, № 4, თბ., 1948, გვ. 417—418.

68 სსცია, ფ. 31, საქ. 20691, ფურც. 20.

69 იქვე, საქ. 20452, ფურც. 42—46, საქ. 20561, საქ. 21100, ფურც. 17—18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1876 წლის გადასახადი ფულით გაეღოთ, რადგან ამაზე თვით მემამულე დათანხმდა, შემდგომ წლებში კი სიგელის თანახმად ნატურით გაღება ევალებოდათ[70].

რეფორმით დაწესებული საგადასახადო სისტემით გლეხთა უკმაყოფილებასა და სოფლად გაშლილ კლასობრივ ბრძოლას გარკვეული მხრით აგვისახავენ მომრიგებელ შუამავალთა ცნობები. ესაა მათთან აღძრული გლეხებისა და მემამულეების ურთიერთსაჩივრები გადასახადებთან დაკავშირებით. კერძოდ, ყოფილ მებატონეთა საჩივრები გლეხების მიერ გადასახადების გაუღებლობისა და ბეგარის შეუსრულებლობის შესახებ და თვით გლეხთა საჩივრები გადასახადის რაოდენობასა და გაღების წესზე (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

გადასახადებთან დაკავშირებით აღძრული საჩივრები[71]

საჩივრების აღძრა გადასახადებზე	წ ლ ე ბ ი						
	1865	1866	1867	1868	1869	1870	1865—1870
მემამულეთა მხრივ	2062	1150	3416	951	854	1406	9839
გლეხთა მხრივ	248	1123	325	52	216	323	2287
სულ თბილისის გუბერნიაში	2310	2273	3741	1003	1070	1729	12 126

როგორ ცხრილიდან ჩანს, გადასახადებთან დაკავშირებით საჩივრების განსაკუთრებული სიმრავლე ორსავე მხარეს შეიმჩნევა რეფორმის ცხოვრებაში გატარების პირველ წლებში (1865—1867), ე. ი. სიგელთა საყოველთაო შედგენა-გატარების პერიოდში, როდესაც გლეხებს თავს ახვევდნენ კაბალურ პირობებს. მთელი 1865—1870 წლის მანძილზე მემამულეთა საჩივრები ჭარბობს გლეხთა საჩივრებს. გლეხთა მხრივ ყველაზე მეტი საჩივარი აღძრულია რეფორმის გატარების პირველ წლებში, განსაკუთრებით 1866 წელს, შემდეგში კი მათი რიცხვი საგრძნობლად კლებულობს, რაც უდავოდ იმის მაჩვენებელია, რომ გლეხობა თანდათან კარგავს იმედს კანონიერი საშუალებით ბრძოლაზე.

მომრიგებელ შუამავალთა მონაცემებში განსაკუთრებით საინტერესოა იმ კომლთა რაოდენობის ჩვენება, რომლებიც თავს არიდებდნენ მემამულეებისთვის გადასახადების გაღებას (იხ. ცხრილი 6). ამ მონაცემებით ჩანს, რომ 1869—1871 წლებში ასეთ გლეხთა რიცხვი 7201 კომლს შეადგენდა[72]. თუმცა ამ ციფრის აბსოლუტურ სიზუსტეზე რეალურად არსებულ მდგომარეობასთან შედარებით ძნელია ლაპარაკი, რადგან თუ ერთი მხრივ, იგი შეიძლება გადაჭარბებული იყოს იმის გამო, რომ მომრიგებელი შუამავლების

70 სსცია, ფ. 31, საქ. 20961, ფურც. 30—31.

71 სსცია, ფ. 31, საქ. 204, ფურც. 3—4, 13, 23, 26, 29, 33, 36 და 40. საქ. 144, ფურც. 9. 21, 26, 31, 37, 49, 59, საქ. 27. ფურც. 98, 107, 169, საქ. 410, ფურც. 31, 41, 43, 48, 50 და 53, საქ. 438, ფურც. 2, 8, 13, 15, 23, 26, საქ. 499. ფურც. 16, 18, 20, 23, 26, 28, 42, საქ. 580, ფურც. 3—5, 8, 11—12. 19, 22 და 24. ამ ცხრილის შედგენისას არ ვითვალისწინებდით ისეთ საჩივრებს გადასახადებთან დაკავშირებით, როცა არ ჩანს რომელი მხარეა — აღმძვრელი, მემამულე თუ გლეხი.

72 უფრო ადრეული წლების მომრიგებელ შუამავალთა ცნობები ასეთი სახის მონაცემებს არ შეიცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ გამორიცხული არ არის ისეთი ერთი და იგივე კომლების რამდენჯერმე აღრიცხვა, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში უარს ამბობდნენ გადასახადზე, მეორე მხრივ, ციფრი შეიძლება შემცირებული იყოს იმის გამო, რომ მომრიგებელი შუამავლები ყოველთვის არ უჩვენებდნენ, რამდენ კომლ გლეხს შეეხება გადასახადებზე უარის თქმის შესახებ აღძრული საჩივარი. მოუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, იგი საკმაოდ ცხადად გვიჩვენებს, რომ გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი (სოფელში მცხოვრები 16 425 კომლი დროებითვალდებული გლეხისა)[73] უარს ამბობდა რეფორმით მათზე დაკისრებულ ძირითად ვალდებულებაზე.

ცხრილი 6

გლეხების მიერ გადასახადებზე უარის თქმა[74]

მაზრები	1869 წ.	1870 წ.	1871 წ.
თბილისის	575	57	400
გორის	643	678	1447
სიღნაღის	893	875	984
თელავის	136	74	539
ს უ ლ	2247	1684	3370

ამგვარად, ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც გლეხებს მძიმე ტვირთად დააწვა გადასახადები. მშრომელი მოსახლეობისაგან მოთხოვნილი რეფორმამდელი სახისა და სიგლეებით დაწესებული სანადელო გადასახადები ბევრ შემთხვევაში მათ შეძლებას აღემატებოდა. გლეხთა ბრძოლამ ახალი გადასახადების წინააღმდეგ რეფორმის შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. გლეხობის ერთი ნაწილი კატეგორიულ უარს აცხადებდა ვალდებულებათა მოხდაზე, მოითხოვდა ნასყიდი მიწების გადასახადებისაგან განთავისუფლებას და სხვა, სხვები კი იბრძოდნენ საგადასახადო ტვირთის შესუსტებულებლად, ცდილობდნენ გადასახადის რაოდენობის შემცირებას და მისი გაღების წესის შეცვლას, ნატურალურის ნაცვლად ფულად გადასახადზე გადასვლას.

Т. Т. ГИЦБА

БОРЬБА ВРЕМЕННООБЯЗАННЫХ КРЕСТЬЯН ПРОТИВ ПОВИННОСТЕЙ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Реформа 1864 г. возложила тяжёлые повинности на непосредственных производителей. До составления уставных грамот крестьяне были обязаны исполнять дореформенные повинности, а также покрывать задолженность прежних лет по взносу повинности и долгу помещикам. После введения уставных грамот с них требовались надельные

73 Документы по истории Грузии, т. I, ч. I, под ред. проф. Ш. К. Чхетия, Тб., 1954, გვ. 236.

74 სსცა, ფ. 31, საქ. 449, ფურც. 12—19, 23—24, 26—27, 33—36, 42—44 და 47, საქ. 580, ფურც. 3—6, 12—13. 24—25, საქ. 659, ფურც. 3—4, 9, 11—13.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

повинности. За усадьбы был установлен денежный оброк, за пахотные земли и виноградники — натуральный, замена которого деньгами была возможна только при обоюдном согласии. Оброк за усадьбу нередко был высоким. Натуральная повинность — гала и кулухи, составляя 1/4 часть с урожая пахотных земель и виноградников, превышала дореформенные размеры. Как показывают материалы изученных нами уставных грамот (2195), около 11 тыс. крестьянских дымов были обязаны за пахотно-сенокосные земли вносить натуральные повинности, а лишь 2577 дымов — денежный оброк. Во многих случаях натуральная повинность была установлена вопреки желанию трудящихся, предпочитавших вносить деньги.

В знак протеста одна часть трудового населения категорически отказывалась от взноса требуемых повинностей, другая же боролась за уменьшение размера повинностей, изменение порядка их взноса, прибегая к жалобам и т. д. Борьба крестьянства против новых повинностей приобрела широкий размах в Восточной Грузии. В 1869—1874 гг. 989 дымов крестьян добились согласия помещиков на замену натуральных повинностей денежным оброком. В связи с недвольством податной политикой правительства и другими сторонами реформы в 1869—1871 гг. в Тифлисской губернии 7201 дым уклонился от взноса повинностей помещикам.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯაოშვილი

საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში

(ისტორიულ-დემოგრაფიული ნარკვევი)[1]

წერილი მეორე

ნარკვევის პირველი ნაწილი ეხება საქართველოს დემოგრაფიული პროცესების განხილვას XIX ს-ის პირველ მესამედში. არსებული ლიტერატურული, სტატისტიკური და საარქივო მასალების კრიტიკული შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ 1800 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 784,7 ათასს. იმის გამო, რომ ასეთი გამოთვლების დროს ცთომილება რამდენიმე პროცენტის ფარგლებში სავსებით დასაშვებია, საქართველოს (დღევანდელ საზღვრებში) მოსახლეობის რიცხოვნებას XIX საუკუნის დასაწყისში ვვარაუდობთ 770—800 ათასის ფარგლებში.

გასული საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დადგენის დროს ჩვენ არ ვიყენებდით პირველი და მეორე კამერალური აღწერის მასალებს, რადგან საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი ათეული წლების მანძილზე ასეთი აღწერები მეტად არასრული სახით ტარდებოდა. ამ მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 1830-იანი წლებისათვის. ჯერ ერთი, ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიის მეტ ნაწილზე უკვე დამყარებული იყო რუსული მმართველობა; მეორეც, სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციას დაუგროვდა საკმაო გამოცდილება კამერალური აღწერების უფრო სრულყოფილად ჩასატარებლად. ამის გამო 1832 წლის მესამე კამერალური აღწერა ბევრად უფრო ნაკლებ ხარვეზებს შეიცავს, ვიდრე წინა აღწერები და მისი შედეგებიც შედარებით სრულადაა გამოქვეყნებული, რაც საფუძველს გვაძლევს უფრო ფართოდ ვისარგებლოთ ამ მასალით.

1832 წლის კამერალური აღწერის შედეგები გამოქვეყნებულია მაზრების, ოკრუგების, დისტანციებისა და ქალაქების მიხედვით; ნაჩვენებია გადამხდელი მოსახლეობის კომლთა რიცხვი, მამაკაცების რაოდენობა და ძირითადი ეროვნებანი. ამრიგად, ამ მასალით სარგებლობისას აუცილებელია გადამხდელ მოსახლეობას დაემატოს გადასახადებისაგან განთავისუფლებული პრივილეგიური კონტინგენტები და გამოთვლებულთა რაოდენობა.

ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში აღნიშნულია, რომ 1864 წ. ქუთაისის გუბერნიის გადამხდელი მოსახლეობა შეადგენდა 369,4 ათასს, თავადაზნაურობას ანგარიშობდნენ 25,6 ათასს და სამღვდელოებას (ოჯახის წევრებით) — 15 ათასს[2]. ამრიგად, პრივილეგიური კონტინგენტები ქუთაისის გუბერნიაში შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 9,9%-ს. ეს მაჩვენებელი ჩვენ შეგვიძლია გავავრცელოთ 1832 წლის მონაცემებზეც. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პრივილეგიური კონტინგენტების ხვედრითი წონა გაცილებით ნაკლები იყო აღმოსავლეთ

---

[1] ნარკვევის პირველი ნაწილი იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 4, გვ. 48—61.

[2] Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тифлис, 1869, გვ. 41.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოში, აგრეთვე არაქართველთა შორის. სტატისტიკური კომიტეტის ინაცვ გამოცემაში აღნიშნულია, რომ თბილისის გუბერნიაში 1865 წელს თავადაზნაურობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 3,5%-ს, სამღვდელობა კი 1,5%[3]-ს. მთელი მოსახლეობის გამოთვლის დროს აუცილებელია აგრეთვე გავითვალისწინოთ აღწერების დროს გამოტოვებულთა რაოდენობა, რომელიც 1873 წლის უკანასკნელი კამერალური აღწერის დროს შეადგენდა 3,5%-ს[4]. რაც უფრო ადრე ტარდებოდა აღწერა, მით უფრო მეტი იყო გამოტოვებულთა რიცხვი, რადგან ადრინდელ პერიოდში არ ჰქონდათ აღწერის მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილი მეთოდი. ამიტომ არ შევცდებით, თუ 1832 წლის აღწერაში გამოტოვებულებს გავითვალისწინებთ 5%-ს რაოდენობით. როგორც ყოფილი იმერეთის სამეფოსთვის, ისე ქართლ-კახეთისათვის თუ გავითვალისწინებთ ამ დამატებებს და თითოეული კომლის ოდრე გამოთვლილ სულადობას, მაშინ 1832 წლის კამერალური აღწერის საფუძველზე საქართველოს ამ უმთავრესი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მოსახლეობა შემდეგნაირად განისაზღვრება[5].

ქართლ-კახეთის, იმერეთისა და რაჭის მოსახლეობა 1832 წელს[6]

ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები	გადამხდელი მოსახლეობის კომლთა რაოდენობა	პრივილეგიური კონტინგენტები (კომლი)	გამოტოვებული მოსახლეობა (კომლი)	კომლთა მთელი რაოდენობა	კომლის საშუალო სულადობა	მთელი მოსახლეობა
ქალაქების მოსახლეობა	7228	361	379	7968	4,75	37850
მათ შორის:						
თბილისი	4936	247	259	5442	4,75	25850
ქუთაისი	428	42	23	493	4,75	2340
ქართლ-კახეთის ბარი (თბილისის გამოკლებით)	28460	1423	1494	31377	7,57	237520
ალაზ. საქ. ჩრდილოეთი მთიანი ბარი	11405	570	599	12574	6,87	86380
იმერეთი (ქუთაისის გამოკლებით)	17179	1700	944	19823	6,89	136580
რაჭა	4181	414	230	4825	7,75	37390

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ავიღეთ როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთ-რაჭისათვის პრივილეგიური და გამოტოვებული მოსახლეობის ყველა ეროვნებათა საშუალო პროცენტები. იმასთან დაკავშირებით, რომ ქართლ-კახეთში, გარდა ქართველებისა, დიდი რაოდენობით ცხოვრობდა არაქართველებიც, ცოტა ქვემოთ, როცა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას განვიხილავთ, მოგვიხდება აღნიშნული საშუალო პროცენტების დიფერენცირება, რადგან პრივილეგიური მოსახლეობის ხვედრითი წონა სხვადასხვა იყო ქართველთა და არაქართველთა შორის.

3 Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, раздел IV, гл. 50, 52.

4 კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 74.

5 Обозрение Российских владений за Кавказом, СПб, 1836, ч. IV, Таблица народонаселения Грузии.

6 პრივილეგიური მოსახლეობა თბილისისათვის და მთლიანად ქალაქებისათვის აღებულია 5%, ქუთაისისათვის კი 9,9%; გამოტოვებული მოსახლეობა ყველგან — 5% გადამხდელი და პრივილეგიური მოსახლეობის ჯამის მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს და გურიის მოსახლეობას ვადგენთ იმავე პროპორციების მიხედვით, რომლებიც ჩვენ გამოვითვალეთ 1800 წლისათვის. მაშინ სამეგრელოს მოსახლეობა 1832 წლისათვის იქნება 116,9 ათასი და გურიის — 34,0 ათასი. ვითვალისწინებთ სვანეთის მოსახლეობის ნელ ზრდას და 1832 წლისთვის ამ მხარის მოსახლეობას განვსაზღვრავთ 12 500 კაცით. რაც შეეხება აფხაზეთის მოსახლეობას, მისი მატებისათვის XIX ს-ის პირველ მესამედში არც თუ ისე ხელსაყრელი პირობები იყო, მაგრამ ნაწილობრივ ზრდას მაინც ჰქონდა ადგილი. აქ ვითვალისწინებთ მატების ნელ ტემპს და მის მოსახლეობას განვსაზღვრავთ 82 ათასი მცხოვრებით. შედარებით უკეთესი იყო მოსახლეობის ზრდის პირობები აჭარაში, რაც საფუძველს გვაძლევს მისი მოსახლეობის საშუალოწლიური მატების ტემპი გავითვალისწინოთ რამდენადმე უფრო მაღალი, ვიდრე აფხაზეთში. 1800—1832 წლებში აჭარის მოსახლეობის ზრდას ვვარაუდობთ 15%-ით, მაშინ ამ პერიოდის ბოლოს მისი მოსახლეობა იქნება 46 ათასი. როგორც პირველ წერილში უკვე გვქონდა ნათქვამი, 1832 წლისათვის ნესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა დაახლოებით 65 ათასს შეადგენდა.

საქართველოს მოსახლეობა 1800—1832 წლებში

ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები	მოსახლეობა 1800 წ.		მოსახლეობა 1832 წ.		1832 წელი 1800 წლის მიმართ
	ათასობით	%%	ათასობით	%%	(პროცენტობით)
ქართლ-კახეთი	320,9	40,9	359,4	40,3	112,0
იმერეთი	125,7	16,0	138,9	15,5	110,5
რაჭა	33,9	4,3	37,4	4,2	110,3
სამეგრელო და ლეჩხუმი	106,4	13,6	116,9	13,1	109,9
სვანეთი	12,0	1,5	12,5	1,4	104,1
გურია	31,0	4,0	34,0	3,8	109,7
აფხაზეთი	77,8	9,9	82,0	9,2	105,4
აჭარა	40,0	5,1	46,0	5,2	115,0
მესხეთ-ჯავახეთი	37,0	4,7	65,0	7,3	175,7
ს უ ლ	784,7	100,0	892,1	100,0	113,7

ჩვენი გამოთვლების რეალობაზე ზოგიერთ წარმოდგენას მოგვცემს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლებთან გაცნობა. საბუღუბაროდ, არც ამ დემოგრაფიული მაჩვენებლების დამაკმაყოფილებელი აღნუსხვა წარმოებდა გასული საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, მაგრამ მცირე ოდენობით შემორჩენილი ცნობებიც არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ.

პირველ ყოვლისა განვიხილოთ ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები.

ადრე ჩატარებულ გამოკვლევათა ავტორები — ს. კაკაბაძე, პ. ვუგუშვილი და კ. ანთაძე იმ აზრის არიან, რომ XIX ს-ის პირველ მესამედში საქართველოს მოსახლეობა ან არ იზრდებოდა ბუნებრივი გზით ან სრულიად უმნიშვნელო ზრდას ჰქონდა ადგილი. ფ. მახარაძე კი მეორე უკიდურესობაში ექცევა და მოსახლეობის გამრავლების სრულიად დაუსაბუთებელ მაღალ ტემპს ვარაუდობს[7]. არ შეიძლება კ. ანთაძეს დავეთანხმოთ იმაში, რომ ქართველების საშუალოწლიური ზრდა 1800—1832 წლებში შეადგენდა 0,15%-ს, ხოლო 1832—1897 წლებში — 1%-ს[8]. შეუძლებელია, რომ ბუნებრივი ზრდის ტემპი

[7] Ф. Махарадзе, Грузия в девятнадцатом столетии, Тифлис, 1933, გვ. 66.
[8] კ. ანთაძე, დასახ. ნაშრომი, ცხ. 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვიდჯერ გაზრდილიყო 1832 წლიდან საუკუნის პირველ მესამედთან შედარებით. ამ მხრივ კიდევ უფრო დაშორებული რეალობისაგან მოსახრება, რომ „ქართველთა საშუალოწლიური მატება თუ 1800—1832 წლებში თითქმის ნულს უდრის, სამაგიეროდ 1832—1865 წლებში 1,51%-ს აღწევს“[9]. ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება ასეთი მკვეთრი გარდატეხა ქართველი მოსახლეობის ზრდაში XIX ს-ის პირველი და მეორე მესამედების მიჯნაზე. დემოგრაფიულ პროცესებში ნახტომები ხდება, მაგრამ მათაც აქვთ გარკვეული ზღვარი, მით უმეტეს უნდა გაეწიოს ასეთ ზღვარს ანგარიში, როდესაც ერთმანეთს ვადარებთ საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდებს — საუკუნის მესამედებს. რა თქმა უნდა, ეპიდემია და შიმშილი იყო ხოლმე საქართველოში, მაგრამ გასული საუკუნის პირველ მესამედში ასეთ მოვლენებს მაინც ლოკალური ხასიათი ჰქონდათ და, როგორც ზემოთ დავინახეთ, მათ არ გამოუწვევიათ მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ზრდის დიდი ხნით შეფერხება. არ იქნება სწორი გასული საუკუნის პირველი მესამედი უფრო არახელსაყრელად მივიჩნიოთ საქართველოს მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით, ვიდრე მეოთრამეტე საუკუნის ბოლო ათეული წლები, ხოლო XIX ს-ის მეორე მესამედში ვიგულისხმოთ დემოგრაფიული სიტუაციის ასეთი მკვეთრი გაუმჯობესება.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ შემდეგი შეუსაბამობა ადრე შესრულებულ გამოკვლევებში: მესამე კამერალური აღწერით იმერეთში, რაჭაში და გურიაში 1832 წლისათვის მოსახლეობა განსაზღვრულია 197,2 ათასი სულის რაოდენობით. კ. ანთაძე თავის გამოთვლაში ამ ციფრს ადიდებს 264,5 ათასამდე[10]. დასახელებული პროვინციები ყველაზე მეტად დაზარალდნენ 1811—1812 წლებში შავი ჭირისა და შიმშილისაგან და გაუგებარია სწორედ ამ პროვინციებში მოსახლეობის რაოდენობის აპე ხელოვნურად გაზრდა. რაც მთავარია, ასეთ შემთხვევაში დაუსაბუთებელი რჩება მტკიცება იმისა, რომ არახელსაყრელმა პირობებმა XIX ს-ის პირველ მესამედში შეაჩერა მოსახლეობის ზრდა, პირველ ყოვლისა დასავლეთ საქართველოში.

ასევე შეუძლებელია დავეთანხმოთ კ. ანთაძეს იმაში, რომ XIX ს-ის მეორე მესამედში ქართველების საშუალოწლიური ბუნებრივი ზრდა შეადგენდა 0,97%-ს, ხოლო მესამე მესამედში — 1%-ს, არაქართველებისა კი 1,1%-ს. ჯერ ერთი, ეს მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო; მეორეც, გასული საუკუნის რეფორმისშემდგომი პერიოდი ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატებისათვის, ვიდრე იმავე საუკუნის მეორე მესამედი, ისევე როგორც ეს უკანასკნელი პერიოდი გაცილებით უკეთესი პირობებით გამოირჩეოდა ამ მხრივ XIX ს-ის პირველი მესამედისაგან. სსვანაირად რომ ვთქვათ, გასული საუკუნის მანძილზე ხდებოდა მოსახლეობის მატების უფრო თანაბარი თანდათანობითი დაჩქარება, ძირითადად ბუნებრივი მატების შედეგად, თუმცა მიგრაციული პროცესებიც გაცილებით ფართო მასშტაბებში მიმდინარეობდა 1860-იანი წლების შემდეგ, ვიდრე მანამდე.

მაინც, როგორია ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები?

სამწუხაროდ, XIX ს-ის პირველი მესამედისათვის მხოლოდ თბილისის მოსახლეობაზეა შემონახული ზოგიერთი ასეთი ცნობა. 1820-იან წლებში, როდესაც თბილისის მოსახლეობა დაახლოებით 20 ათასს შეადგენდა, ერთი

---

9 ვ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტომი პირველი, თბ., 1949, გვ. 719.

10 კ. ანთაძე, დასახ. ნაშრომი, ცხრილები 3 და 18.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ყოველწლიურად ქალაქში დაბადებულთა რიცხვი იყო 800 და გარდაცვლილთა რიცხვი 500[11]. ხსენებულ დოკუმენტში ციფრების ასეთი „დამრგვალებული“ სახით მოხსენიება თავისთავად იმას გვიჩვენებს, რომ ისინი არ არიან ზედმიწევნით ზუსტი, მაგრამ საორიენტაციოდ მაინც გამოდგებიან. გამოდის, რომ ყოველ ათას მცხოვრებზე შობადობა იყო 40, სიკვდილიანობა 25 და ბუნებრივი ნამატი 15. მეორე წყაროში მოტანილია, როგორც ჩანს, უფრო დაზუსტებული ცნობები 1827—1833 წლებისათვის[12]. ამ წლებში შობადობის საშუალო კოეფიციენტი იყო 27, გარდაცვალების — 18,4, ბუნებრივი მატების — 8,6. 1830-იანი წლებისათვის, ო. ევეცკის ცნობით[13], ანალოგიური მონაცემები შედგენდნენ: 34,4; 24 და 10,4. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ პირობებს, ბუნებრივი მატება არც თუ ისე მცირე ჩანს. რა თქმა უნდა, ანალოგიური მაჩვენებელი სოფლად უფრო დაბალი იქნებოდა (საშუალოდ 1800—1832 წწ.), მაგრამ საბუთაროდ ასეთი ციფრობრივი მონაცემები არ მოიპოვება იმ პერიოდისათვის.

1850-იან წლებში უკვე გამოჩნდა ცნობები ბუნებრივი მოძრაობის შესახებ ცალკე გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით. 1855 წ. ქუთაისის გუბერნიის ხუთ მაზრაში საშუალოდ შობადობა შედგენდა 27-ს, სიკვდილიანობა 13,7-ს, ხოლო ბუნებრივი მატება 13.3[14]. 1857—1863 წწ. საშუალოწლიური კოეფიციენტები თბილისის გუბერნიაში შედგენდა: შობადობა — 37,3, სიკვდილიანობა — 25,4, ბუნებრივი მატება — 11,9[15]. ქუთაისის გუბერნიაში 1858 წ. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი შედგენდა 13,2-ს, ხოლო 1864 წელს — 11,9-ს[16]. როგორც ვხედავთ, ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 1855—1864 წლებში როგორც ქუთაისის, ისე თბილისის გუბერნიაში რხევადობდა 11—13-ს შუა. ეს მაჩვენებელი დიდად არ უნდა იყოს დაცილებული სინამდვილეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სრული აღრიცხვა არ წარმოებდა არც დაბადებულებისა და არც გარდაცვლილების, მაგრამ ეს ხარვეზები ბუნებრივი მატების კოეფიციენტის აბსოლუტურ სიდიდეზე დიდ გავლენას ვერ მოახდენდა (რადგან ის წარმოადგენს სხვაობას ამ ორ მაჩვენებელს შორის).

მოყვანილ ციფრებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნებრივი მატება შესამჩნევად მეტი იყო 1850-იან და 1860-იან წლებში 1820 და 1830-იან წლებთან შედარებით. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მონაცემების სიმცირის მიუხედავად, ისინი მაინც იძლევიან საფუძველს, რომ XIX ს-ის მეორე მესამედში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ვივარაუდოთ არა ნაკლები 1,1%-სა, რაც არ ეწინააღმდეგება მოსახლეობის ზემოთ გამოთვლილ ოდენობას, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1865 წ. საქართველოს მოსახლეობა შედგენდა 1212,7 ათასს[17].

---

11 Центральный Государственный Военно-исторический Архив, ф. Военно-ученого архива, дело 18481.

12 Обозрение Российских владений за Кавказом, СПб, 1836, გვ. 217.

13 О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, СПб, 1835, გვ. 142—143.

14 Статистическое описание Кутаисской губернии, СПб, 1858, გვ. 78.

15 В. Приселков, Приращение населения и смертности в Тифлисской губернии, «Кавказский календарь» за 1865 г., отд. III.

16 Б. Джаошвили, Население Грузии, გვ. 16.

17 Б. Джаошвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკმაოდ საინტერესო ცნობები არსებობს მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებზე XIX საუკუნეში.

ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, XVIII ს-ის მიწურულში მეფე ერეკლე მეორემ ნება დართო სამ ყარაბაღელ სომეხ მელიქს ჩასახლებულიყვნენ თავის ყმებთან ერთად ქვემო ქართლში. თანამედროვე ბოლნისის, თეთრწყაროს და მარნეულის რაიონების ტერიტორიაზე მაშინ ჩასახლდა სომხების საკმაოდ დიდი ჯგუფი[18]. სოფლები — დაღვთი, სამშვილდე, ბოლნის-ხაჩინი და ბევრი სხვა სოფელი დაიკავეს მაშინ ჩამოსახლებულებმა. XIX ს-ის პირველი 10—15 წლის მანძილზე თურქების მიერ დაპყრობილი სომხური პროვინციებიდან გრძელდებოდა ლტოლვილთა მცირე ჯგუფების ჩამოსვლა საქართველოში. 1817—1818 წწ. ჩამოსახლდნენ ვიურტემბერგელი გერმანელები (სულ 1189 სული), რომლებმაც აღმოსავლეთ საქართველოში შექმნეს რამდენიმე კოლონია. როგორც პირველ წერილში უკვე იყო ნათქვამი, 1829—1831 წწ. სამხრეთ საქართველოში და წალკაში ჩასახლდა 32 ათასამდე სომეხი და ბერძენი ლტოლვილი. თუ ჩამოსახლებულთა სხვა მცირე ჯგუფებსა (მათ შორის რუს ჩინოვნიკებს) და გერმანელ კოლონისტებსაც გავითვალისწინებთ, საუკუნის პირველ მესამედში იმიგრანტთა საერთო რაოდენობა არ გადაჭარბებს 35 ათასს. ამავე დროს აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა ახალციხის ყოფილი საფაშოდან თურქების ემიგრაციას. მათი რაოდენობა, სულ მცირე, 6—7 ათასი კაცის რაოდენობით მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ასე რომ, სუფთა მექანიკური ნამატი XIX ს-ის პირველ მესამედში 28—30 ათასზე მეტი არ იქნებოდა ანუ მთელი ნამატის დაახლოებით მეოთხედი. ამ მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მოსახლეობის ბუნებრივი საშუალოწლიური მატება აღნიშნულ პერიოდში 0,3%-ზე ნაკლები არ იქნებოდა.

გასული საუკუნის მეორე მესამედში საქართველოში უპირატესად სახლდებოდნენ რუსი სექტანტები და დემობილიზებული რუსი ჯარისკაცები. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1832 წ. რუსების რაოდენობა დაახლოებით 0,5 ათასს შეადგენდა, ხოლო 1864 წ. — 19 ათასს[19], უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროის აღნიშნულ შუალედში ჩამოსახლებული რუსების რაოდენობა არ იქნებოდა 15 ათასზე ნაკლები. სხვა რაიმე მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესებს ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია.

როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილებიდან ჩანს, 1800 და 1832 წლებისათვის ჩვენ მიერ გაანგარიშებული საქართველოს მთელი მოსახლეობა მნიშვნელოვნად აღემატება ს. კაკაბაძის, ფ. მახარაძის და პ. გუგუშვილის მიერ გამოთვლილ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნებას იმავე პერიოდისათვის და რამდენადმე ნაკლებია კ. ანთაძის მიერ გაანგარიშებულ მაჩვენებლებზე. მიუხედავად იმისა, რომ კ. ანთაძემ გადაჭარბებით უჩვენა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1800 და 1832 წლებისათვის, მისი ნაშრომის ერთ-ერთი დადებითი მხარე ის არის, რომ მან მოსახლეობის დინამიკის ანალიზის დროს ყურადღება გაამახვილა ეროვნულ შემადგენლობაზე და მიახლოებით განსაზღვრა აღნიშნული წლებისათვის საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა. ქვემოთ ჩვენ ვეცდებით დავაზუსტოთ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ზოგიერთი მაჩვენებელი ცალკეულ ეროვნებათა რიცხოვ-

18 Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссией, т. I, № 35, გვ. 575.
19 კ. ანთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

ნების იმ შეთანაწყობათა საფუძველზე, რომელიც მოცემულია 1832 წლის კამერალური აღწერის მასალებში.

აღნიშნული აღწერის მასალებიდან ცნობილია ქართლ-კახეთის და იმერეთ-რაჭის გადამდები მოსახლეობის მამაკაცთა რაოდენობა ძირითად ეროვნებათა მიხედვით. საქართველოს ამ უმთავრეს პროვინციებში დასახლებული კონტინგენტების მამაკაცების ეროვნული კუთვნილება 1832 წლისათვის შემდეგნაირად ჯგუფდება: ქართველი — 75,3%, სომეხი — 12,1%, არაქართველი მაჰმადიანი — 4,2%, ოსი — 6,5%, ბერძენი — 1,1%, ებრაელი — 0,5%; დანარჩენი ეროვნებანი — 0,3%. ცალკე ეროვნებათა რაოდენობას შორის ამ შეთანაწყობის გავრცელება 1800 წელზე არ შეიძლება, რადგან XIX ს-ის პირველ მესამედში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესები. კერძოდ, სომხების რაოდენობას უნდა გამოაკლდეს ემიგრანტთა ის კონტინგენტები, რომლებიც 1800—1832 წლებში მესხეთ-ჯავახეთის ფარგლებს გარეთ დამკვიდრდა ქართლ-კახეთის პროვინციებში (წალკაში, თბილისში და ზოგ სხვა ადგილში). უეჭველია, რომ ნაწილი იმ სომხებისა, რომლებიც დასაწყისში ახალციხეში დასახლდნენ, 1830—1832 წლებში თბილისში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამას გვაფიქრებინებს ვაჭარ-ხელოსანთა ჭარბად მოზღვავება ახალციხეში, ადგილზე მათი შრომაში ჩაბმის სიძნელენი და იმ ხანებში თბილისში სომეხთა სწრაფი ზრდა. ამის გათვალისწინებით 1832 წელს ქართლ-კახეთში აღრიცხულ 30025 სომეხ მამაკაცს უნდა გამოაკლდეს სულ მცირე 5 ათასი კაცი. მთლიანად უნდა ამოვიღოთ დანარჩენი ეროვნებანი, რომლებიც ძირითადად შედგებოდნენ ბერმანელებისა და რუსებისაგან. თითქმის მთლიანად უნდა იქნეს ამოღებული ბერძენი. მაშინ გადამდები მოსახლეობის მამაკაცები ასე განაწილდებიან ეროვნებათა მიხედვით: ქართველი — 77,9%, სომეხი — 10,4%, არაქართველი მაჰმადიანი — 4,4%, ოსი — 6,6%, ბერძენი — 0,1%, ებრაელი — 0,5%. ვიდრე ამ სტრუქტურულ მაჩვენებლებს გამოვიყენებდეთ 1800 წ. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დასადგენად, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ არაგადამხდელი (პრივილეგიური) მოსახლეობა არაქართველთა შორის რამდენჯერმე ნაკლები იყო, ვიდრე ქართველებს შორის. თუ ამ შესწორებასაც შევიტანთ, მაშინ 1800 წლისათვის ქართლ-კახეთის და იმერეთ-რაჭის მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა საბოლოოდ შემდეგ სახეს მიიღებს: ქართველი — 80,5%, სომეხი — 8,9% არაქართველი მაჰმადიანი — 4,0%, ოსი — 6,1%, ებრაელი — 0,4%, ბერძენი — 0,1%. ასეთი შეთანაწყობის დროს ქართლ-კახეთსა და იმერეთ-რაჭაში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა იქნება 1800 წლისათვის; ქართველი — 386,8 ათასი, სომეხი — 43,7 ათასი, არაქართველი მაჰმადიანი — 19,2 ათასი, ოსი — 29,3 ათასი, ებრაელი — 1,9 ათასი, ბერძენი — 0,5 ათასი. არაქართველი მოსახლეობა მაშინდელ იმერეთ-რაჭაში მეტად უმნიშვნელო იყო (ძირითადად ქართველი ებრაელები).

მესხეთ-ჯავახეთის 37 ათასი მცხოვრებიდან 1800 წ. უმეტესი ნაწილი მოდიოდა ქართველ და არაქართველ მაჰმადიანებზე, მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ აგრეთვე სომეხი გრიგორიანები და ქართველი და სომეხი კათოლიკეები. თუ 1832 წ. კამერალური აღწერის შედეგებს გავითვალისწინებთ და ანგარიშს გავუწევთ იმ ფაქტს, რომ სომხების უდიდესი ნაწილი აქ ჩამოსახლდა 1829—1831 წლებში, მაშინ ამ ეროვნების მოსახლეობა საუკუნის დასაწყისში არ იქნებოდა 3,3 ათასზე მეტი, ხოლო არაქართველი მაჰმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანებისა — დაახლოებით 9 ათასი (მათი ნაწილი შემდგომში თურქეთში გადასახლდა). გარდა ამისა, ახალციხეში ცხოვრობდა აგრეთვე 0.4 ათასი ქართველი ებრაელი.

აფხაზეთის მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი აფხაზებზე, ხოლო ერთი მესამედი — ქართველებზე მოდიოდა. აფხაზების რაოდენობის დადგენის დროს ანგარიში უნდა გაეწიროს იმ გარემოებას, რომ მათი რიცხვი შედარებით ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა XIX ს-ის პირველ და მეორე მესამედებში. 1864 წლისათვის, მუჰაჯირობის დაწყების წინ, აფხაზი მოსახლეობა შეადგენდა 60 ათასს. 1800 წ. აფხაზების რაოდენობას ჩვენ ვგულისხმობთ დაახლოებით 52 ათასს. გურია-სამეგრელოში და აჭარის ტერიტორიაზე არაქართველთა რაოდენობა სრულიად უმნიშვნელო იყო. მიახლოებითი გამოთვლით აჭარაში უნდა ვიგულისხმოთ 1,8 ათასი თურქი.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა 1800 და 1832 წწ.

ეროვნებანი	1800 წ.		1832 წ.		1832 წელი პროცენტებით 1800 წ. მიმართ
	ათასობით	%%	ათასობით	%%	
ქართველი	622,6	79,4	677,1	75,9	108,8
აფხაზი	52,0	6,6	56,6	6,3	108,8
ოსი	29,3	3,7	32,3	3,6	110,2
სომეხი	47,0	6,0	84,0	9,4	178,7
თათარ-თურქი	30,0	3,8	27,0	3,0	90,0
ებრაელი	3,3	0,4	4,0	0,5	121,2
ბერძენი	0,5	0,1	7,0	0,8	14-ჯერ
დანარჩენი	—	—	4,1	0,5	—
ს უ ლ	784,7	100,0	892,1	100,0	113,7

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დასადგენად 1832 წლისათვის ვსარგებლობდით როგორც აღნიშნულ წელს ჩატარებული კამერალური აღწერის მასალებით, ისე მოსახლეობის ბუნებრივი მატების იმ ნორმებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ დავადგინეთ 1800—1832 წლებისათვის. აგრეთვე აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მონაცემებით.

მესხეთ-ჯავახეთში ჩამოსახლებული სომხების რაოდენობა 1829—1831 წლებში 25 ათასს უახლოვდება. დაახლოებით 2 ათასამდე სომეხი და 5 ათასამდე ბერძენი ჩამოსახლდა დღევანდელი წალკისა და თეთრიწყაროს რაიონების ტერიტორიაზე და ამავე დროს 6 ათასმა თურქმა დატოვა საქართველოს ფარგლები. მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის ამ მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, მესხეთ-ჯავახეთში 1832 წელს იქნებოდა დაახლოებით 32 ათასი სომეხი, 6 ათასი არაქართველი მაჰმადიანი, ათასამდე ებრაელი და 26 ათასი ქართველი, რომელთა დიდ ნაწილს მიღებული ჰქონდა მაჰმადიანური სარწმუნოება. მხედველობაში ვიღებთ რა წალკა-თეთრიწყაროს ტერიტორიაზე ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლებას და მანამდე ქართლ-კახეთის ფარგლებში მცხოვრები სომხების ბუნებრივ მატებას (სომხების ბუნებრივ მატებას ვგულისხმობთ იმავე დონეზე, რაც საშუალოდ მთელი მოსახლეობისა), 1832 წლისათვის ვანგარიშობთ ქართლსა და კახეთში 51 ათას სომეხს და 7 ათას ბერძენს. ამ დროისათვის მცირე რაოდენობით სომხები იყო აგრეთვე ქუთაისში (0,6 ათასი); მთლიანად საქართველოში სომხების რაოდენობა იქნება 84 ათასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული საუკუნის პირველ მესამედში მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესებს ოსებს შორის ადგილი არ ჰქონია. ასე რომ, ოსების რაოდენობა იზრდებოდა ძირითადად ბუნებრივი მატების გზით, რაც დაახლოებით 0,3%-ს შეადგენდა საშუალოდ ყოველწლიურად.

არაქართველ მაჰმადიანებს მოაკლდათ 6 ათასი კაცი, მაგრამ ბუნებრივი მატების გათვალისწინებით მათი რაოდენობა იქნებოდა 27 ათასამდე. „დანარჩენი“ ეროვნებების ჯგუფში უმეტესობას შეადგენდნენ გერმანელები და რუსები, რომლებიც 1800 — 1832 წწ. ჩამოსახლდნენ საქართველოში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, XIX ს-ის პირველ მესამედში დიდად გაიზარდა სომხებისა და ბერძნების ხვედრითი წონა, რაც გამოწვეული იყო მათი იმიგრაციით. ქართველებისა და დანარჩენი ეროვნების მოსახლეობის ბუნებრივი მატება დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. არაქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის შემცირება მოხდა მათი ემიგრაციის შედეგად.

XIX ს-ის რეფორმამდელი პერიოდის საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ:

1. ადრე ჩატარებულ გამოკვლევებში გადაჭარბებულად იყო შეფასებული გასული საუკუნის პირველ მესამედში საქართველოს მოსახლეობის გამრავლების არახელსაყრელი პირობები, აგრეთვე კრატიკულად არ განხილულა ზოგიერთი მაშინდელი ციფრობრივი მასალა (მაგალითად, იმერეთის მოსახლეობის შესახებ), რამაც გამოიწვია უზუსტობანი მოსახლეობის რაოდენობის გამოთვლაში 1800 და 1832 წლებისათვის. დღეისათვის ცნობილი წყაროების ანალიზი საფუძველს გვაძლევს, საქართველოს (დღევანდელ საზღვრებში) მოსახლეობა 1800 წლისათვის განესაზღვროთ 770—800 ათასის, ხოლო 1832 წელს — 880—900 ათასის ფარგლებში.

2. საქართველოს მოსახლეობის საშუალოწლიური მატება XIX ს-ის პირველ მესამედში შეადგენდა 0,41%-ს. 1800—1832 წლებში მოსახლეობის აბსოლუტური ნამატი უდრიდა დაახლოებით 107 ათასს, რომლის ერთი მეოთხედი მოდიოდა მექანიკურ შევსებაზე, ხოლო სამი მეოთხედი — ბუნებრივ ზრდაზე. მოსახლეობის მატების საკმაოდ დაბალი ტემპი განაპირობა მაშინდელმა სამხედრო-პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიურმა ვითარებამ. 1811—1812 წლებში დიდი ზიანი მიაყენა იმერეთის მოსახლეობას შავმა ჭირმა, წყალდიდობამ და შიმშილმა. დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობის გამრავლებას ლეკიანობა, ტყვის სყიდვა, სანიტარული კულტურის დაბალი დონე და სხვა ანალოგიური მოვლენები. მიუხედავად ამ არახელსაყრელი პირობებისა, XIX ს-ის პირველი მესამედი ამ მხრივ არ შეიძლება შევადაროთ შუა საუკუნეების საქართველოს უმძიმეს პერიოდებს, როდესაც გარეშე მტრების შემოსევების შედეგად მასიურად ხდებოდა მოსახლეობის ამოწყვეტა, ნადგურდებოდა ქალაქები და სოფლები, მთლიანად იცლებოდა ზოგიერთი მხარე. ამის ერთ-ერთი მაგალითია უძველესი ქართული პროვინციების — ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მკვიდრი მოსახლეობის მოსპობა და ამ მხარეების გაუკაცრიელების შედეგად მათი დასახლება უცხო ტომებით.

3. XVIII ს-ის მიწურულში და XIX საუკუნის პირველ ორ მესამედში მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში. ეს ცვლილებები გამოიწვია სომხების, რუსების, ბერძნებისა და გერმანელების ჩამოსახლებამ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და რუსეთის შიდა პროვინციებიდან. ამის შედეგად ქართველების ხვედრითი წონა 1800 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

79,4%-ან 1832 წლისათვის შემცირდა 75,9%-დე. მიგრაციული პროცესების შედეგად ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონის შემცირება შემდგომშიც გრძელდებოდა. ადრე არსებული და შემდგომში გაუკაცრიელებული ბევრი ქართული სოფელი გასული საუკუნის პირველ ნახევარში მესხეთ-ჯავახეთში და თრიალეთში დაიკავა გარედან მოსულმა არაქართველმა მოსახლეობამ.

4. მოსახლეობის მატების ტემპები XIX ს-ის პირველ მესამედში საქართველოს ცალკეულ პროვინციებში არ იყო ერთგვაროვანი. უკვე დასახელებული მიზეზების გამო უფრო ნელა მატულობდა მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებში. ამავე დროს მცხოვრებთა ბუნებრივი მატებით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტიქიურ უბედურებებს) საქართველოს რეგიონები დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. არ არსებობს რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ მოსახლეობის შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტები დავუკავშიროთ მეურნეობის ან სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარკვეულ სახეობებს. რამდენადმე მნიშვნელოვანი იყო რელიგიური დოგმებისა და შემორჩენილი ტრადიციების გავლენა. ამის მაგალითს წარმოადგენს შობადობის უფრო მაღალი მაჩვენებლები მაჰმადიან და სომეხ — გრიგორიანთა შორის, მაგრამ იმის გამო, რომ სიკვდილიანობაც მათ შორის, უფრო მაღალი იყო, ბუნებრივი მატების ნორმები შესამჩნევად არ განსხვავდებოდა ქართველ და არაქართველ მოსახლეობაში.

5. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ სუსტად იყო გამოსახული მოსახლეობის შიგამიგრაციული პროცესები. საწარმოო ძალების განვითარების მეტად ნელი ტემპი განაპირობებდა ქალაქების განვითარების დაბალ დონეს, რის შედეგადაც უმნიშვნელო იყო მათი მიზიდულობის ძალა. ქალაქებში მცხოვრებთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში არ აღემატებოდა 4—5%-ს[20]. თითქმის არ ჰქონია ადგილი მოსახლეობის სტიქიურ ჩასახლებებს სასოფლო ადგილებში. ბატონყმური ურთიერთობა და მეურნეობის ნატურალური ფორმები არა მარტო ზღუდავდნენ საწარმოო ძალების განვითარებას, არამედ თითქმის მთლიანად გამორიცხავდნენ მოსახლეობის შიგა ტერიტორიულ გადაადგილებას.

6. მოსახლეობის ტერიტორიული განაწილების (განსახლების) ერთ-ერთი თავისებურება გამოისახებოდა ჩრდილოეთი მთიანი რაიონების შედარებით მჭიდრო დასახლებაში. თავისი ბუნებრივი პირობების გამო ეს რაიონები შუა საუკუნეებში ბევრად უკეთ იყო დაცული გარეშე მტრისაგან, ვიდრე ბარის რაიონები და ამის გამო მოსახლეობა აქ უფრო შემორჩა. ამავე დროს ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად გამოსახული მცხოვრებთა ლტოლვა მთიდან ბარისაკენ. საქართველოს სამხრეთი მთიანი რაიონებიდან „კარგი" დასახლებულობით გამოირჩეოდა შიდა აჭარა და ნაწილობრივ მესხეთი. მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში ბევრად გაძლიერდა XIX ს-ის პირველი ნახევრის მიგრაციული პროცესების შედეგად.

---

20 საყურადღებოა, რომ XIX ს-ის დასაწყისში ქალაქად ცხოვრობდა მსოფლიოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 3% (Народонаселение стран мира, справочник, М., 1974, გვ. 416).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი დუნდუა

ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები

ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა, კოლხური თეთრის შემდეგ, ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემათაგანია. ისევე როგორც „კოლხური თეთრის" პრობლემა შორს სცილდება ერთი სამონეტო ჯგუფის ატრიბუციის ფარგლებს და მჭიდროდაა გადახლართული ადრეანტიკური ხანის საქართველოში სახელმწიფოს გენეზისის, კლასობრივი საზოგადოების კონსოლიდაციისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხებთან, ქართულ-სასანური დრაქმების მეცნიერულ კლასიფიკაციასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეფეოდალური ხანის ქართლის ინტეგრაციისა და ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკური ძეგლის — მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

მაგრამ მაგავსება მხოლოდ ამით ამოწურება.

კოლხური თეთრის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს, ქართულ-სასანური დრაქმების მიმართ კი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ერთგვარი „ტაბუ" არის გამოცხადებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ საკითხი ყველაზე ვრცლად, ყველაზე აკადემიურად განხილულია ე. პახომოვის 1910 წ. გამოსულ მონოგრაფიაში*. უფრო მეტიც: ქართულ ნუმიზმატიკურ ლიტერატურას თავი ვერ დაუღწევია ე. პახომოვის კონცეფციის გავლენისაგან და აგერ უკვე რამოდენიმე ათეული წელია ბრმად იმეორებს მას.

კოლხური თეთრის ზოგიერთი სახეობა ათასობითაა ცნობილი. ქართულ-სასანური დრაქმების მარაგი კი ოცდაათოდე ეგზემპლარით განისაზღვრება.

კოლხური თეთრი ფრმოჩენილია განძებად (ცალკე თუ უცხოურ მონეტებთან ერთად), არქეოლოგიურ კომპლექსებში (სამარხებში, ფენებში), ქართულ-სასანური მონეტები უპასპორტოა.

ყველაფერი ეს, ცხადია, ართულებს კვლევა-ძიებას.

მიუხედავად ამისა, ჩვენ გვიჩვენება, რომ უკვე ადრეულ ეტაპზე იყო შესაძლებელი ზოგიერთი ბუნდოვანი მხარე პრობლემისა სათანადოდ გაშუქებულიყო. მაგრამ, ვიმეორებთ, ე. პახომოვის დიდმა ავტორიტეტმა, ამჯერად, ცუდი სამსახური გაუწია მეცნიერებას. და ეს, პირველ რიგში, ქართლის ერისმთავრის — სტეფანოსის სახელით მოჭრილ დრაქმების ატრიბუციას შეეხება.

სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტები გვიანდელია ქართულ-სასასანურ დრაქმებს შორის. მიუხედავად ამისა, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა გამოიყურებოდეს ეს მეთოდი, გვინდა პრობლემის განხილვა ბოლოდან დავიწყოთ, რადგან მიგვაჩნია, რომ სტეფანოსის დრაქმების ზუსტი მეცნიერუ-

---

* Е. А. Пахомов. Монеты Грузии. ч. I. СПб., 1910.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ატრიბუცია და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია შექმნის საიმედო საფუძველს ამ სამონეტო ჯგუფის მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებისათვის საერთოდ.

ვიდრე უშუალოდ ნუმიზმატიკური მასალის ზოგად აღწერას შევუდგებოდეთ[1], საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ წინამორბედ მეცნიერთა, გამსაკუთრებით კი ი. ბართოლომეის დიდი დამსახურება ქართულ-სასანური დრაქმების შესწავლის საქმეში. ი. ბართოლომეი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც დაამტკიცა, რომ ქართულ-სასანური მონეტების უმრავლესობა ჰორმიზდ IV (579—590 წწ.) დრაქმების იმიტაციას წარმოადგენენ[2]. ამით მან მტკიცე ქრონოლოგიური საყრდენი შექმნა მათ დასთარიღებლად.

სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტები ორ ჯგუფად იყოფა. ვიძლევთ მათ სქემატურ აღწერილობას.

I ჯგუფი. შუბლი — ჰორმიზდ IV გამოსახულება მარჯვნივ. ფალაური ლეგენდა: ჰრმ — აფზუ. ყველაფერი ეს ჩასმულია შეერთებული წერტილებისაგან შემდგარ ერთმაგ მსხვილ რკალში. მონეტის კიდეზე ოთხი ქართული მთავრული ასო: **ს ფ ჩ ს** (=სტეფანოს), შემორკალული ოთხი ნახევარმთვარით.

ზურგი — კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი. თარიღი და ზარაფხანის სახელი იმდენადაა დამახინჯებული, რომ წაკითხვა შეუძლებელია. გარშემო შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი ორმაგი რკალი[3].

II ჯგუფი. შუბლი — როგორც წინა. ოღონდ ფალაური წარწერის ნაცვლად მეფის გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ქართული ასომთავრული ლეგენდა: **ს.Ე | ᲗᲐ | ᲩᲩ | Ო.Ს**, ე. ი. სტეფანოს. გარშემო ორმაგი რკალი.

ზურგი — როგორც წინა, ოღონდ ფალაური წარწერის გარეშე. გარშემო სამმაგი რკალი[4].

პირველ ჯგუფს ბერლინის მუზეუმის კუთვნილი უნიკალური მონეტა ქმნის, ხოლო მეორე ჯგუფის მონეტები 11 ცალის რაოდენობით დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი — 3, ბერლინი — 4, ერმიტაჟი — 2, მოსკოვის ისტორიული მუზეუმი — 1, ბრიტანეთის მუზეუმი — 1) და, გარდა ამისა, 10 ც. ლიტერატურაშია მოხსენიებული[5].

თანამედროვე ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებების მიხედვით, მონეტა, რომელზედაც სტეფანოსის სახელი შემოკლებითაა გადმოცემული, ეკუთვნის ქართლის ერისმთავარს სტეფანოს I (ვახუშტის

---

[1] დაწერილებითი აღწერილობა, საკითხის ისტორია, ბიბლიოგრაფია იხ. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, ч. I, გვ. 15—36.

[2] Mém. de la Soc. d'Arch. de St.-Pét., I. Bulletin, გვ. 41—43; Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

[3] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—29.

[4] იქვე, გვ. 30—31.

[5] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 53; ლიტერატურაში მოხსენებული ზოგიერთი ცალი, ცხადია, შედის ჩამოთვლილი მუზეუმების კოლექციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონოლოგიით 600—619 წწ.)[6], ხოლო დრაქმები, რომლებზედაც ამ უკანასკნელის სახელი სრულადაა აღბეჭდილი — სტეფანოს II[7] (639—663 წწ.)[8].

პირველი ჯგუფის მონეტის ატრიბუციის თავიდანვე არავითარი დავა არ გამოუწვევია, მაგრამ მეორე ჯგუფის დრაქმების პუბლიკაციას იმთავითვე მოჰყვა დისკუსია.

სამეცნიერო მიმოქცევაში ეს მონეტები 1819 წ. შემოიტანა ხ. ფრენმა, ხოლო 1832 წ. მანვე ისინი სტეფანოს I მიაკუთვნა[9].

მ. ბარათაშვილი არ დაეთანხმა ფრენის ატრიბუციას და ამ მონეტების ემისია სტეფანოს II მიაწერა[10].

მაგრამ უკვე 1847 წ. ი. ბართოლომეი კატეგორიულად გამოვიდა სრულ ქართულ წარწერიანი მონეტების სტეფანოს I მიკუთვნების სასარგებლოდ. ძისი არგუმენტაცია მარტივი და სრულიად ლოგიკურია. მან აღნიშნა დიდი მსგავსება სტეფანოსის სახელით მოჭრილი ნონეტების I და II ჯგუფს შორის (ცერძოდ ის, რომ ორივე მათგანზე ჰორმიზდ IV არის გამოსახული) და არ მიიჩნია შესაძლებლად II ჯგუფის დრაქმები VII ს-ის შუა ხანებში გადაეტანა. სტეფანოს II ზეობის წლები დროის ხანგრძლივი ინტერვალითაა მოცილებული ჰორმიზდ IV მმართველობის ხანას, ამიტომ, ი. ბართოლომეის აზრით, ამ უკანასკნელის მონეტების მიხედვით ემისია მხოლოდ სტეფანოს I შეეძლო განეხორციელებინა[11].

სამწუხაროდ, ი. ბართოლომეის, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი შეხედულება, დავიწყებულ და გაბათილებულ იქნა ე. პახომოვის არგუმენტაციის წყალობით, რომელთა კრიტიკული გარჩევა, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, არავის უცდია.

რაში მდგომარეობს ე. პახომოვის შეხედულებათა კვინტესენცია? მისი აზრით, სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტები მკვეთრად განირჩევიან ერთმანეთისაგან და ამიტომ მათი ემისია ორ სხვადასხვა პირს უნდა მიეწეროს: სტეფანოს I და სტეფანოს II.

სტეფანოს I იგი მიაკუთვნებს ბერლინის უნიკალურ მონეტას და მისთვის დამახასიათებლად მიიჩნევს შემდეგ ნიშნებს: 1. ფალაური ლეგენდა მეფის ბიუსტთან (აქედან მისი დასკვნა: მონეტაზე მოთავსებული პორტრეტი ირანის მეფეა და არა ქართლის ერისმთავარი); 2. ქართლის ერისმთავრის სახელი დაქარაგმებული არა მონეტის ცენტრალურ ადგილას, არამედ არეზე (ე. პახომოვის აზრით, ზემოთქმული გარკვევით მიუთითებს, რომ მონეტა მოჭ-

---

[6] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 121—122.

[7] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 30—36; Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, გვ. 47—48; მისივე, ქართული ნუმიზმატიკა, 1969, გვ. 52—53. D. Lang, Notes on Caucasian Numismatics, „Numismatic Chronicle", vol. XVII, 1957, London, გვ. 139—140 და სხვ.

[8] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123—124.

[9] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[10] М. П. Баратаев, Нумизматические факты грузинского царства, СПб., 1844, дополн. къ разр. I, დაწერილებითი ბიბლიოგრაფია ამ პოლემიკის შესახებ, იხ. Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[11] Mém. de la Soc. d'Arch. I. Bulletin, გვ. 41—43; Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილია არა დამოუკიდებელი მმართველის, არამედ ირანის მეფის ვასალის მიერ); **3.** მონეტის შუბლზე მოთავსებული ერთმაგი რკალი; **4.** მონეტის ზურგზე — ორმაგი; **5.** მონეტის რევერსზე ისევ ფალაური ლეგენდებია დამახინჯებული სახით.

ამ ფორმალური ნიშნების გამოყოფის შემდეგ, ე. პახომოვი ბერლინის უნიკალურ მონეტას უდარებს ჰორმიზდ IV და ხოსრო II (590/1—628) ორიგინალურ დრაქმებს და ამ გზით ცდილობს სტეფანოს I მონეტის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას.

ქართველმა ოსტატმა, ე. პახომოვის ვარაუდით, პროტოტიპად აიღო ჰორმიზდ IV დრაქმა, რაზედაც მიუთითებს წარწერა, მეფის ბიუსტი და ერთმაგი რკალი მონეტის შუბლზე. მაგრამ მონეტის ზურგზე ორმაგი რკალი უდავოდ აღებულია ხოსროII საფასეებიდან (ვინაიდან ჰორმიზდ IV ერთრკალიან მონეტას ჭრიდა). აქ შეიძლება კონტრარგუმენტის წამოყენება: საქმე ისაა, რომ ხოსრო II დრაქმებზე ამოკვეთილია სამმაგი რკალი და არა ორმაგი. მაგრამ ამ საბუთს არ შეიძლება მიენიჭოს გადაწყვეტი მნიშვნელობა. ხელოსანს ადვილად შეეძლო რკალების რაოდენობის აღრევა.

ამრიგად, ასკვნის ე. პახომოვი, ბერლინის მუზეუმის კუთვნილი უნიკალური ცალის ემისია შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც: **1.** ქართლი დამოკიდებული იყო ირანზე; **2.** საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში ძირითადად ჰორმიზდ IV მონეტები მიმოიქცეოდა, ხოლო ხოსრო II დრაქმები ის ის იყო ირთვებოდა ბრუნვაში (ამაზე მიუთითებს დამატებითი რკალი ქართული მონეტის ზურგზე). ეს ყველაფერი, ე. პახომოვის კონცეფციის თანახმად, მიუთითებს სტეფანოს I ხანაზე[12].

რა არის დამახასიათებელი სრულ ქართულ წარწერიანი მონეტებისათვის? **1.** ფალაური ლეგენდის სრული არ არსებობა; **2.** ქართული ზედწერილის ამოტვიფვრა მეფის ბიუსტის გვერდით; **3.** ორმაგი რკალი მონეტის შუბლზე და **4.** სამმაგი — მონეტის ზურგზე.

პირველი ორი მომენტი, ე. პახომოვის აზრით, მიანიშნებს, რომ მონეტები მოჭრილია დამოუკიდებელი მმართველის მიერ, რომელიც აღარ ემორჩილება სასანელთა იმპერიას. ასეთი კი იყო სტეფანოს II და არა სტეფანოს I. ხოლო ბოლო ორი ნიშნის მიხედვით, შეიძლება ამ დრაქმების დათარიღება. საქმე ისაა, რომ ორმაგი რკალი მონეტის შუბლზე და სამმაგი — ზურგზე, გვხვდება არა ჰორმიზდ IV საფასეებზე, არამედ ხოსრო II მონეტებზე და ამდენად ისინი ამ უკანასკნელთა იმიტაციას წარმოადგენენ. ხოსრო II მეფობის წლები (590/1—628) კი ემთხვევა (?!—**გ. დ.**) სტეფანოს II ზეობის (639—666) წლებს[13].

ასეთია ე. პახომოვის პოზიცია ე. წ. ქართულ-სასანურ მონეტებთან დაკავშირებით.

ე. პახომოვის კონცეფციაში არის რამდენიმე შესანიშნავი დაკვირვება, რომლებსაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში (მისი დიდი დამსახურებაა მაგ., ბერლინის მუზეუმის უნიკალური მონეტის ზურგზე მოთავსებული

---

[12] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 34—35.

[13] იქვე, გვ. 35—36.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამატებითი რკალის პროტოტიპის მითითება და, განსაკუთრებით, დადგენა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტისა, რომ სრულ ქართულ წარწერიანი მონეტები ხოსრო II დრაქმების იმიტაცია). მაგრამ მისი ატრიბუცია ხელოვნურია.

სამწუხაროდ, მიუხედავად აშკარად სუსტი ადგილებისა, იგი თავიდან ბოლომდე იქნა გაზიარებული ქართულ (და არა მარტო ქართულ) ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში[14].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხელოვნებათმცოდნეობისა და ისტორიული ხასიათის ნაშრომებში იყო ცდები არსებული კონცეფციის დარღვევისა. მაგრამ ეს ცდები არ იყო დაფუძნებული ე. პახომოვის დებულებებს კრიტიკაზე, კონკრეტული მასალის შესწავლაზე და, ძირითადად, ზოგად ხასიათს ატარებდა.

1948 წ. გამოვიდა აკად. გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფია — „Памятники типа Джвари", სადაც ავტორი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის კარდინალურ პრობლემათა გვერდით, შეეცადა, ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, შეესწორებია ვახუშტის ქრონოლოგია ქართლის ერისმთავრების ზეობის წლებს რომ შეეხება. საკითხის ასეთი დაყენება უკვე თავისთავად იყო დიდი სიახლე. გარდა ამისა, სრულიად გარკვევით, მაგრამ ე. პახომოვის კრიტიკის გარეშე, გ. ჩუბინაშვილმა სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტების ორივე ჯგუფი სტეფანოს I მიაკუთვნა და მისი მმართველების დასაწყისს ხანად 590 წელი მიიჩნია, ნაცვლად ვახუშტისეული 600 წლისა[15].

რა საფუძვლით?

მისი განცხადებით, თითქოს ვ. ლანგლუა და ი. ბართოლომეი ბერლინის მუზეუმის უნიკალური მონეტის ზურგზე მოთავსებულ დამახინჯებულ ფალაურ თარიღს კითხულობდნენ, როგორც ჰორმიზდ IV მმართველობის მე-12, ე. ი. უკანასკნელ წლად (ჰორმიზდ IV გამეფდა 579 წ. + 12 = 590 წ.) „Итак — пишет г. Чубинашвили, — несомненно, что есть монеты Эрисмтавара Степаноза, чеканенные в последний год царствования Ормизда IV, именно в 590 г."[16] და შემდეგ: „...факты нумизматики заставляют передвинут начало правления Степаноза I на целое десятилетие, в конец VI века"[17].

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ გ. ჩუბინაშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღი ჩვენ ა რ ს ე ბ ი თ ა დ სწორად მიგვაჩნია, ნუმიზმატიკური საფუძველი, რომელსაც ეს თარიღი ეყრდნობა, მართებული არაა.

საქმე ისაა, რომ არც ვ. ლანგლუას და არც ი. ბართოლომეის ბერლინის მუზეუმის უნიკალურ მონეტაზე მოთავსებული დამახინჯებული თარიღი არ წაუკითხავთ (და ვერც წაიკითხავდნენ) ჰორმიზდ IV მმართველობის მე-12

[14] იხ. მაგ. ფ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, რამდენიმე შენიშვნა ე. წ. ქართულ-სასანური დრამების შესახებ, „სოკ. მეცნ. აკადემიის მოამბე", ტ. VI, № 1, 1945; მ ი ს ი ვ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 36—37; მ ი ს ი ვ ე, Грузинская нумизматика, გვ. 46—48; მ ი ს ი ვ ე, ქართული ნუმიზმატიკა, 1969, გვ. 47—53; Lang D a v i d, დასახ. ნაშრომი, გვ. 139; მ ი ს ი ვ ე, Studies in the Numismatic History of Georgian in Transcaucasia, New-York, 1955, გვ. 12; Cyril Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, 1963, Georgetown University Press, გვ. 429.

[15] Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Памятники типа Джвари, Тб., 1948, გვ. 22 შმდ.

[16] იქვე, გვ. 23.

[17] იქვე, გვ. 23.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წლად, ვინაიდან მას შორეული მსგავსებაც კი არა აქვს ფალაური დამწერლობით შესრულებულ თორმეტთან. ამიტომაც, რომ გ. ჩუბინაშვილი ვ. ლანგლუას წიგნს არც კი უთითებს სქოლიოში (სხვათაშორის ვ. ლანგლუა ამ თარიღს კითხულობდა, როგორც ჰორმიზდ IV მმართველობის მე-7 წელს = 586[18]), ხოლო ბართოლომეის ნაშრომიდან მხოლოდ ტაბულას იმოწმებს და არა გვერდს[19].

რამ გამოიწვია ეს? ჩვენი აზრით, გ. ჩუბინაშვილი შეცდომაში შეიყვანა ი. ბართოლომეის ნაშრომის ტაბულაზე მოთავსებულმა მონეტების ფოტოტიპროდუქციებმა. ი. ბართოლომეის ტაბულა I-ზე № 4-ით გამოქვეყნებული აქვს ბერლინის უნიკალური მონეტა, ხოლო მის პარალელად №№ A და B-თი მოტანილი აქვს ჰორმიზდ IV ორიგინალური დრაქმები, დათარიღებული მეფობის მე-7 და მე-12 წწ.[20]. სხვა ახსნა შეუძლებელია მოეძებნოს ამ ფაქტს. მაგრამ სტეფანოსის მონეტის პარალელად ი. ბართოლომეის მოაყავს არა მარტო მე-12 წლით დათარიღებული მონეტა ჰორმიზდ IV-ისა, არამედ მე-7 წლითაც. მაშ რატომ უნდა მიეხიოს უპირატესობა მე-12 წლით დათარიღებულ სასანურ მონეტას?! გარდა ამისა, ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ ჰორმიზდ IV ორიგინალური დრაქმები მოჭრილი მისი მეფობის მე-12 წელს (590 წ.) მ ა ი ნ ც დ ა მ ა ი ნ ც ი მ ა ვ ე წ ე ლ ს შ ე მ ო ვ ი დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი, მ ა ს ო ბ რ ი ვ ა დ გ ა ვ რ ც ე ლ დ ა ა ქ (წინაადმდეგ შემთხვევაში ხელოსანი მას ვერ აიღებდა ნიმუშად) და მ ა ი ნ ც დ ა მ ა ი ნ ც ი მ ა ვ ე 590 წ ე ლ ს მ ო ი ჭ რ ა ბ ე რ ლ ი ნ ი ს უ ნ ი კ ა ლ უ რ ი მ ო ნ ე ტ ა, თ ა ნ ა ც ი ს ე თ ი დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ უ ლ ი თ ა რ ი ღ ი თ, რ ო მ მ ი ს ი წ ა კ ი თ ხ ვ ა თ ი თ ქ მ ი ს შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა?! ვფიქრობთ, ამის დამტკიცება ერთობ ძნელია.

ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ მიუხედავად მცდარი ამოსავალი წერტილისა, გ. ჩუბინაშვილმა თავისი დიდი მეცნიერული ინტუიციისა და მცხეთის ჯვრის არქიტექტურული ფორმების ბრწყინვალე ანალიზის მეოხებით, პრინციპულად სწორად გადაწყვიტა ვახუშტის ქრონოლოგია. მით უფრო იწევს გაკვირვებას ის ფაქტი, რომ გ. ჩუბინაშვილის პოზიციამ სტეფანოსის სახელით მოჭრილ მონეტებთან დაკავშირებით, სულ უკანასკნელ დრომდე აბახვა ვერ ჰპოვა ქართულ საისტორიო თუ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში. საოცარია, რომ ფ. კაპანაძის „ქართული ნუმიზმატიკაში", რომელიც გ. ჩუბინაშვილის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ სამგზის გამოიცა, იგი ბიბლიოგრაფიაშიც კი არაა შეტანილი.

ბოლო ხანებში გ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისი მთლიანად გაიზიარეს პროფ. მ. ლორთქიფანიძემ და ა. ბოგვერაძემ.

მ. ლორთქიფანიძე უკვე ყოველგვარ ეჭვს გარეშე თვლის, რომ ბერლინის უნიკალური მონეტა ჰორმიზდ IV მმართველობის მე-12, ე. ი. 590 წელსაა მოჭრილი და სტეფანოს I ზეობის წლებად მიიჩნევს 586/90—604/5 წ. წ.[21]. (ხო-

---

[18] Langlois V. Essai de classification des suites monetaires de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'à nos jours. Paris, 1860. გვ. 29. № 7.

[19] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, სქ. 9.

[20] J. Bartholomaei, Lettres Numismatiques et Archèologiques, relatives à la Transcaucasie, St-Petersbourg, 1859, ტ. I, N 4, NA და B.

[21] М. Д. Лордкипанидзе. К вопросу о надписях храма Джвари в Михета. „Мацне", 1968, № 4, გვ. 195.

ლო სხვა ადგილას პირდაპირ 586 (?—**გ. დ.**)—604/5 წლებსაც კი[22]). არავითარი დამტკიცებით არგუმენტაცია, გარდა გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფიაზე მითითებისა, მ. ლორთქიფანიძის ნაშრომში მოტანილი არაა.

ასევე დამტკიცებითი არგუმენტაციის გარეშეა გაზიარებული გ. ჩუბინაშვილის კონცეფცია ა. ბოგვერაძის მიერაც. უფრო მეტიც: მისი განცხადებით, ბერლინის მუზეუმის უნიკალური მონეტა „მოჭრილი უნდა იყოს არა უგვიანეს 589 წლისა (ამ წელს ჰორმიზდ IV ტახტიდან ჩამოაგდეს)"[23]. თარიღის ასეთი დაკონკრეტება და გაახალგაზრდავება ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად.

დაბოლოს ორივე სამონეტო ჯგუფი სტეფანოს I მიაკუთვნა ზ. ალექსიძემაც. მისი აზრით, ისინი 590—628 წწ. თავსდებიან და განეკუთვნებიან სტეფანოს I მოღვაწეობის ორ პერიოდს. სტეფანოს II კანდიდატურა მან გამორიცხა, ვინაიდან „მის დროს ორმიზდის (? **გ. დ.**) მონეტების მიბაძვა მხოლოდ გარკვეული ძალდატანებით შეიძლება მივიღოთ". სტეფანოს I, ზ. ალექსიძის კონცეფციის თანახმად, თავისი რელიგიური მრწამსით მონოფიზიტია, სპარსული ორიენტაციის მომხრეა. მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდი გრძელდება 604 წლამდე. ამ ხანებში (ე. ი. 590—604 წწ.) უნდა იყოს მოჭრილი ბერლინის მუზეუმის უნიკალური მონეტა. დაახლოებით 604 წ. იმარჯვებენ ქალკედონური მიმდინარეობის წარმომადგენლები (ადარნასე, კირონი) და სტეფანოს I კარგავს ტახტს. „614 თუ 616 წელს, ე. წ. „სპარსული კრების" შემდეგ, ხოსრო კვლავ აღადგენს მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში „სომხურ სარწმუნოებას" (მონოფიზიტურს). ქალკედონტი მოღვაწეები იძულებული არიან მიატოვონ თავიანთი ქვეყნები. ადარნასე გადადის კახეთში... ქართლში კვლავ ბრუნდებიან სტეფანოს I და კათალიკოსი ბართლომე". სწორედ სტეფანოს I მოღვაწეობის მეორე პერიოდს (616—629 წწ.), უნდა ეკუთვნოდეს, ზ. ალექსიძის აზრით, ის მონეტები, რომელთა ემისიას დღემდე სტეფანოს II სახელს უკავშირებდნენ[24].

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

1. ზ. ალექსიძეზე ადრე ეს აზრი გამოთქვეს ი. ბართოლომეიმ (1847 წ.) და გ. ჩუბინაშვილმა (1948 წ.). კვლევისხმობთ ორივე სამონეტო ჯგუფის ერთი პიროვნებისადმი მიკუთვნების იდეას; **2.** არაა მართებული თითქოს სტეფანოსის სრული სახელით აღბეჭდილი მონეტები ჰორმიზდ IV დრაქმების მინაბაძს წარმოადგენდნენ, ისინი ხოსრო II მონეტების იმიტაციაა[25]; **3.** დასასრულ, ნუმიზმატიკური თვალსაზრისით შეუძლებელია სტეფანოსის დრაქმების დათარიღება 616—629 წწ. (ამაში დავრწმუნდებით ქვემოთ). არავითარი ორი პერიოდი სტეფანოს I მოღვაწეობაში, მონეტებს მიხედვით, არ ჩანს. ორივე სამონეტო ჯგუფი ქრონოლოგიურად უშუალოდ მოსდევს ერთმეორეს.

როგორია ჩვენი პოზიცია სტეფანოსის სახელით მოჭრილ მონეტებთან დაკავშირებით? ორივე სამონეტო ჯგუფს ჩვენ მივაკუთვნებთ სტეფანოს I და ვათარიღებთ 595—600 წ. წ. (±ერთი, ან ორი წელი). რა საფუძვლით? კონკრეტული მასალის შესწავლის საფუძველზე, ე. წ. ქართულ-სასანური და ორიგინალური სასანური დრაქმების შედარების საფუძველზე.

---

22 **М. Д. Лордкипанидзе**, დასახ. ნაშრომი, გვ. 190, სქ. 5.

23 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 273, სქ. 6.

24 ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 251, სქ. 188.

25 **Е. А. Пахомов**, Монеты Грузии, გვ. 36.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გაბათილდეს დებულება სტეფანოს მეორისადმი ერთ-ერთი სამონეტო ტიპის მიკუთვნების შესახებ. საამისოდ არსებობს უმარტივესი და მეტად ეფექტური გზა.

როგორც ცნობილია, სტეფანოსის სახელით მოჭრილი მონეტების II ჯგუფი წარმოადგენს ხოსრო II დრაქმების სრულ იმიტაციას[26]. ე. პახომოვის ეს დაკვირვება შეურყეველია. მაგრამ ისმის კითხვა: ხოსრო II მონეტების რომელ ტიპს ბაძავენ ისინი? ირკვევა, რომ მხოლოდ იმ დრაქმებს, რომელთა ემისია წარმოებდა ხოსრო II-ის მმართველობის პირველ და მეორე წელს (ე. ი. 590/1—592 წწ.).

ხოსრო II თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე ძირითადად ორი ტიპის მონეტას ჭრიდა. მონეტის პირველი ტიპი, რომელიც თარიღდება მისი მმართველობის 1—2 წლებით, მეფის გამოსახულებისა და მისი გვირგვინის მიხედვით (აგრეთვე სხვა დეტალების მიხედვითაც) აბსოლუტურად იდენტურია ჰორმიზდ IV დრაქმებისა[27]. ერთადერთი სიახლე, რაც ხოსრო II შეიტანა თავის ადრეულ მონეტებში არის ის, რომ შუბლის გამოსახულება მოთავსებული ორმა, ხოლო ზურგისა — სამმაგ რკალში.

შემდეგ წლებში ხოსრო II კარდინალურად შეცვალა თავისი სამონეტო ტიპი. აქ მოთავსებული წვროსანი მეფის ბიუსტი და გვირგვინი დიამეტრალურად განსხვავდებიან ხოსრო II ადრეულ დრაქმებზე ამოკვეთილი გამოსახულებისაგან. განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ იგი ჩვენ გვანთავისუფლებს ამ ორი სამონეტო ტიპის სკრუპულოზური აღწერისაგან. თვალსაჩინოებისათვის ჩვენ შევადგენთ გრაფიკული ტაბულა მეფეთა გვირგვინების ჩანახატებით (იხ. ტაბ. I, ნახ. № 2 და № 5)[28], რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ მკვეთრი განსხვავების შესახებ. აქვე ვთავსებთ ხოსრო II მონეტისა, რომელიც მოჭრილია მისი მმართველობის პირველი და მეორე წლების შემდეგ, და ე. წ. სტეფანოს II დრაქმის ავერსის ფოტოებს. მათ შორის არავითარი მსგავსება არაა.

გადაჭრით უარყოფთ ჩვენ აგრეთვე იმის შესაძლებლობას, რომ ე. წ. სტეფანოს II მონეტები ქართულ-სასანური დრაქმების გამეორებაა, ტრადიციის გაგრძელებაა. საქმე ისაა, რომ არც ერთ ქართულ-სასანური მონეტის შუბლზე არ გვხვდება ორმაგი რკალი, ხოლო ზურგზე — სამმაგი. იგი ყოველგვარ ეჭვს გარეშე აღებულია ხოსრო II ადრეული საფასეებიდან. აქედან ზოგადი ხასიათის დასკვნა: ცვლილებები სასანურ სამონეტო ტიპოლოგიაში დაუყოვნებლივ აისახება ქართულ ნუმიზმატიკაში.

ამრიგად, ურყევია ჩვენი დებულებაც, რომ ე. წ. სტეფანოს II მონეტები სრული იმიტაციაა ხოსრო II ადრეული დრაქმებისა.

ახლა დავსვათ კითხვა: განა ლოგიკურია, რომ სტეფანოს II (რომლის მოღვაწეობის ხანა VII ს-ის შუა ხანებზე მოდის) თავის მონეტის ნიმუშად

---

[26] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, გვ. 36.

[27] Robert Göbl, Sasanidische Numismatik, 1968, გვ. 53, ტაბ. XII.

[28] შესადარებლად იხ. აგრეთვე, Robert Göbl-ის დასახ. ნაშრომი, ტ. XII და Kurt Erdmann, Die Entwicklung der Sāsānidische Krone, „Ars Islamica.", vols. XV—XVI, MCMLI, გვ. 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აეღო ფულის ის ნიშანი, რომელიც თითქმის 50 წლის წინათ მოიქრა?! განა ისინი მასობრივად იქნებოდნენ დასაქმებული ქართლის სამონეტო ცირკულაციაში სტეფანოს II ხანაში? ცხადია, არა. სტეფანოს II თავისი დრაქმები უნდა მოეჭრა ხოსრო II იმ მონეტების მიხედვით, რომელთა ემისია წარმოდა გვიან — VII ს-ის ოციან წლებში. ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, ამ დებულების გაბათილება, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან გაჭირდება.

ამრიგად, სტეფანოს II უნდა ამოიშალოს იმ ქართველ მოღვაწეთა სიიდან, რომელთა მონეტებმა ჩვენს დრომდე მოაღწიეს.

ამავე მიზეზის გამო, ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას ამ სამონეტო ჯგუფის 616—629 წწ. დათარიღების შესახებ. თუ კი სტეფანოს I მართლაც დაბრუნდა ქართლში 616 წ. (და დაბრუნდა ხოსრო II უშუალო ხელშეწყობით), მას, ბუნებრივია, თავისი ახალი მონეტა სინქრონული ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით უნდა მოეჭრა და არა მეოთხედი საუკუნის წინანდელი პროტოტიპის მიბაძვით.

ახლა ყურადღებით დავუკვირდეთ ჩვენ მიერ შედგენილ გრაფიკულ ტაბულას (I). მასზე მოთავსებულია ჰორმიზდ IV, ხოსრო II და სტეფანოსის (ამის შემდეგ ყველგან სტეფანოს I იგულისხმება) მონეტების სქემატური ჩანახატები. მონეტის ავერსი წარმოდგენილია მეფის გვირგვინითა (სიტუაციურად და ცალკე) და რკალით, ხოლო ზურგი მხოლოდ რკალებით და შესაბამისად დანომრილია რომაული ციფრებით: I, II. ტაბულა საშუალებას მოგვცემს დავრწმუნდეთ ამ მონეტების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში. უფრო მეტიც: იგი საშუალებას მოგვცემს მეტ-ნაკლები სიზუსტით მოვახდინოთ სტეფანოსის დრაქმების ქრონოლოგიური გრადაცია.

თავდაპირველად შევუდაროთ ერთმანეთს ჰორმიზდ IV და ხოსროს II მონეტები, მოჭრილი მისი მმართველობის 1—2 წლებში. მათი იდენტურობა ეჭვს გარეშეა. განსხვავებაა რკალთა რაოდენობაში: ჰორმიზდ IV მონეტის როგორც შუბლის, ასევე ზურგის გამოსახულება ერთმაგ რკალშია ჩასმული, ხოლო ხოსრო II მონეტის შუბლზე ორმაგი რკალია მოცემული, ზურგზე კი — სამმაგი.

ახლა მათ შევუდაროთ სტეფანოსის დრაქმა არა სრული ქართული წარწერით. გვირგვინის ტიპის მიხედვით იგი სრული ანალოგია ორივე მათგანისა. ამასთანავე შუბლზე ამოკვეთილი რკალის მიხედვით იმეორებს ჰორმიზდ IV სამონეტო ტიპს, მაგრამ ზურგზე უკვე სიახლე აქვს: ორმაგი რკალი. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ე. პახომოვის აზრი, რომლის თანახმადაც ამ მონეტის ემისია უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც საქართველოში ძირითადად ჰორმიზდ IV მონეტები მიმოიქცეოდა, მაგრამ ის ი ს ი ყ ო ფეხს იკიდებდა აგრეთვე ხოსრო II დრაქმებიც, ვინაიდან დამატებითი რკალი ხელოსანს მხოლოდ აქედან შეეძლო აეღო. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ მონეტის ემისია არ შეიძლებოდა მომხდარიყო 590 წ. (როგორც ამას აკად. გ. ჩუბინაშვილი ფიქრობდა) და, მით უმეტეს, 589 წ. (როგორც ამას ა. ბოგვერაძე ფიქრობს). სრულიად აშკარაა, რომ იგი შოჭრილია მას შემდეგ, რაც ტახტზე უკვე აღარ ზის ჰორმიზდ IV, მაგრამ ხოსროც დიდი ხანი არაა, რაც ამ უფლებებით აღიჭურვა. ამრიგად, ამ მონეტის ემისია ძალიან არ უნდა მივაცილოთ ჰორმიზდ IV მმართველობის უკანასკნელ და ხოსრო II მეფობის პირველ წლებს. თუ გავიფიქრეთ, რომ ყოველი ახალი ტიპის ორიგინალური სასანური მონეტის საქართველომდე მოღწევას და ბრუნვაში ჩართვას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარკვეული პერიოდი დაჭირდებოდა, ჩვენი აზრით, ამ მონეტის ემისიის დროდ, მეტ-ნაკლები სიზუსტით, შეიძლება მივიჩნიოთ 593 წელი, ან შემდგომი ხანა, მაგრამ არა უგვიანეს 595 წლისა.

დაბოლოს ერთმანეთს შევუდაროთ სტეფანოსის სრულ ქართულ ლეგენდიანი და ორიგინალური სასანური დრაქმები. სრულიად აშკარაა, რომ ქართული მონეტა ბაძავს ხოსრო II დრაქმას, მოჭრილს ამ უკანასკნელის მმართველობის პირველ-მეორე წლებში (ამაზე მეტყველებს გვირგვინის ტიპი, მეფის გამოსახულება, რაკალთა რაოდენობა მონეტის შუბლსა და ზურგზე) და ოდნავი მსგავსებაც არ გააჩნია მის გვიანდელ დრაქმებთან. აქედან დასკვნა: იგი მოჭრილია მაშინ, როდესაც ხოსრო II მონეტების პირველმა ტიპმა ფართოდ მოიკიდა ფეხი საქართველოში, ხოლო მეორე ტიპი ჯერ კიდევ არაა გამოჩენილი ჰორიზონტზე. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ხოსრო II პირველი ტიპის დრაქმები 590/1—592 წლებში იჭრებოდა. ხუთი (თუნდაც მეტი!) წელი განა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ისინი ფართოდ გავრცელებულიყვნენ საქართველოში? ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მონეტები სრული ქართული ლეგენდით 595—600/602 წლებით უნდა დათარიღდეს (ყოველშემთხვევაში 603 წლის შემდეგ მათი ემისია გამორიცხულია).

მოტანილი ნუმიზმატიკური ექსკურსი სრულიად აშკარად ხდის ვახუშტის ქრონოლოგიის (რომლის თანახმადაც სტეფანოს I ქართლის ერისმთავრად 600—619 წწ. იყო) გადასინჯვის აუცილებლობას. მაგრამ ა მ ჯ ე რ ა დ ეს კორექტივი საეჭვო არგუმენტზე კი არაა დაფუძნებული, არამედ მას მტკიცე ნუმიზმატიკური საყრდენი გააჩნია.

სტეფანოს I სამონეტო საქმიანობა ამით არ ამოიწურება, მაგრამ ამაზე შემდგომ. ამჟამად ორ მომენტს მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და განვიხილოთ ქართულ-სასანური მონეტების ადრეული ნიმუშები. პირველი მომენტი: სტეფანოსის მონეტათა ემისიის ხანა, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, 593/95—600/2 წლებზე მოდის. ამ თარიღის დადგენით, ჩვენ, საერთოდ ქართულ სასანური მონეტების გვიანდელი ქრონოლოგიური ზღვარი დავადგინეთ. მეორე მომენტი: სტეფანოსის მონეტათა რევერსზე, მაზდეანური ემბლემის ნაცვლად, ქრისტიანობის სიმბოლო — კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული.

დავიწყოთ გურგენის მონეტებით. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ექვსი ცალის რაოდენობითაა ცნობილი (3 ინახება ბერლინის მუზეუმში, 1—ერმიტაჟში[29], 2—საქართველოს სახ. მუზეუმში)[30].

მონეტების აღწერა ზედმეტად მიგვაჩნია (დაინტერესებული მკითხველი მათ სრულ მეცნიერულ აღწერილობას ნახავს, ე. პახომოვის მონოგრაფიაში)[31]. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გურგენის სახელით მოჭრილი დრაქმები ჰორმიზდ IV მონეტების სრული მიბაძვითაა მოჭრილი. ერთადერთი განმასხვავებელი დეტალია ორი ქართული მთავრული ასო (ან მონოგრამა) მონეტის შუბლზე, მეფის გამოსახულების ზევით, იქ, სადაც ნახევარმთვარე და ვარსკვლავი უნდა იყოს: ᲥᲜ ან Ქ ე. ი. გურგენ. ჰორმიზდ IV ბიუსტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ამოკვეთილია დამახინჯებული თარიღი, რომელიც ჰგავს 7-ს[32] (ე. ი. ჰორმიზდ IV მეფობის მე-7 წელი, 579+7=586 წ.).

ცხადია, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გურგენის მონეტა მაინცდამაინც ჰორმიზდ IV მეფობის მე-7 წელსაა მოჭრილი (იგი მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ქართლის ერისმთავრის დრაქმა მოჭრილია ჰორმიზდ IV მეფობის მე-7 წლით დათარიღებული მონეტის მიხედვით, მისი მიბაძვით), მაგრამ სრულიად აშკარად მიგვანიშნებს, რომ მისი ემისია არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო 586 წელზე ადრე.

გურგენსავე უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენი აზრით, ძალიან იშვიათი მონეტები, რომლებზედაც ამოტვიფრულია ქართული მონოგრამა Ꭻ[33]. ამ მონოგრამის დაშლა შეიძლება როგორც ორ, ისე სამ ასომთავრულ ნიშნად: ᲥᲜ (გურგენ), ან ᲥᲜᲨ (ვახტანგ). ვინაიდან მსგავსი (მაგრამ ზუსტად ასეთავე არა) მონოგრამა გვხვდება გვიანდელ ქართულ მონეტებზე, კერძოდ ვახტანგ III დრამებზე[34] (ჰიჯრ. 698, 699 წწ.=1298/99, 1299/1300), ამიტომ ე. პახომოვი მეორე ვარიანტს აძლევს უპირატესობას[35].

მაგრამ თუ დაკვირვებით შევუდარებთ ერთმანეთს გურგენის სახელით მოჭრილ და ამ უკანასკნელ მონეტებზე ამოკვეთილ ასოთა პალეოგრაფიულ მოხაზულობას, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს მათი გრაფიკული და შინაარსობლივი იდენტურობა. საკვლევ მონეტებზე Ქ და Ნ უბრალოდ შეერთებულია[36]. ესეც არ იყოს, გაჭირდება კიდევ ერთი უცნობი ერისმთავრის — ვახტანგის (ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ პოსტზე იგი მარტო არაა) მოთავსება გურგენსა და სტეფანოს შორის. უნდა დავინახოთ, რომ ამ ლიგატურის ე. პახომოვისეული ინტერპრეტაციას სხვებიც არ იზიარებენ (მაგ. კ. თუმანოვი)[37].

ვინ არის ეს გურგენი?

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში გურგენი გაიგივებულია ქართულ წყაროებში მოხსენიებულ გუარამთა[38]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ის ავტორი გვაუწყებს: „ნელად-რე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ"[39]. ჯუანშერი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: „მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი (ე. ი. ქართველების. — **გ. დ.**), და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსაც ერქუა გუარამ, რო-

---

[32] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[33] ერთი მათგანი ინახება ბერლინის მუზეუმში (Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 18). ერთიც — საქ. სახ. მუზ. (ქ. ფ. № 1709).

[34] Ир. Джалагания. Из истории монетного дела в Грузии XIII века. Тб., 1958, გვ. 74.

[35] Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

[36] ეს კარგად ჩანს ე. პახომოვის მიერ გამოქვეყნებულ ცალებზე. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, ტაბ. I, №№ 9, 12.

[37] C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, 1963, Georgetown University Press, გვ.431.

[38] იხ. მაგ. Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, სქ. 1; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 271 და მრავალი სხვ.

[39] „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 95.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს"[40]. ვახუშტის მიხედვით „ესე გუარამ მეფე იყო ფრიად მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა" და მეფობდა იგი 575—600 წლებში[41].

მაგრამ ქართული წყაროები გვიანდელია. უცხოურ სინქრონულ წყაროში კი იხსენიება არა გუარამი, არამედ გურგენი. აშკარად არ უნდა იყოს მართალი ვახუშტის ქრონოლოგია (ამას ყურადღება მიაქცია გ. ჩუბინაშვილმა და სათანადოდ შეასწორა კიდეც: 545—586 წლებით[42]). თუ კი გუარამი მეფობდა 575—600 წლებში, მაშინ რატომ აწერია VI ს-ის 80-იან წლებში მოჭრილ მონეტას გურგენის და არა გუარამის სახელი? ხომ არ შეიძლება სერიოზულად ვიფიქროთ, რომ ქართლის ერისთავარს გუარამს, სხვისი სახელით — გურგენის სახელით მოეჭრა მონეტა?

როგორც ცნობილია, 571 წ. ქართლში სპარსელთა ტირანიის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც, VI ს-ის II ნახევრის ისტორიკოსის — თეოფანე ბიზანტიელის ცნობით გორგენი (გურგენი) წინამძღოლობდა[43].

ამრიგად, თეოფანე ბიზანტიელის ცნობის თანახმად, გურგენი 571 წ. უკვე ენერგიული ეროვნული მოღვაწეა, ხოლო მონეტების მიხედვით, მას ქართლის ერისმთავრის ტახტი უკავია 586 წელს მაინც. სადღა უნდა მოთავსდეს გუარამი? სწორედ ამ წინააღმდეგობამ აიძულა აკად. ს. ჯანაშია გუარამის ვინაობის საკითხი საკამათოდ მიეჩნია[44].

ორში ერთი: ან გუარამი და გურგენი ორი სხვადასხვა პიროვნებაა (რაც ნაკლებ მოსალოდნელია), ან რეალური პიროვნება არის გ უ რ გ ე ნ ი და არა გუარამი*.

როგორ უნდა დათარიღდეს გურგენის მონეტები? ნაწილობრივ ჩვენ უკვე გავეცით ამაზე პასუხი. იგი აშკარად 586 წლის შემდეგაა მოჭრილი, მაგრამ მისი ემისიის ხანა 590 წ. არ უნდა გადასცილდეს.

VI ს-ის 70—80-იან წლებში ქართლის ინტეგრაციის პროცესი იწყება. ამ დიდი ეროვნული საქმის მებაირახტრედ უდავოდ დიდი პიროვნება — გურგენი მოჩანს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან პ ი რ ვ ე ლ მ ა შ ე ძ ლ ო ი ს ე თ ი დ ი დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ი ს გ ა ტ ა რ ე ბ ა, რ ო გ ო რ ი ც ს ა მ ო ნ ე ტ ო რ ე გ ა ლ ი ი ა. მართალია, ეს პირველი ცდა თითქოს შენიღბულიც კი არის: ქართული მონეტა სასანური დრაქმის ზუსტი ასლია. მხოლოდ ორი ქართული ასო, ან მონოგრამაა დამოუკიდებელი პოლიტიკური ტენდენციის მანიშნებელი, რომელიც ქართული წერა-კითხვის უცოდინარ სპარსელს შეიძლებოდა არც კი

---

40 „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 218.

41 „ქართლის ცხოვრება", IV, გვ. 118, 120.

42 Г. Н. Ч у б и н а ш в и л и. დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

43 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, პირველი ცნობა ტფილისის შესახებ, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1927—1928, გვ. 283.

44 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრ., I, თბ., 1949, გვ. 106. სქ.

*აზრი გურგენის (და არა გუარამის) რეალურობის შესახებ, ჯერ კიდევ 1955 წ. გამოთქვა და დაასაბუთა პროფ. ნ. ლომოურმა. იხ. მისი წერილი: კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის გარკვევისთვის, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 59, 1955, გვ. 139—140, 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემმჩნია, მით უმეტეს, მათი მიმოქცევის მასშტაბები უდავოდ ლოკალური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მაინც დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ქესტი იყო. ამ ნაბიჯის გადასადგმელად უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში უკვე მომზადებული იყო პოლიტიკური ნიადაგი.

571 წ. სომხეთში აჯანყებამ იფეთქა ირანელთა წინააღმდეგ ვარდან მამიკონიანის წინამძღოლობით. იმავე წელს აღდგა ქართლიც გურგენის თავკაცობით. მათ უკან დგას ბიზანტია. 572 წ. აჯანყებულმა სომხებმა მუსრი გაავლეს დამსჯელ ექსპედიციას მარზპან სურენის მეთაურობით, ხოლო თვით მარზპანი მოჰკლეს, ქართველებს კი ირანელთა სარდალი გოლონ მიჰრანი დაუმარცხებიათ[45].

576—577 წწ. ბიზანტია-ირანს შორის კვლავ იწყება საზავო მოლაპარაკება. 579 წ. გარდაიცვალა ხოსრო I და ტახტს მისი შვილი ჰორმიზდ IV (579—590) იკავებს. ბიზანტია-ირანის ომმა ისევ ახალი ძალით იფეთქა.

589 წ. ბიზანტიელები ამარცხებენ მოწინააღმდეგეს სისავრანთან (ნისიბისის ახლოს)[46]. გარდა ამისა, ირანის შაჰის წინააღმდეგ აჯანყების დროშას აიფრიალებს უაღრესად ენერგიული და ნიჭიერი პიროვნება ბაჰრამ ჩუბინი, სახელგანთქმული სარდალი ირანის იმპერიისა. ამით სარგებლობს ოპოზიციის მეორე ფრთა — სამხედრო არისტოკრატია და ქურუმები. ისინი ერთიანდებიან, 590 წ. 6 თებერვალს ტახტიდან ჩამოაგდებენ ჰორმიზდ IV და თვლებს დათხრიან. 590 წლის 15 თებერვალს ტახტს ხოსრო II იკავებს[47]. მაგრამ მცირე ხნით. ვერც ახალი მეფე უმკლავდება ძლევამოსილ სარდალს, ძლივს დაალწევს თავს მის ბრძყალებს და ირანის შაჰინ-შაჰი თავის მოსისხლე მტერთან — ბიზანტიის იმპერატორთან! — გარბის და მისგან თხოულობს შველას უზენაესი ტერორისტის წინაღმდეგ[48].

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ხანებში — 589 წ. ბოლოსა და 590 წლის გაზაფხულზე — უნდა განეხორციელებია გურგენს თავის სამონეტო რეგალია. ძნელი წარმოსადგენია ამაზე მეტად ხელსაყრელი მომენტი და, როგორც ჩანს, იგი სათანადოდ გამოიყენა კიდეც ქართლის ერისმთავარმა*.

---

45 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 269; ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

46 История Византии, под ред. акад. С. Д. Сказкина и др., М., 1967, т. 3. გვ. 396.

47 Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М-Л., 1946, გვ. 88—89.

48 История Византии, 1967, т. I, 355; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 270—271.

* დასასრული მესამე ნომერში.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა შარაშიძე

მუშათა კონტროლის ზოგიერთი ფორმის შესახებ საქართველოს მრეწველობაში

(1921—1922 წლები)

მუშათა კლასის წარმოების მართვაში მონაწილეობა პრაქტიკულ საქმედ მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იქცა, კაპიტალიზმის დროს წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის საკითხი არსებითად არ იდგა. კაპიტალისტი მუშას არასოდეს არ ურჩევდა წარმოების მართვაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ არც მუშაა დაინტერესებული წარმოებისა და თავისი შრომის ეფექტურობის ამაღლებით, შეუძლებელია მუშამ მონაწილეობა მიიღოს წარმოების მართვაში ისეთი წყობილების დროს, სადაც მას ექსპლუატაციას უწევენ. წარმოების მართვაში რომ მუშათა კლასი მონაწილეობდეს, ამისთვის აუცილებელია საწარმოო საშუალებები გადაიქცეს საყოველთაო სახალხო საკუთრებად, რომ დამქირავებელი და დაქირავებულიც მშრომელები იყვნენ, რომ მუშის სამუშაო ძალა საქონელს არ წარმოადგენდეს.

თავიდანვე წარმოების მართვაში მუშათა კლასის მონაწილეობის მრავალგვარი ფორმა გაჩნდა, შემდეგში კიდევ მრავალი ახალი ფორმა წარმოიშვა და განვითარდა. წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის ერთ-ერთი ყველაზე პირველადელი ფორმა იყო წარმოებაზე მუშათა კონტროლი.

მუშათა კონტროლის იდეა ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს წამოაყენა. ცნობილ აპრილის თეზისებში კი მუშათა კონტროლის იდეა მან დააყენა როგორც პარტიის პროგრამული მოთხოვნა, როგორც ერთ-ერთი პირობა დროებითი პარტიისა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ვ. ი. ლენინი წერდა: „მრეწველობის კონტროლი რომ ნამდვილად ხორციელდებოდეს, იგი უნდა იყოს მ უ შ ა თ ა კ ო ნ ტ რ ო ლ ი, რომ ყველა პასუხსაგებ დაწესებულებაში უმრავლესობას მუშები უნდა შეადგენდეს და ადმინისტრაცია თავის მოქმედებაში პასუხს უნდა აგებდეს მუშათა ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციების წინაშე"[1].

მუშათა კონტროლის განხორციელებაში დიდი როლი შეასრულეს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა, რომლებიც სრულიად ახალი ორგანიზაციები იყვნენ და იქმნებოდნენ დიდ საწარმოებში. მათ ირჩევდნენ მუშათა საერთო კრებებზე და ემსახურებოდნენ მუშათა საერთო ინტერესებს. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ორგანიზაციულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროფესიულ კავშირებთან, მაგრამ მათ არ ექვემდებარებოდნენ. საწარმოებში მუშათა საერთო კრებაზე ირჩევდნენ პროფესიული კავშირების წარმომადგენელთაგან საკონტროლო კომისიასაც, რომელსაც ამტკიცებდა საფაბრიკო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 677—78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქარხნო კომიტეტი. საკონტროლო კომისიას უნდა განეხორციელებინა ზედამხედველობა საწარმოთა საქმიანობაზე, საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებანი ვრცელდებოდა არა მარტო ნაციონალიზებულ, არამედ არანაციონალიზებულ საწარმოებზეც და შეიძლებოდა შეცვლილიყო მხოლოდ პროფესიული კავშირების უმაღლესი ორგანოების და მათი ყრილობის მიერ. ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა რა მუშათა კონტროლის ძირითად ამოცანებს რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, წერდა: „აღრიცხვა და კონტროლი ყველგან, საყოველთაო, უნივერსალური, — აღრიცხვა და კონტროლი შრომის რაოდენობისა და პროდუქტების განაწილების საქმეში — ეს არის სოციალისტური გარდაქმნის არსი, რაკი პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა შექმნილი და უზრუნველყოფილია“[2].

1917 წლის 14 ნოემბერს უმაღლესმა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი მუშათა კონტროლზე, რომელიც ინერგებოდა ყველა სამრეწველო, სავაჭრო, საბანკო, სასოფლო სამეურნეო, სატრანსპორტო ორგანიზაციებში. კონტროლის ძირითადი ორგანოები იყო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, მათ მიერ გამოყოფილი საკონტროლო კომისიები[3], რომლებიც იქმნებოდნენ მუშათა, ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეთა წარმომადგენლებისაგან. საკონტროლო კომისიებს ხელმძღვანელობდნენ სამხარეო, საგუბერნიო, საოლქო და სრულიად რუსეთის მუშათა კონტროლის საბჭოები.

მუშათა კონტროლის განხორციელებას ხელმძღვანელობდნენ პროფესიული კავშირები, რომელთა როლი ძირეულად შეიცვალა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბატონობის პირობებში პროფკავშირები ხელმძღვანელობენ პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კი, როცა პროლეტარიატმა ხელში აიღო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, პროფკავშირები გახდა კომუნიზმის სკოლა, მეურნეობის გაძღოლის სკოლა. ისინი წარმოადგენდნენ კომუნისტური პარტიის დასაყრდენს სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში. პროფკავშირების ინტერესები სავსებით ემთხვევა საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებსა და ამოცანებს. იცვლება პროფკავშირების დამოკიდებულებაც წარმოებისადმი. კაპიტალისტურ სახელმწიფოში, სადაც წარმოების იარაღები და საშუალებები კერძო მესაკუთრეთა ხელშია და წარმოადგენს მშრომელთა ექსპლუატაციის იარაღს, პროფკავშირებს არ შეუძლიათ ფეიქრონ წარმოების რაციონალიზაციაზე და ახალი ტექნიკის დანერგვაზე, რადგან ეს მშრომელთა კიდევ უფრო მეტ ექსპლუატაციას გამოიწვევს და გააუარესებს მათი ცხოვრების პირობებს, გაზრდის უმუშევრობას.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კი წარმოება ვითარდება მშრომელთა ინტერესების შესაბამისად, მათი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის; საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება, წარმოების ამაღლება, მოწინავე ტექნიკის დანერგვა, მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობა პროფკავშირების სისხლხორცეულ საქმედ ხდება. პროფკავშირები დაინტერესებული არიან მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდით და მათი ჩაბმით წარმოების მართვაში.

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 476.

[3] იქვე, გვ. 318—319. Декреты.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირები საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა მუშათა კონტროლის ორგანოების მუშაობას. საგუბერნიო და საოლქო პროფესიულ ორგანიზაციებში შექმნილი იყო საკონტროლო სამეურნეო კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მრეწველობის შესაბამისი დარგების მუშათა კონტროლის ორგანოებს.

მუშათა კონტროლს უშუალოდ ცხოვრებაში ატარებდა ერთიანი საკონტროლო კომისია, რომელიც კონტროლის ფუნქციებს ახორციელებდა არა მარტო ერთ საწარმოში, არამედ სხვა საწარმოებშიც[4]. ასეთი კომისიები იქმნებოდა ისეთი საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, რომლებშიც 1000-ზე ნაკლები მუშა იყო. კომისია იქმნებოდა რაიონის რამდენიმე ერთგვაროვანი საწარმოსათვის, ხოლო მსხვილ დაწესებულებებში, სადაც ბევრი განყოფილება იყო, ასეთი კომისია იქმნებოდა თითოეული განყოფილებისათვის. მუშათა კონტროლის ორგანოების ხელმძღვანელობას ახორციელებდა სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს მიერ შექმნილი მუშათა კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელშიც შედიოდნენ დარგობრივი პროფესიული კავშირების წარმომადგენლები[5].

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის მიერ დამტკიცებული საკონტროლო კომისიები ატარებდნენ ღონისძიებებს საწარმოთა ორგანიზაციისათვის, მრეწველობის გადასაყვანად მშვიდობიან რელსებზე, საწარმოთა ნედლეულით და სათბობით მოსამარაგებლად. კომისიებში მუშების გარდა, საერთო კრებებზე ირჩევდნენ მოსამსახურეებსაც (გამომთვლელებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებს) და სხვ. პროფკავშირები აქცევდნენ რა დიდ ყურადღებას მუშებიდან კადრების აღზრდას, ქმნიდნენ მუშათა კონტროლის კურსებს, რომლებზეც მუშები იღებდნენ ცოდნას, ტექნიკურ განათლებას, რაც საჭირო იყო სამრეწველო დაწესებულებათა მართვისათვის[6].

მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ მშრომელთა მილიონიან მასებს, რომლებმაც დამასხვრიეს ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, შეუძლიათ შექმნან ქვეყნის სახალხო მმართველობა.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გატარდა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები საქართველოში. 1921 წლის 26 თებერვალს თბილისის პროფაქტივის კრებამ განსაზღვრა პროფკავშირების ამოცანები ახალ ვითარებაში, შეიქმნა დროებითი საორგანიზაციო კომისია, რომელმაც დაამტკიცა პროფესიული კავშირების დროებით ცენტრალურ გამგეობათა და საფაბრიკო-საქარხნო დროებითი კომიტეტების შექმნის წესები; საქარხნო კომიტეტების მოვალეობას შეადგენდა წარმოების აღრიცხვა და საწარმოთა ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა.

მარტის პირველი რიცხვებიდან გაიშალა მუშაობა ფაბრიკებში, ქარხნებსა და დაწესებულებებში პროფკავშირული უჯრედების, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების შესაქმნელად, რაც მუშათა ფართო მასების აქტივობის პირობებში მიმდინარეობდა. თბილისში რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, დეპოში, თამბაქოს ფაბრიკებში, ყოფილი თაიროვის ტოლეს

[4] Материалы по истории СССР, том III, М., изд. АН СССР, 1956, გვ. 168.

[5] История профдвижения в СССР, изд. ВЦСПС, 1961, გვ. 184—185.

[6] პარტიული არქივი (თბილისი). ფ. 236, ან. 4, საქ. 21, ფურც. 7—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპნის სახარშ, ზეთსახდელ ქარხნებში და სხვ. შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რომლებმაც ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც დიდი როლი შეასრულეს მუშათა კონტროლის დაარსებისათვის.

1921 წლის ივნისში საქართველოს პროფესიული კავშირების პირველმა კონფერენციამ ჩამოაყალიბა პროფკავშირების როლი და ამოცანები სახელმწიფო და კერძო საწარმოებში. კერძო საწარმოებში პროფკავშირებს უფლება ეძლეოდათ განეხორციელებინათ კონტროლი შრომის დაცვის კანონების გატარების, ნედლეულით მომარაგებისა და პროდუქციის გამოშვების საკითხებზე და მიუთითა პროფკავშირული აპარატის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

გარკვეულმა პირობებმა, რომელიც შეიქმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, პროფკავშირებს დროებით დააკისრა ზოგიერთი სახელმწიფოებრივი ფუნქციაც სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში. სამეურნეო ორგანოების ჩამოყალიბების პროცესში სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში პროფკავშირებმა დიდი როლი შეასრულეს.

1921 წლის პირველ ნახევარში პროფკავშირები სწავლობდნენ რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობას, უშუალოდ ერეოდნენ წარმოების ხელმძღვანელობაში. სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების როლი ხშირად იყო გადაჯაჭვული. საჭირო იყო მათი ფუნქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

1921 წლის აგვისტოს დებულებით, პროფსაბჭო და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ერთად ადგენდნენ საწარმოო პროგრამებს და სამეურნეო გეგმებს. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში გადადიოდა ნაციონალიზებული მრეწველობის ხელმძღვანელობა, კერძო მრეწველობაზე კონტროლი და გეგმიური განაწილების საქმე.

პროფკავშირებს რჩებოდათ შრომის ორგანიზაციის, მუშახელის შერჩევა-განაწილების, სამეურნეო მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის, სამეურნეო გეგმების შესრულებისადმი და წარმოების მართვის საქმისადმი თვალყურის დევნების და კონტროლის ფუნქციები, მაგრამ პროფსაბჭოს უკვე აღარ შეეძლო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმება[7]. ამ ღონისძიებამ პროფკავშირები გაათავისუფლა სახელმწიფო ფუნქციებისაგან.

განსაკუთრებით დიდი იყო პროფკავშირების ამოცანები ნაციონალიზებულ მრეწველობაში, რაც გამოიხატებოდა შრომის დაცვაზე კონტროლის დამყარებაში, აგრეთვე მიღებული ნედლეულის აღრიცხვასა და გამოშვებულ პროდუქციაზე კონტროლის განხორციელებაში.

პროფკავშირები ნაციონალიზებულ მრეწველობაში ასრულებდნენ სახელმწიფოს დამხმარე ორგანოების როლს შრომისნაყოფიერების ამაღლებაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, ნატურალური ფონდების დამყარებასა და ხელფასის ნატურალიზაციაში. პროფკავშირები ასრულებდნენ არანაციონალიზებულ მრეწველობაში ექსპლუატაციისაგან მშრომელთა ინტერესების დამცველის როლს[8].

მუშათა კლასი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეუდგა საფუძვლების მომზადებას სოციალისტური ეკონომიკის შესაქმნელად. პირველ

7 სსცსა, ფ. 819. ს. 54, ფურც. 65.

8 იქვე, ფ. 819, ან 1, საქ. 95, ფურც. 12.

8. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1976, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგში შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფო აპარატი, რის მეშვეობითაც ხორციელდებოდა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე მოწყობა. ამ მიზნით 1921 წლის 11 მარტს შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო[9], რომელმაც ჩაატარა ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო მოწყობილობათა, ნედლეულის, მზა სამრეწველო პროდუქციის აღრიცხვა.

1921 წელს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტებით ჩატარდა მრეწველობის ნაციონალიზაცია. ნაციონალიზირებულ იქნა პირველ რიგში სახელმწიფო მნიშვნელობის შედარებით მსხვილი საწარმოები, რომელთა უმთავრესმა ნაწილმა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში მოიყარა თავი, კერძო საწარმოთა საკმაოდ დიდი ნაწილი კი დარჩა ნაციონალიზაციის გარეშე. დაშვებული იქნა საწარმოთა კერძო პირებისა და კოოპერატივებისათვის იჯარით გატარების პრაქტიკა. ნება დართეს გაეხსნათ წვრილი კაპიტალისტური საწარმოები[10], რაც ერთგვარი დათმობა იყო კაპიტალისტური ელემენტებისადმი, ნაკარნახევი ახალი ეკონომიური პოლიტიკით. ასეთი დათმობა არ ნიშნავდა საწარმოთა კაპიტალისტური ხასიათის შენარჩუნებას. ეს იყო კაპიტალის ექსპლუატატორული მისწრაფებების გარკვეული შეზღუდვა — მოიჯარადრე ვალდებული იყო დაეცვა შრომის სოციალისტური კანონმდებლობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში განიცადა რეორგანიზაცია. 1921 წლის 5 აგვისტოს დადგენილებით შეიქმნა უმაღლესი ეკონომიური საბჭო[11], მას აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო მრეწველობის ნაციონალიზაციის დასრულებაში, ხოლო შემდეგ — ნაციონალიზებული მრეწველობის აღდგენა-განვითარებაში.

სოციალისტური ნაციონალიზაციის ჩატარების პერიოდში წარმოებაზე მუშათა კონტროლი აუცილებელი იყო. მას მზარს უჭერდნენ მუშათა ფართო მასები. მუშებს კარგად ესმოდათ, რომ მუშათა კონტროლის განხორციელება საჭირო იყო შრომის ნაყოფიერების დაცემის, პროდუქციის ხარისხის გაუარესების და მისი რაოდენობის შემცირების პროცესის შესაჩერებლად.

მუშათა კონტროლის ორგანოები ნაციონალიზებულ საწარმოებში მტკიცე ბრძოლას აწარმოებდნენ ყოფილი მეპატრონეების, სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ყოველგვარი ხრიკებით დაეტაცებინათ ხალხის ქონება[12].

მიუხედავად იმისა, რომ რიგი საწარმოები გამოცხადდა ნაციონალიზებულად, ფაქტიურად მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში ისინი არ გადასულან საბჭოთა ხელისუფლების გამგებლობაში. ასეთი საწარმოები იყო მაგალითად: ბათუმის თამბაქოს ფაბრიკები, პოლიგრაფიები, ელექტროსადგურები, ტყავეულის, კარაქის სადღვები, საპნის სახარში, შუშის ქარხნები და სხვ[13]. ამიტომ პარტიული, პროფკავშირული, სახელმწიფო ორგანოები ზო-

---

9 Ревкомы Грузии, 1963, გვ. 198.

10 მ. ნათელაძე, საქართველოს მუშათა კლასის კონსოლიდაცია, 1965, გვ. 31.

11 Ревкомы Грузии, გვ. 188, 233.

12 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ან. 1, საქ. 45, ფურც. 172.

13 სსცსა, ფ. 819, ან. 1; საქ. 12. ფურც. 2; საქ. 15, ფურც. 36, 74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს იღებდნენ ნაციონალიზაციის კანონის სისრულეში მოსაყვანად"[14]. სახელმწიფოს ხელში ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის საბოლოოდ გადაცემის ორგანიზაციის მიზნით მათ ყურადღება უნდა მიექციათ აგრეთვე ბათუმის საბაჟოსა და ყველა იმ საწარმოს საქმიანობისათვის, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ნავთობის მრეწველობასთან, რათა უზრუნველეყოთ მათი გადასვლა მეურნეობის საბჭოს ან სხვა სპეციალურად შექმნილ ორგანოს ხელში[15].

მუშათა კონტროლის ჩანასახი ფორმა გაჩნდა სტიქიურად, მუშები თვითონ აწესებდნენ ზედამხედველობას წარმოების მუშაობაზე, მომარაგებასა და საწარმოო იარაღების მდგომარეობაზე, წარმოების პროცესის შეწყვეტის წინააღმდეგ და სხვ.

სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებულ საწარმოებში მუშათა კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ფორმად იქცა პოლიტიკურ კომისართა ინსტიტუტი[16], რომელიც გაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე თვეებში. პირველ ხანებში კომისრებს რევოლუციური კომიტეტი ხელმძღვანელობდა. 1921 წლის ზაფხულიდან კომისრები მოწაწილეობდნენ რევოლუციური კომიტეტის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში[17]. პოლიტიკურ კომისრებს ირჩევდნენ საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტები და ადგილკომები დაწესებულებებში კომუნისტური უჯრედების რეკომენდაციით და უშუალო ხელმძღვანელობით[18]. ნაციონალიზებულ საწარმოებში მუშაობდნენ პარტიის რაიკომებიდან გაგზავნილი პასუხისმგებელი მუშაკები. მათ მოვალეობას შეადგენდა საწარმოებში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, კომუნისტური უჯრედების შექმნისა და განმტკიცებისათვის მუშაობა, მათი ხელმძღვანელობით ხდებოდა საწარმოებში პოლიტიკური კომისრების კანდიდატურის შერჩევა.

პოლიტიკურ კომისარს ნიშნავდა ამა თუ იმ საწარმოო პროფკავშირის გამგეობა პარტიის წევრებისაგან და ამტკიცებდა პარტიის რაიკომის ბიუროს კომფრაქციის წარდგენებით[19]. მიმაგრებული პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები სპეციალური ცირკულარის შესაბამისად ითვლებოდნენ იმ უჯრედის წევრად, რომელზეც იყვნენ მიმაგრებულნი. მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები ხელმძღვანელობდნენ უჯრედის მუშაობას, ხელს უწყობდნენ უჯრედების მუშაობის მეთოდების სრულყოფას და მათ შორის პოლიტიკური კომისრების საქმიანობის გაუმჯობესებას[20], ყურადღებას აქცევდნენ პროფკავშირებში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას, მრეწველობის ფაქტიური ნაციონალიზაციის დაჩქარებას და სხვ. ამ მიზნით საწარმოებში გამოყოფილი იყო ე. წ. სამეულები, მაგ., თამბაქოს მრეწველობაში შეიქმნა „თამბაქოს სამეული", რომელიც განაგებდა თბილისის, ბათუმის, კახეთის რაიონების თამბაქოსა და თუთნეს საწარმოებს, უზრუნველყოფდა იქ პოლიტიკური კომისრების მუშაობის გაუმჯობესებას.

---

14 სსცსა, საქ. 12, ფურც. 2.

15 იქვე, ფ. 819 ან. 1, საქ. 20, ფურც. 5.

16 გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 8 ივნისი.

17 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 18, ან. 1, საქ. 20, ფურც. 177—179.

18 სსცსა, ფ. 819. ან. 1, საქ. 90, ფურც. 6, 8.

19 გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 8 ივნისი.

20 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 236, ან. 4, საქ. 7, ფურც. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური კომისარი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთან ერთად ახორციელებდა წარმოებაზე მუშათა კონტროლს[21]. იგი იყო წარმოებაში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც პასუხს აგებდა წარმოების დაცვაზე, ზრუნავდა შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის, იბრძოდა წარმოების საჭირო ნედლეულით, სამუშაო ძალით მომარაგებისათვის, სათანადო ადმინისტრაციული პერსონალით დაკომპლექტებისათვის. მას ამავე დროს უფლება ჰქონდა შრომის დისციპლინის დამრღვევებისთვის დაედო დისციპლინური სასჯელი და დადაეცა ადმინისტრაციული ორგანოებისათვისაც[22].

პოლიტიკური კომისრები მუშაობდნენ პროფკავშირების მიერ შემუშავებული სპეციალური ინსტრუქციებით, მათი ხელმძღვანელობით მუშაობდა ქარხნის ადმინისტრაცია, საქარხნო კომიტეტი, კომისიები, რომლებიც თავისი მოქმედების ანგარიშს აბარებდნენ საჭიროების მიხედვით როგორც თვით პოლიტიკურ კომისარს, ისე მუშათა საერთო კრებას. თავის მხრივ კომისარი არ ერეოდა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებისა და კომისიების მუშაობაში[23]. კომისრები ზომებს იღებდნენ საწარმოებში საბოტაჟის დისციპლინის ყველაზე ბოროტი დამრღვევებისა და ყოველგვარი ანტისაბჭოთა გამოხდომების წინააღმდეგ[24].

პოლიტიკური კომისარი არა მარტო კონტროლს უწევდა, არამედ ეხმარებოდა კიდეც საქარხნო კომიტეტებს და სხვადასხვა კომისიებს მუშაობაში. მაგრამ პოლიტიკურ კომისარს უფლება ჰქონდა მესაბოტაჟეები, მიმტაცებლები და მომხვეჭლები გადაეყენებინა, სამსახურიდან წინასწარ გაენთავისუფლებინა. ამის შესახებ იგი აცნობებდა პროფკავშირის გამგეობას. კომისარი თავისი მოქმედების ანგარიშს უდგენდა პარტიის რაიკომს[25].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მძიმე ეკონომიური კრიზისის პირობებში მიღებულ იქნა სერიოზული ღონისძიებანი მრეწველობის განვითარებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის ფაბრიკა-ქარხნებში. საჭირო იყო გამოერკვიათ მრეწველობის ჩამორჩენის მიზეზები.

პარტიული ორგანიზაციები სპეციალურ ღონისძიებებს იღებდნენ, საქმეში საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკური კომისრები. 1921 წლის ივნისსა და ივლისში აღნიშნული მიზეზების გამოსარკვევად დიდი მუშაობა ჩაატარეს პარტიის რაიკომებმა. მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის მეოთხე რაიკომის მიერ გაწეულ საქმიანობას. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლის შესრულება დაეკისრათ პოლიტიკურ კომისრებს. მათი ამოცანა იყო გამოერკვიათ ის მიზეზები, რომლებიც იწვევდნენ მრეწველობის ჩამორჩენას, დაესახათ ღონისძიებები ჩამორჩენის პროცესის შესანარჩუნებლად. ამ მიზნით რაიკომმა შეიმუშავა სპეციალური კითხვარი, რომელზეც პასუხის გაცემა შესაბამისი ღონისძიებების დასახვის საშუალებას იძლეოდა. პოლიტიკურმა კომისრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში და ამით მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მრეწველობის აღდგენის ტემპების დაჩქარებას.

---

21 სსცსა, ან. 1, საქ. 90. ფურც. 3, 22.

22 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, ან. 1, საქ. 19, ფურც. 28.

23 გაზ. „კომუნისტი". 1925 წლის 8 ივნისი.

24 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ან. 1, საქ. 45, ფურც. 173.

25 გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 8 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური კომისრების მეშვეობით მუშათა კონტროლის განხორციელება ხდებოდა განსაზოგადოებულ საწარმოებში. არაგანსაზოგადოებულ საწარმოებში კონტროლს უშუალოდ პროფკავშირები ახორციელებდნენ.

პოლიტიკური კომისრების ინსტიტუტი საჭირო და აუცილებელი იყო რევოლუციის პირველ ხანებში, როცა საბჭოთა ხელისუფლებას უხდებოდა ბრძოლის წარმოება კაპიტალისტების, წარმოებაში დარჩენილი მტრული გაბოროტებული ელემენტების საბოტაჟის წინააღმდეგ. პოლიტიკური კომისრები ეხმარებოდნენ პროფკავშირულ ორგანიზაციებს განეხორციელებინათ კონტროლი შრომის ნორმებზე, კონტროლი წარმოების მიერ მიღებული ნედლი მასალის, გამოშვებული საქონელ-პროდუქტების აღრიცხვის საქმეში. ამით ნაციონალიზებულ საწარმოებში პროფკავშირები ასრულებდნენ სახელმწიფოსათვის დამხმარე ორგანოების როლს. არაგასახელმწიფოებრივებულ მრეწველობაში პროფკავშირები ასრულებდნენ წარმოების მეპატრონეების, ექსპლუატაციისაგან შრომის ინტერესების დამცველის როლს. პროფკავშირები დახმარებას უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას კერძო წვრილი წარმოების აღრიცხვაში, მასზე თვალყურის დევნებასა და კონტროლის საქმეში[26].

პოლიტიკური კომისრების როლის ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ისინი თავისი მუშაობის ანგარიშს პარტიულ ორგანოებსა და პირველ რიგში რაიკომების ბიუროებს ანაბარდნენ[27]. მათ მუშაობას სისტემატურად განიხილავდნენ პარტიული ორგანოები, პოლიტიკური კომისრების მუშაობას უშუალოდ წარმართავდა რაიკომის მდივანი[28].

რეპუბლიკის რიგ საწარმოებში მუშათა კონტროლის განხორციელებაში მიღწეული იყო მნიშვნელოვანი შედეგები. ფაბრიკა „კომეტაში“ საფაბრიკო კომიტეტი და პოლიტიკური კომისარი შეთანხმებულად მუშაობდნენ. აქ დიდი პოლიტიკური მუშაობა წარმოებდა მუშებს შორის. ფაბრიკის მართვაში, მათ საქმიანობაში ჩაბმული იყო მუშათა საგრძნობი ნაწილი, ამაღლდა ფაბრიკის მუშათა აქტიურობა, მათი პოლიტიკური დონე. ფაბრიკას კარგი საწარმოო წარმატებებიც ჰქონდა. ასევე კარგად მუშაობდნენ საქარხნო კომიტეტი და პოლიტიკური კომისარი სეილანოვის ფაბრიკაში[29] და სხვა საწარმოებში. მაგრამ ამავე დროს, როგორც დავინახეთ, ამ ფუნქციებს ხშირ შემთხვევაში უშუალოდ ახორციელებდნენ პოლიტიკური კომისრები. ამდენად მათი როლი მრეწველობის ნაციონალიზაციის პროცესში და მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში მეტად დიდი იყო.

იმის გამო, რომ მუშათა კონტროლი ახალი საქმე იყო, პოლიტიკური კომისრების მუშაობაში შეიმჩნეოდა ბევრი ნაკლიც. ყველა პოლიტიკური კომისარი როდი შეეფერებოდა თავის პოსტს. ბევრი მათგანი გამოუცდელი იყო, იყო შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური კომისრები საბოტაჟსაც კი აწყობდნენ. მაგალითად, ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ბოზარჯიანცის ყოფილ თამბაქოს ფაბრიკაში და სხვაგან. ისინი ეწევოდნენ ზოგჯერ ანტისაბჭოთა აგიტაციასაც. ამიტომ პარტიული ორგანოები, განსაკუთრებით რაიკომები, დიდ ყურადღებას აქცევდნენ პოლიტიკური კომისრების მოვალეობის შესრულებას, განიხილავდნენ მათი საქმიანობის შედეგებს, სახავდნენ ღონისძიებებს,

26 გაზ. „მუშის შრომა“, 1921 წლის 8 ივლისი.
27 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 18, ან. 1, საქ. 95, ფურც. 28.
28 იქვე, ფ. 236, ან. 4, საქ. 4. ფურც. 3.
29 სსცსა, ფ. 819, ან. 1, საქ. 90. ფურც. 8, 9, 13, 15.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უწევდნენ სათანადო ინსტრუქტაჟს, აწყობდნენ სპეციალურ კურსებს და სხვ.[30]

მუშათა კონტროლს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების შემდგომ წლებშიც. დაშვებულ იქნა წვრილი ვაჭრობა, მრეწველობა და მრავალი ფაბრიკა-ქარხანა იჯარის წესით ისევ კერძო მეპატრონეებს დაუბრუნდათ, წავიდნენ დათმობებზე ბურჟუაზიული ელემენტებისა და კერძო ვაჭრების მიმართ — ზოგიერთი ნაციონალიზებული საწარმო ყოფილ მეპატრონეებს გადაეცათ. ამან მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა. ყოფილი მეპატრონეები შეეცადნენ საწარმოთა მმართველობა მთლიანად თავის ხელში ჩაეგდოთ. ეს ფაქტები თავისთავად ნათლად მეტყველებენ, რომ საჭირო იყო წარმოებაზე მუშათა კონტროლის მტკიცე გატარება. ამრიგად, როდესაც ფაბრიკა-ქარხნები კერძო მეპატრონეებს უბრუნდებოდათ, მაშინვე დგებოდა მუშათა კონტროლის საკითხიც. მუშათა კონტროლს ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებისათვის არ უნდა მიეცა საშუალება ძველი მეთოდებით ემართათ საწარმოები, გაეწიათ ექსპლუატაცია, მოეწყოთ საბოტაჟი და გამოეწვიათ კრიზისი.

მუშათა კონტროლის მნიშვნელობა იმ ნხრივაც იყო საინტერესო, რომ კონტროლი მუშათა კლასს აძლევდა ფაბრიკა-ქარხნების მართვისათვის საჭირო ცოდნას, რაც ხელს უწყობდა სახელმწიფოსათვის საწარმოო საშუალებათა უმტკივნეულოდ გადაცემას. კონტროლი წარმოადგენდა სკოლას, ამ მიზნით გაიხსნა მრავალი მოკლევადიანი კურსები, სადაც სწავლობდნენ ფაბრიკა-ქარხნების მართვა-გამგეობას და კონტროლის საქმეს.

პოლიტიკური კომისრების ინსტიტუტი გაუქმდა 1924 წელს. მათ ნაცვლად ირჩევდნენ ე. წ. რწმუნებულებს, რომლებიც შემდეგში კომისრების მოვალეობას ასრულებდნენ[31].

ამგვარად, მუშათა კონტროლის ორგანოები წარმოების მართვაში მუშათა კლასის მონაწილეობის ერთ-ერთ პირველადელ ფორმას წარმოადგენდა, რომელთა ფუნქციებს შემდეგში ასრულებდნენ საწარმოო თათბირები, კოლექტიური ხელშეკრულებები და სხვ.

---

30 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ან. 1, საქ. 45, ფურც. 252; ფ. 18. ან. 1, საქ. 5, გვ. 23.

31 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 236, ან. 4, საქ. 21, ფურც. 7—11.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უჩა გლუაშვილი

ზოგიერთი მომენტი ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიიდან საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა.

ამიერკავკასიის ფედერაციამ დიდი როლი შეასრულა მხარის ეკონომიური და კულტურული აყვავების საქმეში, ამიერკავკასიის ხალხების პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდაში.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამიერკავკასიის ფედერაციის მშენებლობის და შექმნა-განმტკიცების ისტორია საფუძვლიანად არის შესწავლილი. ამ საკითხისადმი მიძღვნილია არაერთი გამოკვლევა. ისტორიკოსთა ასეთი დაინტერესება ამიერკავკასიის ფედერაციის ისტორიით აიხსნება მისი უდავოდ დიდი მნიშვნელობით. ნახევარი საუკუნის შემდეგ ეს საკითხი კვლავ ინარჩუნებს თავის აქტუალობას, როგორც ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ნიმუში.

სწორედ ამიტომ, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიის საკითხების კვლევისას საჭიროა უაღრესად დიდი სიფრთხილე და თანმიმდევრულობა. ყოველი უნებლიე შეცდომა, ყოველი მცირედი გადახრაც კი კლასობრივი პრინციპებიდან, ამ საკითხების კვლევისას, თავის გამოხმაურებას პოულობს რეაქციულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კომუნისტური პარტიის წინაშე მთელი სიცხადით დასდგა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. იგი ნაკარნახევი იყო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნების, მოძმე ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ძმური თანამშრომლობის დამკვიდრების ინტერესებით.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური გაერთიანების, სახელმწიფოებრივი კავშირის საუკეთესო ფორმად კომუნისტურმა პარტიამ, ვ. ი. ლენინმა მიიჩნია საბჭოთა ფედერაცია, რომელიც სრულებით შეესაბამებოდა ამიერკავკასიის კონკრეტულ ისტორიულ პირობებს.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება დაიწყო მათი სამეურნეო-ეკონომიური დაახლოებით. იდეა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო-პოლიტიკური დაახლოებისა და გაერთიანების შესახებ ეკუთვნის ვ. ი. ლენინს. ჯერ კიდევ „გოელროს“ გეგმაში ვ. ი. ლენინი კავკასიას განიხილავდა, როგორც ერთ მთლიან ეკონომიურ ერთეულს. 1921 წლის თებერვლის სტატიაში „ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „გოელროს“ გეგმაში „კავკასია აღებულია მთლიანად, სხვადასხვა რესპუბლიკის ეკონომიური შეთანხმების ვარაუდით“[1].

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 163.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1921 წლის 2 აპრილს ვ. ი. ლენინი წერდა აზერბაიჯანის ნავთობის მმართველს: „აუცილებელია საოლქო-სამეურნეო ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბაქო-ბათუმისათვის და სხვ.“[2].

რამდენიმე დღის შემდეგ ვ. ი. ლენინი წინადადებას აძლევდა ს. ორჯონიკიძეს და ამიერკავკასიის კომუნისტებს — შეექმნათ „საოლქო-სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის“, როგორც მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალება[3].

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე 1921 წელს 18 მარტს ს. ორჯონიკიძე აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ჰუსეინოვისადმი გაგზავნილ წერილში პირველად აყენებს პრაქტიკულად ამიერკავკასიის სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საკითხს: „ჩემი აზრია, შეიქმნას საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი, გაერთიანებული საგ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი და ამით თავიდან ავიცილოთ ურთიერთკონკურენციის შესაძლებლობა და თვით ურთიერთსპეკულაციაც. აგრეთვე დროულად მიმაჩნია დაისვას საკითხი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების რკინიგზების საერთო ცენტრის შექმნის შესახებ“[4], — წერდა ს. ორჯონიკიძე.

1921 წლის აპრილში რკ (ბ) კავბიურომ, მიაღწია რა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტების თანხმობას, მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელის გაერთიანების შესახებ. შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზების სამმართველო ცენტრით თბილისში. „კედელი გარღვეულია, ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება მომხდარი ფაქტია, ეს არის პირველი ნაბიჯი კავკასიის ეკონომიური გაერთიანების გზაზე“[5], — აღნიშნავდა ს. ორჯონიკიძე.

1921 წლის 10-11 აგვისტოს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა ეკონომიური თათბირი, რომელმაც მიიღო დადგენილება უმაღლესი ეკონომიური საბჭოს (უეს) შექმნის შესახებ. მის უმაღლეს ორგანოდ, ხელშეკრულების თანახმად, აღიარებულ იქნა პლენუმი. პრაქტიკული საქმიანობის ხელმძღვანელობა დაეკისრა პრეზიდიუმს, რომელსაც ექვემდებარებოდნენ სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა კომისიები.

უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მოვალეობას შეადგენდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ღონისძიებათა კოორდინაციის უზრუნველყოფა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა ნაციონალ-უკლონისტების მხრიდან. ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც ხელმძღვანელ ორგანოებში იყვნენ მოკალათებულნი, ყოველნაირად ცდილობდნენ გამოეყენებინათ საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და მოეპოვებინათ პრივილეგიური მდგომარეობა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხარჯზე.

ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა ხანგრძლივი და უსიამოვნო კამათის საგნად აქციეს საქართველოს საზღვრების საკითხი. საქართველოს რესპუბლიკა გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებზე წავიდა მომძე რესპუბლი-

[2] Ленинский сборник, т. XX, გვ. 158

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 35, გვ. 510.

[4] ვ. ე ს ა ი ა შ ვ ი ლ ი, ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბ., 1959, გვ. 374.

[5] გ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, თბ., 1957, გვ. 232.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კების მიმართ. ამას მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების ერთგულ საქართველოს კომუნისტურ პარტიას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო.

საქართველოს ინტელიგენციის ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილისათვის ასეთი პოზიცია გაუგებარი აღმოჩნდა.

ნაციონალ-უკლონისტების გაფფრებული წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ 1921 წლის 5 ივლისს დადგენილ იქნა აზერბაიჯან-საქართველოს, ხოლო 6 ნოემბერს სომხეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. 7 ივლისს კავბიუროს პლენუმმა, იბ. სტალინის, ს. ორჯონიკიძის, ს. კიროვისა და სხვათა მონაწილეობით, მიზანშეწონილად ცნო მთელი ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადაცემა.

ნაციონალ-უკლონისტების ძლიერი წინააღმდეგობის დაძლევა გახდა საჭირო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ფულის ერთიანი ნიშნების შემოღების, ფოსტა-ტელეგრაფების გაერთიანებისა, თუ სხვა საკითხებში.

უკლონისტები ამტკიცებდნენ, რომ გაერთიანების იდეა „ზემოდან“ (კავბიუროსაგან) იყო ნაკარნახევი. ბ. მდივანი აცხადებდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია ნაიდრევია და, რომ არავითარი ობიექტური პირობები ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებისათვის არ არსებობსო.

ნაციონალ-უკლონისტებს, მცდარად ესმოდათ რა ეროვნული დამოუკიდებლობის ცნება, ერთი მხრივ, გადაჭარბებით აფასებდნენ „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნების მნიშვნელობას“, მეორე მხრივ, მათ ბოლომდე არ ჰქონდათ შეგნებული გაერთიანების უდიდესი მნიშვნელობა მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევის, ეროვნული შუღლის აღმოფხვრისა და კულტურული აყვავების საქმეში. ნაციონალური შეზღუდულობა საშუალებას არ აძლევდა მათ ობიექტურად, კლასობრივი პოზიციებიდან შეეფასებინათ სინამდვილე.

მიუხედავად ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობისა, საქართველოს კომუნისტები მტკიცედ ნერგავდნენ მასებში გაერთიანების იდეას. ს. ორჯონიკიძე მიმართავდა საქართველოს კომუნისტებს: „ამიერკავკასიის მშრომელთა ძმობა — აი ჩვენი დევიზი — რასაც შესწირავს მთელ თავის ენერგიას, მთელ თავის გაჯლნას ჩვენი კომუნისტური პარტია“[6].

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო-ეკონომიური დაახლოების პირველმა ნაბიჯებმა ცხადყვეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კურსის მთელი სისწორე. „ეკონომიური თანამშრომლობა თანდათანობით აკავშირებს ამიერკავკასიის მშრომელ ხალხებს, ფანტავს შოვინიზმს და აძლიერებს ძმურ სოლიდარობის გრძნობას ამ ხალხთა შორის“ — წერდა 1921 წლის 3 ივნისს გაზ. „კომუნისტი“ თავის მოწინავე სტატიაში.

1921 წლის შემოდგომიდან, მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო-ეკონომიურმა დაახლოებამ სავსებით გაამართლა იმედები, კომუნისტურმა პარტიამ შესაძლებლად ჩათვალა გადასულიყო გაერთიანების უფრო მაღალ ფორმაზე — ფედერაციაზე.

1923 წლის მარტში რკბ (ბ) XII ყრილობაზე ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „დამოუკიდებელი რესპუბლიკები (ამიერკავკასიის. — უ. ბ.) ჯერ სამეურნეო საფუძველზე უახლოვდებიან ერთმანეთს... მას შემდეგ რაც აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკების დაახლოების გამოცდილება

6 გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 30 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგ შედეგებს იძლევა, იდგმება შ ე მ დ ე გ ი ნ ა ბ ი ჯ ი — ფ ე დ ე რ ა ც ი ა დ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა... ერთი წლის შემდეგ — კ ი დ ე ვ შ ე მ დ ე გ ი ნ ა ბ ი ჯ ი, როგორც დასკვნითი ეტაპი რესპუბლიკათა გაერთიანების გზაზე, — რესპუბლიკათა კავშირის შექმნა"[7].

აქედან ნათლად ჩანს, რომ პარტიის ხელმძღვანელობა სამეურნეო-ეკონომიური დაახლოების პერიოდს განიხილავდა, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების პირველ ეტაპს, ხოლო მთელ გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ მოძრაობას 3 ძირითად ეტაპად ყოფდა.

1921 წლის 3 ნოემბერს რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროს პლენუმმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლად არსებობა აუძლურებს ამ რესპუბლიკებს, ქმნის ბევრი სახალხო კომისარიატის უსარგებლო პარალელიზმს, განკერძოება აძნელებს მეზობელი ერების ძმურ თანამშრომლობას და სხვ.

ყოველივე ამის გამო კავბიუროს პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია:

„1. გადაუდებლად და აუცილებლად რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის შეკვრა, უწინარეს ყოვლისა სამხედრო, სამეურნეო-საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში; 2. აუცილებლად ჩაითვალოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ეკონომიური ცენტრის (სამოკავშირეო საბჭოს) შექმნა"[8].

რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული.

1921 წლის 14 ნოემბერს კავბიუროს პლენუმის დადგენილება დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

23 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის საქალაქო კომიტეტის ერთობლივი თეზისები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ. თეზისებში დასაბუთებული იყო ფედერაციის ეკონომიური და პოლიტიკური აუცილებლობა, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა და სხვ.

„ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ძალღონის გაერთიანებას გვიკარნახებს საქმეთა მთელი მსვლელობა, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ურთიერთობათა თვალსაზრისით"[9], — ნათქვამი იყო თეზისებში.

ამიერკავკასიის ფედერაციის იდეა, მიუხედავად ნაციონალ-უკლონისტების სასტიკი წინააღმდეგობისა, მტკიცედ იკაფავდა გზას მშრომელ მასებში. გაერთიანებას თანაუგრძნობდა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. ფედერაციის მხარდასაჭერად გაშლილმა მოძრაობამ საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. მარტო თბილისში მოწყობილ იქნა 30-ზე მეტი ხალხმრავალი მიტინგი, რომლებზეც მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ფედერაციის შექმნის იდეას.

ქართველ უკლონისტთა ლიდერი ბ. მდივანი იძულებული იყო ეღიარებინა; „გაერთიანების იდეა იმდენად პოპულარულია, რომ დაადაფიქრა ისინიც, ვისაც კი უნდა დაეკარგა ყოველგვარი იმედი მისი განხორციელებისა".

მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ფედერაციის იდეამ მშრომელი მასების

---

7 ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 251, 252 (ხაზი ჩვენია. — უ. ბ.).

8 ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 1958, თბ., გვ. 84.

9 გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 23 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა, ვ. ი. ლენინმა 1921 წლის 28 ნოემბერს შეადგინა „პროექტი წინადადებისა ამერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ“, რომელიც ცენტრალური კომიტეტის სახელით მეორე დღესვე გადაეცა რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროს.

დოკუმენტი თვალისწინებდა:

„1) ამერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვევიდან გატარებისათვის;

2) წინადადება მიეცეს (კავბიუროს მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და მუშათა და გლეხთა მასების წინაშე, ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და გ ა ი ყ ვ ა ნ ონ იგი თვითეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობაზე: დიდი ოპოზიციის შემთხვევაში ზუსტად და დროულად ეცნობოს ეს რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს“[10].

1921 წლის 3 დეკემბერს თბილისში დაიწყო საბჭოების არჩევნები, იგი კომუნისტური პარტიის აშკარა წარმატებით მიმდინარეობდა. ფედერაციამ არამცოუ უკეთედო მშრომელთა ფართო მასები კომუნისტური პარტიისაგან, არამედ კიდევ უფრო დარაზმა ისინი პარტიის გარშემო. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობდა პარტიისა და ხალხის ერთიანობას, ფედერაციის იდეის დიდ პოპულარობას მშრომელ მასებში. საბჭოების არჩევნებმა ცხადყვეს, რომ საქართველოს მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას და ამერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებას.

1922 წლის 23 იანვარს თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობა. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ ყრილობაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ორახელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ცენტრალური კომიტეტის მუშაობას ახასიათებდა სერიოზული ხარვეზები. ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ გადაუხვია პარტიის ლენინურ ხაზს, განსაკუთრებით ამერკავკასიის ფედერაციის მშენებლობის საკითხში.

ყრილობამ დაგმო „ნაციონალისტური ტენდენციები და გადახრები“, 132 ხმით 34-ის წინააღმდეგ უარყო ნაციონალ-უკლონისტების მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი და მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული.

საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა პირველი სერიოზული მარცხი განიცადეს. ყრილობამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ საქართველოს კომუნისტების აბსოლუტური უმრავლესობა გადაჭრით და მთლიანად იწონებდა პარტიის გენერალურ კურსს ამერკავკასიაში.

1922 წლის თებერვალში ამერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების

[10] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ყრილობაზე რკპ (ბ) ცკ-ს კავბიუროს ნაცვლად შეიქმნა რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტი, როგორც ყველა პარტიული ორგანიზაციის არჩევითი ორგანო.

1922 წლის თებერვალში თბილისში ჩატარდა საქართველოს საბჭოების I ყრილობაც, რომელმაც ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ სწორ გზად მიიჩნია აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ფედერაციული გაერთიანება და წინადადება მისცა ცკკ-ს პირველსავე სხდომაზე განეხილა ამიერკავკასიის ფედერაციის პრაქტიკული განხორციელების საკითხი.

1922 წლის 11 მარტს თბილისში მუშაობას შეუდგა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია. 12 მარტს კონფერენციამ მიიღო სამოკავშირო ხელშეკრულება, რომლის თანახმად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები გადასცემდნენ თავიანთ უფლებებს სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციას საგარეო პოლიტიკის, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის, ფინანსებისა და რკინიგზების, შრომის დაცვისა და რეგულირების, კონტრრევოლუციასთან ბრძოლის, კავშირგაბმულობისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის ხაზით.

კონფერენციამ აირჩია ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამოკავშირო საბჭო.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციულ კავშირს. შეიქმნა ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიური ორგანო ამიერკავკასიის მასშტაბით.

ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან ერთად ქართველმა ხალხმა მხურვალედ მიიწონა ფედერაციის შექმნა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ პირად თუ კოლექტიურ წერილებში მშრომელები გამოთქვამდნენ თავიანთ კმაყოფილებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური რესურსების გაერთიანების გამო.

ასეთ ვითარებაში მოსალოდნელი იყო, რომ ქართველი ნაციონალ-უკლონისტები ანგარიშს გაუწევდნენ მოსახლეობის ფართო ფენების სურვილს, შეიგნებდნენ თავიანთი პოზიციის სიმცდარეს და ხელს აიღებდნენ ფრაქციულ ბრძოლაზე პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

მაგრამ ნაციონალ-უკლონისტებმა სამოკავშირო საბჭოს შექმნის შემდეგ არა თუ არ შეწყვიტეს თავიანთი ნამდვილი საქმიანობა, არამედ კიდევ უფრო გააქტიურეს ბრძოლა ფედერაციის წინააღმდეგ.

ნაციონალ-უკლონისტებმა საპროტესტო წერილით მიმართეს რკპ (ბ) ცკ-ს, სადაც ისინი ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ამიერკავკასიის ფედერაციის ნაადრევობა.

ნაციონალ-უკლონისტების პროტესტის პასუხად, 1922 წ. 5 აპრილს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ხელმეორედ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ[11].

კომუნისტური პარტია ამიერკავკასიის ფედერაციის წინაშე აყენებდა კონკრეტულ ამოცანას: ფედერაციას უნდა დაეჩქარებინა უნდობლობის აღმოფხვრა მომმე ერებს შორის, ხელი უნდა შეეწყო ამიერკავკასიის ხალხთა

[11] კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კომუნისტური პარტიის ბრძოლა ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის შექმნისათვის, თბ., 1960, გვ. 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისათვის.

რკპ (ბ) XII ყრილობაზე ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „...ამიერკავკასია ისეთი ‘ქვეყანაა, სადაც ადგილი ჰქონდა თათარ-სომეხთა ხოცვა-ყლეტას ჯერ კიდევ მეფის დროს და ომს შუსავტელების, დაშნაკებისა და მეწშევიკების დროს. ეს ჩხუბი რომ შეეწყვიტოთ, საჭიროა ნაციონალური მშვიდობის ორგანო, ე. ი. უმაღლესი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება თქვას გადაწყვეტი სიტყვა“[12].

„ნაციონალური მშვიდობის“ ყველაზე უფრო მიზანშეწონილ ფორმად კომუნისტური პარტია ამიერკავკასიაში ფედერაციას მიიჩნევდა.

მას შემდეგ, რაც ფედერაცია შეასრულებდა თავის ისტორიულ დანიშნულებას, კომუნისტურ პარტიას საჭიროდ მიიჩნდა მისი გაუქმება.

ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე ს. ორჯონიკიძე ამის შესახებ აღნიშნავდა: „ფედერაციის ვარსკვლავი კი გაბრწყინებული იქნება იმ დროდის, სანამ აქ, ამიერკავკასიაში ხალხთა ცხოვრება ისე მოეწყობოდეს, რომ მათ შორის არ იქნება ძველი დამოკიდებულების შესახებ უბრალო მოგონებაც კი ეროვნული მტრობის აზრით...

...ეი ეს ჩვენთვის ამიერკავკასიაში მეტად დიდი და მეტად არსებითია“[13].

როგორც ვხედავთ, კომუნისტური პარტია ამიერკავკასიის ფედერაციას თავიდანვე განიხილავდა, როგორც დროებით ორგანოს, როგორც „ნაციონალური მშვიდობის „ორგანოს“, რომლის წინაშეც კონკრეტული ამოცანები იყო დასახული.

სწორედ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ გააუქმა ამიერკავკასიის ფედერაცია.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, ფაქტიურად წინ აღუდგნენ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებასაც. ვ. ი. ლენინის პროექტის საწინააღმდეგოდ უკლონისტებმა მოითხოვეს მომავალ საკავშირო სახელმწიფოში საქართველოს დამოუკიდებელი შესვლა ამიერკავკასიის ფედერაციის გარეშე.

თვითონ საქმიანობას ქართველი ნაციონალ-უკლონისტები განაგრძობდნენ მას შემდეგაც, რაც 1922 წლის 6 ოქტომბერს რკპ (ბ) ცკ-ს პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ლენინური გეგმა. ამის გამო 1922 წლის 20 ოქტომბერს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა სერიოზული გაფრთხილება მისცა უკლონისტებს.

ქართველი უკლონისტები საქმეს ისე წარმოსახავდნენ, თითქოს ვ. ი. ლენინი მათ მხარეზე ყოფილიყოს ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია ეს იყო წმინდა წყლის სიცრუე. რევოლუციის დიდი ბელადი თვით იყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი.

ვ. ი. ლენინის პოზიცია ნათლად დაადასტურა მისმა სპასუხო დეპეშამ, რომელიც 1922 წლის 22 ოქტომბერს გადაეცა ქართველ უკლონისტებს: „მაკვირვებს არაწესიერი ტონი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ცინცაძისა და სხვათა მიერ ხელმოწერილი ბარათისა პირდაპირი მავთულით, რომელიც გადმომცა რატომღაც ბუხარინმა და არა ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველა უთანხმოება ამოსწურა ცენტრალუ-

12 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 251—252.

13 სცსა. ფ. 607, აღწ. 8, ს. I, ფურც. 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კომიტეტის პლენუმის რეზოლუციებმა, ჩემი არაპირდაპირი მონაწილეობით და მდივნის პირდაპირი მონაწილეობით. ამიტომ მე გადაჭრით ვგმობ ორჯონიკიძის ლანძღვას და აუცილებლად მიმაჩნია თქვენი კონფლიქტის წესიერი და ლოიალური ტონით გადაცემა რკპ (ბ) ცკ-ის სამდივნოს გადასაწყვეტად, რომელსაც გადაეცა კიდეც თქვენი შეტყობინება პირდაპირი მავთულით"[14].

ბელადის ამ პრინციპულმა პოზიციამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს. იმავე დღეს საქართველოს უკლონისტური ცენტრალური კომიტეტი გადადგა.

24 ოქტომბერს რკპ (ბ) ცკ-მ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

საქართველოს კომუნისტებმა მოიწონეს პარტიის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი. 25 ოქტომბერს თბილისში გამართულ რაიონულ პარტიულ კრებებზე, სადაც მომხსენებლებად გამოდიოდნენ, როგორც სამხარეო კომიტეტის მომხრენი, ისე ცენტრალური კომიტეტის გადამდგარი წევრებიც, პარტიული მასების დიდმა უმრავლესობამ დაგმო ცკ-ის ძველი შემადგენლობის მოქმედება.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ერთ ნაწილს ბ. მდივნის ხელმძღვანელობით არც ამის შემდეგ აუღია ხელი ბრძოლაზე, პირიქით, ისინი კიდევ უფრო გააქტიურდნენ და საბოლოოდ ტროცკიზმის პოზიციებზე დაეშვნენ. მეორე ნაწილმა ფ. მახარაძის მეთაურობით დაძლია თავისი შეცდომები და კვლავ დადგა ლენინური პოზიციაზე.

1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში შეიკრიბა ამიერკავკასიის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობა.

14 დეკემბერს ყრილობამ მიიღო ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია და აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ს. ორჯონიკიძის მოხსენების საფუძველზე, ყრილობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო სახელმწიფო გაერთიანების ლენინურ გეგმას. ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ მისალმებაში ყრილობის დელეგატები აღნიშნავდნენ: „დავამყაროთ რა მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა... და შემოვდივართ რა ერთიანი ოჯახით სსრ კავშირში, ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ თქვენი გამოცდილი ხელმძღვანელობით და კომინტერნის დროშით ჩვენ შევძლებთ აქ... საბჭოთა ხელისუფლების მძლავრად განმტკიცებას, ჩვენი ერთიანი მეურნეობის აღორძინებას".

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მხარის სამეურნეო-ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას, საბოლოოდ დასამარდა ანტანტის სახელმწიფოთა გეგმები — გადაეკცათ ამიერკავკასია საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

1922 წლის 30 დეკემბერს სრულიად საკავშირო საბჭოების I ყრილობაზე ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

---

14 საქართველოს კპ ისტორიის ნარკვევები, გვ. 525.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაიოს ტარდი

იოჰანეს შონერისა და მისი მიმდევრების XVI საუკუნის I მეოთხედის გეოგრაფიული რუკები

ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემონახული № 3505 ხელნაწერის 32-ე ფურცლის უკანა მხარეს და 33-ე ფურცლის წინა მხარეზე გვხვდება 435×202 მილიმეტრის ზომის ხელით შეფერადებული მსოფლიო რუკა.

ფრანც უნტერკირხნერისა (1957)[1] და ჰერმან მენჰარდტის (1961)[2] კატალოგების მიხედვით ეს მსოფლიო რუკა, რომელიც ამ ეპოქისათვის ცნობილ ქვეყნებს მოიცავს, არის XVI საუკუნის დასაწყისის უცნობი ავტორის ნაშრომი. თანამედროვე ტერმინოლოგიით ჩვენ მას შეგვიძლია პოლიტიკური რუკა ვუწოდოთ. მართლაც, მისი სახელწოდება მოწმობს იმას, რომ ის გამიზნულია გვიჩვენოს ქვეყნების ტერიტორიები და საზღვრები ისე, რომ მისი ფიზიკური გამოსახულების დეტალებში არ ჩაგვახედოს, თუმცა ზოგ ადგილას ნაჩვენებია მთაგრეხილი, უდაბნო ან მდინარე. ქვეყნების საზღვრები სრულიად სქემატურადაა დახატული და თითქმის ყველგან მკაცრი გეომეტრიული მოხაზულობის საშუალებითაა ნაჩვენები. თუ ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი პროპორციულადაა წარმოდგენილი და რეალურობას არაა დაცილებული, სხვა კონტინენტებისა და ოკეანეების კონტურები დამახინჯებულია და იმ ეპოქის კარტოგრაფიის დონესთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ დონეზეა შესრულებული.

მსოფლიო რუკის ავტორი შეეცადა აესახა ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობა, მხოლოდ გვერდი აუარა გარკვეულობა შეეტანა ადრინდელ ვითარებაში და არც შევიდა იმის გარჩევაში, თუ ძველად ვინ ცხოვრობდა ამ ქვეყნებსა და მხარეებში. მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისი დაუშვა, სახელდობრ უნგრეთისა და საქართველოსათვის.

რუკაზე საქართველო შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორისაა მოთავსებული (ორივეს კონტურები დამახინჯებულია). ქვეშ წარწერაა: „კუმანიის სათათრეთი“. ავტორს ასეთი სახელწოდება მიუცია: „Georgia seu Hungaria antiqua“, ე. ი. „საქართველო ანუ უძველესი უნგრეთი“[3]. ეს ლაკონიური გამოთქმა სხვადასხვანაირად შეიძლება აიხსნას. არ არის გამორიცხული, რომ თავისი ინფორმაციის საფუძველზე ავტორს საქართველო მიუჩნევია უნგრე-

---

[1] F. Unterkirchner, Inventar der illuminierteen Handschriften, Incunabeln und Frühdrucke der Osterreichischen Nationalbibliothek. I. Theil. Die abendländischen Handschriften. Wien, 1957. შდრ. Tabulae codicum manuscriptorum praeter Graecos et Orientales in Bibiotheca Palatina Vindobonensi asservatorum, vol. III, Vindobonae, 1869.

[2] H. Menhardt, Verzeichnis der altdeutschen literarischen Handschriften der Osterreichichen Handschriften der Osterreichischen Nationalbibliothek, Bd. 2., Berlin, 1961, გვ. 915; Ct. H. Harrisse, The Discovery of North America, Amsterdam, 196? Réimpression de l'édition de 1892, გვ. 312, 482; F. Wiesser, Magalhaes - Strasse und Austral-Continent auf den Globen des Johannes Schöner, Insbruck, 1881, გვ. 15.

[3] L. Tardy, Kaukázusi magyar vonatkozasok egy régi kéziratos térképen, „Magyar Nemzet“, 18.III.1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების თავდაპირველ სამშობლოდ. მაგრამ ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ მას უნდოდა უბრალოდ მიეთითებინა, რომ უნგრელებმა როცა კავკასია გადალახეს, მათ იქ დააარსეს სამშობლო, რომელიც შემდეგში მიატოვეს. მთელმა რიგმა უნგრელმა ისტორიკოსებმა — იოზეფ ტურომ, გიორგი გიორფიმ, ლაჯოს ბენდეფიმ, იოზეფ პაპაიმ და სხვებმა მრავალი წყაროს შესწავლის შედეგად დადგინეს, რომ უნგრელმა ე. წ. სავარდებმა, როცა ისინი დამკვიდრდნენ კავკასიის გადაღმა, კონტაქტი დაამყარეს დამპყრობ უნგრელებთან, რომლებმაც ჯერ კიდევ 950 წელს მათ გაუგზავნეს ელჩები. ორივე ხალხი ურთიერთთან კავშირში ყოფილა. ყველაფერი გვარწმუნებს იმაში, რომ ეს კავშირი დიდხანს არ შემწყდარა, რადგან, მაგალითად, XI ს-ის უნგრულ მემატიანეს, როგორც ჩანს, მათ შესახებ ბევრი რამ სცოდნია. ასევე დაახლოებით სარწმუნოა, რომ XIII საუკუნეში უნგრულ მისიონერებს ეს ხალხი დახვდათ კავკასიონის გადაღმა[4]. 1253 წელს, მოგზაურობის დროს, რუბრუკი ნახჭევანში შეხვდა უნგრელ დომინიკელს, რომელიც თბილისისაკენ მიემართებოდა[5]. ნახჭევნიდან თბილისისაკენ მიმავალი გზა კი გადიოდა უნგრელი სავარდების ძველ ტერიტორიაზე[6]. XIV ს-ის დასაწყისშიც არსებობდა არაპირდაპირი კონტაქტი ევროპაში ემიგრირებულ უნგრელებსა და საქართველოში დარჩენილ უნგრელებს შორის.

მართლაც, პაპმა იოანე XXII გაიგო, რომ აზიის უნგრელებმა მეფე ერეტ ამირის მეთაურობით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმართთა შორის იმყოფებოდნენ, მათ მაინც ქრისტიანული სარწმუნოება შეინარჩუნეს. 1329 წელს სამარყანდის ეპისკოპოსმა თომასმა სამოციქულო წერილი გაუგზავნა მათ და ალანებს[7]. ეპისკოპოსმა, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა ეცნობებინა ევროპის უნგრელების შესახებაც და როცა უკან დაბრუნდა, მას საშუალება მიეცა თავისი მოგზაურობის ამბები ევროპელებისათვის გაეზიარებინა.

სხვათა შორის, კარტოგრაფებს შეეძლოთ ესარგებლათ ერთი ბერის, სახელად ბერნარდუსის ცნობით. ბერნანდუ პაპმა იოანე XXII საქართველოსა და მომიჯნავე ქვეყნებში გაგზავნა და აქ იგი 1320 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში საეპისკოპოსოს განაგებდა. მისი ეპისკოპოსობის დროს იყო, რომ პაპმა იოანე XXII 1329 წლის 29 თებერვალს თავისი განთქმული წერილი გაუგზავნა ერეტ ამირს, უნგრელთა პრინცს, რომელიც კავკასიის მხარეში ცხოვრობდა. კ. ეუბელის შრომებიდან და სხვა წყაროებიდან ვგებულობთ, რომ 1334 წელს ბერნარდუსი პაპის კარზე იმყოფებოდა ავინიონში. პაპისადმი მისი მოხსენებიდან ინტერესს იწვევს ის მოსაზრებანი, რომელნიც კავკასიის უნგრელების შესახებ იყო გავრცელებული[8].

[4] J. Thury, Török nyelvemlékek a XIV, szazad végéig. Szazadok; 194, Gy. Gyorffy, Kronikaink és a magyar ostörténet, Budapest, 1948, გვ. 86; L. Bendefy, Kunmagyaria, Budapest, 1941; id: A kaukazusi magyarsag oshazaya, Budapest, 1942, IV,VI,VII; K. Czegléd y, A szavard-kérdés Thury Jozsef elott és utan, Magyar Nyelv., 1959, გვ. 373—385.

[5] Gy. Gyorffy, დასახ. ნაშრომი, გვ. 216; Н. П. Састина, Путешествия в восточные страны Плано Карпини и Рубрука, М., 1957, стр. 87—194; B. Altaner, Die Dominikanermossionen des 13. Jahrhunderts, Habelschwerd, 1924, გვ. 139.

[6] Gy. Gyorffy, დასახ. ნაშრომი.

[7] იქვე, გვ. 81—87.

[8] L. Tardy, Magna Hungaria a XVI, szazadi térképeken, „Magyar Nezet", 27,V.1972; J. Perényi, A. Magyar Nyelv, 1959, გვ. 385—391, 488—499.

ჩვენ მაინც არ გაგვიცია პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ მოხვდა მსოფლიო რუკის წარწერათა შორის უჩვეულო წარწერა, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისშია შესრულებული. იქნება ავტორმა უბრალოდ ისარგებლა საქართველოს ძველი რუკებით, რომლებიც ევროპელთა მიერ იყო შედგენილი? ან კიდევ, შეეძლო თუ არა მას თავისი ინფორმაცია რომელიმე სხვა წყაროებიდან აეღო? და ბოლოს, 1329 წლის პონტიფიკალურ ბულასა და 1510 წლის შემდეგ შედგენილ რუკას თითქმის 200 წელი აშორებს და ყველა მატიანე მიუთითებს უნგრელების სკვითებისაგან წარმოშობაზე. კავკასიის უნგრელებს კი არ ახსენებენ.

სანამ ამ კითხვებზე პასუხს გავცემდეთ უპირველეს ყოვლისა საჭიროა 1. გადავათვალიეროთ, რამდენადაც შესაძლებელია, საქართველოს უძველესი რუკები, რათა შევეცადოთ დავადგინოთ, თუ რა დროიდან იცნობდნენ გეოგრაფები ამ ჰიპოთეზას, 2. უნდა გამოვარკვიოთ ავტორი რუკისა, რომელიც შემონახულია ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარწერით: „უცნობი ავტორი“.

ამ ამოცანის შესრულების შემდეგ ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე: 1. ცენტრალური ევროპის რუკათა მთავარი კოლექციებისა და დაბეჭდილ რუკათა შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ XVI ს-ის დასაწყისის ზემოხსენებულ რუკაზე აღნიშნულ ტექსტს — „საქართველო, ანუ უძველესი უნგრეთი“ — უძველეს რუკებში წინამორბედი არა ჰყავს და თითქოს აშკარაა, რომ ეს ტექსტი — რომელიც ჩნდება უფრო გვიან 1527 წლებში ინგლისელი მოგზაურისა და კარტოგრაფის რობერტ ტორნის შექმნილ რუკაზე და გამოქვეყნებულია 1528 წელს — მომდინარეობს ჩვენი უცნობი კარტოგრაფისაგან. 2. როცა გადავათვალიერეთ გამოცემული რუკები და კოლექციების მასალები, ჩვენ შევძელით დაგვედგინა ავტორის ვინაობა, რომელიც ვენის ყველა კატალოგში ფიგურირებს როგორც „უცნობი“.

ხელნაწერი რუკა, რომელიც მოვიძიეთ ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის № 3505 კოდექსში, ასტრონომისა და გეოგრაფის ნიურნბერგის უნივერსიტეტის პროფესორის იოჰანეს შონერის (1477—1547) ორიგინალი გლობუსია[9]. ახლა გვრჩება გასარკვევი, თუ სად მოიძია თავისი ცნობები ამ რუკის ავტორმა, მას შემდეგ, როცა ოთხზე მეტმა საუკუნემ განვლო.

წარმოშობით გერმანელი შონერი არასდროს არ ყოფილა არც უნგრეთსა და არც საქართველოში. იგი გერმანიის ფარგლებს არასოდეს არ გასცილებია და როგორც მისი ბიოგრაფიიდან[10] ჩანს, მისი მრავალი პუბლიკაციიდან არც ერთი არ ეხება ამ ქვეყნებს.

იმ დროის ერთ-ერთი ცნობილი და ორიგინალური ჰუმანისტი იოჰან რეგიონონტანუსი (1436 — კენინსბერგი, 1476 — რომი) იყო ასტრონომი, ფილოლოგი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი. რეგიონონტანუსი გადასახლდა ნიურნბერგში უნგრეთის დედაქალაქიდან, სადაც იგი უნგრეთის მეფის მატიაშის მიწვევით 1468 წლიდან მუშაობდა სამეფოს ბერძნულ ხელნაწერებზე.

---

[9] Cf. H. Harrisse, დასახ. ნაშრომი, გვ. 312; R. Hennig, Terrae incognitae, Leiden, 1956, გვ. 400; Filologiai Közlöny, 1961, გვ. 126—131.

[10] F. W. Gnillany, Der Erdglobus des Martin Behain von Jahre 1492 und der des Johann Schöner von Jahre 1520, Nürnberg, 1842, გვ. 13—14; G. A. Will, Nürbergisches Gelehrten Lexicon, Theil III. Nürnberg, 1757, გვ. 282—283.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე მატიაშის სამეფო კარზე რეგიონონტანუსი გაეცნო იქ მცხოვრებ მეცნიერ ჰუმანისტებს. მათ შორის იმათაც, ვინც იბრძოდა რომის პაპის გავლენის გაძლიერებისა და უნგრელების სკვითური წარმოშობის იდეების საქვეყნოდ გამოცხადების წინააღმდეგ. იძიებდა რა წინაპართა წარმომავლობის, ატილასა, ჰუნებისა და სკვითების იდენტურობის საკითხებს, იგი ამით მხოლოდ ამყღავნებდა გრძნობებსა და სურვილებს საშუალო თავადაზნაურობისა, რომლებმაც დაიწყეს დიდი ისტორიული როლის შესრულება უნგრეთში[11].

იანშ ტუროში თავის ქრონიკაში მეფე მატიაშს უყოყმანოდ „მეორე ატილას“ უწოდებს; ისტორიკოსების იანშ ტუროშის, ტამას დრაგისა და სხვათა საუბრების, დისკუსიების შემდეგ ლაპარაკი ჰუნთა და მადიართა ხალხის სიდიადის, მათი სკვითური წარმოშობის შესახებ მუდმივი საუბრის საგანი ხდებოდა სამეფო კარზე[12], ხოლო ტუროში ქართველებს მიიჩნევდა უნგრელების მეზობლად, ნათესავად. თავის ქრონიკებში იგი აგვიწერს კაკკასიონის მთებს, მოიხსენიებს მდ. რიონს, როგორც სკვითების ერთ-ერთ მთავარ მდინარეს და შემდეგ დაასკვნის: არაფის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ უნგრელი ხალხის დედა (წაიკითხე: თავდაპირველი სამშობლო) იყო სკვითთა[13].

მას შემდეგ, რაც უნგრეთის სამეფო კარზე თავისი ნაშრომი დაასრულა, რეგიონონტანუსი ნიურნბერგში დამკვიდრდა, სადაც თავდადებულ სამეცნიერო შრომას განაგრძობდა. იგი ახალგაზრდა, 40 წელს მიღწეული, გარდაიცვალა რომში მოგზაურობის დროს. მისი ხელნაწერები, რომელთა საბოლოოდ წესრიგში მოყვანა მან ვერ მოასწრო, უფრო გვიან მიანდვეს პროფესორ იოჰან შონერს, რომელსაც ხელნაწერების კლასიფიკაციის შემდეგ ერთი ნაწილი უნდა გამოექვეყნებინა. ეს მოვალეობა მან კეთილსინდისიერად შეასრულა[14].

ამ ეპოქიდან ხუთასმა წელმა განვლო და ჩვენ დღეს არა გვაქვს, რა თქმა უნდა, აბსოლუტური საბუთი იმისა, თუ რა აიღო შონერმა რეგიონონტანუსის „კონსტატაციიდან“ საქართველოს სამშობლოში უნგრელების ყოფნის შესახებ, მაგრამ ჩვენ გვაქვს სრული მინიშნება იმაზე, რომ ეს სესხება ვივარაუდოთ. კულტურის ისტორიის უნგრელი სპეციალისტები, აწ განსვენებული ტიბორ კარდოსის მეთაურობით, ერთხმად აცხადებენ, რომ უნგრელების სკვითური წარმოშობის შესახებ ცნობა, რომელიც უმეტესად, უნგრულ ქრონიკებიდან მოდის, საბოლოოდ გაჰქრა ჰუმანისტ მატიასის ლექციებში. ტუროში, დრაგი და სკვითური თეორიის სხვა მიმდევარნი რეგიონონტანუსის თანამედროვენი იყვნენ და მასთან ერთად უნგრეთის მეფის კარზე ცხოვრობდნენ. ყველაფერი ეს შესაძლებელს ხდის აიხსნას, თუ როგორ აღმოცენდა წარწერა: „საქართველო, ანუ ძველი უნგრეთი“ შონერის მსოფლიო რუკის იმ ნაწილში, რომელზედაც საქართველოა წარმოდგენილი.

---

[11] G. A. Will, დასახ. ნაშრომი, გვ. 273—282; T. Kardos, A. magyarorszagi humanizmus kora, Budapest, 1955, გვ. 189—190.

[12] T. Kardos, დასახ. ნაშრომი, გვ. 174—176; id. Stilustanulmanyok Matyas kiraly kancellariajarel Közlenények a pécsi Erzsébet Tubomanyegyetem Könyvtarabol, Pacs, 1933, გვ. 8; F. Wiesser, დასახ. ნაშრომი, გვ. I.

[13] Thurocz, Johannes de, Chronica Hungarorum in: Scriptores Rerum Hungaricarum veteres ac genuini, Pars I. Tyrnaviae, 1765, გვ. 81—82.

[14] Will, დასახ. ნაშრომი, გვ. 560.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომში ეს განცხადება სხვებმაც მიიღეს. 1582 წელს რიჩარდ ჰაკლუიტმა თავის ერთ ნაშრომში[15] აღბეჭდა რუკა, რომელიც ინგლისელმა კომერსანტმა და გეოგრაფმა[16] რობერტ ტორნმა 1527 წელს შეადგინა. ტორნი, ისევე როგორც შონერი, სახელმწიფოებრივ საზღვრებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. იგი ამ ეპოქის უნგრეთს წარმოგვიდგენდა მთელი თავისი სიდიადით.

ტორნიც უნგრელების უძველეს სამშობლოს აგრეთვე შავსა და კასპიის ზღვათა შორის ათავსებს დაახლოებით დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე, აქვეა იგივე ტექსტი: „საქართველო ანუ ძველი უნგრეთი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს რუკა საგრძნობლად განსხვავდება შონერის რუკისაგან, იგიც ნიურნბერგელი კარტოგრაფის ნაშრომებზეა დამყარებული, საიდანაც აგრეთვე ეს წარწერებია გადმოღებული.

ჰიპოთეზა უნგრელების ამიერკავკასიაში სამშობლოს შესახებ არა მარტო იმ ეპოქის რუკებზეა ასახული; არსებობს რამდენიმე წერილობითი წყარო, რომელიც აგრეთვე გადაკვრით მიგვანიშნებს ამაზე. ეს გამომდინარეობს ჰანს ლოვენკლაუს ნაშრომიდან. იგი იყო ამ ეპოქის ცნობილი ორიენტალისტის იანოშ ჟამბოკის ჰუმანისტთა წრის წევრი, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა აღმოსავლეთთან ურთიერთობისადმი[17].

ლოვენკლაუმ მოკლედ გადმოგვცა დისკუსია თურქების წარმოშობაზე, რომელსაც ის აწარმოებდა ჰანნივალდ ფონ ეკენშტორფთან, ვერანჩიჩის ყოფილ მდივანთან. ეს დისკუსია ჩვენი თემის განხილვის საგანს არ შეადგენს, ოღონდ საჭიროა მოვიტანოთ ლოვენკლაუს პირადი შეხედულება, რომელიც ამბობს: „როცა იუგრებმა თავიანთი სამშობლო იუგრი მიატოვეს, ისინი ჯერ დამკვიდრდნენ მეოტიის ჭაობთან ახლოს, შემდეგ აქედან გადაინაცვლეს ხაზართა მიწაზე, მივიდნენ შავ ზღვამდე, იქ რამდენიმე ხანს იცხოვრეს; ბოლოს ხალხის ერთმა ნაწილმა გზა გაიკაფა დუნაიმდე, სახელდობრ პანონიამდე, რომელიც ახლანდელი უნგრეთია, მეორე ნაწილი კი გადავიდა იბერიასა და სომხეთში და საბოლოოდ სპარსეთის ტერიტორიაზე დამკვიდრდა“[18].

დღევანდელი ჩვენი ცოდნის შუქზე, რაგინდ ნაკლებ საფუძვლიანიც არ უნდა გვეჩვენებოდეს ლოვენკლაუს ჰიპოთეზა, ის მაინც კარგად გადმოგვცემს ეპოქის კონცეფციებს უნგრელთა წარმოშობაზე, ეს კონცეფცია კი წარმოადგენს საბოლოოდ იანოშ ტუროშის ჰუნო-სკვიუური თეორიების ანარეკლებს.

*

* *

---

[15] Hakluyt, Divers Voyages touching the Discovery of America,... London, 1582.

[16] R. A. Skelton, Explorer's maps. Chapters in the Geographic Record of Geographical Discovery, New York, 1960, p. 100.

[17] H., Lewenklaw, Neuwer Musulmanischer Histori Türckischer Nation, Frankfurt a/M., 1595.

[18] იქვე. გვ. 47—48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგენილი ხელნაწერი ესკიზით არ იფარგლება. მართლაც, 1523 წელს[19] შედგენილი გლობუსი „დიდ უნგრეთს“ წარმოგვიდგენს შედარებით ზუსტად: მისი საზღვრები ვრცელდება ჩრდილო-აღმოსავლეთით კასპიის ზღვისკენ, ალანისა და კანგლის ხალხების ტერიტორიებზე; მდინარე ურალის ხვეულის ჩრდილოეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობენ ბლაჰები, სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰუნები, მაშინ, როდესაც ჩრდილო-დასავლეთით ის ესაზღვრება „ბნელ რაიონს“. შონერის კვალობაზე „დიდი უნგრეთი“ რუკაზე ჩნდება გულის ფორმით გამოსახული 1536 წელს, ფრან ორონს ფინეს შედგენილი[20] და შენახული „მაგარი წყლის“ მეოხებით ქ. ვერონას გრავიორის პაოლო ჩიმელინის მიერ[21]. გარეგანი სახე რუკისა მოსაწონია, ხოლო ფორმა ერთბაშად გამორიცხავს ზომისა და პროპორციის წესიერ წარმოდგენებს და ხედიც მნიშვნელოვანწილად შელახულია. „დიდი უნგრეთის“ გამოსახულებას ემჩნევა იოჰანეს შონერის გავლენა. რაც შეეხება მის მდებარეობასა და მის მეზობლებს, ისინი თითქოს იდენტურია შონერის რუკისა.

ამრიგად, XVI საუკუნის კარტოგრაფების შრომებში აისახა იდეები და კონცეფციები უნგრელების უძველესი საცხოვრებლისა და აზიაში დარჩენილი უნგრელების შესახებ. საცილობელი სრულიადაც არაა, რომ კარტოგრაფები იცნობდნენ პლანო კარპინის, რუბრუკისა და სხვების მოგზაურობებს, მაგრამ არ შეიძლება გამოვრიცხოთ შესაძლებლობა, რომ მათ განკარგულებაში იქნებოდა ისეთი წყაროები, რომლებიც შთამომავლობამ არ შემოინახა.

---

[19] Terrestrial Globe of Johannes Schöner, 1523—1524, in: Monumenta Cartographica, Ed. F. C. Wieder, vol. I, Hague, 1925; A. E. Nordenskiold, Facsimile-Atlas to the early Histiry of Cartography, New York, 1961, გვ. 89.

[20] Harrisse, დასახ. ნაშრომი, გვ. 583—585, 615—619; F. Wieder, Magellan-Strasse, გვ. გვ. 67,78; R. Hennig, Von rätselhaften Ländern, München, 1925, გვ. 232—241.

[21] Nordenskiold, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

წარმოადგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ფოილაძე

არის თუ არა თეოფანე ქამთაალმწერელთან მოხსენიებული ვარსამუსე (βαρσαμούσης) ქართლის ერისმთავარი?

627 წლის შემოდგომაზე, ორთვიანი გარემოცვის შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ თბილისს ალყა მოხსნა და სალაშქროდ სპარსეთის შუაგულისაკენ გაემართა. იმპერატორის მოკავშირე ჯაბღუ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მას „ჯიბღუ“-ს, „ქართლის ცხოვრება“ „ჯიბღა“-ს უწოდებს) ხაკანი ჯარის ნაწილით თბილისიდან უკან გაბრუნდა, ხოლო ჰერაკლესთან დატოვა 40 ათასი მოლაშქრე[1], თავისი შვილის შათის სარდლობით[2].

627 წლის აპრელ დეკემბერს ჰერაკლეს ლაშქარი ნინევის ნაქალაქართან დაბანაკდა. მის წინააღმდეგ იდგა სპარსეთის არმია რაჰზადის (რაზატის)[3] სარდლობით. 12 დეკემბერს გადამწყვეტ ბრძოლაში ნინევის ნანგრევებთან (დღევანდელი ქ. მოსულის მახლობლად), მდ. ტიგროსის ნაპირზე, სპარსელები დამარცხდნენ[4]. ბიზანტიელი ქრონისტი თეოფანე ყამთაალმწერელი ამ ამბების გადმოცემისას იხსენიებს სპარსეთის მხარეზე მებრძოლ იბერ დიდებულს — ვარსამუსეს, რომელიც ტყვედ ჩავარდნია იმპერატორ ჰერაკლეს[5].

თანამედროვე ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში[6] გამოთქმულია მოსაზრება, რომ თეოფანე ყამთაალმწერელთან მოხსენიებული ვარსამუსე („საქართველოს ისტორიის ნარკვევებით“ იგი თბილისის აღების დროსაა დატყვევებული) ქართლის ერისმთავარი იყო.

თვალი გადავავლოთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მიხედვით, რასთან დაკავშირებით ჩნდება ვარსამუსე, და რამ გამოიწვია ის, რომ იგი ქართლის ერისმთავრად მიიჩნიეს.

„ნარკვევების“ 279-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ხოსრო II-ის მიერ ბიზანტიის დამარცხების შემდეგ მის საშინაო პოლიტიკაში ცვლილება მოხდა;

---

[1] თეოფანე ყამთაალმწერელი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 100.

[2] თეოფანე ყამთაალმწერლის ცნობით, 40 ათასი მოლაშქრედან ჰერაკლეს თითქმის ყველა ჩამოშორდა გზაში. იხ. Летопись византийца Феофана от Диоклетиана до царей Михаила и сына его Феофилакта, перевод с греческого В. И. Оболенского и Ф. А. Терновского, М., 1884, გვ. 236.

[3] ი. მარკვარტის თანახმად, ამ სარდლის სახელი Rāhzad-ი არის. აკად. ს. ყაუხჩიშვილის თანახმად მისი სახელი რაზატი — Ṛaẓat.

[4] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, IV—VII საუკუნეები, I, თბ., 1948, გვ. 153; შდრ., М. В. Левченко, История Византии, М.-Л., 1940, გვ. 107; Ю. Кулаковский, История Византии, т. III (602—717), Киев, 1915, გვ. 95; Л. Н. Гумилев, Древние тюрки, М., 1967, გვ. 195.

[5] Летопись византийца Феофана..., გვ. 237. ვ. ობოლენსკისა და თ. ტერნოვსკის თარგმანით იბერი დიდებულის სახელი ვარსამიზისია.

[6] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 279, 282.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ხოსრო II-ის სარწმუნოებრივი „ლმობიერება“ ქალკედონიტური ქართლის მიმართ დიდხანს არ გაგრძელებულა. იერუსალიმის აღების შემდეგ (614 წ.) მან ქრისტიანული საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც დაადგინა: ყველა ქრისტიანმა, ვინც შაჰის მორჩილი იყო, სომეხთა სარწმუნოება უნდა მიიღოსო.

ეჭვი არაა, — ვკითხულობთ „ნარკვევებში“, — ასეთ ვითარებაში კირიონ კათალიკოსი, ადარნასე ერისმთავარი და ზოგიერთი სხვაც იძულებულნი შეიქმნებოდნენ ქართლს გასცლოდნენ. ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება ჩანს, ვარსამუსემ (||ვარსამუშა) მიიღო. ყოველ შემთხვევაში თეოფანე ქამთაალმწერელს ეს კაცი ჰყავს მოხსენიებული იბერიელთა მთავრად (ὁ ἄρχων τῶν Ἰβήρων), რომელიც ჰერაკლე კეისარს თბილისის აღების დროს (627 წ.[7]) ტყვედ ჩავარდნია ხელში“[8].

„ნარკვევების“ ზემომოყვანილ ტექსტში თეოფანეს ცნობაზე მსჯელობისას წყაროდ მითითებულია აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ ქართულად გამოქვეყნებული თეოფანე ქამთაალმწერლის ცნობა ვარსამუსეს დატყვევების შესახებ. ამ ცნობაზე დაყრდნობით ავტორი ვარაუდობს „ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება, ჩანს, ვარსამუსემ მიიღოო“, რადგან იგი „ჰერაკლე კეისარს თბილისის აღების დროს (627 წ.) ტყვედ ჩავარდნია ხელშიო“[10]. მაგრამ როგორც ზემოთ ენახეთ, თეოფანე ქამთაალმწერლის თხზულების რუსული თარგმანის მიხედვით ვარსამუსე ჰერაკლემ ნინევიასთან ბრძოლაში დაატყვევა. ე. ი., თეოფანეს თხზულების ტექსტის რუსული და ქართული თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ ვარსამუსე ჰერაკლეს ორ სხვადასხვა ადგილას (627 წ. 12 დეკემბერს ნინევიასთან ბრძოლაში და 627 წ. შემდგომშუა თბილისის აღების დროს) დატყვევებია. ჩვენსედოთ ნარკვევებში მითითებულ წყაროში. წყაროს თარგმანში აკად. ს. ყაუხჩიშვილი სულაც არ წერს, რომ ვარსამუსე ჰერაკლემ თბილისის აღების დროს დაატყვევაო.

პატივცემულ აკადემიკოს 626 წლის ქვეშ თეოფანეს თხზულებიდან მოჰყავს ქვემომოყვანილი ნაწყვეტი: „რომაელებმა ხელთ იგდეს მრავალი მახვილი მთლიანი ოქროსი, ოქრომკედით მოქარული სარტყლები, მარგალიტები, რაზატის ფარი, მთლიანად ოქროსი და ასოცი ფურცლის მქონე... ხოლო ვარსამუსე, სპარსელების ქვეშევრდომ იბერიელთა მთავარი, ცოცხლად იგდეს ხელთ“[11].

მართალია, ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ თეოფანე ქამთაალმწერლის ქრონიკის ქართულ თარგმანში ტექსტს, რომელშიც ლაპარაკია ჯაბღუ ხაკანისა და იმპერატორ ჰერაკლეს შეხვედრაზე თბილისთან და შემდეგ ჰერაკლეს გალაშქრებაზე სპარსეთში, ხოსრო II-ის წინააღმდეგ, ქვეთავით —

---

7 საქართველოს ისტორიის ნარკვევების 282-ე გვერდზე თბილისის აღების თარიღად სამართლიანადაა მითითებული 628 წელი. ამ თარიღს მხარს უჭერენ: კ. ტრევერი, ი. მანანდიანი, მ. არტამონოვი, ლ. გუმილიოვი და სხვ. თბილისის აღების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში 627 წელია მიჩნეული. იხ. ნ. ლომოურის რეცენზია კ. ტრევერის წიგნზე Н. Ломоури. К. В., Тревер. Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э.—VII в. н. э., М.-Л., 1959, ВДИ, 1960, № 3.

8 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 279.

9 გეორგიკა, IV, ნაკ. I, გვ. 95, უნდა იყოს გვ. 100—101.

10 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 279.

11 გეორგიკა, IV, ნაკ., I. გვ. 100—101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იბერიელთა მთავარი ვარსამუსე“ პირდაპირ მოსდევს ზემომოყვანილი ტექსტი ჰერაკლეს მიერ ვარსამუსეს დატყვევების შესახებ, ამასთანავე. ს. ყაუხჩიშვილი ტექსტს არ უკეთებს კომენტარს, რომ ვარსამუსე ბიზანტიელებმა ტყვედ ჩაიგდეს ბრძოლაში ნინვიის ნანგრევების ახლოს, სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ, ამის მიუხედავად „გეორგიის“ ტექსტიდან მაინც არ შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ბიზანტიელებმა ვარსამუსე თბილისის აღების შემდეგ ჩაიგდეს ხელთ. ზემომოყვანილი ტექსტი „გეორგიიდან“ არ უნდა გამხდარიყო იმის საფუძველი, რომ ვარსამუსე ქართლის ერისმთავრად მიგვეჩნია.

ვარსამუსეს „ქართლის ერისმთავრად“ მიჩნევაში „ნარკვევების“ ამ თავის ავტორს, ალბათ, ბიძგი მისცა მოსე კალანკატვაციმაც, რომელიც თბილისის აღებისას დატყვევებული იბერი დიდებულის სახელს არ ასახელებს. მოსე წერს: ქალაქის აღების შემდეგ „მოიყვანეს ორი მმართველი, რომელთაგან ერთი იყო სპარსეთის მიერ დაყენებული ნაცვალი, მეორე — ქალაქის მკვიდრთაგანი, იბერიის მთავართა სახლიდან (ტომიდან)“[12].

როგორც ვხედავთ, ამ ცნობიდანაც შეუძლებელია იმის დასკვნა, რომ ეს იბერიელი დიდებული ვარსამუსეა. „ნარკვევებში“ მოკავშირეთა მიერ თბილისის აღების შემდეგ მოსე კალანკატვაცის ზემომოყვანილ ციტატაზე დაყრდნობით კვლავ წერენ „ადგილობრივ მმართველ ვარსამუსეზე“.

„ნარკვევებში“ კვითხულობთ: „628 წელს, ორი თვის მედგარი ბრძოლის შემდეგ... როგორც იქნა, თბილისი აიღეს“[13]. „ნარკვევების“ თანახმად მომხდურებს „...ხელში ჩავარდნიათ ორივე მთავარი: ერთი **შაპის ნაცვალი,** ხოლო მეორე, **ადგილობრივი მმართველი (ვარსამუსე), ქართლის მთავართა სახლიდან.** დატყვევებული მთავრები ჰერაკლე კეისრისათვის მიუგზავნიათ, რომელმაც მათ ჯოჯოხეთური სატანჯველი გადაუწყვიტა. უბედურ ტყვეებს ჯერ თვალები დათხარეს, შემდეგ ჩამოახრჩვეს, ამის შემდეგ ტყავი გააძვრეს, თითით გატენეს და ქალაქის კედელზე გადმოკიდეს“[14].

აკად. ივ. ჯავახიშვილი, თბილისის აღებისას დატყვევებულ იბერ დიდებულის სახელს არ ასახელებს. იგი მხოლოდ წერს, რომ „...შეიპყრეს ორი მთავარი, ერთი იყო სპარსთა მთავრობის წარმომადგენელი, ხოლო მეორე ადგილობრივი მკვიდრი ქართველი, ალბათ, დიდებულ აზნაურთა მმართველი წრის წევრთაგანი. ორივე ტყვეს კეისარმა თვალები დაათხრევინა, ბალახით გაატენინა და ზღურბლზე ჩამოაკიდებინა“[15]. შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ეხება თეოფანე ქამთაველმწერლის ზემომოყვანილ ცნობას და წერს: „...ერთადერთი ცნობა, რომელიც მოგვითხრობს ქართველი დიდებულის დატყვევებას, შეეხება ვარსამუსეს, სპარსთა მიერ დაყენებულს იბერთა მთავარს, რომელიც ცოცხლივ ტყვედ იყო წაყვანილი ბიზანტიელთა მიერ. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს მთავარი სწორედ ის ქართველი მკვიდრი მთავარი ყოფილიყოს, რომელიც სომეხი ისტორიკოსის სიტყვით დატყ-

---

[12] История Агван Мойсея Каганкатваци, писателя X века. СПб., 1861, გვ. 120.

[13] სპარსელოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 282.

[14] იქვე.

[15] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 264 (ეყრდნობა მოსე კალანკატვაცის ტექსტის სომხურ გამოცემას, გვ. 174).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეებულ იქნა ქ. თბილისის აღების დროს"[16]. როგორც ვხედავთ ივ. ჯავახიშვილიც შესაძლებლად მიიჩნევდა ვარსამფუსეს ქართლის ერისმთავრობას.

არავითარი საფუძველი არ გვაქვს გავიგიგოთ თეიფფანე ყამთაალმწერელთან მოხსენიებული ვარსამფუსე მოსე კალანკატვაცისთან უსახელოდ მოხსენიებულ იბერ დიდებულთან, რომელიც სპარს მოხელესთან ერთად დაატყვევეს თბილისის აღების შემდეგ და საშინელი წამებით მოკლეს. ერთი რამ ნათელია: 627 წლის 12 დეკემბერს ნინეველთან დატყვევებული ვარსამფუსე 627[17] წლის შემოდგომაზე თბილისის დაცვაში ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას; თბილისის აღებისას დატყვევებული მოსე კალანკატვაცის „...ქალაქის მკვიდრთაგანი, იბერიის მთავართა სახლიდან", რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ I, რომელმაც ზ. ალექსიძის თანახმად „614 თუ 616 წლიდან, ე. წ. „სპარსული კრების" შემდეგ, როცა ხოსრო II-ემ კვლავ აღადგინა მისი გაგლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში მონოფიზიტობა „...კვლავ ქართლის ერისმთავრის ტახტი დაიკავა. შემდეგში, — წერს ზ. ალექსიძე, — ჰერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობის დროს სტეფანოზი ბრძოლაში დაიღუპა და ქართლის ერისმთავარი კვლავ ადარნასე გახდა"[18]. თბილისის აღების დროს სტეფანოზ I-ის დატყვევებაზე და დასჯაზე წერენ ქართული წყაროები[19]. ამ ფაქტს იზიარებენ როგორც რუსი საბჭოთა ისტორიკოსები მ. არტამონოვი[20], ლ. გუმილიოვი[21], ასევე უცხოელი მკვლევარი ი. მარკვარტი[22].

სტეფანოზ I-ის ერისმთავრობის დასრულების თარიღი არ დგინდება ნუმიზმატიკური მასალითაც (ამ შემთხვევაში ჩვენ სწორედ მისი ერისმთავრობის ბოლო პერიოდი გვაინტერესებს, კერძოდ, თბილისის აღების დროს იყო თუ არა იგი ქართლის ერისმთავარი). მის მიერ მოჭრილი მონეტებიდან აღმოჩენილი ერთადერთი ეგზემპლარის (მ. ბარათაშვილის კოლექციიდან, დაცულია ბერლინის მუზეუმში) მოჭრის თარიღზე სხვადასხვა მოსაზრებაა. მაგ., როცა ე. პახომოვმა სტეფანოზ I-ის მიკუთვნებული მონეტა აღწერა, მისი მოჭრის თარიღი არ მიუთითა (იგი თვლის, რომ სტეფანოზი იმპერატორ ჰერაკლესთან ბრძოლაში, თბილისის დაცვისას დაიღუპა)[23].

დ. კაპანაძემ სტეფანოზ I-ის სახელზე მოჭრილი დრაქმა VII ს-ის პირველ მეოთხედს მიეკუთვნა[24]. ხოლო „ნარკვევების" თანახმად, სტეფანოზ I-ის

---

16 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. I, გვ. 266 (ეყრდნობა Theophanis chronographia, I, 319).

17 თბილისი ფაქტიურად 628 წელს იქნა აღებული, იხ. ზემოთ შენიშვნა № 7.

18 ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოაცქვეთა და კომენტარებით გამოსცა ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე მ, თბ., 1968, გვ. 251, შენიშვნა № 188.

19 „. . . მოვიდა ერაკლე და მოადგა ტფილისსა... მაშინ... ჩამოადგეს სტეფანოზ და მოკლეს..." (ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 224); „შემდგომად ბრძოლისა შინა ჩამოადგეს მოკლეს სტეფანოზ" (ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 122).

20 М. И. А р т а м о н о в. История Хазар, Л., 1962, გვ. 148—150.

21 Л. Н. Г у м и л е в. დასახ. ნაშრომი, გვ. 183, 195, 196.

22 J. M a r q u a r t, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge. 2. unveranderte Auflage, Darmstadt, 1961, გვ. 394.

23 Е. А. П а х о м о в, Монеты Грузии, ч. I, СПб., 1910, გვ. 28—29.

24 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, იხ. წიგნის ბოლოს დართული ტაბულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ჩვენამდე მოღწეული ეს ერთადერთი ეგზემპლარი მოჭრილი უნდა იყოს არა უგვიანეს 589 წლისა (ამ წელს ჰორმიზდ IV ტახტიდან ჩამოაგდეს“)[25]. ე. ი. სტეფანოზ I-ის მიერ მოჭრილი და ჩვენამდე მოღწეული ეს ერთადერთი მონეტა მისი ერისმთავრობის საბოლოო თარიღზე არაფერს გვეუბნება.

თეოფანე ქამთაალმწერლის ცნობას შეეხო ი. მარკვარტი და აღნიშნა, რომ სპარსელებს მომხრე იბერიაში მთავარი ვარსამუსე ჰერაკლემ დაატყვევა 627 წელს რაჰზადის წინააღმდეგ ბრძოლის დროს[26].

ე. ი. როგორც წყარო (თეოფანე ქამთაალმწერელი), ისე ამ წყაროს ტექსტზე დაყრდნობილი სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში (ი. მარკვარტი) მითითებულია, რომ ვარსამუსე ტყვედ ჩაუვარდა ჰერაკლეს 627 წელს რაჰზადზე გამარჯვების შემდეგ, სპარსეთში ნინევიის ნანგრევების ახლოს. რაკი ნათელია, რომ ვარსამუსე დატყვევებულ იქნა სპარსეთში და არა თბილისის აღებისას თავისთავად იხსნება ვარაუდიც ვარსამუსეს ქართლის ერისმთავრობის შესახებ, რადგან ეს ვარაუდი თბილისის აღებისას მის დატყვევებას ეყრდნობოდა (იხ. ზემოთ).

მართალია, ისტორიული წყაროს მიხედვით არ ჩანს, რომ ვარსამუსე თბილისის აღების დროს ჩავარდა ტყვედ, და მაშასადამე, ქართლის ერისმთავრად მისაჩნევად მისი თბილისში დატყვევება არგუმენტად აღარ გამოდგება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ვარსამუსე ყოფილიყო ქართლის ერისმთავარი და, როგორც სპარსეთის ქვეშევრდომი და თავისი ლაშქრით სპარსეთის მხარეზე მებრძოლი, მართლაც ჩავარდნილიყო სპარსეთში ბიზანტიელთა ტყვეობაში. ამიტომ საჭიროა შევეხოთ საკითხის მეორე მხარეს: ვინ შეიძლება იყოს ვარსამუსე? არის თუ არა იგი ქართლის ერისმთავარი?

ვარსამუსე არ უნდა იყოს ქართლის ერისმთავარი. მართალია, თეოფანე ქამთაალმწერელი წერს, რომ ნინევიის ნანგრევებთან ბრძოლაში დატყვევებული ვარსამუსე იყო „ὁ ἄρχων τῶν Ἰβήρων“, მაგრამ ὁ ἄρχων-ს გარდა მთავრისა სხვა მნიშვნელობებიც აქვს[27], ხოლო თეოფანეს ტექსტის რუსულ ენაზე გამომცემლებმა ვ. ობოლენსკიმ და თ. ტერნოვსკიმ ὁ ἄρχων თარგმნეს, როგორც „Начальник“[28].

ი. მარკვარტმა სცადა თეოფანე ქამთაალმწერელთან მოხსენიებული სახელი ვარსამუსე გაეშიფრა, როგორც „ვარპამ — აშუშაᲥ“ და მიუთითა, რომ ამ სახელის ქვეშ გუგარქის (ქვემო ქართლის) პიტიახში უნდა იგულისხმებოდესო[29]. ივ. ჯავახიშვილი მარკვარტის ამ მოსაზრებაზე შენიშნავს „ი. მ ა რ კ-

---

25 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 273.

26 In der schlacht gegen Rąhzad (627) nahm Herakleios den Fursten des persischen Iberien βαρσαμούσης gefangen (Theoph., გვ. 319, 19). იხ. J. Marquart, დასახ. ნაშრომი, გვ. 401. ი. მარკვარტმა მიაქცია პირველად ყურადღება ვარსამუსეს სახელს და აღნიშნა, რომ იგი ქართლის პიტიახში უნდა იყოსო, იხ. ქვემოთ.

27 ძველბერძნულ-რუსულ ლექსიკონში სიტყვა „არხონი“ — ასეა განმარტებული — „ἄρχων, ὀος ὁ—1. предводитель, начальник, вождь; 2. правитель, владыка, царь...,- იხ. Древнегреческо-русский словарь, т, I, М., 1958, გვ. 244.

28 „...Взят был живой Варсамизис, н а ч а л ь н и к Иверов, которые находятся и под властию Римлян и под властию Персов“. იხ. Летопись Византийца Феофана..., გვ. 237.

29 „Ich glaube keinem Widerspruch zu begegnen, wenn ich die Vermutung aufstelle, dass βαρσαμούσης aus Βαραμ<α> ούσης-Warham-Aśušaj verschrieben sei und wir hier einen bdeašach von Gugark' vor uns haben. Die Versuchung liegt dann nahe genug,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარტსა ჰგონია, რომ ბიზანტიელი მემატიანის ტექსტში შეცდომა უნდა იყოს და მთავრის ნამდვილი სახელი უნდა „ვარსამუსესი“ კი არა ყოფილიყო, არამედ „ვაპრამაშუშაჲ“. შესაძლებელია, მაგრამ ასეთი შესწორება რა საჭიროა, როდესაც შესაძლებელია სახელად ვარსამიც რქმეოდა“[30].

ივ. ჯავახიშვილი სავსებით მართალია, როცა აღნიშნავს, რომ არა აქვს დიდი მნიშვნელობა რა ერქმეოდა ამ ქართველს. მაგრამ ამ საკითხს, შეიძლება სხვა კუთხითაც მივუდგეთ: ჯერ ერთი, აქ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ იბერები (თეოფანე ქამთააღმწერლის ცნობით) 626—628 წლების ბრძოლებში სწორედ სპარსელთა მხარეზე მონაწილეობდნენ და არა ბიზანტიელთა მხარეზე[31].

მეორეც, თეოფანესთან მოხსენიებული იბერი დიდებულის ვარსამუსეს სახელის ქვეშ, როგორც ი. მარკვარტი ვარაუდობს: ხომ არ იმალება ქვემო ქართლის (სომხ. ვუგარქის) პიტიახში, რომლის სახელია არშუშა. ასეთი სახელის მატარებელი პიროვნება VII ს-ის დამდეგის ისტორიულ წყაროებში ნამდვილად ჩანს.

„...VII საუკუნის დამდეგს, — როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, — აღმოსავლეთი საქართველო ისევ შეერთებულა და კვლავ სპარსთა ბატონობის ქვეშ ყოფილა. თბილისში სპარსეთის მეფის მარზპანი[32] იჯდა, რომელსაც, ვითარცა შაჰის წარმომადგენელს, აღმოსავლეთ საქართველო ემორჩილებოდა. ხოლო შინაური საქმეების მართვა-გამგეობა დიდებულ აზნაურთა ხელი იყო. მეშვიდე საუკუნის დამდეგს, — აგრძელებს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — იბერიის შინაურ საქმეებს განაგებდნენ და მართავდნენ, როგორც კირიონ და აბრამ კათალიკოსთა მიწერმოწერიდან ჩანს, მთავარნი ადარნერსე, არშუშა, ვაჰანი, ბეზმიჰრი და სხვანი წარჩინებულნი“[33].

ივ. ჯავახიშვილის თხზულებიდან ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ, თეოფანე ქამთააღმწერელთან მოხსენიებული „ὁ ἄρχων τῶν Ἰβήρων“-ი ვარსამუსე თუ მართლა იბერიის მთავარია, მაშინ როგორც ი. მარკვარტი ფიქრობს, ხომ არ არის იგი ქვემო ქართლის პიტიახში არშუშა, რომელიც ქართლის მხედრობის გარკვეული ნაწილით (ალბათ, ქვემო ქართლის მხედრობით) მონაწილეობდა სპარსეთის მხარეზე ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ნინევიის ნანგრევებთან. იმის მიუხედავად, რომ ქართლი თვით იყო გაპირვებულ მდგომარეობაში (ქართლში, ალბათ, თურქებისა და ხაზართა მარ-

---

ihn mit dem oben-genannten Wahram Gleichzusetzen“. იხ. J. Marquart, დასახ. თხზულება, გვ. 401. სახელ „ვარსამუსესს“ ი. მარკვარტისეულ გაშიფრას შეეხო ი. კულაკოვსკი. მისი აზრით, ნინევიასთან ტყვედ ჩავარდნილი იბერი დიდებული ბარსამესია. იხ. Ю. Кулаковский, დასახ. თხზულება, გვ. 97; ნ. აკინიანი ვარაუდობდა, რომ სპარსეთის მიერ ქართლში მთავრად დაყენებული (?) Barsamoases (Theophanis chronographia. I, 319), შესაძლოა ბ [უ]რზმიჰრი იყოს. იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 144, შენიშვნა 3.

30 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 266, შენიშვნა № 1.

31 მაგ., ს. ყაუხჩიშვილი, წერს „...627 წელს ირაკლიმ დაამარცხა სპარსელები ნინევიასთან... ირაკლის ამ ლაშქრობაში სპარსეთის წინააღმდეგ მონაწილეობდნენ იბერიელებიც (ალბათ, ის ნაწილი, რომელიც თეოფანეს თქმისებრ ირაკლის მხარეზე დარჩენ“. იხ. მისი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I. გვ., 153).

32 ცოტა უფრო გვიანი (629 წ.) პერიოდისათვის ცნობილია ალბანეთის მარზპანი — სემაგშუნანი — იხ. История Агван... გვ. 121. ამ ცნობას იზიარებს კ. ტრევერი. იხ. К. В. Тревер, დასახ. თხზულება, გვ. 241.

33 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 261.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიელი ჯარი დათარეშობდა. იმ 40 ათასი მოლაშქრედან, რომელიც იმპერატორ ჰერაკლეს ჩამოშორდა გზიდან, უნდა ვივარაუდოთ, ნაწილი ქართლში დარჩებოდა).

საფიქრებელია, **პიტიახში ვარსამფესე** ქართლის მხედრობით, კერძოდ, სპიტიახშოს მხედრობით, ომის დასაწყისშივე ხოსრო II ფარვიზის ლაშქარში, სარდალ რაჰზადის დროშის ქვეშ უნდა ყოფილიყო. სახელ „ვარსამფესე"-ს ი. მარკვარტისეული გაშიფვრა გვაფიქრებინებს, ხომ არ არის ვარსამფესე ის პიროვნება, რომელიც „ეპისტოლეთა წიგნში" ცოტა უფრო ადრე, VII ს-ის პირველ ათწლეულში ქართლის ერისმთავარ ადარნასეს შემდეგ იხსენიება. რადგანაც ვიცით, რომ ადარნასე დაახლოებით 604 წლიდან ქართლის ერისმთავარი იყო[34]. ხოლო მისი სახელის შემდეგ მოხსენიებული არშუშა, თუ ქვემო ქართლის პიტიახშია, იგი მართლაც ქართლის საერო მმართველებს შორის მეორედ უნდა ყოფილიყო მოხსენიებული. გადავხედოთ ისევ „ეპისტოლეთა წიგნს".

„ეპისტოლეთა წიგნში", სპარსეთის სამსახურში მყოფი ხომეხი დიდებულის, ვურგანის მარზპანის სმბატ ბაგრატუნისადმი მიწერილ წერილში კირონ ქართლის კათალიკოსი ასახელებს მთავრებს „ატრნერსეს" და „აშუშანს"[35]. ვარსამფესე-აშუშანის იგივეობას თუ დავუშვებთ და ვივარაუდებთ, რომ აშუშა (არშუშა) ქვემო ქართლის პიტიახშია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ პიტიახში ვარსამფესე — არშუშა რიგით მეორე პიროვნება უნდა ყოფილიყო ქართლის საერო მმართველებს შორის, კერძოდ, ქართლის ერისმთავრის ადარნასეს შემდეგ (მხედველობაში თუ არ მივიღებთ შაჰის მოხელეს — მარზპანს, უკეთუ იგი იყო ქართლში ამ დროისათვის)[36]. ამის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს „ეპისტოლეთა წიგნი", სადაც სმბატ ბაგრატუნის ეპისტოლის სანასუხო წერილში ქართლის კათალიკოსი კირონი არშუშას ადარნასეს შემდეგ ასახელებს. „...კირონ ქართლის კათალიკოსის, ყველა თანამოსაყდრე ეპისკოპოსის და მთავრების — ატრნერსეს, აშუშანისა და ქართველთა ქვეყნის ყველა წარჩინებულისაგან....."[37].

ზ. ალექსიძის თანახმად, „არშუშა (აშუშან) ქვემო ქართლის პიტიახშების საგვარეულო სახელი ჩანს. ვფიქრობთ, — წერს იგი, — ეს აშუშან-არშუშა სწორედ ის პიტიახში უნდა იყოს, რომლის კარზედაც მოუხდა სიყრმის წლების გატარება მოსე ეპისკოპოსს"[38].

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ თეოფანე ქამთაალმწერელთან მოხსენიებული ვარსამფესე-არშუშა, მისთვის პირველ რიგში არის ὁ ἄρχων-

---

34 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 251, შენიშვნა 188.

35 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 76. ეს მოხსენიება 608 წლის ზაფხულამდე უნდა იყოს, — წერს ზ. ალექსიძე, — რადგან სებეოსის ცნობით „როდესაც დასრულდა ზამთარი და დადგა გაზაფხულის დრო, მოვიდნენ მაცნენი ბრძანებით და დიდი პატივით მოუწოდეს სმბატს სამეფო კარზე", იქვე, თავი XXII, გვ. 154. შენიშვნა № 1.

36 ივ. ჯავახიშვილის თანახმად VII ს-ის დამდეგს თბილისში სპარსეთის მარზპანი იჯდა (იხ. ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 261), ხოლო ი. მარკვარტი 628 წლისთვის ქართლის ერისმთავრებად ასახელებს სტეფანოზ I ქართლის პატრიკეოსს 628 წლამდე. ადარნასე ეიპატოსს და დემეტრეს. ამავე პერიოდის ქვემო ქართლის პიტიახშად ვარსამფესეს 627 წლამდე. ხოლო ქართლის მარზპანის ქვეშ გრაფა ცარიელია. იხ. J. Marquart, დასახ. თხზულება, გვ. 433.

37 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 76.

38 იქვე, გვ. 155.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდალი, ე. ი. ქართლის მხედრობის სარდალი, რომელიც იბრძვის სპარსეთის მხარეზე ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს წინააღმდეგ. თუ მის სახელში არშუშას (ი. მარკვარტის თანახმად) ამოვიკითხავთ და მას ეპისტოლეთა წიგნში, ადარნასესთან ერთად მოხსენიებულ არშუშასთან გავაიგივებთ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ: სწორია ი. მარკვარტი და **ვარსამუსე** ქვემო ქართლის პატიახში არშუშაა, რომელიც, როგორც სპარსელი სახელოს მქონე იბერი დიდებული, თავისი ლაშქრითურთ იბრძოდა სპარსეთის შაჰის ხოსრო II ფარვაზის დროშის ქვეშ.

წარმოადგინა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საქართველოს ისტორიის რედაქციამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯონდო გვასალია

შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის

ისტორიული ქართლი გეოგრაფიული მდებარეობისა და უმთავრესი მდინარის — მტკვრის მიხედვით ზემო, შუა და ქვემო ქართლად იყო დანაწილებული[1].

ლეონტი მროველის მიხედვით, შიდა ქართლი მოიცავდა ტერიტორიას „ტფილისიდგან და არაგუთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე"[2].

ლეონტი მროველისეული ეს განსაზღვრა დაედო შიდა ქართლის შესახებ წარმოდგენას გვიანდელ წყაროებში.

ლეონტისავე განსაზღვრით, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება ყოფილა ზენა-სოფელი: „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მცხეთოსისსა მცხეთას და ეპყრა ქვეყანა არაგუთგან და ტფილისიდგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე. და ამან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, და კასპი, არაგუთგან და არმაზოთგან ვიდრე ტასისკარათამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენა-სოფლისა, რომელსა აწ ჰქჳან შიდა-ქართლი"[3].

ამ ადგილის მიხედვით შიდა ქართლის მნიშვნელობა უფრო დავიწროებულია, აღმოსავლეთ საზღვრად არაგვი-არმაზია, არაგვი-ტფილისის ნაცვლად. აქ ტფილისი-არაგვი უფლოსის მთელი სამფლობელოს საზღვრად ჩანს. გამოდის, რომ შიდა ქართლი უფლოსის სამფლობელოს მხოლოდ ნაწილს შეადგენს, მით უმეტეს, რომ უფლოსის მამულის სამხრეთი საზღვარი — ფარავანი ზენა სოფლისათვის (ანუ შიდა ქართლისათვის) აღარაა აღნიშნული. უფლისციხის, ურბნისისა და კასპის ამ ადგილას მოხსენიება ეჭვს არ ტოვებს, რომ ზენა სოფელი (შიდა ქართლი) უსათუოდ გულისხმობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ანუ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას. ამ აზრის სასარგებლოდ მიუთითებს „მეფეთა ცხოვრების" ის ადგილი, სადაც ლაპარაკია მეფე ადერკის მიერ შვილებისათვის ქვეყნის გაყოფაზე: „(ადერკმა) მისცა ქალაქი მცხეთა და ქვეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხრანით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა — ესე ყოველი მისცა ქართამს ძესა თჳსსა"[4].

აქ „შიდა ქართლი" „მტკუარსა ჩრდილოეთით ყოველი ქართლია" და დაპირისპირებულია „მტკუარსა სამხრით ქართლისადმი".

განიხილავდა რა აღმ. საქართველოს უძველეს დანაწილებას აკად. ს. ჯანაშია დაასკვნიდა, რომ ქართული და სომხური წყაროების „ზენა სოფელი" (შემდეგდროინდელი „შიდა ქართლი") ელინისტურ ხანაზე ადრეა წარმოშობილი[5].

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 300—301.
[2] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 24.
[3] იქვე, გვ. 10.
[4] იქვე, გვ. 43.
[5] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 304.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1923 წელს აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ რუკაზე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს აწერია „ქვენა სოფელი“. აკად. ნ. ბერძენიშვილიც აღნიშნავდა, რომ საფუძვლიანია ვარაუდი, რომ ქვემო ქართლს ძველ დროს „ქვენა სოფელი რქმეოდა“[6].

ამრიგად, ამ მოსაზრებათა მიხედვით გამოდის, რომ აღმ. საქართველოს დაყოფა „ზენა სოფლად“ და სავარაუდო „ქვენა სოფლად“ ელინისტურ ხანაშივე მაინც უკვე მომხდარია[7].

ასეთი დაყოფა ისევ მთავარი მდინარის — მტკვრის მიხედვით უნდა მომხდარიყო. მტკვარი უნდა ყოფილიყო ამ ერთეულთა მიჯნა.

ეს დაპირისპირება უფრო მკვეთრად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ შემდგომ ხარობიდან მეფეთა წყვილების შესახებ:

მეფეებად ისხდნენ: „არმაზს — ფარსმან და შიდა ქართლსა — კაოს“; „არმაზს — აზორკ და შიდა ქართლსა — არმაზელ“; „არმაზს — ამაზასპ და შინა ქართლსა — დეროკ“; „არმაზს ფარსმან ქუელი და შინა ქართლსა — მირდატ“[8].

ახ. წ. II ს-ის 30—50-იან წლებში „არმაზელ მეფე“ ფარსმან ქველმა „მცხეთელი მეფე“ მითრიდატე დათრგუნა და თავისი ძუძუმტე სპასპეტი ფარსმანი „დაადგინა შიგა ქართლსა, ადგილსა მირდატისსა“[9].

აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, „არმაზისა“ და „შიდა ქართლის“ დაპირისპირება უნდა გაგიგოთ „მეფისა“ და „შიდა ქართლის მმართველ — სპასპეტის“ დაპირისპირების სახით. მტკვრის სამხრეთით (მდინარის მარჯვენა ნაპირზე) მდებარე მიწა-წყალი რჩებოდათ სპასპეტებს, ხოლო მეფეებს — მტკვარს ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე[10].

თუ გავიზიარებთ გ. მელიქიშვილის მოსაზრებას, მაშინ გამოდის, რომ არმაზის უფალს ფარსმან ქველს, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ ქართლის სპასპეტია, ჰყავს საკუთარი სპასპეტი ფარსმანი. იმისათვის, რომ ფარსმანი გამხდარიყო მთელი ქართლის სპასპეტი („ყოვლადვე იყვის სპასპეტი ქართლსა შინა“) საჭირო იყო მისთვის საგამგეოდ „შიგა ქართლის“ (მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის) მიცემა. მაშასადამე, ქართლის სპასპეტობა და შიდა ქართლის ფლობა ურთიერთთან მჭიდრო კავშირშია.

„შიდა ქართლის“ უფრო ვრცელ მნიშვნელობას (სამხრეთის საზღვარი ფარავნამდე) ადრე შევეხეთ და, რა თქმა უნდა, მას ჰქონდა რეალური შინაარსი. მაგრამ ეს ტერმინი უსათუოდ მოიცავდა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას, გაღმა მხარე კი (მტკვრის სამხრეთი ქვეყანა) ზოგჯერ მისგან გამოირიცხებოდა.

„ზენა სოფლის“ (შიდა ქართლის) ვიწრად გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ჯუანშერთან დაცული ცნობა არჩილის მიერ სიძეებისათვის

---

6 ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, გვ. 12.

7 დ. ბერძენიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1965, საკანდ. დის., გვ. 11.

8 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 44, 45, 50.

9 იქვე, გვ. 51.

10 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ქრონოლოგიის საკითხისათვის, ისტორიის ინსტ. შრომები, IV, ნაკ. 1, თბ., 1958, გვ. 159—160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის გაყოფის შესახებ. არჩილმაო „ორთავ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი“[11].

ამ ადგილის ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშია ასკვნის, რომ ეს მროველის „შინა ქართლია“, მაგრამ ცოტაოდენ შემცირებული სახით: მასში არ შედის თრიალეთი, მანგლისისხევი და თბილისი თავისი რაიონით, კლარჯეთი, ჯავახეთი, ტაშირი და ადოცი, ხერკი[12]. ჩვენი აზრით, ჯუაწშერის ამ ადგილზე დაყრდნობით მცხეთა და მისი მიდამოები არ უნდა იქნეს შიდა ქართლიდან გამორიცხული. ასევე გვგონია, რომ VII ს-ის სომხური გეოგრაფიის ზემო **ქვეყნის (Վերին աշխարհ)** ანუ ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარი არაგვის აღმოსავლეთით არ ვრცელდებოდა. აქ აშკარადაა თქმული, რომ „არაგვი... ერთვის მტკვარს და (ამით, ამრიგად) ამთავრებს ქართველების ზემო ქვეყანას“ (**„Արագած... իջանն ի կամ և բռնանգաքի ի Վերին աշխարհ վրաց“**)[13].

„ზენა სოფელი“ ვიწროდაა გაგებული, აგრეთვე, ასურელ მამათა ცხოვრებებში, რომელთა მონაცემები ფაროოდაა გაანალიზებული ს. ჯანაშიას მიერ[14]. „ზენა სოფლისა“ და „შიდა ქართლის“ მონაცვლეობა მკვლევარმა ქართველების პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების გადმონაცვლების საკითხს დაუკავშირა და მივიდა დასკვნამდე, რომ ქვეყნის აღრინდელი უკიდურესი ნაწილი ზენა სოფელი შემდეგში ქვეყნის ცენტრში მოექცა[15]. ის გარემოება რომ კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთში, მცხეთაში გადანაცვლების შემდეგ, ამ მხარეს კვლავ ეწოდება „ზენა სოფელი“, ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ამ ცენტრის გადანაცვლებასთან სამხრეთ-ქართულ მხარეთა კულტურულ-პოლიტიკური ტრადიციების მატარებელთა მიერ[16].

ძვ. წ. IV—III სს. მიჯნაზე, როდესაც ფარნავაზმა ქვეყანა დაჰყო საერისთაოებად, მთელი შიდა ქართლი სპასპეტს დაუმორჩილდა, შეიქმნა შიდა ქართლის საერისთავო ან სასპასპეტო.

ადრეფეოდალურ ხანაში შიდა ქართლის მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი ქართლის საერისთავოში შედის, რომელიც თავის მხრივ დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად — ხევებად.

მდ. თერგის სათავეები ეჭირა წანარეთის ხევს. არაგვის სათავეებში ცხოვრობდა წილკანის თემი. მის სამხრეთით მთიულთკარამდე მდებარეობდა ცხავატი, უფრო სამხრეთით ანანურამდე — ჭარბალის თემი, ხოლო მდ. ნარეკვავისპირა მიწები და დუშეთ-ბაზალეთის პლატო შედიოდა ბაზალეთში. ცხრაძმისხევში ქსნის ხეობის ზედა წელის (ცხრაძმა, ქარჩოხი, ჟამური, ჭურთა) გარდა შედიოდა მდინარეების — ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის სათავეები. ქსნისხევი ქსნის ხეობის შუა წელს გარდა მოიცავდა ლეხურისა და მეჯუდის შუა ნაწილებს. მეჯუდასა და ლეხურას ქვემო დინებებს შორის მოქცეულ ტერიტორიას ეწოდებოდა რეხა; პატარა ლიახვსა და მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორია ქმნიდა გვერდისძირს, ხოლო პატარა

---

11 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 242.

12 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 288.

13 **Աշխարհաց Մովսեսի Խորենացւոյ. Վեն.**, 1881, გვ. 138—139.

14 ს. ჯანაშია, შრომები, II, 288 და შემდეგ.

15 გ. ჩიტაია, იგივე. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 7.

16 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 272.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიახვის მარჯვენა ნაპირს ეწოდებოდა საცხუმეთი. დვანის წყლისა და ფრონეს მიდამოებს ეწოდებოდა დვანის ველი; ხოლო დიდ ლიახვზე მდებარეობდა აჩაბეთის ხევი[17].

IX საუკუნისათვის ქართლის აზნაურებს შორის აღზევდებიან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მეჯუდის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლობა და საამშენებლო წარწერა[18]. აქ იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. იგი უნდა იყოს ქსნის ერისთავი. ამ დროს ცხრაძმისევი ქსნის ხევისადმი ადმინისტრაციულად დამორჩილებული. არაა გამორიცხული, რომ ერისთავთ ერისთავი იოანე იყოს მთელი ქართლის ერისთავი.

X საუკუნისათვის ყანჩაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა ქრება და ისინი ქართლის ჩვეულებრივი აზნაურები არიან. წინაურდება ტბელთა სახლი.

შუაფეოდალურ ხანაში შიდა ქართლის ჩრდილო რაიონები კვლავ ქართლის საერისთავოში შედის. ქსნისა და მის მომიჯნავე ხეობათა მიწები საფექრებელია, რომ მეფის დომენის შემადგენლობაშია.

მონღოლთა შემოსევების შემდეგ ქართლის საერისთავოს გამოეყოფა ქსნის (უფრო ზუსტად ცხრაძმისევის) საერისთავო, რომელიც თავდაპირველად მოიცავდა ქსნის ხეობის ზედა და მდ. ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის ზედა ნაწილებს. შემდეგ (XVI ს.) იერთებს თრუსოს, მთიულეთის არაგვის მარჯვენა სანაპიროს მთიულკარამდე და ქსნის ხეობის შუა წელს (ყანჩაეთს, ლოგობანს, აბაზასძეთა მამულს). XVI საუკუნეში არაგვის ერისთავი იერთებს ქსნის საერისთავოს არაგვისპირა მიწებს. ქართლის ბარში XV საუკუნეში წარმოიშობა საამილახრო, ხოლო XVI საუკუნეში სამუხრანბატონო.

XV—XVIII სს. ქსნის ერისთავთა ექსპანსია მიმართულია შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. დიდ ლიახვზე იერთებენ მის სათავეებს — მაღრან-დვალეთს (ტერმინი გვიანფეოდალური ხანისაა); პატარა ლიახვზე სავახტანგოს ნაწილს და გვერდისძირს[19].

დიდი ლიახვის შუა წელზე მოზრდილი ფეოდალური ერთეულია სამაჩაბლო, რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს XV საუკუნეში აღრეფეოდალური ხანის აჩაბეთის ხევის საფუძველზე.

XVI—XVIII სს. შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი შედის მეორე სასპასპეტოში, რომელსაც გვიანდელ წყაროებში ზემო-ქართლიც ეწოდება. ვახუშტი ასე შემოხაზავს მის საზღვრებს: „აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდამ წარსული ჩრდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლამდე, სამჯრით მდინარე მტკვარი; ჩრდილოთ, რომელი აღვსწერეთ ქსნის მამულის საზღვარი, და მერმე კაკაესი; დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება

---

17 ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, გვ. 24—27; ს. ერემიანი, სომხური გეოგრაფია, გვ. 104.

18 Р. Меписашвили, Полупещерный памятник IX в. сел. Биэти, ქართული ხელოვნება, 6—A, თბ., 1963, გვ. 44—45.

19 ბოლო პერიოდის ქსნის საერისთავოს საზღვრების შესახებ იხ. დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 70—71; ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, 50; მისივე, საკნდ. დის., გვ. 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწოკუდარამდე და ასევე მთა კოლ-ბეურისა, ხეფინის ხევსა და ამაშუკეთს შუა, მიჰყვების სამხრით ვერტყველამდე; ვერტყველიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქვაბამდე; და მუნიდამ მახ-ვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკულიანის მთამდე"[20].

გვიანდელ წყაროებში შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი-სათვის ზემო-ქართლის წოდება უნდა იყოს კავშირში ქართველი ხალხის ის-ტორიის ტრაგიკულ მომენტთან, კერძოდ, XVII ს-ის პირველ მეოთხედში ოს-მალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობასთან. მას შემდეგ, რაც ისტორი-ული ზემო ქართლი (გვიანდელი სამცხე-საათაბაგო) დიდი ხნის მანძილზე ჩა-მოშორდა ქართლის სამეფოს, მისი სახელწოდება გადავიდა ქვეყნის ჩრდი-ლო-დასავლეთ ნაწილზე.

როგორც XVII ს-ის ერთი საბუთიდან ჩანს, ზემო ქართლის სადროშო-ში შემდეგი სათავადოები და სამფლობელოები შედიოდა: საამილახორო, სა-აბაშიძეო, საფალავანდოშვილო, საფავლენიშვილო, ხერხეულიძეების სათავა-დო, დავითაშვილების სათავადო, ამირაჯიბების სათავადო, საავალიშვილო, ხიდირბეგაშვილების სათავადო, მხეიძეების სათავადო, დიასამიძეების სათავა-დო, შალიკაშვილების სათავადო, სამჩაბლო, სიმარდიშვილების სათავადო, თაქთაქიშვილების სათავადო, ბატონიშვილის საუფლისწული, ზედგენიძეთა სახლი, თუმანიანთ სახლი, მროველის ყმა-მამული, ურბნელის ყმა-მამული, მთავარეპისკოპოსის ყმა-მამული ზემო ქართლში, სადედოფლო ყმა-მამული ზემო ქართლში, სვეტიცხოველის ყმა-მამული ზემო ქართლში, „იერუსალემის" ყმა-მამული ზემო ქართლში, თვალდამწერიანთ სამფლობელო, ქავთარაძეები, თუხარელები, ტატიანი, წერეთლის მამული, ატროს წინამძღვარი, აბაზაძეების მამული, დამღაწაშვილები და ბაღუნიშვილები[21].

შიდა ქართლის მოსახლეობა უძველესი დროიდან ქართველური იყო. ამა-ზე მიუთითებს ქართული წარმოშობის ტოპონიმები და ქართულ-ზანური-სვა-ნური ტოპონიმიკური შეხვედრები. საუკუნეთა მანძილზე მთიდან ბარში ეთ-ნიკური გადაჯგუფების პროცესმა მოსახლეობის შემადგენლობას გარკვეუ-ლი კვალი დაჩნია.

შიდა ქართლის ზოგიერთ ტოპონიმს აქვს ქართულ-ზანურ-სვანური ან ქართულ-ზანური პარალელური ფორმები.

დადიანეთში არის ტოპონიმი „ცხრამთითი" (მთა). მის მახლობლად მთიან გვერდს ეწოდება „ჩხორეთი" („ჩხორო" მეგრ. ცხრა).

ტოპონიმიკონ „კუტცხოეთი" (ეუთის ხეობა) ჭანური „კუტცხ" (ღვიძეა)[22] ჩანს, „კორაში" ჭანური „კორ" (შეკვრა)[23], ხოლო „საძეგურში" — ქართული „სა" პრეფიქსით გაფორმებული მეგრული „ძეგირი", რაც ქართული ეკალ-ღიშის შესატყვისია[24].

ქარჩოხის ციხეს ადგილობრივი მოსახლეობა ცხმორის ან ცხმურის ციხეს უწოდებს. „ცხმორი" შესაძლებელია გაჩენილიყო კავკასიური რცხილას

---

20 ვ ა ხ უ შ ტ ი, **აღწერა სამეფოსა** საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 71—72.

21 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Hd, საბ. 2124.

22 ა ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 295, გვ. 300.

23 იქვე.

24 ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული სახელიდან „ცხიმური“[25] შემდეგი გზით: ცხიმური→ცხმური→ცხმორი. საინტერესოა, რომ რაჭაშიც არის სოფელი სახელწოდებით „ცხმორი“.

ლეხურის ხეობაში არის სოფელი წიფორი, რომლის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს „წიფურ“-ს, რაც მეგრულად წიფელს ნიშნავს[26]. ასევე მდინარის სახელწოდება „მეჯუდაში“ შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ზანური სახელი „მეჯუდი“ („მაჯუდი“)[27].

საინტერესოა ჭურთისხევის სოფლის სახელწოდება „ჩხუნეთი“. მეგრულად „ჩხუ“ ნიშნავს ძროხას. სოფელ ჩხუნეთის გვერდით მინდორს ჰქვია საძროხილი.

პატარა ლიახვის ხეობის ზოგი ტოპონიმიც შეიძლება აიხსნას ზანურის ნიადაგზე. პატარა ლიახვს მარჯვნიდან გერის ხევი ერთვის, რომლის სათავეშიც არის ქართლში განთქმული გერის სალოცავი. აქ სალოცავად მოსული მოსახლეობა ხატს საქონლის მფარველობას და მგლებისაგან თავდაცვას სთხოვდა. „გერი“ მეგრულად მგელს ნიშნავს და შესანიშნავად უდგება სალოცავის შინაარსს. გერი და ლომისა შესაძლოა საერთო წარმოშობისანი გამოდგნენ, თუ ლომისაში სვანურ ლომ//ლემ-ს დავინახავთ, რომლის თაყვანისცემაც გენეტიკურად მგლის (ძაღლის) კულტამდე მიდის[28].

სვანური წარმოშობისა ჩანს სახელწოდება „ისრული“, სადაც ფუძეა „ისრ“, რაც სვანურად ისლს ნიშნავს და „ფაჩური“, რომლის ფუძე „ფაჩ“ სვანურად ცაცხვის სახელია[29].

საინტერესოა ტოპონიმი „საცხუმეთი“, რომელიც VII ს-ის სომხური გეოგრაფიის მიხედვით პატარა ლიახვის თემს მეეკუთვნებოდა. ეს სახელი ასე იშლება: სა-ცხუმ-ეთ-ი, სადაც „ცხუმ“ ფუძეა, ხოლო სა-ეთ ადგილის სახელწოდების ქართული მაწარმოებლები. „ცხუმ“ სვანურად რცხილას ნიშნავს[30]. სვანური ფუძე ქართული მაწარმოებლებით გაფორმდა. საცხუმეთის ოლქის ბოლოში გვაქვს ტოპონიმი ცხინვალი (ქრცხილოვანი). ამ სახელის ქართულ რცხილადან წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. მაშასადამე, გვაქვს ერთმანეთის გვერდით არსებული ერთი და იმავე შინაარსის ქართული და სვანური ტოპონიმები.

ქართულ-სვანურის მიხედვით ჩანს ნაწარმოები ტოპონიმი ლარგვისი. მისი ძველი ფორმაა „ლარგუ“. ლარგვისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთიან ფერდს ეწოდება „ლაგური“, რომელიც იშლება: ლა-გურ, სადაც „ლა“ სვანური პრეფიქსია, ხოლო „გურ“ სვანურად ნიშნავს შუა ადგილს. ასეთი მნიშვნელობა უდგება ლარგვისის მდებარეობას, რომელიც სამი ხეობის შესაყარშია. მაშ გვაქვს ლაგურ→ლარგუ→ლარგუისი, ე. ი. ადგილი აქვს მეტათეზისს გ—რ და ქართული „ის“ სუფიქსის დართვას.

უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა არაგვის ხეობის ტოპონიმიკა. შევჩერდებით მხოლოდ ზოგ ტოპონიმზე. მთიულეთ-გუდამაყარში საძოვრისა

---

25 ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, გვ. 161.

26 იქვე, გვ. 161; არ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

27 ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

28 В. В. Б а р д а в е л и д з е, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое исскуство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 37—53.

29 ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 166, 167.

30 იქვე, გვ. 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მთას „ოზანო“ ეწოდება. ო არის ქართული სა-პრეფიქსის ზანური შესატყვისი. მაშასადამე, „ოზანი“ ნიშნავს „საზანოს“. მთიულეთ-გუდამაყარში მთებსა და საძოვრებს ჰქვია „სონთი“ („სონთა“), „სონთიანთი“. თუ გავიხსენებთ, რომ მთიულური კილოსათვის დამახასიათებელია ვა კომპლექსის შეცვლა ო-თი, მაშინ აღნიშნულ ტოპონიმებში ადვილად შევნიშნავთ სვანთა ტოპობრივ სახელწოდებას[31].

საყურადღებოა ფშავის არაგვის სოფლის სახელი „ლახატო“[32], რადგან ლა პრეფიქსს სა-ს ფუნქცია აქვს, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო სოფლის სახელწოდება უნდა ნიშნავდეს „სახატეს“.

ზანურ-სვანური იერის მქონე ტოპონიმების რიცხვი შეიძლება შესამჩნევად გადიდდეს როგორც შიდა ქართლის, ასევე კახეთის ტერიტორიიდან. მრავალთაგან კიდევ ერთ ტოპონიმს დავასახელებთ. კახეთში მდებარეობს სოფ. ჯიმითი, რომელიც იხსენიება 1393 წლის ერთ შეწირულობის წიგნში. 1579 წელს შეწირულობის განახლების წიგნში სოფ. ჯიმითის ერთ-ერთ საზღვრად მოხსენიებულია „ძამაური“[33]. მეგრული — „ჯიმი“ ქართული „ძამა“ („ძმის“) შესატყვისია. როგორც ვხედავთ, გვაქვს ერთი და იმავე მნიშვნელობის ორი სხვადასხვა ფუძით გაფორმებული ტოპონიმები[34].

თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მაინც, დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მოსახლეობა, არქეოლოგიურ კულტურათა მიხედვით, კულტურულ-ეთნიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული[35].

მატერიალური კულტურის მსგავსებასთან ერთად, ზემოაღნიშნული ქართულ-ზანურ-სვანური ტოპონიმიკური შეხვედრები მხარს უჭერენ სიტყვათა წარმოქმნის საფუძველზე მიღებულ დასკვნას[36], უძველესი ქართველური ტომების კავკასიონზე ლოკალიზაციის შესახებ.

შესაძლებელია შიდა ქართლი წარმოადგენდეს იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად[37].

შიდა ქართლის ტოპონიმთა ნაწილს ოსური წარმოშობის სახელები შეადგენს. ისინი ძირითადად სამეურნეო ხასიათისაა. ტოპონიმთა დიდი ნაწილი

---

31 იხ. აგრეთვე ჯ. გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 59, № 3, 1970, გვ. 753—756.

32 ტოპონიმზე „ლახატო“ ჩვენი ყურადღება გაამახვილა ისტ. მეცნ. კან. რ. რამიშვილმა.

33 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გვ. 282.

34 არაა სავალდებულო, რომ ზანურისა და სვანურის იერის მატარებელი ყველა ტოპონიმი ზანგებისა და სვანების შემოქმედების ნაყოფი იყოს. შესაძლოა, რომ ზოგი ფუძე და პრეფიქსული წარმოება, რომელიც დღემდე დაცულია ამ ენებში, ძველად საერთო ქართველურის კუთვნილებას წარმოადგენდა.

აღმ. საქართველოს ტოპონიმიაში „ზანიზმების“ შესახებ იხ. აგრეთვე: რ. რამიშვილი, ეინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1972 წელს, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1973; გ. ხორანული, მთიულეთ-გუდამაყარის ზოგი ტოპონიმის ეტიმოლოგია, კრ. ეინვალის ექსპედიცია, თბ., 1975.

35 Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года, в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949, გვ. 46, 63, 86; ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 36.

36 Т. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. М., 1964, გვ. 37.

37 არა ვთქოთ გამორიცხულად, რომ სვანურისა და ზანურის მატარებელმა ტომებმა შორეულ წარსულში გაიარეს შიდა ქართლის ტერიტორია და კვალი დატოვეს ტოპონიმიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთფუძიანი სახელებია. გეოგრაფიულ სახელთა უმეტესობა ნაწარმოებია „თა“ სუფიქსის დართვით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოსური მოსახლეობა ადგილების ოსური სახელწოდების გვერდით ხშირად ხმარობს მათ ქართულ შესატყვისებს, რაც ამ უკანასკნელთაგან მათი თარგმნის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ქსნის ხეობაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში (ნ. ბერძენიშვილი, დ. გვრიტიშვილი, გ. თოგოშვილი...) გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ოსთა ჩამოსახლება კავკასიონის სამხრეთ კალთებზე იწყება მონღოლთა შემოსევების შემდეგ, XIII—XIV საუკუნიდან[38]. ფიქრობენ, რომ ოსთა მოსახლეობა თავდაპირველად ესახლება ლიახვის სათავეებში. შემდეგ ლეხურის, მეჯუდის და ბოლოს ქსნისა და არაგვის ხეობათა სათავეებში. საბუთთა უქონლობის გამო ძნელია კონკრეტულად თვლის მიდევნება XV—XVII სს. რომელ სოფლებშია კომპაქტური ოსური მოსახლეობა. სხვა ვითარებაა XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის, როდესაც გვაქვს დიდი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიული აღწერა“ და მის მიერვე შედგენილი უნიკალური რუკები, რომლებიც ობიექტურად ასახავენ საქართველოს და მის მომიჯნავე ტერიტორიათა ეთნიკურ შემადგენლობას.

ვახუშტი ბატონიშვილის რუკებზე ქართული სოფლები აღნიშნულია ☖ ნიშნით, ხოლო სოფლები კომპაქტური ოსური მოსახლეობით 8 ნიშნით. ვახუშტის რუკაზე ოსური სოფლების ნიშნებითაა აღნიშნული: მაღნარდავლეთი (დიდი ლიახვის სათავეები), სბა, როკა, კოშკა, ხვწე, ჯავა, ქეშელთა, მშხლები, გერი, მეფარეთი, ინაური, ბარალეთი; ხოლო სოფლები: ვუფთა, სვერი, ქემერტი, კეხვი, ძარწემი ქართულია.

პატარა ლიახვზე ოსური სოფლებია — ქნოღო, ჩაბარუხი, შანბიანი, წიფორი, შუაცხვირი, ზონკარი.

მეჯუდის ხეობაში სამი ოსური სოფელია: სათავეებში — ისროლის ხევში ორი სოფელი და მახისს ზევით ერთი სოფელი. ამ სოფლებს რუკაზე სახელები არ აწერია. მდ. ლეხურაზე ზაზორის მახლობლად ერთი ოსური სოფელია.

ქსნის ხეობაში ოსურია მოლიანად (9 სოფელი) ქსნის ხეობის სათავე — ჟამურის ხევი (მისი სიგრძე 10 კმ-ია).

თერგის ხეობაში თრუსოს ხევი ოსური სოფლების ნიშნებითაა აღნიშნული (თრუსოს ძველი მოსახლეობა დვალური ჩანს, რომელიც XVIII საუკუნისათვის უკვე გაოსებულია). ამას გარდა ხევში (ყაზბეგის რაიონი) ორი ოსური სოფლის ნიშანია სოფ. გველეთის სამხრეთით და თანამედროვე კობის ადგილას. არაგვის ხეობაში არაა არც ერთი ოსური სოფლის ნიშანი. ასევე ქართულია სამეხრანბატონო და საამილახვრო, აქაც არაა არც ერთი ოსური სოფლის ნიშანი. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე სპორადიულად მაინც არ ცხოვრობდა ოსური მოსახლეობა, არამედ იმას, რომ ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთიანეთისა და ბარში არ არსებობდა. ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა სათავეებში იყო. XVIII ს-ის 30-იან წლებში ოსური მოსახლეობა შედარებით კომპაქტურია ლიახვის ზედა წელზე, ხოლო მეჯუდის, ლეხურის და ქსნის ხეობა-

38 დღეს არის ცდები, რომ ეს ქრონოლოგიური მიჯნა გადისინჯოს როგორც მისი ქვევით ჩაწევის, ასევე ზემოთ ამოწევის თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სათავეებში სპორადულია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მნიშვნელოვანი ინფილტრაციის პროცესს ადრეულ საუკუნეებში არ უნდა ჰქონოდა ადგილი. იგი გვიანდ შუა საუკუნეების მანძილზე ხდებოდა[39].

რაც შეეხება XVIII ს-ის 70-იან წლებს, მდგომარეობა რამდენადმე შეცვლილია. ქართლში მეტი ოსი ჩანს, ვიდრე ადრე. სწორედ XVIII ს-ის შუა წლები უნდა იქნეს მიჩნეული ქართლში ოსთა მნიშვნელოვანი ჩამოსახლების ხანად.

ერეკლე II დავალებით შედგენილ 1770 წლის მოსახლეობის მიახლებითი აღწერის მიხედვით, არაგვის საერისთავოს ოსნი ზახაში, თრუსოში, ჭვრივში, ხადასა და ღუდაში შეადგენდა 1200 კომლს. ქსნის საერისთავოს ოსნი — 2000 კომლს, სამაჩაბლოს ოსნი — 860 კომლს. ამ აღწერის მიხედვით ოსები აღმოსავლეთ საქართველოში სხვაგან არ ჩანან[40].

ამავე პერიოდის ვითარების ამსახველია გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურები. გიულდენშტედტი ჩრდილო ოსეთისაგან განსხვავებით, რომელსაც ოსეთს უწოდებს, შიდა ქართლის პროვინციებზე საუბრისას მათ აღნიშნავს როგორც ოსური მოსახლეობით დასახლებულ მხარეებს.

ზოგჯერ გიულდენშტედტი არ იცავს სიზუსტეს. სათაურში ის წერს, რომ ოსებით დასახლებულია მხარე, მაგრამ როდესაც აღწერს ამ მხარეს, ოსურთან ერთად, მრავლად უთითებს ქართულ სოფლებს. ასეა მაგალითად, ვანათის და სეფერშეთის მიმართ. ზოგჯერ გიულდენშტედტი, ჩანს, არასწორი ინფორმაციის გამო, უხეშ შეცდომებსაც უშვებს. ის აღნიშნავს, რომ ხევსურეთი დასახლებულია ოსებით. ეს კი არ შეესაბამება არც ისტორიულ, არც ეთნოგრაფიულ და არც თანამედროვე ვითარებას.

ზოგჯერ გიულდენშტედტის ტექსტის არასწორ თარგმანს შევყავართ შეცდომაში ქართლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დასადგენად.

თავის მოგზაურობათა დღიურებში ი. გიულდენშტედტი წერს რა „ოსურ მხარე“ ვანათზე, ერთ წინადადებას იძლევა დაუმთავრებლად: „Von diesen Distrikten bey des Osseten“. რაც ასე ითარგმნება: „ამ მხარეებში ოსთაგან“. ამას მოსდევს ოლქის სახელწოდება, რომელიც სათაურად წერია: „Ts'chrasma oder Ts'chrasmula“ — „ცხრაძმა ანუ ცხრაძმეულა“. მთარგმნელმა წინა დაუმთავრებელი წინადადება და მხარის აღმნიშვნელი სიტყვა „ცხრაძმა“ გადაიბა ჩამატებული სიტყვით „დასახლებულია“ და ასე „გაიმართა“ ფრაზა: „ამ მხარეებიდან ოსთაგან (დასახლებულია) ცხრაზმა ანდა ცხრაზმეულა“. ასეთ გამართვას გამორიცხავს გიულდენშტედტის მომდევნო ფრაზა: „ამ სახელის (ე. ი. ცხრაზმის — ჯ. გ.) მქონე ქსნის შენაკადზე, ლომისას ქვევით, ქართველებთან დასახლებული სოფლებია: 1. დადიანეთი, 2. ზოდეხი, 3. აბუთკარი, 4. თოხთა, მახიარეთი, 6. დაბაკნეთი, 7. უკანუბანი, 8. ჩანშე (?), 9. ჩიტიანთკარი და 10. წინუბანი“[41].

აქ ჩამოთვლილია ცხრაძმის ყველა სოფელი და ისინი, ისევე როგორც გიულდენშტედტის დროს, დღესაც ყველა ქართულია.

---

39 შეადარე: Б. А. Калоев, Осетины, М., 1967, გვ. 20, 48; ი. გაგლოითი, ერთი კონცეპციის შესახებ, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1969, № 75.

40 ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 1, გვ. 153.

41 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I. თბ., 1962, გვ. 5—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, ლიახვის ხეობის ზემო წელზე XVIII ს-ის 70-იან წლებში ოსებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართველებიც. ამაზე მიუთითებს ი. გიულდენშტედტის მონაცემები. ლიახვის ხეობის აღწერისას ი. გიულდენშტედტი წერს: „ჩელიათი. დიდი ლიახვის აყოლებით ქართულია. აქ სულ რამდენიმე სოფელია და დაახლოებით 300 ოჯახს შეიცავს“[42].

შემდეგ: „დიდ ლიახვზე ზემოდან ქვემოთ არის: ქართულ-ოსური მხარე სბა, დიდი ლიახვის ზემოთ და მარცხნივ, წინას (ურსთვალთას. — ჯ. გ.) საპირისპიროდ.

ქართულ-ოსური მხარე ჯომაღი, ამავე სახელის მქონე მდინარეზე, რომელიც ზემოთ, ლიახვს მარჯვენა მხრიდან ერთვის.

ქართულ-ოსური მხარე გუდისი, ზემოთ, დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, სბის მხარის ქვემოთ.

ქართულ-ოსური მხარე ჯავთკარი, დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, გუდისის ქვემოთ.

ქართულ-ოსური მხარე ჯაუკომი, მდ. ფაწაზე, დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადზე.

ქართული მხარე მაღრან-დვალეთი და მეჯვრისხევი მთიანეთის ძირში“[43].

გიულდენშტედტის მოგზაურობის შემდგომ ხანაში ქართლში მატულობს ოსური მოსახლეობა, მათი განსახლების არე სამხრეთით მოიწევს.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი შეხედულება შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისა და მის მოსახლეობაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

---

42 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბ., 1964, გვ. 67.

43 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 277—279.

შესაძლოა, მხარეთა აღწერისას ი. გიულდენშტედტი არ იცავდეს სიზუსტეს და მისი „ქართული“ ან „ქართულ-ოსური“ მხარე ყოველთვის არ მიუთითებდეს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საისტორიო გეოგრაფიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ სარჯველაძე

დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის იდენტიფიკაციისათვის

დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ვკითხულობთ:

და ესე მან უბრძნესმან ყოველთა კაცთამან კეთილად სადმე უწყოდა. ამისთჳსცა არაოდეს მოაცალა ამისად განზრახვად, ანუ განსუენებად, ანუ შეკრებად და ქმნად რასამე ესევითარსა. არამედ საქმეთა, რომელთა იწყო ქმნად, გაასრულნაცა მაღლად და შუენიერად. ნუუკუე და ლომსაცა აბრალონ ეგევითართა, რამეთუ არა ციდამტკაცლურად იხედავს, არცა კეურნაულად კრთების[1].

ხაზგასმული ადგილი ნიშნავს: ნუთუ ლომსაც დააყვედრიან ეგევითარნი, რომ მიიმუნსავით არ იყურება. დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ეს ადგილი ძალზე ემსგავსება ნაწყვეტს გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულებიდან: Εἰς τὸν μέγαν Βασίλειον, ἐπίσκοπον Καισαρείας, ἐπιτάφιος, რომლის ორი ადრეული თარგმანია ჩვენამდე მოღწეული. პირველი ეკუთვნის ექვთიმე მთაწმიდელს: „ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, კესარია-კაპადუკიელ მთავარ-ეპისკოპოსისაჲ, რომელი აღწერა წმიდამან და ნეტარმან მამამან ჩუენმან გრიგოლი ღმრთისმეტყუელმან“. უადრესი ნუსხა, რომელსაც ეს თხზულება დაუცავს, ათონის ივერთა მონასტრის № 32 ხელნაწერია, რომელიც 981 წელსაა გადაწერილი. სხვა ნუსხებიდან აღსანიშნავია: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1 (1030 წ.), A-93 (XI ს.), A-87 (XI ს.) და სხვა.

მეორე თარგმანი ეფრემ მცირესია: „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ვრიგოოლი ღმრთისმეტყუელისაჲ — სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისთჳს“. ძეგლი მრავალი ხელნაწერითაა მოღწეული. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ხელნაწერები: № 43 (XII-XIII სს.), № 8 (XIII-XIV სს.), ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1490 (XIII ს.), A—109 (XII ს.) და მისთ.

საზოგადოდ ცნობილია სხვაობა ექვთიმესა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდს შორის. ექვთიმე თავისუფალ თარგმანს იძლევა, ეფრემი კი — თითქმის სიტყვასიტყვითს. ამ თხზულების ექვთიმესეული და ეფრემისეული თარგმანებიც მკვეთრად სხვაობენ, ოღონდ ჩვენთვის საინტერესო ადგილი ორივე მთარგმნელს თითქმის ერთნაირად აქვს გადმოცემული:

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1; 359,8-13.

[2] P. Migne, Patrologia graeca. t. 36, 1858, სვ. 493-606.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერძ.: Εἰ μὴ καὶ τὸν λέοντα αἰτιῴτό τις, ὅτι μὴ πιθήκειον βρέπει P. Mignе, დასახ. ნაშრ., სვ. 581).

ექვთიმეს თარგმანი: ანუ ლომსაცა აბრალოს ვინა, რამეთუ არა ციდამტკავლურად ხედავს.

ეფრემის თარგმანი: ნუუკუე და ლომსაცა აბრალობდეს ვინ, რამეთუ არა ციდამტკავლურად ხედავს.

თუ ექვთიმეს და ეფრემის თარგმანთა ამ ფრაზას შევადარებთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზემოთ მოტანილი ნაწყვეტის ხაზგასმულ ადგილს, ცხადი გახდება, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს გრიგოლი ღმრთისმეტყველის ნაწარმოების ქართული თარგმანი[3]. ახლა, რა თქმა უნდა, ძნელია გადაჭრით თქმა, თუ სახელდობრ რომელი თარგმანით სარგებლობდა ისტორიკოსი. სხვათა შორის, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ეფრემ მცირის მოღვაწეობის მიმდევარი ყოფილა: მასაც, როგორც ეტყობა, მოსწონდა, თუ რომ ისტორიკოსი თავის თხზულებას დასწერდა „ჴელოვნებითა რიტორობისათ“, „ჴელოვნად რიტორობისა“, მხოლოდ აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა, რომ ისტორიკოსს არ გაეზვიადებინა, მეტისმეტად არ „განეკრცელა“, და თვით ამბავი, შემთხვევა სწორედ აღეწერა“[4]. სავარაუდებელია, გავლენა სხვა შემთხვევებშიც იჩენდეს თავს. ეს შეიძლება გაირკვეს გრიგოლი ღმრთისმეტყველის ამ საინტერესო თხზულების ქართული რედაქციების დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაწარმოებთან ამ თვალსაზრისით შედარების შედეგად.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ფრიად ნიჭიერი და განათლებული პიროვნებაა. „ებრაელების ისტორია იქნება თუ ქრისტიანობის, ძველი წარმართი ბერძნებისა თუ სპარსელების ისტორია იქნებოდა, ჩვენი ავტორისათვის სულ ერთია, — მას სრულებით თავისუფლად მოჰყავს ყველა ხალხებისა და მეფეების ცხოვრების მაგალითები და საქართველოს მდგომარეობისა და საქართველოს მეფის მოღვაწეობის იმ მაგალითებს ადარებს“[5]. რასაკვირველია, ამგვარი კაცისათვის უცნობი არ იქნებოდა მისი სახელოვანი წინაპრების ექვთიმე მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის შემოქმედება.

---

[3] ქართველ ისტორიკოსთა მიერ ბერძნული წყაროების გამოყენების შემთხვევებზე მიუთითებს ს. ყაუხჩიშვილი (ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა: ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 037—039).

[4] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 214.

[5] იქვე, გვ. 217-218.

წარმოადგინა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარა ბარნაველი

XVIII საუკუნის ქართული ხელოვნების ისტორიიდან

გვიანი ფეოდალური ხანის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ურთიერთობას ხელოვნების დარგში გვიხატავს საბეჭდავთა სფეროც.

ირკვევა საბეჭდავთა ქვემო ზედაპირისა და ზემო ზედაპირის ერთნაირობა, ერთნაირია აგრეთვე მანერა მხედრული და ასომთავრული შრიფტების შეერთებისა, ერთნაირია საბეჭდავის მფლობელის სახელის ჩასმა ჩარჩოში, წარწერიან საბეჭდავებში ქვემო ზედაპირის შემკობა წვრილი ყვავილებით, ყვავილის გვირგვინით, ანდა ფოთლებით.

განსაკუთრებით სიახლოვეს იჩენს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს XVIII ს-ის საბეჭდავები, რომლებსაც აქვთ წაკვეთილი პირამიდისებრი (ძალიან შევიწროებული მწვერვალით), შეზნექილწიბოებიანი ზემო ზედაპირი, ქვემო ზედაპირი კი სწორკუთხედია, ანდა რვაწახნაგა, ე. ი. სწორკუთხედი წაკვეთილი კუთხეებით.

ამ ფორმის საბეჭდავები შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს საბეჭდავთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, რაც შეეხება საბეჭდავების ანაბეჭდებს საბუთებზე, ისინი მეტი რაოდენობითაა შემონახული.

მასალა საბეჭდავებისათვის არის ოქრო, ვერცხლი, თითბერი, ნახევრად ძვირფასი ანდა ძვირფასი თვლები.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბეჭდავების შექმნაზე მუშაობდნენ ოქრომჭედლები[1], გრავიორები.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საბეჭდავთა თვისებების სიახლოვეს, საერთო მიზეზების გარდა, საფიქრებელია, უფრო კონკრეტული საფუძველიც აქვთ; სახელდობრ, ზოგჯერ შეიძლება აღინიშნოს ერთ და იმავე ხელოვანთა მუშაობა ლიხსაქეთ და ლიხსაქით.

ერთ ასეთ შემთხვევაზე მოგვითხრობს 1767 წლის წყალობის წიგნი[2], რომელიც მიუცია ერეკლე II-ეს ოქრომჭედელ გიორგი ბეჟიაშვილისათვის. საბუთში აღნიშნულია, რომ მეფე ერეკლეს სამეფო კარის ოქრომჭედელი გიორგი ბეჟიაშვილი მზითვად გაუტანებია თავისი დის ელისაბედ ბატონიშვილისათვის, რომელიც გათხოვილა სამეგრელოს დიდ მთავარ კაცია დადიანზე. ქორწინება შედგა 1765—1766 წლებში[3].

---

1 ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, „ბეჭდები მუნასიბიანნი", საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXX, № 1, 1963, გვ. 121.

2 1767 წლის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე II-ის მიერ გიორგი ბეჟიაშვილისათვის, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ ზ ი ა ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1974, გვ. 91.

იხ. აგრეთვე საბუთის პირი, საქართ. ცენტრ. არქ., დავთარი 52, საბუთი № 30.

3 ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქართველოს მეზეიმის მოამბე XB, თბ., 1940, გვ. 206—207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგულისხმოა, რომ მზითვის ძირითად სიაში ოქრომჭედელ გიორგის გატანება აღნიშნული არ არის: არ არის ეს არც მზითვის წიგნის პირში, არც მზითვის წიგნის ზედნიდან გადარჩენილ ფურცელზე, რომლის ფოტო დართული აქვს რუსულ გამოცემას[4].

შეცდომით რუსულ გამოცემაში აღნიშნულია, რომ მზითვის წიგნი ეკუთვნოდა მეფე გიორგი XII (XIII)-ის ასულ ნინოს[5].

1767 წლის საბუთი, მიცემული პირადად ოქრომჭედელ გიორგი ბეჟიაშვილისათვის, შეიცავს შედავათებს გიორგის ოჯახისათვის, რომელიც, როგორც ჩანს, მზითვად არ ყოფილა გატანებული გიორგისთან ერთად:

„რადგან ცოლისა, წურილთა შვილთა პატრონი იყავ და მათთვის გვეკედრე, განუწინეთ შენ სახლობასა დღეში ერთი ლიტრა პური — ჩუენის საამბაროდან მიეცემოდეს, და ხსნილი ყოველ კვირას ერთი ლიტრა კორეი ჩუენ ყასაბბაშისაგან ეძლეოდესთ და ყოველს წელიწადში თორმეტი თუმანი ჩუენის საიჯარადროს რასტარსანისაგან უცუალებლად მიეცემოდესთ შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა... ამასთან არა სათხოვარი საველმწიფო და არა ბეგარა არა ეთხოვბოდეს რა...“.

უფრო ადრეულმა, 1751 წლის საბუთმა შეგვინახა სხვა ცნობები „მეფის ერთგულ ყმაზე და დიდათ მსახურზე“ გიორგი ბეჟიაშვილზე. საბუთიდან ირკვევა, რომ ის არის საგარეჯოელი, სოფელ გიორგიწმინდის „მემკვიდრე“, ე. ი. მკვიდრი. „გიორგი პატარა თავისმა დედამ ქალაქს ოსტატს მისცა „წიგნითა“, ე. ი. ქ. თბილისში ხელშეკრულებით სასწავლებლად მიაბარა ოსტატს. როგორც ჩანს, ეს ოსტატი ოქრომჭედელი ყოფილა.

გიორგიმ წარმატებით შეისწავლა ხელობა, „საქები ოქრომჭედელი შეიქნა“, ქალაქს დაესახლა. მისი ნამუშევრები მოიწონა მეფემ. იგი მეფის „კარის ოქრომჭედელი და სამკაულის მკეთებელი“ გახდა.

მეფე ერეკლე II-ის 1767 წლის ზემოდასახელებული წყალობის წიგნიდან ვიგებთ, რომ ეს მეფე იყო თეიმურაზ II: „დიდათ მსახური იყავ ნეტარ ხსენებულისა მამისა ჩუენისა მეფის თეიმურაზისა და ჩუენი და ჩუენნი სახლისა“[7]. აქედან ჩანს, რომ გიორგი ავრეთვე ერეკლე II-ისა და მისი სახლის მოსაწონი ოქრომჭედელი ყოფილა.

1751 წლისათვის გიორგის აქვს თბილისში მეფის მიერ ნაბოძები დუქანი, სოფელში კი ვენახი კოკონაური: „გიორგის ბატონმა ერთგულათ მსახურებისათვის ქალაქს დუქანი და სოფელში ვენაჯი კოკონაური უბოძა თავის სამართლიანის სამძღურითა“[8]. გიორგის თბილისში უყიდია სახლიც, რისთვისაც ვალი აუღია.

ორივე საბუთში — 1751 და 1767 წწ. — არის ცნობები გიორგის ძმაზე — რამაზზე, რომელიც დარჩენილა გიორგიწმინდაში. იგი არ ყოფილა ისეთი მარჯვე, როგორც გიორგი. ამიტომ, გიორგი მას „ჯელს უწყობდა, მოჯამაგირე

---

[4] Н. Эристов-Шарвашидзе. Книга о приданом царевны Нины Георгиевны, М., 1916. იხ. აგრეთვე ფოტო, რომელიც ერთვის 34-ე გვერდს.

[5] ს. ბარნაველი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი.

[6] განჩინება გიორგი და რამაზა ბეჟიაშვილების სახლისა და მამულის საქმეზე. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 397.

იხ. აგრეთვე საბუთის პირი: საქ. ცენტრ. არქივი, დავთარი 52, საბუთი № 31.

[7] 1767 წლის წყალობის წიგნი, გვ. 91.

[8] განჩინება გიორგი და რამაზა ბეჟიაშვილების სახლისა და მამულის საქმეზე, გვ. 397—398.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭირის, თავის მაგიერ მისცის ძმასა, რომ მამულები ემუშავნათ, ტანთა და ფეჯთ აძლევდა, ჯარები მისცის, ცხენები მისცის, თოფი და იარაღი და სხვას მრავალს საჯმარსა და რკინეულს უგზავნიდა". ასეთი მასალები შეუკრებიათ სოფლის უფროს კაცთა და მოხუცებულთა გამოკითხვით[9].

1767 წლის საბუთის ცნობით, ეს ძმა „დაკარგული"[10].

ცნობები, თუ როგორ მიმდინარეობდა გიორგის ცხოვრება 1767 წლიდან, არ მოგვეპოვება. ერთი რამ მაინც ირკვევა, მას თავი უსახელებია დასავლეთ საქართველოშიც. შესაძლოა, ეს ეხება მის შვილს დავითსაც. ამას მოწმობს 1767 წლის წყალობის წიგნის პირველი მინაწერი. მასში იმერეთის მეფე სოლომონი შუამდგომლობს ერეკლე II-სთან გიორგი ბეჟიანშვილის შვილს დავითს დაუმტკიცდეს ყველა შეღავათები, გათვალისწინებული 1767 წლის საბუთით:

„...ჩვენ სრულიად ქართლისა და კახეთისა [მეფე] ირაკლი მეორე ჩვენის ძისწულის იმერთა მეფის სოლომონისა მიერ წარმოვლენილსა ამა განაჩენსა მეორეთ ვამტკიცებთ და უბოძებთ ოქრომჭედლიშვილს დავითსა თავის მამა-პაპის ადგილ-მამულსა და ჩვენ მიერ რაც წყალობა ჰქონია მამასა ამისსა, იგიცა გვიბოძებია სიყვარულისათვის მეფის სოლომონისა, ქ[ორონი]კ[ონ]ს უპბ" (1794 წელს)[11].

შემდეგში, 1767 წლის საბუთით მიცემულ „წყალობის დამტკიცებას" აძლევს, უკვე 1799 წელს, მეფე გიორგი XII ამ წყალობის მეორე მინაწერით:

„...ჩუ©ნ ქართლისა და კახეთისა და სხუათა მეფე გიორგი ნეტარხსენებულის მამისა ჩუ©ნისა მიერ დამტკიცებულსა ამას განაჩენსა ვამტკიცებთ და ჩუ©[ნ] მიერ წყალობა ეყოს დავითსა და დაუმტკიცებთ წყალობასა ამას იულისსა ი ქ[ორონი]კ[ონ]ს უპბ"[12].

ამავე 1799 წელს იმერეთის მეფე სოლომონ II და სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი „ეევდრებიან და შუამდგომლობენ" გიორგი XII-სთან, რომ ოქრომჭედლისშვილს დავითს ხელახლად დაუმტკიცდეს 1751 წლის განაჩენი თბილისის სახლისა, დუქნისა და სოფელში ვენახ კოკონაურის შესახებ.

ამ განაჩენის მინაწერი მოგვითხრობს:

„ქ. ჩვენ სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ვედრებითა და შუამდგომლობითა ჩვენის დისწულის იმერთა მეფის სოლომონისა და ჩვენის სიძის დადიანის გრიგოლისათა მათ მიერ წარმოვლენილსა ამას განაჩენსა ვამტკიცებთ და წყალობას უზამთ თავის მამულისასა ოქრომჭედლიშვილს დავითსა. ქორონიკონს უპბ"[13].

მინაწერებით მტკიცდება, რომ დავით ოქრომჭედლიშვილი არის გიორგი ბეჟიანშვილის შვილი. ცხადი ხდება, რომ XVIII ს-ის დასასრულს ის მუშაობს დასავლეთ საქართველოში და მის მოღვაწეობას იცნობენ სოლომონ II და გრიგოლ დადიანი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით ბეჟიანშვილი იყო ის მხატვარი, რომელმაც მოხატა კანკელი გელოვანთა ეკლესიაში, ლეჩხუმში. კანკელის წარ-

9 განჩინება გიორგი და რამაზა ბეჟიანშვილების სახლისა და მამულის საქმეზე, გვ. 397.

10 1767 წლის წყალობის წიგნი, გვ. 92.

11 1767 წლის წყალობის წიგნი, მინაწერი პირველი, გვ. 92.

12 1767 წლის წყალობის წიგნი, მინაწერი მეორე, გვ. 92.

13 განჩინება გიორგი და რამაზა ბეჟიანშვილების სახლისა და მამულის შესახებ, მინაწერი, გვ. 399.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა მოგვითხრობს: „უფალო იესო ქრისტე ღ~ო, შეიწყალე გლახაკი და ფრიად ცოდვილი მონა შენი დავით ბეჟიაშვილი ქართველი. ამინ“[14].

ე. თაყაიშვილი არკვევს: „წარწერა კანკელისა გვიჩვენებს, რომ ახალი აღმოსავლეთის ნაწილი ეკლესიისა აუშენებიათ 1798 წელს“[15].

ერთ-ერთი საბუთის ცნობით, დავით ქართველი მუშაობდა სოლომონ II-ის კარის მხატვრად, შენახულია მისი ხელით შესრულებული მინიატურა და კალიგრაფიულად მაღალი ხარისხის ნაწერი. დავითის მოღვაწეობას მიეძღვნება ცალკე ნაშრომი.

გასარკვევია თუ ჩვენამდე მოღწეული რომელი ნაწარმოები ეკუთვნის კონკრეტულად ოქრომჭედელ გიორგის.

გამოჩენილი ქართველი ოქრომჭანდაკებლები ძველთაგანვე აღბეჭდავდნენ თავიანთ სახელს ნამუშევარზე. ეს წარწერები ძალიან ძუნწად მოგვითხრობენ ოსტატებზე, აღნიშნავენ მხოლოდ ადგილს, სადაც ისინი მუშაობდნენ, ან მათ სპეციალობას. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესო და მრავალმეტყველია ჩვენს წინ გადაშლილი ფურცლები საქართველოს გვიანფეოდალური ხანის სოციალური, ეკონომიური და ხელოვნების ისტორიიდან. საყურადღებოა ოქრომჭედლის თავგადასავალიც.

საგულისხმოა დიდი დაინტერესება, რომელსაც იჩენდნენ ხელოვნების მიმართ საქართველოს სათავეში მყოფნი, მათ შორის, სამეგრელოს მთავარი. ეს უდავოდ უკავშირდება დადიანთა საოქრომჭედლო სახელოსნოს წარმატების ამბავსაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVII საუკუნეში[16]. ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ საქართველოს მეფეს უბოძებია სამეფო კარის ოქრომჭედელ გიორგი ბეჟიაშვილისათვის დუქანი და ვენახი. ეს მფარველობა, მეცენატობა ხდებოდა სხვა ოქრომჭედელთა მიმართაც: 1758 წელს სამეფო კარის ოქრომჭედელ მათეშვილ გიორგისათვის თეიმურაზ მეორეს უბოძებია დუქანი[17]. საყურადღებო ცნობებია ამ დუქნის შესახებ ძველი თბილისის გეგმის თვალსაზრისით[18].

ოქრომჭედლის გარდა მზითევში ატანდნენ მხატვრებსაც[19].

აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის შრომებმა გამოავლინეს ქართული შუასაუკუნეებრივი ოქრომჭედლობის დიდი მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა ქართულ ხელოვნებაში. ამკამად მზიურდება საქართველოს მუზეუმებში და საცავებში შენახული ნივთები და უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოჩნდება გიორგი ბეჟიაშვილის ქმნილებებიც.

---

14 ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 40.

15 იქვე, გვ. 39.

16 ლ. ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო (ნარკვევი XVII საუკუნის ქართული ეროული ხელოვნების ისტორიიდან), თბ., 1974.

17 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.), წიგნი პირველი, შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, თბ., 1962, გვ. 280.

18 მ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (რასტაბაზარი და ჩორსუ), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნარკვ. 33, თბ., 1960, გვ. 178, 179.

19 ს. ბარნაველი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითევის წიგნი.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

В. Л. БИГВАВА

ЖИЛЫЕ И ХОЗЯЙСТВЕННЫЕ ПОСТРОЙКИ СОВРЕМЕННОЙ СЕМЬИ АБХАЗСКОГО СЕЛА

(по этнографическим материалам)

Одним из важнейших показателей материального благосостояния семьи является ее жилище.

Переместившись с глубины приусадебного участка на его лицевую часть весь комплекс жилых построек абхазского крестьянина за последнее время подвергся значительному изменению. В отличие от известного типа поселения абхазов, характерного для дооктябрьской Абхазии, колхозники приморских и других низменных районов стараются строить свои дома вдоль центральных дорог, проложенных между их селами и районными центрами. Но в силу естественно-географического положения республики в районах холмистых предгорий и выше старый разбросанный вид поселения остается пока ведущим.

Прежде чем строить дом на выбранном месте, абхазец, как и прежде, думает о дворе, который в силу продолжающих жить национальных традиций и обычаев до сих пор необходим дому (аюны зарпшдзо аштоуп) и служит главным образом местом многолюдных сходок во время семейных торжеств и несчастных случаев (цвгеи бзиеи раан). Однако с уменьшением размеров приусадебного участка уменьшился и двор в среднем до 500 кв. м., тогда как в прошлом у многих «нередко были двойные дворы:внутренний «амдзырха» и еще более широкий — внешний двор, который назывался «аштa». Иногда убирали перегородку между внешним и внутренним дворами и получалась одна общая площадь (амдзырхеи аштеи еиужьны)»[1]. В отличие от прошлого, в современном дворе дома абхазской сельской семьи вместо одного или двух тенистых деревьев высаживают цитрусовые, благородный лавр и другие ценные деревья, а с обеих сторон дорожки, ведущей к дому, как бы разделяя двор на две части — разные цветы. Двор именуется амдзырхой или аштой. По мнению И. Аджинджал[2] его называют еще агуарп, а Л. Акаба агуарпом называет небольшое огороженное пространство за домом, где расположены хозяйственные постройки[3]. На самом деле а г у а р п о м называется площадка, простирающаяся за передней оградой двора, где проходит проселочная дорога. Ведь само слово «агуарп» которое означает «перед оградой» говорит за себя (ср. «чыуаюк хгуарпбжьара дныбжькьаны дцеат» — кто-то на лошади проскакал через нашу агуарпбжьара или «сгуарпач анцва усырба» — да покажет тебе бог в моем агуарпе). Что касается термина «аштa», то, как правильно отмечает Ш. Инал-Ипа, раньше он применял-

---

[1] Ш. И н а л-И п а, Абхазы, Сухуми, 1965, стр. 297.

[2] И. А д ж и н д ж а л, Из этнографии Абхазии, Сухуми, 1969, стр. 23.

[3] Л. А к а б а, Абхазы Очамчирского района, КЭС, т. I, М., 1955, стр. 53.

ЭЛМЕБГЕЛ
ЗЛЕЗЛЛЛЛЛЛЛ

ся в более широком смысле и служил местом для посева проса — «ашы», от которого происходит название двора[4].

Небезынтересно и второе название двора «амдзырха». По всей вероятности оно относится к числу терминов животноводческого хозяйства и по своему происхождению обязано месту загона молодняка. Об этом свидетельствует этимология слова, которая объясняется как «место, где нельзя косить траву» (от «м» — элемента отрицания, «адза» — трава и «архра» — косить) и то, что до сего дня внутри двора каждого абхазского дома можно увидеть пару телят, основным кормом которых служит произрастающая в нем трава. Двор, как и в прошлые времена, обводят оградой. Но эта ограда вовсе не похожа на ту которая даже лет двадцать назад представляла собой главным образом «плетенку с вертикально ставящимися кольями и горизонтальным направлением самого плетения»[5]. Ныне обносят дворы в основном проволочной сеткой, которую растягивают между железобетонными столбами. Дать описание всех видов оград, которых так много теперь, практически невозможно, ибо каждый строит по своему вкусу. Так же разнообразны по форме и двустворчатые, так называемые «главные» или «передние ворота», основным материалом которых служит также металл. Только в некоторых предгорных селах сохранились заборы, сделанные из тесовых досок с деревянными воротами. Перестали также возводить над воротами особые навесы для защиты их от дождя. Позади жилых построек двора имеется калитка, через которую осуществляется сообщение между двором и другими частями усадьбы.

Главное жилище — дом абхазы называют как и прежде «аюны», и в этом, по-видимому, кроется интересный смысл. Известно, что в житейском понимании «дом» обычно означает ту или иную жилую постройку, в которой протекает личная жизнь семьи. Однако понятие «дом» исторически менялось с изменением представления о нем и его социальной значимости. Для первобытного человека домом являлось не жилище, а определенная территория племени. Известный немецкий этнограф Юлиус Липс писал, что домом древнейшего человека, являлась обширная территория племени, а не сооруженное по большей части лишь на время убежище, где семья укрывалась от ветра и дождя, и где она проводила ночь[6]. Этимология аюны←ауюны (ср. адыг. «унэ») объясняется как «территория обитания человека» («ауюо» — человек и «ны» — элемент, показывающий территорию) и наталкивает на мысль о том, что с обособлением семьи как социальной и хозяйственной единицы это слово теряло свое первоначальное значение и начало служить для обозначения жилища.

А площадь, на которой располагаются жилые постройки, абхазы называют «атыдзтып», что в буквальном смысле слова означает место стены, заслона (атдзы — стена + атып — место). По своему значению оно соответствует той площадке, на которой строили ветровые заслоны, признанные этнографами первыми жилищами человека, состоящими из сучьев ветвей и кусков коры, которые втыкали в землю по прямой линии (отсюда и абхазское «атдзы» — стена, заслон) или

---

4 Ш. Инал-Ипа, О новом быте колхозной жизни, Труды АБНИИ, 1951, стр. 197.

5 И. Аджинджал, указ. соч., стр. 23.

6 Юлиус Липс, Происхождение вещей, М., 1954, стр. 17—21.

полукругом. В этой древнейшей форме человеческого жилья можно усмотреть прообраз двух основных элементов позднейших типов домов: круглой хижины и прямоугольного дома. На территории Абхазии вплоть до I половины XX столетия сохранились оба вида жилищ: первый аналогичен «акуацв», а второй — четырехугольному дому, плетенному из понтийского рододендрона с четырехскатной крышей, именуемому амацурта или апацха. Что касается помещения, известного под названием амхара, то оно, с переходом его функции на одну из комнат дощатого дома, получившего массовое распространение еще до советизации края, фактически исчезло.

Основным строительным материалом крестьянин считал лес, которым так богата и сама Абхазия. Но рост семейных доходов обусловленных усилением экономической мощи общественных производств изменил мнение сельских жителей. Теперь деревянные дома, построенные до советизации края, сохранились лишь в труднодоступных местностях предгорных сел и составляют единицы. Современный жилой дом сельской семьи в Абхазии представляет собой двухэтажное кирпичное здание, покрытое шифером, оцинкованным железным листом и реже — черепицей. Вместе с тем, нетрудно заметить то, что развитие новых форм домов среди абхазов происходит в одном направлении — по линии преобразования национального типа жилища, характерного как для Абхазии, так и для всей Западной Грузии, применительно к требованиям современной сельской жизни со все более широким применением национальных элементов строительного искусства. Что касается архитектурного сходства национальных жилищ абхазов и мегрелов, то оно порождено главным образом многовековым

Рис. 1. Жилой дом колхозника колхоза имени В. И. Ленина села Тхина Я. К. Бигвава.

ЭЛЕКТРОННАЯ БИБЛИОТЕКА

территориальным соприкосновением обоих народов, сравнительным сходством Абхазии и Западной Грузии по физико-географическому положению и климатическим условиям. Поэтому, вопрос о том, кому принадлежит эта народная традиция строительного мастерства не поддается разрешению. Скорее всего она принадлежит и тем и другим и является общей для них. Интересно, что она могла передать свои основные элементы современным домам сельских семей.

Одним словом, в современных домах абхазов переплетаются традиционные черты национальных жилых построек и новые особенности в конструкции и планировке, отвечающие требованиям культурно-экономического уровня абхазской современной сельской семьи. Для жилого дома характерны невысокая четырехскатная крыша, большие открытые навесы, земляной пол на первом этаже, камин для подогрева комнат и другие элементы старых жилищ — амацурта и акуаскьа (этимология «акуаскьа» объясняется, как «низкая крыша» — аку — крыша + ааскьа — близкая, низкая, тогда, как более древний вид жилища — плетенная круглая хижина с конусообразной крышей именуется «акуацв», что значит «высокая крыша»), на архитектуру которых известное влияние оказывали природно-климатические условия края. Следует подчеркнуть, что жилищное строительство коренного населения Абхазии, оказало известное влияние на строительство домов пришлых народов. Русские, армяне, греки и другие народы, населяющие сельские районы республики, строят в основном такие же дома как абхазы.

Полезная площадь двухэтажного современного дома независимо от количественного состава семьи варьирует от 160 до 200 квадратных метров. Как правило, такой дом состоит из 6 или 8 комнат.

В Абжуйской Абхазии «модно» стало строить дома с двумя навесами — передним и боковым, а в Бзыбской — только первым, в чем и заключается разница между ними. Реже, но встречаются дома, второй этаж которых деревянный, а первый возведен из шлакоблочного материала или кирпича. Разновидностью современных жилищ являются также одноэтажные дома. А громоздкость жилищ даже малочисленных семей объясняется главным образом обычаем гостеприимства и заботой родителей о своих детях.

Штукатурка, побелка стен и потолков, двустворчатые каштановые двери и большие светлые окна дома являются непременными условиями. Дощатый пол второго этажа окрашен коричневой масляной краской или покрыт лаком. Что касается земляного пола нижнего этажа, то он тщательно трамбуется и покрывается тонким слоем цемента. В настоящее время многие начали стелить полы из досок, и в скором будущем земляной пол вообще уйдет в прошлое. Обязательной принадлежностью жилого дома абхазов является открытый камин (за исключением Бзыбской Абхазии, где плита предпочитается камину), который имеется в залах обоих этажей. Он располагается в центре дома так, чтобы одновременно мог отапливать все комнаты. Обычно в задней комнате, служащей в качестве кухни, имеется и печь для приготовления пищи. Но в ряде сел она стала уступать газовой плите.

Радикальные перемены произошли во внутреннем убранстве и интерьере жилого дома современной семьи абхазского села. Старинные комоды, железные кровати, а также дорожки, скатерти, покрывала и другие, вышитые национальным орнаментом и разными узорами предметы традиционного убранства, сделанные кустарным способом навсег-

да уступили фабричным изделиям. Ныне труженники села для украшения стен своих домов приобретают репродукции, эстампы картин известных мастеров живописи и графики. Для примера заглянем в дом члена колхоза им. газеты «Правда» села Джьгарда Очамчирского района Н. Ашуба:

Первый этаж состоит из зала и столовой с кухней, в середине которых имеется камин так, чтобы он мог одновременно отапливать все помещение. В центре зала стоит круглый стол со стульями, у правой стены — диван, у задней — сервант, на котором стоят свежие цветы, а в углу — телевизор. На левой стене рядом с камином висит репродуктор и стенные часы. Свое свободное время семья проводит здесь, здесь принимают гостей. Во вторую часть данного этажа можно войти через двустворчатые двери. Она имеет продолговатую форму (9 × 4 м). В ней располагается печь для приготовления пищи, примыкающая к задней стенке камина, но чаще ее заменяет

Рис. 2. Жилой дом жителя села Джгерда Н. Ф. Ашуба.

газовая плита, которая стоит в углу недалеко от кухонного шкафа и холодильника, а в центре — довольно длинный стол (такие длинные столы высотой до 90 см встречаются почти в каждом доме). По своему происхождению он обязан низкому продолговатому столику «аншва», название которого, видимо, уходит в глубину тысячелетий когда люди при наличии только примитивных орудий труда чистить могли лишь определенную часть лежащего бревна, на которую клали пищу. В силу исключительной чистоты коры ствола и наличия самого дерева у древних абхазов им мог служить бук. «Аншва» буквально означает «буковое бревно» (ана — бревно + ашв — бук.), за которым семья принимает еду. Но бывает и так, что гостей принимают в зале второго этажа, конечно это зависит от почета самих гостей. Если раньше, когда жилища абхазца представляли собой апацху и акуськьа,

ЭЛМЕЗГАЛ
ДАДАЛАЛ

приглашая в дом, хозяин говорил: «пожалуйста, сюда в гостинную», то теперь — «наверх, пожалуйста», — предлагает он. В действительности второй этаж современного жилого дома семьи абхазского села служит только в качестве гостинной и спальни. Пол зала застлан красивым широким и длинным ковром, в центре стоит раздвижной четырехугольный стол с шестью стульями, у одной из боковых стен — диван с двумя креслами, у другой застекленный шкаф, половина которого занята хрусталью, а другая — книгами. На нем стоят настольные часы. В углу располагается радиола на ножках с проигрывателем. На правой стене висит глиняный горшочек, в котором растут цветы «лиана — сплетница», эстампы, чеканка и портрет родителей хозяина дома. Фотографии хранятся в альбоме, который лежит на стоящем в углу столике, на котором стоят также хрустальная ваза и кувшин для вина. Вдоль длины зала располагаются две спальные комнаты. В передней стоят две аккуратно застеленные деревянные кровати с тумбочками, два стула, шкаф для одежды и трюмо. Перед каждой постелью расстилаются коврики. На боковой стене комнаты висит картина, на которой изображена сцена борьбы Тариэла с тигром из поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» и портрет Дмитрия Гулиа. Эта комната предназначена только гостям, а другая служит семье; здесь стоят три кровати, шкаф, стулья и письменный столик, за которым готовит уроки их дочь — одиннадцатилетняя Асида. Как в зале, так и в спальных комнатах подвешаны красивые люстры, а на больших и светлых окнах — белые занавеси.

Что касается мебели, то вся она, начиная от стола и стульев и кончая кроватями и шкафами фабричного производства; вообще здесь, в этом доме нет ни одной вещицы, которая могла бы говорить о прошлой жизни семьи, за исключением портрета родителей хозяина.

После жилого дома (аюны), наиболее необходимым из жилых построек считается аказарма, удлиненное по своей форме (примерно 20 × 4) деревянное или шлакоблочное сооружение, крытое шифером или реже черепицей. Полезность аказармы заключается в характере семейных обрядов. Во время торжественных и несчастных случаев здесь собирается большое количество людей, которых сажают за стол, тянущийся по кругу помещения. В остальное время аказарма служит хозяйственным целям. Осенью здесь снимают шелуху из початков кукурузы, в ней хранятся плуг, ярмо, коса, серп, топор и другие предметы хозяйственного инвентаря, а также здесь может стоять и арба которую заносят отдельно по частям.

Интересно, что в настоящее время почти во всех селах Южной Абхазии нередко рядом с фундаментальным двухэтажным жилым домом можно увидеть и апацху. Буквально два десятка лет тому назад среди сельского населения Абхазии кто мог бы думать о том, что крестьянин снова вернется к этой хижине, вытесненной современными жилищами и ушедшей уже в прошлое. Но значительный рост бюджетов семьи позволил обратить внимание колхозников и на хижину своих отцов, которая могла бы вернуться снова к жизни в более усовершенствованном виде.

Насколько помнится, первенство в строительстве апацхи среди абжуйских абхазов принадлежит жителю села Члоу Чатале Чалакуа. Распространению этой плетенки способствовали национальные рестораны, которые были открыты в некоторых достопримечательных мес-

тах республики в целях ознакомления гостей Абхазии с некоторыми этнографическими особенностями коренных жителей.

В отличие от прошлой, современная апацха служит только в качестве подсобного помещения, в ней над открытым очагом семья вялит и коптит мясо, сушит сыр, в летнее время приготавливает и еду. Главное, что она превратилась как бы в предмет украшения двора и является символом того, что несмотря на те или иные перемены, уничтожившие все условия, которыми был порожден этот обычай, хозяин дома также гостеприимен, как и его предки, жившие в подобных хижинах, двери которых всегда были открыты для хороших людей.

Таким образом, значительные сдвиги, происшедшие в жизни абхазского села вызвали существенный рост материальных и культурно-бытовых запросов населения. К тому же с усилением разносторонних связей села с городом усиливается влияние последнего на интересы, взгляды и убеждения колхозников. В результате сельская семья коренным образом перестроила и обновила свои жилые постройки, вместо отцовских предметов быта приобрела современную мебель, холодильник, телевизор и другие необходимые в повседневной жизни вещи.

Вместе с тем следует подчеркнуть, что в связи с отсутствием определенного плана строительства села колхозники возводят фундаментальные дома по своему усмотрению и вкусу, которые порой не соответствуют естественно-природной среде той или иной местности, т. е. требованиям современной планировки сельских районов. Дело в том, что «мастер», которому хозяин доверил построить жилище в лучшем случае является просто каменщиком или плотником, который далек от необходимых знаний архитектурного искусства. В результате, возведенный им дом с громадной внешней лестницей в глазах настоящего строителя выглядит как безвкусица.

Поэтому в настоящее время необходимо вести строительство частных домов сельских семей только на основе требований современности, только по определенному проекту, именно так, как это делается в других республиках нашей страны*.

Значительные изменения, происходящие в быту современной семьи абхазского села связаны с известными сдвигами в экономической и культурной жизни населения республики в целом.

Они не смогли не оказать существенное влияние также и на усовершенствование облика хозяйственных построек семей всех социальных групп.

Все хозяйственные постройки как и в прошлом, делятся на две основные группы: 1. постройки земледельческого производства и 2. постройки животноводческого хозяйства. Главное и основное место среди первых занимает зернохранилище (аца), которое располагается на расстоянии десяти-пятнадцати шагов от задней или боковой стены жилого дома так, чтобы его лицевая сторона, вплотную примыкала к ограде двора.

* Правда этот вопрос был поднят газетой «Апсны Капш» в начале 1974 года (О. Шамба, Землепользование и районная планировка от 23.III.74 г.; М. Накопиа, Села Абхазии сегодня и завтра, от 24.X.74 г.), но пока он остается лишь темой обсуждения компетентных лиц.

ЭЛМЕОБЗЕЛ
ДИЗЕЛЕЛЕЛЕЛЕ

В недалеком прошлом крестьянское зернохранилище круглой или четырехугольной формы имело жалкий вид, перекрывалось папоротником, чалои кукурузной, а в лучшем случае соломой и, располагалось внутри двора[7]. В нем сушили и хранили зерна особых сортов проса и пшена (аши ахудзи), а с середины прошлого столетия — качаны кукурузы.

Теперь зернохранилище представляет собой небольшое (3 × 4 м) четырехугольное, но красиво и умело сплетенное из ионнийского рододендрона сооружение с двускатной крышей, крытой дранкой или шифером, которое стоит на четырех деревянных или чаще на железных столбах. Поднимаются туда по лестнице, верхняя часть которой упирается в настил (ацалакья), состоящий из одной широкой или двух толстых каштановых досок.

Рис. 3 Аца.

Наряду с кукурузой в зернохранилище имеется возможность хранить фасоль, сою, а также лук, чеснок, перец и другие продукты, которые плетут или нанизывают на нитки и вешают под крышей.

7 См. И. Аджинджал, указ. соч., стр. 124—132.

Зернохранилище имеет любая сельская семья независимо от ее социальной принадлежности и места жительства за исключением рабочих и служащих семей таких высокоспециализированных совхозов, как Гульрипшский цитрусовый совхоз им. Ильича, в котором бытовые условия почти не отличаются от городских, поэтому, в зернохранилище они, естественно, не чувствуют необходимости. Что касается другого вида хозяйственных построек земледельческого производства — мельницы, имеющей не менее важное значение в быту сельской семьи, то благодаря наличию множества быстротечных горных рек и речек кое-где в районах предгорий встречаются небольшие частные водяные мельницы горного типа. А о ручной мельнице, имевшей большое распространение в прошлом по всему Кавказу и говорить не приходится, так как она мало уже где встречается и если даже имеется в некоторых семьях, то ею пользоваться фактически не приходится. С электрификацией сельских районов республики в быт населения вошли мощные электрические мельницы, одна из которых может обслуживать несколько десятков семей.

К основным хозяйственным пристройкам первой группы относится и винодельня (аюцара). Она также располагается недалеко от основного жилого дома за тыльной или боковой оградой двора так, чтобы хозяин в любое время дня и ночи, в случае прибытия гостей, без затраты лишнего времени мог принести вино. На вид ее трудно отличить от известного в прошлом у абхазов дощатого домика с четырехскатной крышей, крытой дранкой, шифером или черепицей, тогда, как до последних двух десятилетий она представляла собой, в основном, плетенное из орешника легкое сооружение, которое покрывалось соломой. Размеры средней винодельни, зависящие от объема полученного урожая, равны 20 кв. м. В винодельне размещается почти весь винодельческий инвентарь. Как правило у одной из боковых стен стоит искусно выдолбленное из липовой или ореховой древесины корыто, длина которого достигает в среднем 4 м с диаметром в поперечнике до полутора метров. Оно как и в старые времена применяется в первичном виноделии для брожения при приготовлении вина. В нижней части корыта имеется отверстие, что позволяет сливать вино после окончания процесса брожения и оставлять в нем выжимку.

Теперь редко, кто давит виноград ногами. Эта функция выполняется при помощи стоящей в углу винодельни специальной машины, т. н. «ажьхуага» (от «ажь» — виноград и «ахуара» — давить). По всем данным этот способ выжимки винограда абхазы заимствовали от мегрелов[8].

Внутри винодельни глубоко в землю зарыты глиняные остродонные сосуды различных емкостей, в которых вино долго сохраняет свои вкусовые качества. Такой способ хранения вина исходит из глубочайшей древности и кувшины эти изготовлялись местными мастерами гончарного производства.

Недалеко от них стоят достаточно вместительные деревянные бочки (аvалыркуа), которые делают, главным образом из дубовых клепок. Древесина дуба, как известно прочна, хорошо поддается обработке, к тому же пропускает в вино достаточное количество воздуха, оказывающего благоприятное влияние на процессы созревания при его выдержке. В то же время дуб не дает вину посторонних запахов и привкусов.

---

[8] См. Ш. Инал-Ипа, Абхазы, стр. 255.

На узком продолговатом столике стоят стеклянные сосуды с водкой — чача, которая пользуется популярностью своей крепостью (Ее выгоняют следующим образом: виноградные выжимки кладут в кувшин или бочку, к ним добавляют определенное количество воды и дают киснуть несколько дней; затем их перекладывают в большой котел, который закрывают медной крышкой и обмазывают кругом глиной или мамалыгой. Содержимое варят на огне и доводят до возникновения пара, из которого получается водка, стекающая тоненькой струйкой через длинную медную трубку, соединенную с крышкой котла в подставленную бутылку. Охлаждение трубы осуществляется холодной водой, налитой в небольшое деревянное корыто, через отверстие которого проходит вода. Для получения очень крепкой чачи в котел вливают ту водку, которую получили в первый раз и повторяют вышеуказанную операцию. Чачу делают также из раздолбленных кусков яблока, груши, алычи и других плодов различных растений).

Вместе с тем в виноделье висят аккуратно сплетенные из орешника цилиндрические и конусообразные корзины, с длинными веревками, незаменимые при сборе «изабеллы», лоза которой поднимается высоко на дерево. Но как правильно и с тревогой отмечает Ш. Инал-Ипа в своей работе «Традиции и современность»[9], если не будут приняты соответствующие меры, то судя по уходу их из хозяйственного обихода абхазской семьи, в скором будущем могут вообще исчезнуть эти замечательные предметы традиционного быта.

Количество построек животноводческого хозяйства современной семьи снизилось до минимума. Еесли раньше для каждого вида домашнего скота строили отдельные помещения, то в настоящее время для всех крупных животных служит одна а б о р а (коровник). Как и постройки земледельческого производства они подверглись реконструкции. Ныне а б о р а представляет собой четырехугольное, но удлиненное дощатое или кирпично-каменное сооружение с трех или четырехскатной крышей, покрытой шифером, толью и другими видами кровельного материала. Размеры полезной площади (в среднем 4×8 м) соответствует количеству имеющихся голов крупного рогатого скота. Она как и в прошлом состоит из нескольких отделений в зависимости от различия скота по возрасту и виду. В одном держат коров, в другом — телят, в третьем — бычков, в четвертом — буйволицу. Если хозяин имеет коня, то и для него он отгораживает уголок. Все отделения имеют ясли, в которые кладут корм для скота. А на чердаке коровника хранят сено, кукурузную шелуху и чалу. Тут следует отметить, что коровник имеет свой двор, в который загоняют скот или выгоняют из него на улицу через калитку, тогда как раньше все постройки животноводческого хозяйства в силу того, что необходимо было предохранять скот от воров, строили недалеко от дома и зачастую выход был только через двор жилища.

Незначительная по занимаемой ею площади (3×4 м) — а д ж м а т р а (дословно: «сооружение для коз») — постройка для 10—15 голов коз, располагается в основном внутри усадьбы, сравнительно далеко от жилых домов, но близко от одной из боковых оград приусадебной земли. Она как и другие сооружения животноводческого хозяйства семьи сохранила свою прежнюю форму, какую имела полвека назад. Но строительный материал некоторых ее частей существенно изменился. Столбы начали делать из железобетона,

[9] Ш. И н а л - И п а, Традиции и современность, Сухуми, 1973, стр. 22.

стены — из аккуратно тесанных досок, а ее двускатную или трехскатную крышу, стали покрывать шифером или железными листами. Аджматра как и в прошлом имеет два отделения; в одном держат коз, а во втором — козлят. Но, если семья наряду с козами имеет несколько голов овец, то для последних делают еще другое отделение или пускают в одно из них вместе с козами. Постройка для коз имеет маленький дворик, где скот размещается в летнее время.

Как правило, за боковой оградой участка и дальше всех хозяйственных построек стоит ахэатра (свинарник), стены которого строят из досок или шлакобетона. Крыша односкатная и покрывают свинарник чем угодно, но не папоротником и соломой, которыми крыли в прошлом. Перед свинарником стоит выдолбленное из древесины дуба, ореха, нередко и ольхи тяжелое корыто, в которое наливают корм для свиней, а чуть подальше находится другое корыто, но меньшее по объему. Оно предназначено для поросят .(Следует отметить, что в Бзыбской Абхазии до сих пор не разводят свиней, что объясняется уважением к старикам, считающимися мусульманами).

Домашние птицы по своей природе связаны с домом и курятник, который строят для содержания кур, индеек и других, располагается недалеко от задней площадки дома за оградой двора. Из всех элементов курятника изменению подверглась только крыша, которую часто покрывают также шифером. Основным кормом домашней птицы является кукуруза.

Вместе с изменениями, происшедшими за последнее время в элементах материальной культуры следует подчеркнуть, что все хозяйственные постройки, независимо от их реконструкции и назначения располагаются так, чтобы они не нарушали общий ансамбль жилых домов и двора, когда на них смотришь со стороны проезжей дороги и, главным образом, не мешали семье в санитарно-гигиеничном отношении.

Представил академик АН Грузинской ССР Г. Читая

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მაჭახლის ხეობა

საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები აუცილებელს ხდის მოსახლეობის მდინარეთა ხეობებში განლაგებას. ძველ საქართველოში ხეობა გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ერთეული იყო — შესაბამისი მეურნეობითა და ეკონომიური თავისებურებებით, სწორედ ამიტომ ცალკეულ ხეობათა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა არა მარტო დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს, არამედ ეს „აუცილებელიცაა სწორედ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ეოცტლად ხორცშესხმელად წარმოდგენისათვის“ (ნ. ბერძენიშვილი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ ხეობათა შესწავლა პროფ. ს. მაკალათიას გარდაცვალების შემდეგ არსებითად წინ აღარ წასულა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ნოდარ კახიძის ახლახან გამოსული წიგნი „მაჭახლის ხეობა“ (გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1974).

ვის არ სმენია მაჭახლის წარმტაცი ხეობის შესახებ, რომელსაც მდიდარი ისტორიული წარსული და საინტერესო ყოფითი თავისებურებანი აქვს. ადგილობრივი უძველესი (XII ს.) ისტორიული დოკუმენტია „მაჭახლის ხეობის სულთა მატიანე“, რომელშიც ფასდაუდებელი მასალაა ხეობის ონომასტიკასა და ტოპონიმიკაზე. სარეცენზიო წიგნის ავტორი მატიანეში მოხსენიებულ გვარებსა და ადგილთა დასახელებებს თანამედროვე ყოფაში უძებნის ანალოგებს, რისი მეოხებითაც ნათელი ხდება, რომ მიუხედავად საშინელი ისტორიული ძალლმდებობისა ადგილობრივმა მეხოვრებლებმა თავისთავადობა მაინც შეინარჩუნეს.

მაჭახლის ხეობის ძველი დროიდანვე დაწინაურებასა და ეკონომიურ კეთილდღეობაზე მეტყველებს მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლები (ციხესიმაგრეები, ციხესიმაგრეები, ქვის თაღოვანი ხიდები, ქვითკირით ნაშენი საწმენდები, მარნები და სხვ.).

მაჭახლი შავიზღვისპირეთისა და ჭოროხის ზედა მხარეების დამაკავშირებელი სტრატეგიული ადგილი იყო, სწორედ ამით აიხსნება იქ თავდაცვით ნაგებობათა და ხიდების სიმრავლე. მიუხედავად ხანდაზმულობისა ქვითკირის თაღოვანი უძველესი ხიდები ისევ წარბმეუხვრელად დგანან და დღეკანდელი ტრანსპორტის სიმძიმეს წარმატებით იტანენ.

XVII ს-ის პირველ მეოთხედში სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა დაიპყრო. ამავე ხანაში მტერმა ლაზეთი და აჭარა-მაჭახლიც მიიტაცა. ასე იქცა მაჭახლი ოსმალეთის სანჯაყად და საქართველოს მოწყვეტილი სამსაუკუნოვან უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. აგვკარად, ზედა მაჭახელი თურქეთმა იგდო ხელთ, ხოლო ქვედა მაჭახელი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოციალისტური ცხოვრების გზას დაადგა.

ავტორი საგანგებოდ განიხილავს საკელეი რეგიონის სამეურნეო ყოფას, ბაზს უსვამს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზურ ხასიათს: „აქაურ მიწათმოქმედს არ შეეძლო ყოფნა მესაქონლეობის გარეშე და მესაქონლეს მიწათმოქმედების გარეშე. ამ შემთხვევაში მიწათმოქმედება, როგორც მესაქონლეობის თავისებური ბაზა (საქონლის საკვები უზრუნველყოფა), ხოლო თავის მხრივ მესაქონლეობა კი მიწათმოქმედებისათვის ხელშემწყობი პირობა (გამწევი ძალა, ორგანული სასუქი და სხვ.). მეურნეობის სხვა დარგები დაუმბარე ხასიათს ატარებდა“ (ვე. 36). ამ სწორი მიდგომის შედეგია, რომ ჩვენეული კარგად ახერხებს ხეობის მეურნეობის ნიუანსურ თავისებურებათა შედარებით სრული სურათის მოცემას. მოკლედ, მაგრამ საქმის ცოდნით განიხილავს მემინდვრეობის ცალკეულ კულტურათა ვერტიკალურ ზონალობაში განლაგების სისტემას, თესლბრუნვას, ახოს აღებას, ნიადაგის შერჩევის, დაცვა-დატრასებისა და გნოიერების ეფექტურ წესებს, მიწის დამუშავებისა და მოსავლის გადასაშენებელ, თავის დროისათვის, მაღალგანვითარებულ ტექნიკას, შრომის ორგანიზაციის ფორმებსა და სხვ.

მაჭახლის ხეობაში, ისევე როგორც მთელ აჭარაში, ძველად გაბატონებული ყოფილა მაღლარი მევენახეობა, რაც განპირობებული იყო ადგილობრივი ბუნებრივ-სამეურნეო პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებით (ნესტიანი ჰაეა, მიწის სიმცირე და სხვ.). მეღვინეობის მაღალი დონის მიჩვენებელია ქვითკირით ნაგები მარნები, კლდეში ნაკვეთი საწნახლები და მრავალი ქვევრი, რომელთა ნაწილმა დღემდე მოაღწია.

მესაქონლეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მაჰახლის ხეობის მეცხოვრებთა საქმიანობაში. მხარის ბუნებრივ პირობებს კარგად იყო შეგუებული ადგილობრივი ჯიშის მომცრო ტანის მსხვილფეხა საქონელი, რომელიც მაღალი წველადობით და რძის ცხიმიანობით გამოირჩეოდა. აშენებდნენ ცხენს, ხოსს და ცხვარს. სელ-ანნაფთან ერთად მატყლი მოსახლეობის შემოსვის უმთავრესი საშუალება იყო.

განვითარებული იყო მეფუტკრეობა, რომლის პროდუქტები (თაფლი, ცვილი) მაღალი ღირსებით გამოირჩეოდა და მეცხოვრებთა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ხელოსნობის დარგებიდან დაწინაურებული იყო მჭედლობა, მეტადრე სოფ. ზედა ჩხუტუნეთში, ცხემლარში, ხერთვისსა და ეფრატში. მჭედლობა შემკედრეულობით გადადიოდა. ამზადებდნენ სასოფლო-სამეურნეო და საბრძოლო იარაღებს. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის საუკეთესო ოსტატები იყვნენ ზედა ჩხუტუნეთსა და ხერთვის-ქალთარეთში. ოსტატები არა მარტო საბრძოლო იარაღებს, არამედ მათ დასამზადებელ ხელსაწყოებსაც თვითონვე აკეთებდნენ. განსაკუთრებით გაითქვა სახელი მათმა ნახელავმა თოფმა, რომელიც „მაჰახელას“ სახელწოდებითაა ცნობილი. მოწონებთან სარგებლობდა მაჰახელური დამბაჩები, ჩმლები, სატეგრები და სხვ. იარაღს ამკობდნენ სვეადითა და ზარნიშით.

ფეიქრობის, მეთუნეობის, ხის დამუშავების და სხვ. ნაწარმი მეცხოვრებთა ყოველდღიურ მოთხოვნასაც აკმაყოფილებდა და მეზობელ თემებშიც გაჰქონდათ.

წიგნის მეორე ნაწილი მიძღვნილია მაჰახლის ხეობის თანამედროვე ყოფისა და კულტურისადმი. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო, ისტორიული ძნელებდობის გამო, მრავალტანჯული კუთხის ძირეული გარდაქმნა. უბიერველეს ყოველისა გიიხსნა სკოლებისა და კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელი. განხორციელდა მშრომელთა უფასო სამედიცინო მომსახურება. სამოქმედებელო კოოპერაციის მეშვეობით მოგვაყოა მოსახლეობის პირველი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა. აჭარელი ქალი თამამად გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. აჭარის სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დაგვიმგვანება იყო მხარის კოლექტივიზაცია, რომელიც 30-ან წლებში ეტაპობრივად განხორციელდა. აჭარის სოფელმა სახე იცვალა, ჩაი, ციტრუსები, ვაზი, თამბაქო და სხვა კულტურები მშრომელთა კეთილდღეობის წყაროდ იქცნენ. დღეს განახლებული აჭარა საბჭოთა საქართველოს ერთერთი მოწინავე, თვალსაჩინოდ დაწინაურებული კუთხეა. საერთოდ აჭარამ და სახელდობრ მაჰახლის ხეობამ სამშობლოს მრავალი გამოჩენილი ადამიანი მისცა.

წიგნში მაჰახლის ხეობის წარსული და აწმყო თანაბარი სისრულითაა დახატული. ყველგან ჩანს ეთნოგრაფის მახვილი თვალი, ეაცოცხლებულია მრავალი ყოფითი დეტალი. ეფიქრობთ, ნაშრომი მოიგებდა დღევანდელობის ჩვენების დროს თუ სოციოლოგიური კვლევის ელემენტებს მოვიმარჯვებდით და ყურადღებას გავამახვილებდით მთის სოფლის პრობლემატიკაზე, რაც ასე მწვავედ დგას ჩვენში.

უმჯობესი იყო დიფერენცირებულად წარმოგვედგინა მარცვლეული და ტექნიკური კულტურები, ავრეთვე მებოსტნეობა.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით მთელი 15—20 დღით განსხვავებულია მარცვლეულის თესვის ვადები, „მოსავალი კი თანაბარ დროში ასწრებს დამწიფებას“ — წერს ავტორი (გვ. 39). თუ ეს ასეა საჭიროა მიზეზთა ახსნა.

ვერ გავიზიარებთ ავტორის შემდეგ მოსაზრებას: „დაბლარი ვენახის განვითარებისათვის ვერც აქაური, შედარებით ხანგრძლივი და ცივი ზამთარი იქნებოდა ხელსაყრელი. მაღლარის ჯიში კი მკაცრი ზამთრის პირობებსაც ადვილად იტანს“ (გვ. 45). დიდთოვლიან, ხანგრძლივ და ცივ ზამთარს დაბლარი უკეთ უძღებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვაზი თოვლქვეშ ეწმცევა და ყინვისაგან უკეთაა დაცული, ხოლო ზევით დარჩენილი მაღალი ვაზი ხშირად სიცივის მსხვერპლი ხდება.

დაბოლოს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო წიგნის დაბეჭდვით გამოცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ სასარგებლო საქმე გააკეთა. იმედია, იგი მსგავს ნაშრომთა გამოქვეყნებით კლავე გაამდიდრებს ჩვენს ეთნოგრაფიულ და მხარეთმცოდნეობით ლიტერატურას.

ლევან ფრუიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თურქი ისტორიკოსის მ. ფაჰრ ად-დინ კირზიოღლუს „ყარსის ისტორია“

თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ოსმალეთის იმპერიის ისტორიის საკითხების კვლევასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული ვილაიეთების (პროვინციების), მათი ცენტრალური ქალაქებისა და მისი მომიჯნავე ტერიტორიების მონოგრაფიულ შესწავლას. თანამედროვე თურქი ისტორიკოსები დიდი ინტერესით ეკიდებიან ოსმალეთის იმპერიის ცალკეული ქალაქებისა და ოლქების ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე, ისტორიულ ასპექტში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილავენ მათ ისტორიას, ამასთან ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ახალ და უახლეს პერიოდზე. ამ მხრივ **გამოწაკლისია მ. ფაჰრ ად-დინ კირზიოღლუს „ყარსის ისტორიის“** პირველი ტომი, რომელშიც ფართოდაა მსჯელობა ყარსისა და მისი ოლქის ისტორიაზე უძველესი დროიდან ვიდრე XVI ს-ის 30-იან წლებამდე. ავტორი ნაშრომის შესავალ ნაწილში მიუთითებს, რომ მას დასაბუქდად გამზადებული აქვს „ყარსის ისტორიის“ ოთხი ტომი. ამათგან პირველი ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს — ქვის ხანიდან 1534 წლამდე. სხვა ტომები ჯერჯერობით არ არის გამოქვეყნებული.

ავტორის ვარაუდით, „ყარსის ისტორიის“ II—IV ტომებში ქრონოლოგიური ჩარჩოები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: მეორე ტომში შესწავლილია 1534—1800 წლების ყარსის ისტორია, მესამე ტომი მოიცავს პერიოდს 1801 წლიდან ვიდრე 1877 წლამდე, ხოლო მეოთხე ტომში კი ვათვალისწინებულია 1877—1921 წლების ყარსის ისტორია. ყველა ამ ტომიდან ქრონიკების სახით მნიშვნელოვანი ეპიზოდების მოკლე ანოტაცია დამატებად ერთვის ყარსის ისტორიის პირველ ტომს. ავტორისავე განცხადებით, იგი პირველს ყარსის ისტორიის მეხუთე ტომის დაწერასაც, სადაც, ალბათ, უახლესი ისტორიის საკითხებზე ექნება მსჯელობა.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება წინასიტყვაობისა და რვა თავისაგან. წინასიტყვაობაში ავტორი საგანგებოდ ჩამოთვლის მის მიერ 1945—1946 წლებში დაბეჭდილ საგაზეთო სტატიებს, ცალკეულ წერილებსა თუ ბროშურებს, რომლებიც სპეციალურად მიძღვნილია ყარსის ვილაიეთისა თუ სამხრეთ საქართველოს პროვინციებისადმი (გვ. XIII—XIV).

ავტორი წინასიტყვაობაში ჩამოთვლის ყარსის ისტორიის ძირითად ნარატიულ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურას. მასში არაერთ საინტერესო დოკუმენტურ წყაროსა და საარქივო მასალას ეხვდებით, რომლებიც დღეს თურქეთის არქივებში ინახება და ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. მითითებულია რამდენიმე დავთარი, რომელიც ყარსისა და მისი მიმიჯნავე ვილაიეთებისათვის იყო თავის დროზე შედგენილი და დღეს საუკეთესო წყაროდ ითვლება აღნიშნულ მხარეთა ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად.

ამავე წინასიტყვაობაში ავტორი საგანგებოდ განიხილავს ყარსის პროვინციის გეოგრაფიულ განლაგებას, მის საზღვრებს, მდინარეებს, ტბებს, მოსახლეობას, ეკონომიურ ცხოვრებას და სხვა საკითხებს. აქვე მსჯელობს ტოპონიმ ყარსის ეტიმოლოგიის საკითხზეც.

მონოგრაფიის პირველ თავში ავტორი ეხება ყარსის ისტორიის უძველეს ხანას, კერძოდ, ძვ. წ. მეოთხე ათასწლეულიდან ვიდრე ძვ. წ. 650 წლამდე (გვ. 17—65). მისი სიტყვით, ეს პერიოდი იწყება ქვის ხანიდან და გრძელდება ე. წ. საქას თურქული ტომის გამოჩენამდე. მეორე თავში ერცელდ გადმოგვცემს ავტორი ძვ. წ. 650—120 წწ. ამბებს (გვ. 66—134). საგანგებოდ მიუთითებს კიმერიელთა თავდასხმებსა და პირველი თურქული ტომის ე. წ. საქას ტომის ჩამოსახლებაზე ყარსის პროვინციებში, ეხება მათ ენას, სარწმუნოებას, სახელმწიფოს...

მესამე თავში განხილულია ძველი ოღუზების ხანა. ავტორს ძველი ოღუზები გაიგივებული ჰყავს არშაკიანებთან. ქრონოლოგიურად ძველი ოღუზებიდან ისლამის გავრცელებამდე პერიოდია შესწავლილი ამ თავში. იგი მოიცავს პერიოდს ძვ. წ. 120 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 646 წლამდე (გვ. 135—211). ავტორი ეხება არშაკიანთა სახელმწიფოს დაარსების საკითხს. იგი თვლის, რომ არშაკიანები, იგივე ოღუზები არაქს-ტაკვრის აუზში დამკვიდრებული ხალხია. განიხილავს ყარსის რაიონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსახლებულ ტომებს, არშაკიანთა და რომაელთა ურთიერთობას, ყარსის აღმოსავლეთით დაფუძნებულ მცირე არშაკიანთა სახელმწიფოს. აქვე ავტორი ფართოდ ეხება ყარსის რეგიონში ჩამოსახლებულ ხალხთა ურთიერთობას გარეპოლიტიკურ სამყაროსთან, სასანიანთა ირანთან, რომაელებთან, კავკასიის ხალხებთან და სხვ.

მეოთხე თავში განხილულია ყარსის ისტორია ისლამის დამკვიდრებიდან ვიდრე ყარსის რაიონში სელჩუკთა გამოჩენამდე (645 წლიდან — 1045 წლამდე). აქ ავტორი არაერთ საინტერესო საკითხს ეხება: განიხილავს არაბი ხალიფების ლაშქრობებს, ომაელთა დაპყრობთა ომებს, აბასიანთა დროინდელ ყარსის ვითარებას, ერცლად ეხება ყარსისა და ანისის ბაგრატიონთა სამეფოს ისტორიას, მათ ურთიერთობას ქართველ ბაგრატიონებთან, ღვინის საამოროს და სხვ.

ავტორი მომდევნო თავში დაწვრილებით განიხილავს ყარსისა და მისი მომიჯნავე ტერიტორიების ისტორიას სელჩუკთა ხანაში, იგი ყარსის ურთიერთობას სელჩუკებთან 1045—1239 წლებით შემოფარგლავს (გვ. 308—431). კირზიოღლუ ფართოდ იყენებს სომხური წყაროების მონაცემებს, მოკლედ ეხება ანისის სამეფოს დასასრულისა და ბიზანტიელთა ლაშქრობების საკითხს ამ ტერიტორიებზე, ბიზანტიელთა ოცწლიან ბატონობას, ყარსარუმის პროვინციებში სელჩუკთა და ბიზანტიელთა ბრძოლებს, მის შედეგებს და სხვ. ავტორი სავანგებოდ ეხება ბიზანტიელთა და სელჩუკთა ურთიერთობაში ლიპარიტ ორბელიანის მონაწილეობას, მის დატყვევებას სელჩუკთა მიერ და ბიზანტიის იმპერატორის მცდელობას ლიპარიტის გამოსახსნელად. ავტორი აშკარა შეცდომის უშვებს, როდესაც აღნიშნავს, რომ ტუყვობიდან გამოხსნილი ლიპარიტი ბაგრატ IV-ის შვილთან — გიორგისთან ერთად ხორასანში ელჩად გაიგზავნა სულთანთან მეგობრობის დასადასტურებლად (გვ 326). საქმე ის არის, რომ არც ტუყვობიდან გამოხსნილი ლიპარიტი და არც ბაგრატ IV-ის შვილი — გიორგი ბიზანტიის იმპერატორს თოღრულ-ბეგთან ელჩად არ გუგზავნია, საამისო ცნობები წყაროებში არსად გვხვდება.

კირზიოღლუ აღნიშნავს, რომ ტუყვობიდან გამოხსნილმა ლიპარიტმა ბერძენთა ძალებთან როდესაც ქართველთა მეფის წინააღმდეგ გალაშქრა, მთელი რიგი პროვინციების მოთხრების შემდეგ თითქოს ბაგრატ IV დაატყვევა და ხელ-ფეხ შეკრული ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა და თვითონ მთელი საქართველოს გამეგებელი გახდა. სინამდვილეში, ლიპარიტმა, მართალია, დაამარცხა ბაგრატ IV-ის ძალები, მაგრამ იგი არ დაუტყვევებია, მან ბაგრატ IV აიძულა საქართველო დაეტოვებინა და იმპერატორთან წასულიყო დახმარების მისაღებად. მართალია, ბაგრატ IV-ის დამარცხებით ლიპარიტის ძალაუფლება გაიზარდა, მაგრამ მას ხელი არ მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოზე, აფხაზეთზე. ბაგრატ IV იმპერატორთან გამგზავრების წინ თავისი შვილი დასავლეთ საქართველოში გამოაცხადა მეფედ.

ავტორი დაწვრილებით გადმოსცემს სელჩუკთა დაპყრობებს ამიერკავკასიაში 1054—1055 წლებში, ბიზანტიის მდგომარეობას, ანისის ვითარებას, საქართველოს ტერიტორიაზე სელჩუკთა თარეშს, ლიპარიტ ორბელიანისა და მისი შვილის იენეს დამოკიდებულებას მათთან, იენეს მეგზურობას ჭანეთის მიმართულებით. ამ საკითხებზე მსჯელობისას ავტორს მოაქვს ზოგიერთი ახალი და უცნობი წყაროს მონაცემები.

კირზიოღლუ წყაროების ანალიზის საფუძველზე ფართოდ მსჯელობს ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში პირველი ლაშქრობის შესახებ. კირზიოღლუ აღნიშნავს, რომ ალფ-არსლანმა ბაგრატ IV-თან მოლაპარაკების დროს, ამ უკანასკნელს როდესაც მოსთხოვა სჯულის დათმობა ან ჯიზიას გადახდა, თითქოს ბაგრატმა ჯიზია იკისრა (გვ. 336). საქმე ის არის, რომ ბაგრატ IV-ს ალფ-არსლანთან მოლაპარაკებისას არც ჯიზია უკისრია და არც სჯული გამოუცვლია. ალფ-არსლანი ისე წავიდა საქართველოდან, რომ ბაგრატ IV-გან გარკვეული პასუხი არ მიუღია. არც ალფ-არსლანს მეორე ლაშქრობის დროს მიუღია ბაგრატ IV-ს ჯიზია.

კირზიოღლუ ერცლად გადმოგვცემს ალფ-არსლანის საქმიანობას საქართველოში, მის გამგზავრებას ანისისაკენ. კირზიოღლუ აღნიშნავს ალფ-არსლანის პირველი ლაშქრობის დროს მის განკარგულებაში გადასული ქვეყნების სახელოვნებს. მისი მტკიცებით, ალფ-არსლანის პირველი ლაშქრობის შედეგად სელჩუკთა ხელში გადადიოდა მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, ლორე-ტაშორის სამეფო და სხვ.

ცხადია, კირზიოღლუ ძალიან აზვიადებს ალფ-არსლანის ლაშქრობისა და მის მიერ დაკავებული ტერიტორიების რეგიონს. წყაროების მონაცემებით აშკარაა, რომ ალფ-არსლანი პირველი ლაშქრობის დროს სერთოდ არ გადასულა დასავლეთ საქართველოში, იგი მხოლოდ სამხრეთ საქართველოს მორბეგეთთა და ქართლში მცირე ხნის თარეშით დაკმაყოფილდა.

საინტერესოა ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს 1064 წ. როდესაც სელჩუკებმა ანისი დაიპყრეს, საფუძველი დაუდვეს პირველ თურქულ ბეილიქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირჩიოღლუ ფართოდ წარმოგვიდგენს ალფ-არსლანის მეორე ლაშქრობას მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში. ამ შემთხვევაში იგი ძირითადად ჰუსეინის თხზულებას ეყრდნობა. კირჩიოღლუ მიუთითებს, რომ სელჩუკებმა ილაშქრეს დასავლეთ საქართველოში და კალათ ულ-სალიბამდე მივიდნენ, ხოლო ეს ციხე დიდი მეცადინეობის შემდეგ აიღო ნიზამ ალ-მულქმა (გვ. 350). აქვე ავტორი არკვევს კალათ ულ-სალიბის ადგილმდებარეობას და აღნიშნავს, რომ იგი სალიარტიანოს ციხეა და მდებარეობს ქუთაისის დასავლეთით, მდ. რიონის მარჯვენა შენაკადის — ცხენისწყლისა და ტეხურის აუზში.

ჯერ ერთი კალათ ულ-სალიბი ქართულად ნიშნავს „ჯვრის ციხეს“, რომელიც სელჩუკებმა ვერ აიღეს. ამ ციხის აუღებლობის გამო სელჩუკებმა დასავლეთით გზა ვეღარ განაგრძეს. ეს ციხე იყო უკანასკნელი პუნქტი ალფ-არსლანის ლაშქრისთვის. სელჩუკები დასავლეთ საქართველოში არ გადასულან და სალიარტიანომდე, რა თქმა უნდა, ვერც მივიდოდნენ. კალათ ულ-სალიბი, იგივე „ჯვრის ციხე“, ქართული წყაროების მონაცემებით, სვერის ციხეა და არა სალიარტიანოს ციხე. სვერის ციხე კი ერთგვარი კედელი იყო, რომელიც სელჩუკების წინ აღიმართა დასავლეთ საქართველოში ლაშქრობისას. ალფ-არსლანის ამ ლაშქრობის დროს ვიმეორთ მოლაპარაკება სულთანსა და ბაგრატ IV-ს შორის, მაგრამ რაიმე რეალური პირობა რომელიმე მხარის ვალდებულების შესახებ არ დადებულა. კირჩიოღლუ კი პირდაპირ მიუთითებს, რომ სულთანმა ბაგრატ IV-ს ჯიზია დააკისრაო, რაც არაა სწორი.

კირჩიოღლუ გადმოგვცემს მანასკერტის ბრძოლის შემდეგ შექმნილ ვითარებას საქართველოსა და მის სამხრეთ რაიონებში, ერკლიდ ეხება ამირ აჰმედის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს საქართველოში, ჩამოთვლის მის მიერ მოოხრებულ ადგილებს. აღნიშნავს ყარსი აღებას. ამირ აჰმედმა ოლთისი და არბრუში გრიგორ ბაკურიანს წაართვა და სათავე დაუდო სალთუკიანთა დინასტიას. 1080 წ. მტკვრის ზემო წელის, ყარსის, არბრუშისა და ოლთისის რაიონების საბოლოოდ დაკავების შემდეგ ამირ აჰმედი ჭოროხის ხეობაშიც გადავიდა და აკარის ტერიტორიაზეც წარმატებით აწარმოებდა ბრძოლებს. კირჩიოღლუ თურქული ტომების მოძალებისა და ამირ აჰმედის მიერ საქართველოში წარმოებული ბრძოლების აღწერისას ფართოდ იყენებს ქართული ნარატიული წყაროების მონაცემებს.

კირჩიოღლუ ჩამოთვლის მთელ რიგ პუნქტებს: ახალციხეს, შავშეთს, არტანუჯს, აკარასა და ქუთაისის რაიონებს, სადაც თურქული ტომები ჩამოსახლდნენ და საგანგებოდ მიუთითებს, რომ ეს ადგილები 44 წლის განმავლობაში (1080 წლიდან 1124 წლამდე) სელჩუკთა გამგებლობაში იყო. ყიენაღთა 40 000 ლაშქრის თბილისსა და ანისზე თავდასხმამდე აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს მოწყვეტილი იყო (გვ. 357).

ამრიგად, კირჩიოღლუს ვარაუდით, 1080 წ. საქართველოში დაწყებული ე. წ. „დიდი თურქობის“ დროიდან მოკიდებული ვიდრე დიდგორის ბრძოლამდე თითქმის მთელი საქართველო თურქთა ბატონობის ქვეშ ყოფილა მოქცეული. სინამდვილეში ამ პერიოდში მართალია თურქთა მასიური ჩამოსახლებას და დამკვიდრებას ჰქონდა ადგილი ქართულ ტერიტორიებზე, მაგრამ ქართული სახელმწიფო არსებობდა, იგი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და გრაკეველი, წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით, დავით აღმაშენებლის მეთაურობით თანდათანობით ერეკებოდა საქართველოში ჩამოსახლებულ თურქულ ტომებს. მართალია, 80-იან წლებში ძმიმე მდგომარეობა შეიქმნა თურქთა ჩამოსახლებით, მაგრამ ამ პერიოდში მხოლოდ დროებითი ხარკის გადახდით დაკმაყოფილდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება და სრული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით შეუდგა მოძობარე თურქული ტომების განდევნას საქართველოს ტერიტორიიდან. დიდგორის ბრძოლა კი ქართული სამეფო ხელისუფლების ჩანაფიქრის — ჩამოსახლებული ტომების საქართველოდან საბოლოო განდევნის — დაგვირგვინება იყო.

კირჩიოღლუ ცალკე გამოყოფს საკითხს ანისის შედგენასთა დინასტიის გამგებლობაზე, ანისისადმი საქართველოს სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულებაზე. იგი მიუთითებს, რომ ივანე და ზაქარია მხარგრძელებმა ანისი საბოლოოდ 1200 წ. დაიპყრეს, შედგენათა დინასტია მოსპეს, ანისის უკანასკნელი ამირი შაჰინშაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს, ხოლო მისი ადგილი ივანე სარგისის ძეს დაიკავა. გარდა ამისა მათ საქართველოს დაუმორჩილეს არანი, დვინი, ყარსისა და ვაღაშკერტის რაიონები (გვ. 372). შემდეგ კირჩიოღლუ ცალკე სწავლობს არბრუშსა და ყარსში სალთუკიანთა გამგებლობას. ყიენაღების მტკვარ-ჭოროხის აუზებში დამკვიდრებასა და მათ მიერ ანისისა და ყარსის განადგურებას.

ავტორი ერცოდან ჩერდება დავით აღმაშენებლის მიერ ყიენაღთა ძალების ჩამოყვანაზე, მათთან წარმოგებულ პირველ მოლაპარაკებასა და დაახლოებაზე. სელჩუკებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი ძალიან აზვიადებს ყიენაღთა როლს. მისი მტკიცებით, დავით აღმაშენებლის ღონისძიებათა წარმატების მიზეზი მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყივჩაღთა ძალების მოშველიება იყო. ჩამოსახლებული სელჩუკების წინააღმდეგ დაეთი აღმშენებლის მიერ წარმოებულ ომებს კირჩიოღლეუ თვლის ყივჩაღთა ბრძოლებად. იგი თითქმის არაფერს ამბობს დიდგორის ომის შესახებ. კირჩიოღლეუ მიუთითებს, რომ ყივჩაღებმა მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული თურქმანები დახოცეს ან ტყვედ წაასხეს და მათ ბატონობას ბოლო მოუღეს. სანტერესოა ავტორის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ქართველებმა ჯორეხის აუზში, ოლთისის და ისპირის რაიონებში ყივჩაღები თავიანთი ოჯახებით ჩაასახლეს. იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ 1080 წლიდან ანისამდე და აჩაზრუმამდე ახსებული ჯავახეთის, არტაანისა და კოლას ტერიტორიები სელჩუკთა ხელში იყო, ხოლო 1124 წლიდან კი ყივჩაღთა ხელში გადაეიდამ. აქ, ალბათ, ავტორი დიდგორის ომის შედეგებს გულისხმობს. ცხადია, ყივჩაღთა ხელში გადასვლა ნიშნავდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების ხელში გადასვლას, მაგრამ ეს ტერიტორიები მანამდეც ქართველთა ხელში იყო, იქ მხოლოდ ჩამოსახლებული იყვნენ სელჩუკები, რომელთაც თანდათანობით, მეთოდურად ერეკებოდა დაეთი აღმაშენებელი გამეფების პირველი დღეებიდანვე.

კირჩიოღლეუ შედარებით ვრცლად წარმოგვიდგენს XI—XII სს-თა მიჯნაზე მიმდინარე მთელ რიგ პოლიტიკურ მოვლენებს ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში, ძირითადად მანეც ყარსისა და ანისის ისტორიის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. ქართველთა მიერ ყარსის აღება თარიღდ იგი 1207 წელს მიიჩნევს. ამ პერიოდის ყარსის ისტორიის წარმოსაჩენად იგი საგანგებოდ ანალიზებს ყარსის ტერატორიაზე არსებულ თურქულ წარწერებს, აქვე მოაქვს წარწერათა ტექსტები.

ყარსის ისტორიას ავტორი წარმოგვიდგენს ხლათის არმეშოპების გამგებლობასთან დაკავშირებით. ხაზს უსვამს XII ს-ის 60-იან წლებში ქართველთა ლაშქრის თავდასხმას ოლთისის, აღზეანისა და სურმარის რაიონში, ანისისათვის წარმოებულ ბრძოლებს და სალთუკიანთა და შედადიანთა დინასტიების დასასრულს. ავტორი ქართველთა ლაშქრის ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ მსჯელობისას უსათუოდ მიუთითებს ყივჩაღთა სამხედრო ძალების დამსახურებაზე. იგი ქართველ-ყივჩაღთა ლაშქარს ყოველთვის ერთად ახსენებს და ამა თუ იმ ღონისძიებაში ყივჩაღებს ანიჭებს პრიორიტეტს.

1161 წ. ქართველთა მიერ ანისისათვის წარმოებული ბრძოლების შესახებ მსჯელობისას იგი იშველიებს ქართული თუ აღმოსავლური წყაროების სინტეზისო მონაცემებს. ასევე ფართოდ მსჯელობს ავტორი ქართველთა მეფის მიერ 1162 წ. დვინის აღებაზე, ალდგეგიზიანთა ათაბაგთან წარმოებულ ხანგრძლივ ბრძოლებზე. საამისოდ ავტორს მეტად სანტეტრესო და ორიგინალური ცნობები მოაქვს აღმოსავლური წყაროებიდან. ეს მონაცემები მნიშვნელოვნად ავსებენ ქართული წყაროების ცნობებს XII ს-ის 60—70-იან წლებში საქართველოს ალდგეგიზიანთა სათაბაგოსთან ურთიერთობის ცალკეულ მომენტებზე.

კირჩიოღლეუ ბენეფიციალ ერკვევა საქართველოს ისტორიის საკითხებში; იგი იყენებს ქართული წყაროების მონაცემებს და უკერებს მას აღმოსავლური წყაროების სათანადო ცნობებს, ბევრ შემთხვევაში სრულიად ორიგინალურ ცნობებსაც. მაგრამ აკეთებს მცდარ დასკვნებს. ავტორი ფართოდ მსჯელობს გიორგი III-ის დროს შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხებზე, ქვეყნის წარჩინებულების ურთიერთობებზე მეზობელ მუსლიმანურ პოლიტიკურ ერთეულთა მეთაურებთან, მათ პოლიტიკურ ზრახვებზე. ასევე მსჯელობს ავტორი თამარზე და თამარის ხანის საქართველოს ისტორიაზე, თამარის დაპყრობით ომებზე, აღნიშნავს თუ რა ძმძე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მის დროს საქართველოს მეზობელი მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულები. იგი თამარის მეფობის პერიოდს „ოქროს ხანას“ უწოდებს.

კირჩიოღლეუ საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ დაეთი აღმშენებლის დროს ჩამოყალიბული ყივჩაღები დასახლებულ იქნენ სელჩუკთაგან განთავისუფლებულ თბილისში, არტანისა და ახალციხის რაიონებში, მტკვრისა და ჯორეხის აუზებში. ამ პერიოდში ჩამოსახლებულ ყივჩაღებს ქართულ მატიანეებში „ძველი ყივჩაღები“ ეწოდებოდა, ხოლო თამარის დროს ახლად ჩამოსახლებულ ყივჩაღებს კი — „ახალი ყივჩაღები“ (გვ. 407). ავტორი ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ ყივჩაღთა ჩამოსახლება საქართველოში დაეთი აღმშენებლიდან მოკიდებული განუწყვეტელი პროცესი იყო და ისინი გაძდეენილი სელჩუკების ადგილს იკავებდნენ საქართველოში. ავტორი უფრო შორსაც მიდის. ნაშრომის შემდეგ თავებში წითელი ზოლივით გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ მთელი სამხრეთი საქართველო — სამცხე-საათაბაგო, ჯაყელების სამფლობელო ყივჩაღთა ტომებისგან შედგებოდა, ადგილობრივი მკვიდრნი წარმოშობით ყივჩაღები იყვნენ და არაფერი ჰქონდათ საერთო ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან. იგი ჯაყელების შესახებ მსჯელობისას ერთად ხმარობს სიტყვებს ჯაყელ-ყივჩაღები. ასევე ხშირად ხმარობს ტერმინს ბაგრატიონ-ყივჩაღთა ლაშქარი, ქართველ-ყივჩაღთა ლაშქარი, ქართველ-ყივჩაღთა სამეფო, რაც მეტად უცნაურად ეღერს და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი სომხური და ქართული წყაროების მონაცემების მიხედვით საკანგებოდ იკვლევს მხარგრძელთა წარმომავლობას, მათ ისტორიას. თამარის დროის საქართველოს სიძლიერეზე მსჯელობისას საკანგებოდ უსვამს ხაზს მცირე აზიის სელჩუკი სულთნის რუქნ ად-დინ სულეიმანშაპის საქმიანობას (1196—1204), მის მიერ არზრუმის, ყარსისა და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტების დაკავების და სამზადისს საქართველოს წინააღმდეგ. მოკლედ გადმოსცემს ბასიანის ომის მსვლელობას, ამასთანავე ზუსტად მიუთითებს ბასიანის ბრძოლის თარიღს. მისი აზრით, ბასიანის ბრძოლა მოხდა 1202 წლის 23—31 ივლისს. იგი სამოსოდ წყაროსაც უთითებს.

ავტორი დაწერილებით გადმოსცემს საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სამხედრო ექსპედიციებს. აქვე საკანგებოდ იხილავს მხარგრძელთა ანისსა და ყარსში გამგებლობის საკითხს, თამარის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრეების — ლაშა გიორგისა და რუსუდანის საქმიანობას, საქართველოსა და ამირეკავკასიაში ხვარაზმელთა ლაშქრობებს. ეხება რა გარნანის ომში ქართველთა დამარცხებას, კირზიოღლუ ამაყოფილებით აღნიშნავს, რომ მანამდე ქართველთა მიერ ჩატარებული წარმატებული ლაშქრობანი გარნანის ბრძოლის შედეგმა გამოისყიდაო (გვ. 427—428).

კირზიოღლუ ეხება აგრეთვე ალა ად-დინ ქეიყობადის (1219—1237) საქართველოში ლაშქრობასაც, მოლაპარაკებას რუსუდან დედოფალთან და მუნეჯიმ-ბაშის ცნობაზე დაყრდნობით, ჩამოთვლის ზავის პირობებს. კერძოდ, ზავის პირობები ითვალისწინებდა: **1**. რუსუდანის ქალიშვილი — თამარისა და ალა ად-დინ ქეიყობადის შვილის — ერზინჯანის გამგებლის ყიას ად-დინ ქეიხუსრევის ქორწინებას, **2**. დედოფლის ერთადერთი ძმისშვილის — ლაშა გიორგის ძის — დავითის მძევლად ყოფნას კონიაში. **3**. საქართველოს სამეფოს სელჩუკებისადმი მორჩილების ცნობას.

ნაშრომის მეექვსე თავში ავტორი სწავლობს 1239—1534 წლების ამირეკავკასიისა და მცირე აზიის ისტორიას. საგანგებო ჩერდება მონღოლთა შემოსევებზე, მონღოლთა მიერ ანისის, ყარსისა და სუმბარის აღებაზე. აღწერს სომხეთისა და საქართველოს დაპყრობას მონღოლთა მიერ, ეხება ქოსე-დაღის ბრძოლას.

მონღოლთა შემოსევების შედეგად მთელს ამირკავკასიასა და მცირე აზიაში ცალკეული პოლიტიკური ერთეულები დაცემისა და დაქვეითების გზას დადგა. კირზიოღლუ ამ პერიოდის შესახებ როდესაც მსჯელობს, საგანგებოდ ეხება ილხანთა მმართველობას, ანისში მხარგრძელთა გამგებლობასა და სამცხის ათაბაგების საქმიანობას. იგი სამცხის ათაბაგებს ჯაყელთა ანუ ფოცხოველთა ყივჩაღებს ეძახის. ავტორი დაწერილებით ჩამოთვლის სამცხე-საათაბაგოს მთელ რიგ პუნქტებს, რომლებიც ილხანებს ექვემდებარებოდა XIV საუკუნის 50-იან წლებში და ილხანთა სახელმწიფოს ერთ-ერთ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენდა. მისი მტკიცებით, ილხან აბაღა-ხანის დროს (1265—1282) მთელი საქართველოს ვალი, დიდი ამირი ერინჯ ნონი ფოცხოველად, ჯაყელთა საგვარეულოდან გამოსული ყივჩაღთგანი იყო. ხოლო როგორც აღნიშნული გვქონდა, ჯაყელებს იგი ყივჩაღებს უწოდებს. საამისო საბუთი კი რა თქმა უნდა არ მოაქვს.

შემდეგ კირზიოღლუ მსჯელობს ჯაყელ-ყივჩაღთა დამოკიდებულებაზე მონღოლებთან. იგი დაწერილებით ჩამოთვლის იმ ტერიტორიებს, რომელიც დიმტრი II-ის დროს (1272—1289) ეჭირა ბეჭი I ჯაყელს. ბევრ შემთხვევაში დამახინჯებული აქვს ქართული გეოგრაფიული სახელები.

ავტორის მტკიცებით, ფოცხოვის ანუ ჯაყელთა ყივჩაღურ-თურქული სამეგო ჯაყელი ათაბაგების მეთაურობით 1268—1578 წლებში არსებობდა. ხოლო 1578 წ. ჩილდირის დაპყრობის შემდეგ იგი ალარ არსებობდა, მთელი მათი ტერიტორიები „ჩილდირის ეიალეთთა“ გახდა და „ჩილდირის ათაბაგებად“ იწოდებოდა. ისინი ყოველთვის ქართველ ბაგრატიონთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ და გარეშე მტრებს მეგზურობას უწევდნენ. იმისათვის, რომ ჯაყელთა ყივჩაღური წარმომავლობა დაამტკიცოს, კირზიოღლუ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში ალეკსანდრე მაკედონელის დროს მტკვრის ხეობაში ბუნდურქნი და ყივჩაღთა სახელით ცნობილი თურქული ტომი დამკვიდრდა. შემდეგ XII საუკუნეში კიდევ მოვიდნენ და მტკვრის სამხრეთით ჩამოსახლდნენ და გაერისტანდნენ. ყივჩაღები შემდეგაც მიდიოდნენ ამ ტერიტორიებზე, ამაღა ყაენის დროს კი ისინი „ჩილდირის ათაბაგებად“ იწოდებოდნენ. ამ პერიოდიდან დაიწყო მათი ისლამიზაცია... კირზიოღლუ ამ ყოველად უსუსური და უცნაური „დებულების“ გასამაგრებლად იშველიებს თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა გამოკვლევებს (ა.ჰმედ ზექი ველიდი თოგანი, მიჩზა ბალ.), რომლებიც თავისთავად არავითარ წყაროებს არ ეყრდნობიან. შემდეგ ავტორს აქვე მოაქვს სამცხის ათაბაგების გენეალოგიური ნუსხა, რომელიც გადმოცემულია 1914 წ. ქუთაისში დაბეჭდილი სოსო ასლანიშვილის წიგნიდან: „ძველი საქართველო სამცხე-საათაბაგო“.

კირზიოღლუ გადმოგვცემს ყარსის ისტორიას ილხანთა გადაშენების შემდეგ, ეხება ოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ურდოს დაპყრობებს, ჯალაირიანებს, ყარა-ყოიუნლუს მმართველობას, თემურ ლენგის დაპყრობებს და ანისის მდგომარეობას. ავტორი ჩამოთვლის 24 ტომის სახელებს, რომლებიც ყარსის რაიონსა და ამერიკაკავასიაში მომთაბარეობდნენ.

ავტორი მხედველობის გარეშე არ ტოვებს ყარა-ყოიუნლუს მესვეურთა საქმიანობასა და მათ ურთიერთობას ჩილდირის ათაბაგებთან. ასევე ეხება აყ-ყოიუნლუს მმართველობასა და მათ დასასრულს. სანტერესოა ავტორის მიერ მოტანილი საარქივო, სრულიად უცნობი, ახალი მასალები ტრაპიზონის ვალის უფლისწულ სელიმის ლაშქრობათა შესახებ საერთოდ ახლო-მახლო პროვინციებში და დასავლეთ საქართველოში (იმერეთში) კერძოდ. მას აღწერილი აქვს 1514 წლის ჩილდირანის ბრძოლა, მზეჭაბუკის ელჩობა ირანში.

ყარსის ისტორიის თხრობას კირზიოღლუ 1534 წლით ამთავრებს. მეშვიდე თავში, როგორც აღენიშნო, წიგნს დართული აქვს დამატება, რომელიც წარმოადგენს ჯერ გამოუქვეყნებელი ყარსის ისტორიის II და III ტომებიდან ამოკრეფილ მოკლე ქრონოლოგიურ ამონაწერებს და IV ტომის რეზიუმეს. აქ დართული მოკლე ქრონოლოგიური ამონაწერებიდან ჩანს, რომ ავტორს II—IV ტომებში შესწავლილი აქვს 1534—1921 წლების ყარსის ისტორია. აქვე გადმოსცემს სულეიმან კანუნის დროს (1520—1566) ყარსის პროვინციაში ჩატარებულ დაპყრობებს. სულეიმან კანუნის მოღვაწეობაში ავტორი გამოყოფს რამდენიმე თარიღს: 1534, 1548, 1549 და 1554—1555 წლებს. აღნიშნავს ამ წლებში ოსმალთა ლაშქრის მიერ ჩატარებულ ექსპედიციებს სამხრეთ საქართველოში, ურთიერთობას სამცხის ათაბაგებთან. მოაქვს უცნობი საარქივო მასალები, რომელთა მიხედვით, დაწერილებით აქვს ჩამოთვლილი თუ რა ადგილები მიიტაცეს ოსმალებმა 1549 წელს სამცხის ათაბაგებისაგან.

ცალკეა შესწავლილი ოსმალთა ლაშქრის საქმიანობა სამხრეთ საქართველოში სულთან მურად III-ის დროს (1574—1595). მოტანილია საინტერესო მონაცემები 1592 წლის „ჩილდირის ეიალეთის დავთრიდან“, რომელიც გამოუქვეყნებელია და თურქეთის არქივში ინახება. კირზიოღლუ ეხება ყარსის ვილაიეთის ისტორიას XVII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის დასწყისამდე, გვიჩვენებს თუ რას წარმოადგენდა ყარსის ვილაიეთი ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი მშვიდობიანი ურთიერთობის პერიოდში. იძლევა უცნობელ მოგზაურთა ცნობებს ყარსის შესახებ. XVII—XVIII სს-ის ყარსის ისტორიიდან გამოყოფილი აქვს უმნიშვნელოვანესი თარიღები. ასევე ეხება XIX ს-ის რუსეთ-თურქეთის ომებს და ყარსის მდგომარეობასა და როლს.

წიგნს დართული აქვს ყარსისა და სამხრეთ საქართველოს მთელი რიგი ციხე-სიმაგრეებისა და ნანგრევების ფოტოები, კერძოდ, აქვეა იშხანისა და მარმარაშენის ეკლესიების ფოტოები, მოცემულია ანისის ნანგრევების ხედი და ზოგიერთი წარწერის ფოტო. ნაშრომს დართული აქვს ავრეთვე სხვადასხვა პერიოდის ყარსისა და მომიჯნავე ტერიტორიების რუკები და ვრცელი ბიბლიოგრაფია.

ნოდარ შენგელია
კარლო ჩეჩელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ისტორიკოსების ხსოვნისათვის

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების 75 და აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და სამეცნიერო სესია მოაწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტმა და საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ 1975 წლის 22—24 ოქტომბერს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. ა. სუტაგულაძემ. მან ლაპარაკი ამ ორი დიდი მეცნიერის საქმიანობაზე. მათ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

ერუელი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. მ. ლორთქიფანიძე. მოიხსენებენელმა აღნიშნა, რომ სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი ერთად დგანან ახალი მარქსისტული საბჭოთა ისტორიოგრაფიის სათავეებთან და ამ ისტორიოგრაფიის ძირითადი საკვანძო პრინციპები მათი ერთობლივი მეცნიერული კვლევის შედეგად ყალიბდებოდა. ქართული ისტორიოგრაფიაში წყაროთა კრიტიკული მეთოდის დანერგვეთ, საქართველოს ისტორიის წყაროთა წრის გაფართოებით ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის შესწავლა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დააყენა და ამ ისტორიის შემდგომ კვლევას მყარი ნიადაგი საქართველოს ისტორიის სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებით შეუქმნა. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ქართული საისტორიო სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები და მისი აღზრდილი მოწაფეები სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი არიან.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად ახალი პრობლემები დადგა, რომელთა გაშუქება ახალ მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს ისტორიის დიდი სამეულის, ივანე ჯავახიშვილის და მისი მოწაფეების სიმონ ჯანაშიასა და ნიკოლოზ ბერძენიშვილის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა. დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა დროის და პირობების მიერ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად გაართვეს თავი. რადგან თანამედროვე ისტორიული მეცნიერების ქვაკუთხედი ისტორიული პერიოდიზაციის პრობლემაა, სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა ძველი და შუასაუკუნოვანი საქართველოს ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია შეიმუშავეს. საქართველოს ისტორიის ამ პერიოდიზაციის შემუშავება დიდი მეცნიერული დისკუსიის ვითარებაში მიმდინარეობდა.

არსებული წერილობითი წყაროებისა და მწირი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე სიმონ ჯანაშიამ დაადგინა საქართველოში პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის ეტაპი და პირველი ქართული სახელმწიფოების (ეგრისის) სამეფოსა და იბერიის (ქართლის) სამეფოს ჩამოყალიბების ხანა — ძვ. წ. VI—IV სს-ი განსაზღვრა. სიმონ ჯანაშიამ მეცნიერულად დასაბუთა ჩვენში ფეოდალური ურთიერთობის ახ. წ. IV—VI სს. გამარჯვება და ადრეფეოდალური ეტაპის X საუკუნეში დასრულება. მასვე ეკუთვნის დებულება X—XII სს. როგორც საქართველოს ისტორიის განვითარებული ფეოდალიზმის ანუ კლასიკური ეტაპის შესახებ.

მძიმე მდგომარეობამ, რომელშიც XIII საუკუნეში ფეოდალური საქართველო აღმოჩნდა, შეაფერხა ქვეყნის შემდგომი განვითარება და ხელი შეუწყო ფეოდალური ურთიერთობის სტაგნაციას, რასაც ნიკოლოზ ბერძენიშვილმა „ჩიხი“ უწოდა. ამ „ჩიხიდან“ გამოსვლის გზების ძიებამ საქართველო ორგანულად მიიყვანა რუსეთთან ურთიერთობამდე. ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის რეალური ჩასახვების ხედავს ნიკოლოზ ბერძენიშვილი უკვე XVIII საუკუნის II ნახევრის მოვლენებში.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკოლოზ ბერძენიშვილის მიერ შემუშავებული პერიოდიზაციის სისტემა, ზოგიერთი კორექტივით, დღემდეა მიღებული ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. ქართული ისტორიული მეცნიერების გადაუდებელ ამოცანად ჩვენში ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა დაისახა. სიმონ ჯანაშიამ ფეოდალური ურთიერთობის განვითარება სასოფლო თემის რღვევას დაუკავშირა და მეთმეთა ძირითადი ნაწილის დაყმევებისა და მისგან ფეოდალური ზედაფენის გამოყოფის შედეგად ფეოდალური საზოგადოების ორი ძირითადი ანტაგონისტური კლასის გლეხობისა და ფეოდალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასის წარმოშობის პრობლემა დაყენა. მანვე მიუთითა X-XII სს. გლეხობის ორი ძირითადი ფენის, მიწაზე მიმაგრებულისა და ჯერ კიდევ თავისუფალი ადგანაცვლების უფლების მქონე კატეგორიათა არსებობა. ხოლო ნ. ბერძენიშვილმა ვლეხთა ძირითადი მასის მიწაზე საბოლოო მიმაგება XII-ის დასასრულითა და XIII საუკუნის დასაწყისით დაათარიღა. ამავე პრინციპით განიხილა სიმონ ჯანაშიამ ანხაურთა კლასის ფორმირების პროცესი, რომელი ორ ფენად — ანხაურობად და თავადთა წოდებად ჩამოყალიბების პროცესის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ სუფეველებზე ნიკოლოზ ბერძენიშვილმა მიუთითა.

შესწავლას მოითხოვდა კლასობრივი ბრძოლის ისტორია საქართველოში. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისიზე მიუთითა სიმონ ჯანაშიამ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებისას როგორიცაა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, მეფობის გაუქმება ქართლში VI საუკუნეში, განვითარებული ფეოდალიზმის მიჯნაზე კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით ნ. ბერძენიშვილმა მთლიანად საქართველოს ისტორია კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის ჭრილში განიხილა.

ამ არი მეცნიერის ერთობლივი შეშაობის საუკეთესო მაგალითია საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს შექმნა.

როდესაც ქართველ ისტორიკოსთა წინაშე დასვა მარქსისტულად გამართული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობის საკითხი, ამ სახელმძღვანელოს ძველი და შუასაუკუნეების ეპოქათა დაშეშავება ქართული ისტორიოგრაფიის სამ დიდ ბურჯს დაეკვა. 1941 წ., როდესაც ამ სახელმძღვანელოს მაკეტი გამოიცა, ივანე ჯავახიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო. მაკეტიდან სახელმძღვანელოს გამართვამდე კიდევ ბევრი იყო საშეშაო. სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი ერთად შეშაობდნენ, მაგრამ, როგორც ნიკოლოზ ბერძენიშვილი წერს „ამ წიგნის შექმნის მთავარი სიმძიმე სიმონ ჯანაშიას აწვა მხრებზე". ამ სახელმძღვანელომ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში და მკითხველი საზოგადოების სიყვარული და მთავრობის მაღალი კიდეო — სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ამ სახელმძღვანელოს გამოსვლამ გახადა შესაძლებელი დიდი ხნის შეწყვეტილი საქართველოს ისტორიის სწავლების აღდგენა ჩვენ ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში.

სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი ერთად ზრდიდნენ საქართველოს ისტორიის მომავალ კადრებს. საქართველოს ისტორიაში მომუშავე ასპირანტები თუ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები მათი ხელმძღვანელობით გადიოდნენ მეცნიერულ წრთობას.

დიდი სამეცნიერო-აგიტაციონი თუ საზოგადოებრივი მუშაობით დატვირთულმა და მძიმე სენით შეპყრობილმა სიმონ ჯანაშიამ 1946 წ. საქართველოს ისტორიის კათედრა გადასცა თავის კოლეგას ნიკოლოზ ბერძენიშვილს, რომელმაც 1947 წ. გარდაცვლილი სიმონ ჯანაშია შეცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზეც.

მიუხედავად მთელ რიგ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობისა, ეს ორი მეცნიერი საქმიანი თანამშრომლობისა და მეგობრობის ნიმუშს იძლევდა.

საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ: აკად. ა. ჩიქობავა, აკად. ნ. კეკელიძე, პროფ. კ. გრიგოლია, პროფ. ა. კალანდაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ/კ. ა. აფაქიძე, აკად. ი. დოლიძე, აკად. ვ. ბერიძე, პროფ. მ. დუმბაძე, პროფ. ი. ანთელავა. საღამოზე წაიკითხეს: აკად. გ. ჩიტაიას მოგონება ს. ჯანაშიაზე.

სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ იქნა 9 მოხსენება. დოც. ნ. ზეელიანმ წაიკითხა მოხსენება — „საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში". მომხსენებელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოში საკოლმეურნეო შშენებლობის დასაწყისად მიჩნეულ უნდა იქნეს 1923—1925 წლები. საარქივო მასალების გაცნობა ცხადყოფს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოში საკოლმეურნეო შშენებლობის დასაწყისად მიჩნეული თარიღი (1921 წ.) ზუსტი არ არის. მაგრამ 1921 წელს ქართველ გლეხობაში მიწათმოქმედების კოლექტიურად მოწყობის იდეის არსებობისა და მისი განხორციელების ცალკეული ცდების უგულებელყოფაც არ შეიძლება, თუმცა ნაციონალ-უკლონისტთა მცდარი პოლიტიკის შედეგად ჩასახვის პროცესში მყოფი საკოლმეურნეო მოძრაობა სრულიად დაეცა, რაც დროებითი მოვლენა იყო.

პროფ. ა. კაკაბაძემ თავის მოხსენებაში — „1905—1907 წლების რევოლუციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მნიშვნელობა", აღნიშნა, რომ რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, დემოკრატიული თავისუფლების მატარებელი ძალების მოძრაობაში ღრმა სოციალურ გარდაქმნებთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. საქართველოში და ამიერკავკასიაში აღმავალი რევოლუცია განპირობებული იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წინამძღვრებით. ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები უკვე 1901—1902 წლებში ხდებიან მუშთა კლასისა და რევოლუციური გლეხობის დამრაზმველ ძალად კარს მომდგარ რევოლუციაში.

რევოლუციის დღეებში, 1905 წელს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა — ამ სამაგალითო ინტერნაციონალურმა ორგანიზაციამ არა ერთხელ ცხადყო მუშთა კლასის ხელმძღვანელობით ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობის ძალა და მნიშვნელობა ნაციონალური თავისუფლების მტრებთან ბრძოლაში.

აკად. გ. მელიქიშვილმა მოხსენებაში „კავკასიის მთიელთა ადრეკლასობრივი საზოგადოების ტიპოლოგიური განსაზღვრის საკითხისთვის“ აღნიშნა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი გვიანი შუასაუკუნეების მთის საზოგადოებათა „ადრეფეოდალურობის“ შესახებ სადავოა, რამდენადაც ეს უკანასკნელი ე. წ. „მთიურ ფეოდალიზმთან“ შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურს განსახიერებს და უფრო დინამიურ სტატიკის გამოხატავს — განვითარებულ ფეოდალიზმში გადაზრდის ძლიერ ტენდენციას იმჩნევს. მომხსენებლის აზრით, აღნიშნული მთის ადრეკლასობრივი საზოგადოებები ტიპოლოგიურად უფრო „წინაფეოდალურ“ („პროტოფეოდალურ“) საზოგადოებებს წარმოადგენენ. ეს უკანასკნელი, ავტორის მიხედვით, განასახიერებს ფეოდალიზაციის პროცესის წინარე სიტუაციას, რომელიც ამასთანავე საკმაოდ მყარი, ნაკლებ დინამიური და უფრო განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობაში გადაზრდის ტენდენციას არ იჩენს.

მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვა ქ. ჩხატარაშვილმა. აზრთა ფართო გაზიარებას ჰპოვნდა ადგილი მრავალრიცხოვანი შეკითხვებისა და მათზე გაცემული პასუხების სახითაც.

პროფ. ო. ლორთქიფანიძემ წაიკითხა მოხსენება „არქეოლოგიისა და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. მომხსენებელმა არქეოლოგიური მასალის მონაცემების საფუძველზე მიუთითა კოლხეთის ეკონომიკის ძირითადი დარგების (მიწათმოქმედება, ხელოსნობა, ვაჭრობა) განვითარების მაღალ დონეზე, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ძვ. წ. V—IV ს. პირველ ნახევარში ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა.

ნასახლარებსა და სამაროვნებში მოპოვებული მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო იარაღი, მარცვლეული მიუთითებს სახნავ-სათოხე მიწათმოქმედების ინტენსიურ განვითარებაზე. არქეოლოგიურ მასალაში შეიმჩნევა ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე ძვ. წ. VI—IV სს. კოლხეთში. დაშოწმებულია ხელოსნების ნაწარმის გავრცელება საწარმოო ცენტრის ფარგლებს გარეთაც, ე. ი. განვითარებულია ვაჭრობა, რაც ავტორს მიაჩნია კოლხეთის საზოგადოების ურბანიზაციის დამასაბუთებელ ფაქტად. კოლხური თეორიის აღმოჩენების ტოპოგრაფია და სხვა არქეოლოგიური კატეგორიები ნათლად მიუთითებენ კოლხეთის ცალკეულ ოლქებს შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირის არსებობაზე. საერთოკოლხური ბაზრის შექმნამ და პოლიტიკურმა კოსოლიდაციამ (კოლხეთის სამეფო) თავისი გამოხატულება ჰპოვა საერთოკოლხური მატერიალური კულტურის შექმნაში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: რ. აბრამიშვილმა, გ. ყალაბაძემ, ტ. ჩუბინაშვილმა, ა. კახიძემ.

დოც. ნ. შოშიაშვილის მოხსენება „ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის დათარიღების საკითხისთვის“ მიეძღვნა აღნიშნული ნაწარმოების ახლებურად დათარიღების საკითხს. ავტორმა აღნიშნა, რომ „ქართლის ცხოვრებისა“ ანა დედოფლისეულ ნუსხად მიჩნეულ ხელნაწერში შედის 5 მეფის (დემეტრე I-ის, დავითის, გიორგი III-ის, თამარის, ლაშა-გიორგის) მოკლედ აღწერილი ისტორია ანონიმური ავტორისა. ეს ავტორი იე. ჯავახიშვილმა მიიჩნია ლაშა-გიორგის თანამედროვედ. Q—795 ხელნაწერის პალეოგრაფიულმა და კოდიკოლოგიურმა ანალიზმა ავტორი მიიყვანა დასკვნამდე, რომ იგი წარმოადგენს არა „ანა დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებას“, არამედ მის პირს, გადაწერილ არა უადრეს XVI საუკუნის მიწურულისა. მომხსენებელი ფიქრობს, რომ ამ ხელნაწერის გადამწერს ეკუთვნის ე. წ. „ლაშა-გიორგისდროინდელი მატიანეც“ და, მაშასადამე, ისიც დაწერილია XVI საუკუნის ბოლოს და არა XIII საუკუნის 20-ინ წლებში.

მოხსენების გარშემო ცალკეული მოსაზრებები გამოთქვეს: ქ. ჩხატარაშვილმა, ლ. ტუხარელმა, დ. მუსხელიშვილმა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. შენგელიამ თავის მოხსენებაში „XI—XIII სს. საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში“ აღნიშნა, რომ თანამედროვე თურქი ისტორიკოსები თავიანთ მონოგრაფიებში გარკვეულ ადგილს უთმობენ საქართველოს ისტორიის საკითხებს, რომლებსაც სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიასთან ერთად განიხილავენ. მომხსენებელმა სვანგებიდან გაუსვა ხაზი თურქი ისტორიკოსების მიერ XI—XIII საუკუნეთა მანძილზე სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიის დამახინჯებას და აღნიშნა, რომ ისინი ვერ ერკვევიან საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებში. თურქი ისტორიკოსებისათვის სრულიად უცნობია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები. მიუხედავად ამისა, რომ დღეს თურქი ისტორიკოსების განკარგულებაშია მდიდარი აღმოსავლური საარქივო დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, საქართველოს ისტორიის საკითხების გადმოცემისას ისინი ბევრ შემთხვევაში სრულიად მიუღებელ და უცნაურ მოსაზრებებს გვთავაზობენ.

დოკ. გ. მამულიამ წაიკითხა მოხსენება „არჩილ „მეფის“ VIII ს. რეფორმების ლეგენდა და მისი გენეზისი“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არჩილ „მეფის“ ლეგენდა რეფორმების შესახებ ერისთავთა წრეში შეიქმნა XI საუკუნეში ბაგრატიონთა სახლის მიერ ფარნავაზიანთა სახლის კუთვნილი მიწა-წყლის დამკვიდრების საფუძველზე.

დოკ. ნ. ვარნაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ცხრა ყრმათა კოლაელთა მარტვილობის ტექსტის გაგებისათვის“. მომხსენებელმა წარმოადგინა აღრეფეოდალური ხანის ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის ტექსტის რუსული თარგმანი, შესრულებული კ. კუციასთან ერთად. ნ. მარილეულ თარგმანთან შეპირისპირებით, ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის საფუძველზე, აეტორმა მოგვცა ტექსტის ზოგიერთი ადგილის ახლებური წაკითხვა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი (გ. შილაკაძე, ქ. ჩხატარაშვილი, ჯ. აფციაური, დ. კაკიტაძე). გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები ცალკეული ტერმინების რუსულად თარგმნის შესახებ.

სესიაზე მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს ისტორიის კათედრის ლაბორანტი თ. ფარცვანია. მან თავის მოხსენებაში „გარნისის ომი“ სცადა გადმოეცა ქართველთა დამარცხების მიზეზები, მომხსენებელი ქართული, სომხური და აღმოსავლური წყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ქართველთა დამარცხების მიზეზი არა მხარგრძელთა და ახალციხელთა საგვარეულოების დაპირისპირებაშია საძიებელი, არამედ იმ დროს ქვეყნად შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში, ფეოდალური ლაშქრის სისუსტეში. არანაკლები ფაქტორი იყო აგრეთვე ძალთა თანაფარდობა: ქართველთა ლაშქრის წინ იდგა საკმაოდ ძლიერი, კარგად ორგანიზებული ხვარაზმელთა ლაშქარი, რომელსაც სათავეში ედგა ნიჭიერი მხედართმთავარი — ჯალალ ადდინ ხვარაზმშაჰი.

მოხსენების გარშემო მოსაზრებები გამოთქვეს: მ. ლორთქიფანიძემ, გ. ჯაფარიძემ, ნ. შოშიაშვილმა.

თამარ ფარცვანია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორიულ მეცნიერებათა XIV საერთაშორისო კონგრესი სან-ფრანცისკოში

ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ეწყობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესებზე ხდება ისტორიის დარგში კვლევითი მუშაობის ერთგვარი შეჯამება, მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვა და შემდგომი პერსპექტივების განსაზღვრა.

ისტორიულ მეცნიერებათა I საერთაშორისო კონგრესის თარიღად მიიჩნევენ 1900 წელს, მაგრამ ზოგიერთის აზრით, ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესებს საფუძველი ჩაეყარა 1898 წელს — დიპლომატიის ისტორიის საერთაშორისო კონგრესზე ჰაგაში. სხვები ისტორიულ მეცნიერებათა I საერთაშორისო კონგრესად თვლიან 1889 წელს პარიზში მოწვეულ კონგრესს, როცა აღინიშნა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ასი წლისთავი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ისტორიკოსთა უმრავლესობა, ისტორიულ მეცნიერებათა I საერთაშორისო კონგრესად მიიჩნევს კონგრესს, რომელიც პარიზში ჩატარდა 1900 წლის 23—28 ივლისს „შედარებითი ისტორიის საერთაშორისო კონგრესის“ სახელწოდებით. იგი მოიწვიეს ჰაგაში დიპლომატიის ისტორიის საერთაშორისო კონგრესის ინიციატივით.

ისტორიულ მეცნიერებათა II საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა რომში (1903 წლის 1—9 აპრილი), III — ბერლინში (1908 წ. 6—12 აგვისტო), IV—ლონდონში (1913 წ. 3—9 აპრილი), V—ბრიუსელში (1923 წ. 9—14 აპრილი), VI—ოსლოში (1928 წ. 14—18 აგვისტო), VII—ვარშავაში (1933 წ. 21—28 აგვისტო), VIII—ციურიხში (1938 წ. 28 აგვისტო — 4 სექტემბერი), IX—პარიზში (1950 წ. 28 აგვისტო — 3 სექტემბერი), X—რომში (1955 წ. 4—11 სექტემბერი), XI—სტოკჰოლმში (1960 წლის 21—28 აგვისტო)[1], XII—ვენაში (1965 წ. 29 აგვისტო—5 სექტემბერი), XIII—მოსკოვში (1970 წ. 16—28 აგვისტო)[2].

[1] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიულ მეცნიერებათა XI საერთაშორისო კონგრესი სტოკჰოლმში, „მრავალთაგან“, 1964, № 1.

[2] А. Л. Нарочницкий, К итогам XIII Международного конгресса исторических наук, „Новая и новейшая история“, 1970, № 6; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, ისტორიულ მეცნიერებათა XIII საერთაშორისო კონგრესი, „მეცნ“, ისტორიის სერია, 1971, № 1.

[3] А. О. Чубарян, Советские историки и XIV Международный конгресс исторических наук, „Вопросы Историй“, 1975, №6, С. А. Тихвинский, В. А. Тишков, Проблемы новой и новейшей истории на XIV Международном конгрессе исторических наук, Новая и новейшая история», 1976, № 1.

[4] ავსტრალია, ავსტრია, აშშ, არგენტინა, ბარბადოსი, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, ბულგარეთი, ბურუნდი, განა, გდრ, გფრ, დანია, დიდი ბრიტანეთი, დომინიკანის რესპუბლიკა, ესპანეთი, ეკვადორი, ვენესუელა, ზაირი, თურქეთი, იაპონია, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იუგოსლავია, კანადა, კენია, კვიპროსი, კოლუმბია, კონგო, კორეა (სამხრეთი), ლიბანი, მალაზია, მექსიკა, მონგოლეთი, ნიგერია, ნიდერლანდი, ნიკარაგუა, ნორვეგია, პარაგვი, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, პორტორიკო, რუმინეთი, საბერძნეთი, სსრ კავშირი, საფრანგეთი, სამხრეთ აფ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1450 წარმომადგენელმა. მათ შორის: ამერიკის შეერთებული შტატებიდან — 600-მდე, საფრანგეთიდან — 175, ესპანეთიდან — 37, იაპონიიდან —61, იტალიიდან — 58, გერ-დან — 58, გდრ-დან — 28, პოლონეთიდან — 26, დიდი ბრიტანეთიდან — 22 და ა. შ.

საბჭოთა დელეგაციაში (82 კაცი), რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ბ. ა. რიბაკოვი, შედიოდნენ აკადემიკოსები ე. მ. ჟუკოვი, ი. ი. მინცი, ა. ლ. ნაროჩნიცკი, წევრ-კორესპონდენტები ს. ლ. ტიხვინსკი, ჰ. ა. ყალინი, მ. ი. კიმი, ი. ფ. კოვალჩენკო, ცნობილი ისტორიკოსები მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან. საბჭოთა დელეგაციაში იყო 4 ისტორიოსი საქართველოდან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფ. გ. მელიქიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ა. სურგულაძე, პროფ. მ. ლორთქიფანიძე და ამ სტატიენების ავტორი.

სან-ფრანცისკოში კონგრესის ოფიციალურ გახსნამდე ჩატარდა ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კომიტეტის ბიუროსა და გენერალური ასამბლეის სხდომა, სადაც განიხილეს ფინანსური საკითხები და მორიგი XV კონგრესის მოწვევის საკითხი. გადაწყდა მორიგი XV კონგრესის მოწვევა ბუქარესტში. აირჩიეს ბიუროს ახალი შემადგენლობა და კომიტეტის ახალი პრეზიდენტი — პროფ. ჰ. ერდმანი (გფრ).

22 აგვისტოს, დღის 2 საათზე „კალიფორნიის ქუჩაზე „ეტოპ ნობ ჰილის“ შენობის „ბანკო�g ოუდიტორიაში“ ყოველგვარი საზეიმო ვითარების გარეშე გაიხსნა ისტორიულ მეცნიერებათა XIV საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესი შესავალი სიტყვით გახსნა კონგრესის ამერიკელმა პრეზიდენტმა პროფ. ბოლდ კ. შეფერმა. კონგრესის მონაწილეებს მიესალმნენ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოსთა ასოციაციის პრეზიდენტი პროფ. გორდონ რიატი, ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი აკად. ე. მ. ჟუკოვი და ჟ. სან-ფრანცისკოს მერი ჯოზეფ ლ. ალიოტო. შემდეგ მოხსენებით თემაზე — „ისტორიულ ნაშრომთა ეროვნული წესელი კაცობრობისათვის“ — გამოვიდა როლანდ ბერმანი. მოხსენება თემაზე: „თავისუფლება და გაცვლა-გამოცვლა“ წაიკითხა ბოლდ კ. შეფერმა. ინფორმაციით გამოვიდა კონგრესის აღმასრულებელი დირექტორი რიჩარდ შლეტერი და ბოლოს მოხსენება თემაზე: „კოკბეები, ინდიელები და აღთქმული ქვეყანა — ამერიკელი საზღვრის მსოფლიო სახე“ გააკეთა რეი ალენ ბილინგტონმა.

საღამოს კონგრესის მონაწილეებისათვის მოეწყო მიღება სასტუმრო ფერმონის „დიდ საცეკვაო დარბაზში“.

23 აგვისტოდან კონგრესის სექციების მუშაობა მიმდინარეობდა ორი სასტუმროს — ფერმონისა და მარკ ჰოპკინსის — შენობაში. ორივე მდებარეობს კალიფორნიის ქუჩაზე, ერთმანეთის პირდაპირ და ორივეს გააჩნია სათანადო დარბაზები ასეთი დიდი ღონისძიებებისათვის (პირველი სართული და ორი მიწისქვეშა სართული დათმობილი აქვს სხდომის დარბაზებს, რესტორნებს და კაფეებს. ყველა დარბაზს თავისი სახელწოდება აქვს. ამ ეწოდა გამოფენებიც). კონგრესის მონაწილეები (მათ შორის საბჭოთა დელეგაციის ერთი ნაწილი) ამ სასტუმროში ცხოვრობდნენ.

კონგრესის სამუშაო ენებად ოფიციალურად გამოცხადებული იყო ინგლისური, ფრანგული და გერმანული. მაგრამ ფაქტიურად კონგრესის მუშაობა წარიმართა ორ ენაზე — ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. სან-ფრანცისკოს კონგრესზე (როგორც ეს წინა კონგრესებზე იყო) არ იყო არც სინქრონული თარგმნა და არც თარგმნასთა ჯგუფი. ისე როგორც წინა კონგრესებზე. ჰქონე თემატიკა მრავალმხრივი იყო, იგი მოიცავდა მსოფლიო ისტორიის ყველა პერიოდს.

ჯერ კიდევ მოსკოვის კონგრესზე გადაწყდა, მომავალ კონგრესზე გამოეტანათ შედგენილი მნიშვნელოვანი და ისტორიკოსთა ფართო წრისათვის საინტერესო პრობლემები. მოსკოვის კონგრესის მსგავსად სან-ფრანცისკოს კონგრესზე წარმოდგენილი იყო „დიდი კვლევითი თემები“, ასევე თემები მეთოდოლოგიის პრობლემებისა და ძირითადი ქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით. იმასთანავე, მუშაობდა ცალკეული სექციები ძველ, შუა საუკუნეების, ახალსა და უახლეს ისტორიაში. კონგრესის პარალელურად მიმდინარეობდა მასთან დაკავშირებული სხვადასხვა კომისიებისა და ასოციაციების სხდომები.

კონგრესზე მუშაობდა 4 სექცია. პირველ სექციაში განიხილებოდა „დიდი კვლევითი თემები“. ასეთი იყო 6 თემა: „ისტორიიუფ მეცნიერება და საზოგადოება“ (სსრ კავშირი), „ადამიანის უოლებები“ (საფრანგეთი), „რევოლუცია“ (აშშ), „უმცირესობის ისტორიული მოვლენა. კანდური გამოცდილება“ (კანადა), „მიგრაციები“ (წარმოდგენილი სოციალურ მოძრაობათა და სოციალურ სტრუქტურათა ისტორიის საერთაშორისო კომისიის მიერ) და

რიკა, სენეგალი, სიერალეონე, ტაილანდი, ტუნისი, უგანდა, უნგრეთი, ურუგვაი, ფილიპინები, ფინეთი, შვეიცარია, შვეცია, შრილანკა, ჩილე. ჩეხოსლოვაკია, ჯონჯანგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტრადიციები და ინოვაციები აზიასა და აფრიკაში" (იაპონია).

კონგრესის მონაწილეთა ყურადღება მიიქცია თემამ: „ისტორიული მეცნიერება და საზოგადოება". ეს მოხსენება წარადგინეს საბჭოთა ისტორიოსებმა (ა. ი. დანილოვი, ვ. ვ. ივანოვი, მ. ჰ. კიმი, ი. ა. კუკუშკინი, ა. მ. სახაროვი, ნ. ვ. სივაჩოვი). ოფიციალური ექსპერტებისა და კამათში გამოსულთა უმრავლესობამ მაღალი შეფასება მისცა მოხსენებას. მაგრამ ზოგიერთმა დასაბეღლმა ისტორიოსმა (ფ. სტერნი — აშშ, ჰ. ვინკლერი — გფრ) თავისი გამოსვლა გამოიყენა ანტიისბჭოთა პროპაგანდისათვის, შეეცადა უარეყო კანონზომიერი ისტორიული პროცესის, კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის მარქსისტულ-ლენინური გგგება. მათ დასაბუთებული პასუხი გასცეს კამათში გამოსულმა საბჭოთა ისტორიოსებმა (ი. ი. მინეი, ა. ლ. ნარონნიცკი, ბ. ა. რიბაკოვი, ნ. ვ. სივაჩოვი, ა. მ. სახაროვი და მ. ჰ. კიმი).

ასევე დიდი კამათი გამოიწვია თემამ: „ადამიანის უფლებები" (მომხსენებელი პროფ. რ. მენიე — საფრანგეთი). მომხსენებელი შეეცადა ეჩვენებინა ადამიანის უფლებები ბიბლიური დროიდან დღემდე. ამდენად შეეძლებელი იყო მომხსენებლის მიერ თემასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ღრმა მეცნიერულ დონეზე წარმოდგენა. ამ თემაში შეეხეა მოხსენებები: „ადამიანის უფლებები აშშ-ში 1774—1789 წწ." (რ. პალმერი—აშშ), „ადამიანის უფლებები XVII ს. ინგლისის რევოლუციაში" (ჰ. ბილი — ინგლისი), „ადამიანის უფლებები და საფრანგეთის რევოლუცია" (ჟ. ჯოფშო — საფრანგეთი), „სოციალიზმი და ადამიანის უფლებები" (კ. ვილარი — საფრანგეთი), „ადამიანის სოციალურ-ეკონომიური უფლებები და მათი გარანტია სსრ კავშირში" (რ. ამანოვა, ვ. კურიერინი, გ. ლატვინოვა — სსრკ), „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" (ჟ. ბ. დიეროზელი) და სხვ.

კამათში გამოვიდნენ საბჭოთა ისტორიკოსები: ვ. კურიერინი, ვ. კუმანოვი, ვ. შტეინბერგი, გ. მელიქიშვილი, გ. ბონგარდ-ლევინი, კ. კუჭრინკაო. ვ. რუტენბურგი. სხდომას თავმჯდომარეობდა ს. ლ. ტიხვინსკი.

დიდი თემა „რევოლუცია" ორთონენებდა სამ მოხსენებას: „რევოლუციის საერთო პრობლემები" (ე. ჰოსბაუმი — ინგლისი), „იმპრიის რევოლუციის უახლესი ისტორიოგრაფია" (ბ. ბეილინი — აშშ) და „ჩინეთის რევოლუცია" (ლ. ბიანკო — საფრანგეთი). ოფიციალური ექსპერტების — ა. ლ. ნარონნიცკი (სსრკ) და მ. ლოსიკი (გფრ) — შემდეგ გამოვიდნენ საბჭოთა ისტორიოსები: ი. მინეი, ა. ბლინკინი, რ. ივანოვი, ნ. სივაჩეკი, ა. ფურსენკო, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი — კომუნისტი პროფ. ა. სობული და სხვები.

თავის მოხსენებაში „უმეცრესობათა ისტორიული მოვლენა. კანადის გამოცდილება", უ. მორტონი (კანადა) შეეცადა დაემტკიცებინა, რომ კანადა არის „ეროვნულ უმეცრესობათა" ქვეყანა, სადაც არ არსებობს ეროვნული უთანასწორობა. სხვა ისტორიკოსთა შორის კამათში გამოვიდნენ საბჭოთა ისტორიოსებიც: ა. შლეპაკოვი, ა. ანბოლიი, ც. ალიანი, ა. სუმბათ-ზადე, ვ. ტიშკოვი.

თემა „მიგრაციები" იყო კოლექტიური მოხსენება, რომელიც შედგებოდა 30-ზე მეტი მკითხველებისაგან. მოხსენება ეხებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას, მაგრამ ძირითადად მიიქც უფრო ევროპას. მის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს შეადგენდა XVIII ს. ბოლო — XX ს. პირველი ნახევარი. აქ მკითხველებები ჭქონდათ აყად. ა. ოკალდნიკოს და ე. ბოიოს. კამათში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ისტორიკოსებმა ვ. დახშლეიგერმა და ა. შლეპაკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათში გამოვიდნენ სიტყვით ისტორიკოსები: ი. კოვალჩენკო, ა. სახაროვი, ვ. მალკოვი, კ. სილიჩესკი და სხვ. მკირე მოხსენებით საბჭოთა კავშირში დოკუმენტების პუბლიკაციის შესახებ გამოვიდა გ. კ. დეევი.

მესამე სექციაში — „ისტორია ქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით" — პარალელურად 4 ქვესექცია მუშაობდა: ანტიკური, შუასაუკუნეების, ახალი ისტორიისა და თანამედროვე ისტორიის.

ანტიკური ქვესექციის სხდომებზე მოსმენილ იქნა: „ძველი ბალკანეთის ხალხები (არაკიელები, ილირიელები და სხვ.) — მათი როლი და მნიშვნელობა ძველი სამყაროს ისტორიულ ეფოლციაში" (ვ. ველკოვი, ა. ფოლ—პუელგრთები), „ანტიკური ცივილიზაციის ცენტრები და პერიფერიები: ურბანიზმის მოვლენა ჩრდილოეთ აფრიკაში" (ი. კოლენო, ტ. კოტულა — პოლონეთი), „ანტიკური ცივილიზაციის ცენტრები და პერიფერიები" — აქ განიხილეს ორი მოხსენება: „საბერძნეთი და აღმოსავლეთი ისტორიულ პერიოდში" (კვიპროსი, მომხსენებელი კ. ნიკოლუ), „ლიმები და პროვინციები" (ა. მიჩი — უნგრეთი); „ჩინეთის, კორეის და იაპონის ისტორიის პრობლემები" (პო ჯონ-ჯენი — სამხრეთ კორეა); „ბარბაროსების გაელენა რომის იმპერიაზე დიდ დაპყრობებამდე" (რ. მაკმულენი — აშშ). საერთო თემის—„საზოგადოების ტიპები ძველ სამყაროში" — გარშემო მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: „თემების ტიპები ძველ სამყაროში" (ე. გოლუბცოვა, ვ. კუზიშჩინი, ე. შტაერმანი — სსრკ); „ფინეიფერი კოლონიზაცია. ეკონომიური და დემოგრაფიული ასპექტები" (ა. ბლაზეკნი — ესპანეთი); „თვენის „პოლისის კრიზისი ძვ. წ. IV საუკუნეში" (ი. პეჩირკა — ჩეხოსლოვაკია); „ურბანიზაცია რომგორც ანტიკური ფენომენი" (ფ. ფიტინგჰოფი — გფრ); „კუშანების როლი მსოფლიო ცივილიზაციაში" (ბ. გაფუროვი — სსრკ); „საქალაქო რეკონსტიტუცია სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტში" (გ. ბუნელატი — აშშ). ამ მოხსენების განხილვამ გამართულ კამათში სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები გ. მელიქიშვილი და გ. ბონგარდ-ლევინი.

შუა საუკუნეების სექციაში განიხილეს შემდეგი მოხსენებები: „ბომთაბარე ხალხები ევრა-ზიურ სამყაროში და მათი როლი შუასაუკუნეობრივ სახელმწიფოთა წარმოქმნაში" (კ. ჯერესკუ — რუმინეთი); „ბომთაბარეები და ქალაქები" (ა. ჰანდა — იაპონია); „ფეოდალიზმის ძირითადი ნიშნები ბომთაბარეებთან" (ს. ნაცაგდორჟი — მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა); „მონგოლი ბომთაბარეები ბინადარ საზოგადოებაში: ოქრის ურდო" (ბ. შუალერი — გფრ); „აღმოსავლეთი და დასავლეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაში" (ს. ჩირკოვიჩი — იუგოსლავია); „ნომადიზმი ამერიკაში XVII ს. დაწყებამდე" (მექსიკა). საერთო თემაზე — „ცივილიზაციის შეხვედრები ევროპაში 1300 წლისთავის" — წარსდგა მოხსენებები: „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სტრუქტურები ევროპაში XIII საუკუნეში (შედარებითი ისტორიისათვის)" (ი. კლარჩესკი — პოლონეთი), „კონტაქტები და კონფლიქტები შუასაუკუნეების ევროპასა და აღმოსავლეთს შორის X—XV სს." (ი. ცესარი, ი. ეიზარი — ჩეხოსლოვაკია) (ამ მოხსენების გარშემო კამათში სხვა ისტორიკოსთა შორის მონაწილეობა მიიღო მ. ლორთქიფანიძემ), „ხმელთაშუა ზღვის აუზის უნივერსიტეტები XIII საუკუნის შუიდან XIV ს-ის ბოლამდე" (ა. შტაერი — ეტიკენი), „ხმელთაშუა ზღვის სამყარო 1300 წლისთვის (მ. რიე ბ. მანსელი, ფ. ზაკატინოსი, მ. დელტეპ (სპანეთი, საბერძნეთი, იტალია), „ეპარალელები და ხმელთაშუა ზღვის სამყარო 1300 წლისათვის" (ფ. პროფური — ისრაელი), „ქალაქები და სოფლები ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში" (გ. სზეკელი — უნგრეთი), „ლათინური და ბერძნული კულტურების ურთიერთკავშირი 1300 წლისთვის" (რ. ტოპინეი — აშშ).

კონგრესის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემების განხილვას. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ თუ ძველი და შუა საუკუნეების ისტორიაში წაკითხულ იქნა 26 მოხსენება, ახალ და უახლეს ისტორიაში წაკითხულ 32 მოხსენება. აქედან ყველაზე მრავალმხრივი თემები იყო უახლეს ისტორიაში, დიდი იყო ამ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაში მონაწილეთა რიცხვი.

სხვათა შორის, მსოფლიოს ისტორიკოსებს არა აქვთ ერთნაირი შეხედულება ახალი და უახლესი ისტორიის ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე. დასავლეთის ზოგიერთი ისტორიკოსი ახალ ისტორიას იწყებს XV—XVI სს., ისტორიკოსთა მეორე ნაწილი მხარს უჭერს ახალ ისტორიის დაწყებას ინგლისის XVII ს. რევოლუციიდან. იგივე მდგომარეობა უახლესი ისტორიის მიმართაც. ჩვენ უახლეს ისტორიას ვიწყებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან, ხოლო დასავლეთის ზოგიერთი ისტორიკოსი მას იწყებს XIX ს. ბოლოდან. ამიტომ ახალი და უახლესი ისტორიის სექციებში ზოგჯერ წარმოდგენილი იყო თემა, რომელიც, ჩვენი თვალსაზრისით, არ ეხებოდა ახალ და უახლეს პერიოდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ისტორიის სექციაში მოისმინეს თემები: „ერები და სახელმწიფოები XVI—XVIII სს.“ და „საზოგადოება ისტორიის კვლევაში“ ასპექტები მათ ინდუსტრიულ ევრეთიერებაში XVIII—XIX სს.“; ამ თემების გარშემო მოისმენილ იქნა მოხსენებები: „ოუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა შედარებით-ისტორიულ ასპექტში“ (ლ. ჩერეპანინი, ვ. პაშუტო — სსრკ); „სახელმწიფო ხელისუფლების მიცულობა ახალ დროში“ (ი. დიურანი — საფრანგეთი); „რეფორმაციის დროის რელიგია და საზოგადოება ევროპაში“ (ბ. პოლი — ინგლისი); „ოტომანის პოლიტიკა რეფორმის წინ“ (ე. გობალეგინი — თურქეთი); „თურქეთის ექსპანსია და აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა აღმავლობა“ (ი. პერენი — უნგრეთი); „ეროვნული სტაბილობა და ეკონომიური და პოლიტიკური ხელისუფლების გადაცემა მემკვიდრეობით“ (რ. ჯილი — აშშ); „მიწა, სახელმწიფო და იმპერია გერმანული წოდებრივი ფენის პოლიტიკურ შეგნებაში XVIII ს. (რ. ფირპაუსი — გფრ); „განმანათლებლობა და რეფორმები იტალიაა და ესპანეთში XVIII ს.“ (ვ. ვენტური — იტალია); „ოტომიზმი და ბესიზმი დასკუსიაში ცხოვრების დონის შესახებ ბრიტანეთში სამრეწველო რევოლუციის დროს“ (ი. ელსტერი — ნორვეგია); „უმუშევრობის გამოკვლევა: დანა XIX საუკუნეში“ (ჯ. ინსენი, ე. ოიმანსენი — დანია); „მოდერნიზაციის პროცესი XVIII—XIX სს. აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებაში“ (ვ. ეკორგეკსკუ — რუმინეთი); „სოციალური შერჩევა და საზოგადოებრივი ეთიოლოგიობა — დიდი ბრიტანეთი და კოლონიურ-ბომბარდირებთი მოდელი XIX საუკუნის II ნახევარში“ (ლ. დევინი, რ. ჰატენბაკი — აშშ); ევროპის ფინანსური იმპერიალიზმი 1914 წლამდე“ (ბ. ბომზენი — გფრ); „პირველი სამრეწველო რევოლუცია და ასინქრონიზმის პრობლემები სოციალურ მოძრაობაში“ (ი. პიეტრეკ-პაველოვსკ — პოლონეთი). მწვავე კამათი გაიმართა ბროდ. ვ. ბომზენის (გფრ) მოხსენების გარშემო ევროპის ფინანსური იმპერიალიზმის ხასიათის შესახებ პირველი მსოფლიო ომის წინ.

კონგრესის მუშაობაში მნიშვნელოვანი აღგილი ეკავა უახლესი ისტორიის სექციის მუშაობას. ამ მოხსენებები გაერთიანებული იყო ოთხი ძირითადი თემის გარშემო: „ევროპა და აშშ“, „დემოკრატიის პრობლემა პარტიების შინაგან სტრუქტურაში და პოლიტიკურ მოძრაობებში XX საუკუნეში“, „მუშათა მოძრაობა XX საუკუნის პრობლემის წინაშე — რევოლუცია თუ რეფორმა?“ „იდეები და პოლიტიკური რეალობა XX საუკუნეში“.

მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: „ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ ძალებს შორის XIX საუკ.“ (ჯ. ობერმანი — გფრ), „რუსული ამერიკა და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა XVIII—XIX სს.“ (ბ. სტეი — ჩეხოსლოვაკია); „დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება აშშ-ს და ევროპის სახელმწიფოებს შორის“ (ფ. ბეინდერი, ფ. კელეგი — რუმინეთი); „რევოლუცია და რეფორმა II ინტერნაციონალის დასაელეთევროპული პარტიების მოღვაწეობაში“ (ი. ივმენეკი — უნგრეთი); „წოდება და შავები: სოციალისტური და ქრისტიანული მუშათა მოძრაობის ორგანიზაცია დასაელეთ ევროპაში“ (ვ. ლორენი — აშშ); „აღორძღელი გერმანული კონსტიტუციონალიზმი და ამერიკული მოდელი“ (ე. ანგერმანი — გფრ); „აშშ და ცენტრალური ევროპა ორ მსოფლიო ომებს შუა პერიოდში“ (ბ. ეოიეკოფსკეკი — პოლონეთი); „გერმანიის მუშათა მოძრაობა საკითხის წინაშე რეფორმა თუ რევოლუცია 1914—1915 წწ.“ (ე. კოლბი — გფრ); „რევოლუცია თუ რეფორმა ცენტრალურ ევროპაში XX ს.“ (ა. ზუბინსკი); „ლიდერობის პრობლემა დასაელეთ ევროპის პოლიტიკურ პარტიებში XX საუკუნეში“ (რ. რეფეი — შვეიცარია); „სოციალისტური რევოლუცია და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმა, მუშათა მოძრაობაში ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დაშლის დროს“ (ტ. ერეენი — უნგრეთი); „დემოკრატიული მიზნები და ამოცანები კომუნისტური პარტიების მოძრაობაში“ (ე. ბაგრამეანი, ს. სალიჩევი — სსრკ); „მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესი XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასწყისში“ (ჰ. ბარტელი, ა. ლაშიკა, ვ. შმიდტ — გფრ); „მუშათა მოძრაობა ბალკანეთში არჩევანის წინაშე: რეფორმა თუ რევოლუცია“ (ნ. მარიანეიჩი — იუგოსლავია); „დემოკრატიის პრობლემა დაბალ, ასევე საშუალო კლასებში XX ს. პირველ მეოთხედში — კვლევის ზოგიერთი შედეგები და პერსპექტივები“ (ო. კოკა — გფრ); „ევროპის უშიშროების სისტემის დაშლა 1930—1939 წწ. (ფ. ვეიტი — ინგლისი);“ „თანაარსებობის ცნების საწყისები“ (ა. ჩუბარიანი — სსრკ); „ხელმძღვანელობა და რევოლუციების პოლიტიკიდან პარტიის პოლიტიკაზე გადასვლა — ირლანდიის მაგალითი 1914—1939 წწ“ (რ. ფენინგი — ირლანდია).

უახლესი ისტორიის სექციაში სულ წარმოდგენილი იყო 19 მოხსენება. აქედან 11 მოხსენება წარმოადგინეს სოციალისტური ქვეყნების ისტორიკოსებმა (მათ შორის 2 მოხსენება საბჭოთა კავშირიდან). თემის — „ევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პა და აშშ“ — გარშემო წარმოდგენილ მოხსენებებში განხილული იყო ურთიერთობა ამორ კონტინენტს შორის. კერძოდ, გერმანიისა და ამერიკის პროგრესულ ძალებს შორის ურთიერთობა, გერმანელი იმიგრანტების მონაწილეობა აშშ-ს საზოგადოებრივ მოძრაობაში, აშშ-ს პროგრესული ელემენტების მხარდაჭერა ევროპის მოწინავე ძალებისადმი, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა, ამერიკის პოლიტიკური სისტემის პრობლემა და სხვ. თემის „პარტიებისა და პოლიტიკურ მოძრაობათა შინაგან სტრუქტურაში დემოკრატიის პრობლემის“ განხილვის დროს კვლავ შეეხენ ფაშიზმის პრობლემას. იყო ცდა გაემართლებინათ ფაშისტური დიქტატურის დამყარება ავსტრიასა და გერმანიაში. ასეთ ცდებს შედეგები არ მოჰყოლია. სოციალისტური ქვეყნების ისტორიკოსებმა ამომწურავი პასუხი გასცეს ამ საკითხებზე.

თემის — „მუშათა მოძრაობა XX ს.“ განხილვის დროს მთავარ როლს სოციალისტური ქვეყნების ისტორიკოსები ასრულებდნენ: 6 მოხსენებიდან 4 და 34 გამოსვლიდან 20 მოდიოდა სოციალისტური ქვეყნების ისტორიკოსებზე.

მწვავე დისკუსია გაიმართა თემის—„იდეები და პოლიტიკური რეალობა XX საუკუნეში“ — გარშემო. აქ განხილულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობის, საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები მეორე მსოფლიო ომის წინ. როგორც აღვნიშნეთ, მომხსენებლები იყვნენ ა. ჩუბარიანი, დ. ვეოტი და რ. ფენნინგი. ა. ჩუბარიანმა თავის მოხსენებაში აჩვენა სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის არსი; ვ. ი. ლენინის როლი სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შემუშავებაში.

ამასთან ერთად განიხილეს ინგლისელი ისტორიკოსის დ. ვეოტის მოხსენება „ევროპის უშიშროების სისტემის დაშლა 1930—1939 წწ.“. ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი შეეცადა ბრალი დაედო საბჭოთა კავშირისათვის მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში, არასწორად და დაუსაბუთებლად წარმოედგინა 1938—1939 წწ. ამბები ევროპაში და ა. შ.

დასავლეთის ისტორიკოსების, მათ შორის დ. ვეოტის, არასწორი შეხედულებები საფუძვლიანად გააკრიტიკეს თავიანთ გამოსვლებში საბჭოთა ისტორიკოსებმა ი. მინცმა, ა. ნაროჩნიცკიმ, ა. პრტოპოპოვმა, ი. ტაბაღუამ და ა. ჩუბარიანმა.

კონგრესზე ცალკე მუშაობდა კომისიები სამართლის ისტორიის საერთაშორისო პრობლემებზე, ბიზნესტინოლოგთა მსოფლიო ასოციაცია (ამ ასოციაციის სხდომაზე ზ. უდალოცოვს მოხსენების გამო გამოვიდა პროფ. მ. ლორთქიფანიძე), სლავური ქვეყნების ისტორიის შემსწავლელი საერთაშორისო კომისია (მოხსენებით გამოვიდა ი. პისარევი „სოციალური მოძრაობები აღმოსავლეთ ევროპის სლავურ ხალხთა შორის პირველი მსოფლიო ომის წინ“), დემოგრაფიის ისტორიის საერთაშორისო კომისია (კამათში გამოვიდა ი. ტაბაღუა), მეორე მსოფლიო ომის საერთაშორისო კომისია (აქ იხილებოდა „პოლიტიკა და სტრატეგია მეორე მსოფლიო ომში“) და სხვ.

29 აგვისტოს ჩატარდა კონგრესის უკანასკნელი სხდომა იმავე დარბაზში, სადაც ის გაიხსნა. სხდომას ხელმძღვანელობდა კონგრესის ამერიკელი პრეზიდენტი პროფ. ბოლ კ. შეფერი. სიტყვებით გამოვიდნენ ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კომიტეტის ახალი პრეზიდენტი პროფ. ჰ. ერტმანი (გერ). კომიტეტის მდივანი პროფ. მ. ფრანსუა (საფრანგეთი). მოხსენებით „სად არის მიჯაკეული პრომეთე?“ გამოვიდა პროფ. დ. ლანდესი (აშშ). მომხსენებელი შეეცადა გამოეყენებინა ტრიბუნა ანტიკომუნისტური პროპაგანდისათვის. მან მოიწოდა განეთარებულ ქვეყნებს ამოირჩიონ განვითარების კაპიტალისტური გზა.

კონგრესის მუშაობის დროს ჩვენ საშუალება გვქონდა დაგვეთვალიერებინა სან-ფრანცისკოს და მის ახლო მდებარე ადგილების (პერკლი, ოკლენდი და სხვ.) ღირსშესანიშნაობანი. სან-ფრანცისკოს შემდეგ ვიმგზავრეთ ლოს ანეჯელესში, ვაშინგტონში, ჩავედით ისევ ნიუ-იორკში, საიდანაც ბრიუსელისა და ამსტერდამის გავლით დავბრუნდით მოსკოვში.

ილია ტაბაღუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა და პოლონელ ისტორიკოსთა სიმპოზიუმი სოხუმში

1975 წლის 28 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე სოხუმში მიმდინარეობდა საბჭოთა და პოლონელ ისტორიკოსთა სიმპოზიუმი, თემაზე — „აღმოსავლეთ ევროპისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობა XV საუკუნის ბოლოდან XVIII საუკუნის დამდეგამდე“.

დაახლოებით ათი წლის მანძილზე რეგულარულად ტარდება პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში ორი ქვეყნის ისტორიკოსთა შეხვედრები, მიძღვნილი სხვადასხვა პრობლემისადმი.

სოხუმში სიმპოზიუმის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იყო აკად. ბ. ა. რიბაკოვი, მოადგილე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ზ. ვ. ანჩაბაძე, მდივანი — პროფ. ი. ბ. გრეკოვი. სიმპოზიუმი მოეწყო ა. მ. გორკის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ორმოცდაათმა საბჭოთა და პოლონელმა მკვლევარმა. პოლონელ ისტორიკოსთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი ლ. ბაზნიევი. სიმპოზიუმზე საბჭოთა ისტორიკოსები წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა ქალაქიდან: მოსკოვი, ლენინგრადი, მინსკი, გომელი, კიშინიოვი, ვორონეჟი, ერევანი, ბაკო, ობოლისი და სხვ. სულ მოსმენილ იქნა ორმოცამდე მოხსენება, მიძღვნილი აღმოსავლეთ ევროპისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნების ურთიერთობის პრობლემისადმი. განხილულ იქნა ამ რეგიონის პოლიტიკური საკითხების მეტად ფართო წრე.

XVI—XVII საუკუნეებში აღმოსავლეთ ევროპისა და შავიზღვისპირეთის ხალხები თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდნენ თურქეთისა და მისი ვასალის ყირიმის სახანოს წინააღმდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებების დიდი ნაწილი ამ საკითხს დაეთმო. მათგან აღსანიშნავია: ი. მ. შეჭერის — „უკრაინის მოსახლეობის მონაწილეობა რუსეთის ბრძოლაში თურქეთ-ყირიმის აგრესიის წინააღმდეგ XVI ს.“, ვ. ა. ალექსანდროვის—„რუსეთის სამხრეთი საზღვრების დაცვის ორგანიზაცია XVI ს. დამლევსა და XVII საუკუნეში“, ი. ვ. გალაქტიონოვის — „რუსეთი და პოლონეთი თურქეთის აგრესიის პირისპირ 1666—1667 წწ.“ და სხვ.

თურქებისა და ყირიმელი თათრების წინააღმდეგ აღმოსავლეთ ევროპის ხალხების ბრძოლამ ასახვა ჰპოვა იმდროინდელ პუბლიცისტიკაში. ამ საკითხზე მოხსენებები წაკითხეს: ე. ვ. ჩისტიაკოვამ — „რუსეთისა და პოლონეთის საზღვრების ერთობლივი დაცვის თემატიკა რუსულ პუბლიცისტიკაში XVII ს-ის მეორე ნახევარში“, ი. ფ. ისაევიჩმა — „უკრაინის პუბლიცისტიკაში სლავი ხალხების ერთობლივი ბრძოლის თემატიკა თურქ-თათართა ექსპანსიის წინააღმდეგ XVII ს.“

თურქეთისა და ყირიმის სახანოს აგრესიის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ დონეი და ზაპოროჟიელი კაზაკები, რომელნიც რიგ შემთხვევაში გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ მტერს. ამ თემატიკას მიეძღვნა რამდენიმე მოხსენება: ვ. ფ. ნაზაროვის — „დონისა და ზაპოროჟიელი კაზაკების აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVI ს-ის დამლევსა და XVII ს-ის დამდეგს“, ვ. სერჩიკის (კრაკოვი) — „ნიჭ პოსპალოვი და კაზაკობა XVII ს-ის პირველ მეოთხედში“, ი. ა. ლიმონოვის—„კაზაკობის ბრძოლა XVI ს-ის პოლონურ ისტორიოგრაფიაში“.

შეიარაღებულ ბრძოლასთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დიპლომატიური საშუალებებითაც ცდილობდნენ ოსმალეთთან და ყირიმის სახანოსთან სადავო საკითხების მოგვარებას. ეს საკითხები გაშუქებული იყო შემდეგ მოხსენებებში: ლ. ბაზნიევი (ვარშავა) — „პოლონეთ თურქეთის დიპლომატიური კონტაქტები XVI ს.“, ა. ბ. კუზნეცოვი—„რუსეთი და ყირიმის სახანოს პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში XVI ს-ის პირველ მესამედში“, ი. მ. იურგანისი—„მიხეილ ლატვინის ელჩობა ყირიმის ხანთან 1538—1540 წწ.“, ფ. პ. შეეჩენკო — „უკრაინა-ყირიმის ურთიერთობა 1648 — 1653 წწ. გამთავისუფლებელი ომის დროს“, ი. გეროვეკი (კრაკოვი) — „პოლონეთის პოლიტიკა პორტას მიმართ სასმენის უნიის პერიოდში“ და სხვ.

საბჭოთა და პოლონელი ისტორიკოსები დიდ ყურადღებას უთმობენ საისტორიო წყაროების შესწავლასა და პუბლიკაციას. ამასთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაკავშირებით საყურადღებო მოხსენებები წაიკითხეს: ს. ა. ორეშკოვამ „XVII—XVIII საუკუნის დამდეგის ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ახალი თურქული დოკუმენტი“, კ. ე. ვოზგრინმა და ლ. გ. კატუშკინმა „ახალი მონაცემები ყირიმის სახანოს შვედთან ურთიერთობის შესახებ XVI—XVII სს.“, ს. ო. შმიდტმა „XVI—XVII საუკუნეების საელჩოების საქმეთა აღწერა როგორც წყარო თურქეთისა და ყირიმის აღმოსავლეთევროპული პოლიტიკის ისტორიისათვის XVI ს.,“ შ. ფ. მუხამედიაროვმა „თათრთა ხანების იარლიყები, როგორც ისტორიული წყარო აღმოსავლეთ ევროპისა და შავიზღვისპირეთის ურთიერთობის შესასწავლად XVI—XVII სს.“

სიმპოზიუმზე ყურადღება დაეთმო კაკესიისა და. კერძოდ, საქართველოს ურთიერთობის საკითხებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და განსაკუთრებით კი პოლონეთთან. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი იყო პროფ. ბ. ბარანოვსკის მოხსენება „პოლონეთი და კაკესია XVII და XVIII ს-ის დამდეგს“. მოხსენებაში განხილული იყო პოლონეთის დიპლომატიური და საეკლესიო კონტაქტები კაკესიისა და, კერძოდ, საქართველოსთან.

დიდი ინტერესი გამოიწვია პროფ. ზ. ანჩაბაძის მოხსენებამ „კაკესიის როლისა და ადგილისათვის აღმოსავლეთ ევროპისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობაში XVI—XVII საუკუნეებში“. მ. სვანიძის მოხსენებაში: „საქართველო და შავიზღვისპირა ქვეყნები“ XVII საუკუნის პირველ ნახევარში“ განხილული იყო საქართველოს ურთიერთობის საკითხები ოსმალეთთან, პოლონეთთან, ზაპოროჟიელ და დონის კაზაკებთან. ვ. კ. ვოსკანიანი თავის მოხსენებაში შეეხო „სომხეთ-რუსეთ-პოლონეთის პოლიტიკურ კონტაქტებს XVII—XVIII ს-ის დამდეგს“.

პლენარულ სხდომაზე დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ა. ძიძარიას მოხსენება „XIX საუკუნის 20—30-იანი წლების პოლონეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეები კაკესიის შავიზღვისპირეთის სანაპიროზე“.

სიმპოზიუმის მუშაობა მეტად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო. იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა და პოლონელი ისტორიკოსების შემდგომი მუშაობის წარმატებას. სიმპოზიუმის მუშაობის მასალები დაიბეჭდება.

მიხეილ სვანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარა ბედუჭაძე

ქართულმა საბჭოთა ეთნოგრაფიამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ქართველ ეთნოგრაფთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი სარა იასონის ასული ბედუჭაძე

ს. ბედუჭაძე დაიბადა ქ. დუშეთში, ხელოსნის ოჯახში, 1912 წლის 2 დეკემბერს და აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1932 წელს დაამთავრა საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტი ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1933 წელს ს. ბედუჭაძე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტზე, რომელიც მან 1936 წ. ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით დასრულა.

ს. ბედუჭაძემ ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო 1937 წელს. თავდაპირველად ის მუშაობდა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, შემდეგ (1938—1941) უმცროს მეცნიერ თანამშრომლად ჯერ შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში, 1941—1951 წწ. კი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. 18 წლის განმავლობაში (1951—1968) იგი იყო უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, ხოლო 1969 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამავე თანამდებობაზე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ს. ბედუჭაძემ სამეცნიერო მომზადება მიიღო ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც დამთავრა 1949 წელს. ამ დროიდან იგი განსაკუთრებით ინტენსიურად კრებს ეთნოგრაფიულ მასალებს, ხელმძღვანელობს არაერთ ექსპედიციას საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეში და მოპოვებული ყველე ეთნოგრაფიული მასალების დამუშავების საფუძველზე აქვეყნებს საყურადღებო გამოკვლევებს.

ვინც ს. ბედუჭაძეს იცნობდა, იცის, რა გულმოდგინეებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა იგი თავის საქმეს. მას მთხოველთან ურთიერთობის განსაკუთრებული ტაქტი და ალღო ჰქონდა, მაქსიმალურად იღებდა მისგან ამომწურავ ინფორმაციას და სრულფასოვანი ეთნოგრაფიული მასალით ამდიფრებდა ამ დარგის წყაროთმცოდნეობით ბაზას.

ს. ბედუჭაძეს ეკუთვნის სამი მონოგრაფია და ოცდაათამდე გამოკვლევა, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ქართული მატერიალური კულტურის აქტუალურ პრობლემათა შესწავლის სფეროში. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მონოგრაფია — „ყელით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში" (თბილისი, 1960 წ.), რომელმაც მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალი შეფასება დაიმსახურა ეთნოგრაფიული მასალის სიზუსტითა და მრავალფეროვნებით, მისი მეცნიერული გააზრებითა და განზოგადებით. ს. ბედუკაძემ დიდი მეცნიერული კეთილსინდისიერებით შეისწავლა ქვის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, საფლავის ქვები, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ტერმინოლოგია ფოლკლორული მონაცემების მიხედვით და მრავალი სხვა, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მანამდე შეუსწავლელი საკითხების კვლევაში, განსაკუთრებით კი პირველხარისხოვანი ფაქტობრივი მონაცემების ფიქსაციის საქმეში.

ნაბეჭდ პროდუქციასთან ერთად დიდად ფასეულია ს. ბედუკაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომები და ეთნოგრაფიული მასალები, რაც განსვენებულის პირად არქივშია დაცული.

ს. ბედუკაძე დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი დამსახურებისათვის". ს. ბედუკაძის მეცნიერულმა მემკვიდრეობამ სათანადო როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარებაში, რაც დრო გავა, მისი ფასი უფრო გაიზრდება, რადგან მშობლიურ ისტორიას გარდასული ყოფის მრავალი რეალიები შემოუნახა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელმგზის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ საისტორიო საზოგადოება.

ОЛЬГА ПЕТРОВНА МАРКОВА

Ушла из жизни видный советский историк, доктор исторических наук Ольга Петровна Маркова, чья научная деятельность была связана с исследованием вопросов истории Кавказа, в том числе и отдельных вопросов истории Грузии.

О. П. Маркова родилась в 1890 г. в г. Ковно (Каунасе) в семье учителя начальной школы. Окончила женскую гимназию в г. Риге. В 1918 году поступила в Московский государственный университет на факультет общественных наук, который окончила в 1922 году.

С 1923 года в течение десяти лет О. П. Маркова была на научной работе в Институте Маркса—Энгельса—Ленина при ЦК ВКП(б), а с 1934 г. в течение пятнадцати лет работала научным сотрудником Института истории Академии наук СССР. Впоследствии в различное время на договорных началах сотрудничала в Институте истории имени И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР, в Институте истории АН Азербайджанской ССР, а также в редакции журнала «История СССР».

Перу Ольги Петровны Марковой принадлежит более 30 работ.

Первым ее печатным трудом была статья и аннотированная библиография «Отклики на «Капитал» в России 1870-х годов», опубликованная в 1930 г. в журнале «Летописи марксизма» № 1 (XI). А в 1933 г. в журнале «Каторга и ссылка» были опубликованы ее библиографические обзоры «Маркс и Энгельс в нелегальной русской периодике 70-х—80-х годов» и «Группа «Освобождение труда» и ее издания в русской нелегальной литературе 80-х годов».

В 1936 г. в сотрудничестве с М. Н. Клевенским и Е. Н. Кушевой О. П. Марковой был опубликован библиографический указатель «Русская подпольная и зарубежная печать донародовольческого периода», часть I, 1830—1879 гг., вып. I. М., 1936. А в 1935 г. для историко-археографического сектора Института истории АН СССР О. П. Марковой были составлены «Био-библиографические справочники по Кавказу». С этих пор вопросы истории Кавказа, главным образом с точки зрения международных отношений, заняли основное место в научной деятельности О. П. Марковой.

В 1936 г. в журнале «Историк-марксист» (№ 6) ею была опубликована рецензия на книгу Л. Видершаля «Кавказские дела в европейской политике в 1831—1864 гг.», изданную в Варшаве на польском языке, а в 1938 г. в том же журнале (№ 3) — рецензия на книгу В. Аллена «История грузинского народа от начала до русского завоевания в XIX в.», изданную в Лондоне на английском языке.

В этот же период ею был подготовлен сборник документов «Восстание в Грузии в 1812 году» (в двух частях, рукопись в объеме 1048 стр.), но, к сожалению, этот труд так и не был опубликован.

В 1940 г. в журнале «Историк-марксист» (№ 3) была напечатана весьма содержательная статья О. П. Марковой «Присоединение Грузии к России в 1801 году».

В конце 40-х годов по договору с Институтом истории имени И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР О. П. Марковой были подготовлены исследования и собраны материалы по темам: «Грузия в годы установления русской власти в Закавказье (от присоединения Грузии до Адриано-

Библиотека Сакартвело

польского мира, 1801—1820 гг.)» (рукопись в объеме 81 стр.); «Статистико-экономические материалы по истории Грузии первой трети XIX в.» (рукопись в объеме 794 стр., которая содержит статистико-экономические описания, составленные офицерами Генерального штаба Кавказского округа); «О политике царской России в Закавказье в связи с англо-русским соперничеством в Передней и Средней Азии в XIX в.» (рукопись в объеме 418 стр.).

В этот же период О. П. Марковой был опубликован ряд статей, например, в 1947 г. в восьмом номере журнала «Вопросы истории» — «Эмиссар Наполеона — Турналь», в которой освещен вопрос о попытке Наполеона установить связи с югом России и Кавказом в период ста дней; в 1949 г. в тридцатом номере «Исторических записок» — «Финансово-экономическое обследование Грузии в первой трети XIX в.»; в 1951 г. в шестом томе журнала «Исторический архив» — «Новые материалы о проекте Российской Закавказской компании А. С. Грибоедова и П. Д. Завелейского».

В 1951 г. в Москве Академией наук СССР была опубликована монография О. П. Марковой «Восстание в Кахети 1812 г.» в объеме 22 печатных листов. Ответственным редактором книги был член-корреспондент АН СССР Г. В. Хачапуридзе.

В данном исследовании, широко использовав документальные материалы (как опубликованные, так и архивные) и обширную литературу, О. П. Маркова рассмотрела историю восстания в Кахети 1812 г. в рамках международных отношений, а именно, с точки зрения значения Закавказья в англо-франко-русском соперничестве в первом десятилетии XIX в. и политики Турции и Ирана в отношении Закавказья.

В 1955 г. этот свой труд в качестве докторской диссертации Ольга Петровна Маркова успешно защитила на заседании Ученого совета Института истории АН СССР. В числе официальных оппонентов выступил профессор Тбилисского государственного университета А. Г. Пирцхалайшвили.

В 1953 г. в сорок втором томе «Исторических записок» была опубликована статья О. П. Марковой «Восточный кризис 1830-х — начала 1840-х годов и движение мюридизма».

В последующий период О. П. Маркова в основном работала над исследованием проблемы истории закавказского вопроса во внешней политике России и его места в международных отношениях во второй половине XVIII века.

По данной тематике ею были подготовлены работы: «Восточная политика России в 80-х годах XVIII века», «Миф о так называемом греческом проекте, его происхождение и политическая роль», «Экономические связи России с Закавказьем и Персией в XVIII в., политические условия их развития и тенденции» и др. Столь тщательно и кропотливо выполненный многолетний труд Ольги Петровны Марковой вылился в написание монографии «Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке», которая была опубликована в Москве издательством АН СССР «Наука» в 1966 году.

На основе использования большого архивного материала, широкого привлечения многочисленных и разнообразных опубликованных источников и литературы О. П. Маркова создала очень ценный фундаментальный труд, в котором освещены отношения России с другими державами в период 70—80-х годов XVIII века в связи с активизацией политики России в Закавказье. Показывая классовый характер политики царской России, О. П. Маркова вместе с тем выявила всю сложность международного положения в рассматриваемый период, вскрыла внутренние противоречия между западноевропейскими державами, показала корыстные основы их внешней политики.

Одним словом, международные отношения в связи с кавказской политикой России во второй половине XVIII в. и первой трети XIX в. явились основным объектом исследования О. П. Марковой. И в этой области ею сделано многое благодаря ее незаурядным способностям и исключительно большому трудолюбию. Научное наследие Ольги Петровны Марковой — ценный вклад в советскую историографию.

Г. ПАЙЧАДЗЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.V.76; შეკვ. № 214; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 17.15; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15.44; უე 11175; ტირაჟი 1240.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ფასი 1 მან.
6-127/39
76 197
ეროვნული ბიბლიოთეკა